

კოლეკილი

ქართულ მწერლობაში

ტომი II

გამომცემლობა „ჯეოპრინტი“
თბილისი 2015

UDC (უაკ) 821.353.1-2+792(479.22)
გ - 472



იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

სამეცნიერო პროექტი „ვოდევილი ქართულ მწერლობაში (აკადემიური გამოცემა, I-II ტომები)“ განხორციელდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

The scientific project „**Vaudeville in Georgian Literture**“ (**Academic Edition, I-II Volumes**) was made possible by financial support from Iakob Gogebashvili Telavi State University.

უფასო გამოცემა

ქეთევან გიგაშვილის რედაქციით, შესავალი წერილით, გამოკვლევითა და ლექსიკონით.

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, 2015

E-mail: geogeoprint@mail.ru

ISBN 978-9941-0-8280-1 (ყველა ტომისათვის)

ISBN 978-9941-0-8282-5 (II ტომი)

შესავალი

წინამდებარე II ტომით ვაგრძელებთ ვოდევილის აკადემიურ გამოცემას. მკითხველს შევახსენებთ, რომ I ტომში წარმოდგენილია ოთხი ავტორი: გიორგი ერისთავი (1813-1864) პიესებით: „თილისმის ხანი“, „უჩინმაჩინის ქუდი“ და „წარსული დროების სურათები“, დიმიტრი მელვინეთხუცესოვი (მელვინეთხუცესიშვილი) (1815-1878) პიესებით – „კატა-ანონა“, „ანჩხლი ცოლი“, „უბედური მოარშიყე“ და „ექიმბაში“, ივანე ერისთავი (1818-1858) პიესით „ძალად ექიმი“ და გიორგი ორბელიანი (დაბად. 1818) პიესით „სიყვარულის სასმელი“.

II ტომში მკითხველს ვთავაზობთ სამი ავტორის დრამატულ ნაწარმოებებს: ზურაბ ანტონოვის (1820-1854) პიესებს: „ქმარი ხუთის ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეერთო“ და „მზის დაბნელება საქართველოში“, გრიგოლ რჩეულიშვილის (გარდანიქეშელი) (1820-1877) პიესას – „ხუმრობა-ვოდევილი ორს კარტინაში“ და ალექსანდრე გარსევანოვის (გარსევანიშვილის) პიესას – „ცოლები დავკარგეთ“.

ასე რომ, წინამდებარე გამოცემაში გამოქვეყნებულია 5 ნაწარმოები.

I ტომის შესავალ წერილში წარმოვადგინეთ ვოდევილისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომლებსაც აქაც ვთავაზობთ მკითხველს:

ვოდევილი, ფაქტობრივად, კომედიის სახეა, მისი ერთ-ერთი მიმართულებაა. ამიტომ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო: ყველა კომედიისთვის და, მათ შორის, ვოდევილისთვისაც საერთოა კომიზმის აგენტები – მაყურებელი და პერსონაჟი თავისი მოქმედებებით, ხასიათით.

კომედიის და, მათ შორის, ვოდევილის დასასრული ყოველთვის კეთილია.

ვოდევილი, კომედიასთან შედარებით, მართალია, უფრო ხშირად მცირე ფორმისაა და, ამდენად, ნაკლებაქტია-

ნია, მაგრამ მოქმედებათა რაოდენობა ვერ იქნება მკაცრი სა-კლასიფიკაციო ნიშანი, რამდენადაც კომედიაც შეიძლება ერთაქტიანი იყოს და ვოდევილი კი – სამ და მეტაქტიანი. ეს დამოკიდებულია ავტორზე – როგორ აწესრიგებს ის პიესის არქიტექტონიკას.

ვლინდება, რომ ავტორმა შეიძლება აქტები ნაწარმოებში დაყოს როგორც სურათებად, ისე მოქმედებად და მათ შორის არანაირი განსხვავება არ იყოს, ისინი იყოს მხოლოდ გარეგნული მახასიათებლები, რომელთაც განსხვავებული მნიშვნელობები არ შეესაბამებათ და, ამდენად, კომედიისთვისაც და ვოდევილისთვისაც საერთო აღმორჩნდეს მოქმედებათა რაოდენობის განურჩევლობა.

კომედიასა და ვოდევილს ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სასიმღერო კუპლეტების არსებობა. ისინი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მათში და შეიძლება არა, თუმცა ვოდევილში უფრო ჭარბობს სასიმღერო ჩანარტები.

იკვეთება, რომ კომედიის ერთი სახეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები სხვა სახეობებშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, თუ რომელი მახასიათებლებია არსებითი და განმსაზღვრელი ამა თუ იმ პიესისთვის. ვოდევილების წყება ჩვენ სწორედ ამ პრინციპით გამოვყავით.

ჩვენი დაკვირვებით:

1. ვოდევილში გადმოცემული ამბავი, ჩვეულებრივ, დროის მცირე მონაკვეთში (ერთი დღე-ღამის განმავლობაში) ვითარდება და მთავრდება. კომედიაში გადმოცემული ამბავი შედარებით ვრცელია, დროის მეტ მასშტაბს მოიცავს;
2. ვოდევილის სიუჟეტი მარტივი და მსუბუქია, მასში გადმოცემული ამბები ხშირად არასერიოზული და სალალობაა;
3. ვოდევილში დასაცინი პერსონაჟი უფრო მეტად გულუბრყვილო, სულელი, მჩატე გონებისაა. მისი გონების

სიმჩატე დასაწყისშივე განაწყობს მაყურებელს, რომ მის მიერ პიესაში სასაცილო გაუგებრობები აიგება, რაც მასში სიხალისესა და სასიამოვნო განწყობილებას წარმოშობს;

4. ვოდევილისთვის აუცილებელია, რომ მსუბუქი გონების ადამიანების გვერდით პიესაში წარმოდგენილი იყვნენ ჭკვიანებიც (ან შედარებით ჭკვიანები), რომლებიც დასაცინ ადამიანთა გონებრივ სიმჩატეს ხშირად თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ, მათ თავიანთსავე სისულელეში ხვევენ და სწორედ ამით აღწევენ მიზანს;
5. ვოდევილში წარმოქმნილი კოლიზია მოჩვენებითია, ზერელე. აქ წინააღმდეგობები მხოლოდ მარტივი კომიზმის განვითარებას ემსახურება;
6. პერსონაჟთა შორის კონფლიქტების განვითარება ხშირ შემთხვევაში ხელოვნურია; ზოგჯერ არაბუნებრივია მათი ემოციებიც (მაგ., გულის შეწუხება, ნაქცევა და სხვ.);
7. ვოდევილში გვაქვს სიტუაციური (მდგომარეობითი), წინასწარ შეუპირობებელი კომიზმი;
8. ვოდევილისთვის აუცილებელია მსუბუქი ინტრიგა;
9. ვოდევილის მიზანი არ არის აღმზრდელი-მორალისტური, განსხვავებით კომედიისაგან; მისი მიზანი მხოლოდ მაყურებლის შექცევა და მისი ყოველდღიური პრობლემებისაგან განტვირთვაა;
10. ამის გათვალისწინებით, ვოდევილის ყურებისას მაყურებელი მხოლოდ გართობას უნდა მიეცეს, ის არ უნდა დაფიქრდეს მწვავე სოციალურ საკითხებზე. შეიძლება პიესაში ასეთი საკითხებიც დაისვას, მაგრამ ისინი მაყურებლის გონების პრიზმაში არ უნდა მოექცეს, მათში მან მხოლოდ გასართობი უნდა დაინახოს; ამიტომაც იყო, რომ ვოდევილები ხშირად სხვა რომელიმე უფრო სერიოზული პიესის წარმოდგენის შემდეგ

იმართებოდა;

11. შესაბამისად, კომედიაში სიცილს სოციალური ღირებულება აქვს, განსხვავებით ვოდევლისგან. აქ სიცილი გასართობია, გამამხიარულებელი და თავშესაქცევი. კომედიაში სიცილმა მაყურებელი უნდა დააფიქროს, ვოდევილში კი უნდა გაართოს;
12. ვოდევილში ხშირია პუბლიკისკენ პერსონაჟის მიმართვები, აქ მაყურებელსა და მსახიობს შორის კონტაქტი გაცილებით მჭიდროა;
13. ვოდევილში პერსონაჟთა ქმედებები აგებულია სიცილის ეფექტზე;
14. კომედიაში არ გვაქვს სასიამოვნო დაძაბულობა შემდგომი სცენების მოლოდინში. ვოდევილში მაყურებელი მუდმივად დაძაბულია და ელის ახალ-ახალ თავშესაქცევ მოქმედებებს;
15. კომიზმის ერთ-ერთი მთავარი აგენტი – პერსონაჟი – კომედიაში დაცინვის ობიექტია, ვოდევილში კი ეს აგენტი სიცილის გამომწვევია, ანუ გართობის წყაროა;
16. შესაბამისად, კომიზმის მეორე მთავარი აგენტის – მაყურებლის – სახით კომედიაში არსებობს დამცინავი, ვოდევილში კი – მოცინარი.

II ტომში წარმოდგენილი პიესები სწორედ ამ ნიშნების მიხედვით მივიჩნიეთ ვოდევილებად.

ტომი მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში სამეცნიერო-კვლევითი პროექტის – **„ვოდევილი ქართულ მწერლობაში (აკადემიური გამოცემა, I-II ტომები)“** – ფარგლებში.

პროექტის იდეა ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **გიორგი ჯავახიშვილს**.

პროექტის ავტორი და მეცნიერ-ხელმძღვანელია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ქეთევან**

გიგაშვილი, ხოლო მეცნიერ-კონსულტანტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სექციის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ ნინიძე.

II ტომში წარმოდგენილი ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო **ქეთევან გიგაშვილმა**.

ენობრივი მიმოხილვა ეკუთვნით **ქეთევან გიგაშვილსა და მზია გიგაშვილს**.

სომხურენოვანი ლექსიკა განმარტა არმენოლოგმა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა **ირმა ხოსიტაშვილმა**.

თურქული წარმოშობის სიტყვების ახსნაში დაგვეხმარა ყარაჯლის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი **აზიზ აბაზოვი**, ხოლო ოსური წარმოშობის სიტყვების ახსნაში – **ელენე ქოქოვა**, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვასხენებთ.

ოპერატორის საქმიანობა შეასრულეს **მანანა გვენცაძემ** და **ვახტანგ ზურაშვილმა**.

პროექტის დაფინანსებისათვის მადლიერებას გამოვხატავთ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, ქალბატონ **თინათინ ჯავახიშვილის**, ასევე აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიმართ.

მუშაობის პროცესში განეული დახმარებისათვის მადლობას მოვასხენებთ:

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგეს, ქალბატონ **ნანა ყარაულაშვილს**;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს, ბატონ **ირაკლი ღარიბაშვილს**;

ამავე ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურების სამსახურის უფროსს, ქალბატონ **მანანა დეკანოზიძეს;**

ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტის განყოფილების თანამშრომელს, ქალბატონ **ნანა მეტრეველს;**

ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგეს, ქალბატონ **ნანა ბალათურას;**

ინფორმატიკის განყოფილების გამგეს, ქალბატონ **თამარ ხახუტაშვილს;**

ამავე განყოფილების თანამშრომლებს, ქალბატონ **მარიტა სულაბერიძესა** და ბატონ **ლუკა ქიტუაშვილს;**

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო ფონდის განყოფილების უფროსს, ქალბატონ **მაია მიქაბერიძეს;**

ამავე ბიბლიოთეკის კატალოგისტს, ქალბატონ **მარინა სონლულაშვილს;**

ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ განყოფილების უფროსს, ქალბატონ **რუსუდან ასათიანს;**

ამავე განყოფილების წამყვან სპეციალისტს, ქალბატონ **ქეთევან თომაძეს;**

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდის მცველს, ქალბატონ **ნინო ნასიძეს.**

ვფიქრობთ, წინამდებარე გამოცემა საინტერესო იქნება როგორც ფილოლოგიური, ისე თეატრალური სფეროს წარმომადგენლებისათვის.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ შემდგომი მუშაობისას.

ვრცელი შესავალი წერილი იხ. ჩვენი გამოცემის I ტომში.¹

1 ვოდვეილი ქართულ მწერლობაში, ტომი I, თბ., 2015.

წერსაბ ანტონოვი



1820-1854

ქმარი ხუთის ცოლისა.

კომკლდა თზს - მოქმედებად.

შეთხულო ზ. ანტონოვისაჯან.

მოქმედი პირნი.

ტფილისის მოურავი, თ. იოთამ გუჯარაძე¹
ტფილისის მამასახლისი, გოგია ბინდიაშვილი
გზირი კიკოლა ყურშავაძე

გლენი მოჩივარი, ბერუა ბასილაშვილი
მეპასუხე, იორდანე მამულაშვილი

მოჩივარნივე იმერლის ქალი, მელანია ცყემალაძისა
ქართლელი ქალი, ქეთევან მეკალოისშვილისა
სომხის ქალი, ვარდნათუნ მარტირუზიანცისა
ოსის ქალი, თამარა ზარდიყოშვილისა

ქმარი ამათი, აზნაური სვიმონ გვერდელაძე
ამისივე მეხუთე ცოლი, სოფიო პაპუნაშვილისა

მსაჯულნი თავადი, დავით ვახუშტაძე
თავადი, გრიგოლ ქეზულაშვილი

ნათესავი სვიმონისა აზნაური, ესტატე ბურტყლაძე
მეგემე თათარი, ჰაჯი აბდულ უსუფოღლი
მსახური გვერდელაძისა, ნინიკა გაყურელაშვილი

პირუტლი მოქმედება ტფილისში, ხოლო მეორე გურიაში შავის
ზღუის პირს.

წარმოდგენილ-არს ტფილისის ტეატრში პირველად „18“ დეკ-
ენბრისასა 1851 წელსა

მეორე მოქმედება გარდაკეთებული არის რუსულიდგან.

მოქმედება 1.

(ტეატრი წარმოადგენს მოურავის დარბაზს, მარცხნივ სდგას ტახტი ხალით დაფენილი, ზედ მოურავი ზის მოკეცილი, კალთაში მუთაქა უძევს და ზედ კრიალოსანი გადმოკიდებული აქვს და ათამაშებს ჴელითა, ტახტის წინ აწყვია მოურავის მაშიები, მარჯვნივ დგას მამასახლისი ტოლომა მოსხმული და კომბალზედ დაბჯენილი, ფარდა აიხდება და ლაპარაკობენ.)

გამოსვლა 1.

მოურავი.

მამასახლისო! ახალი ანბავი რა ისმის ამ ჩუჭნს ქალაქში, გუშინ იჯარებიდგან არა შემოსულარა.

მამასახლისი.

რომელი იჯარებიდგან შენი ჭიიმე.

მოურავი.

რალა რომელიდგანა ვეფო, თუთუნისა ჩემო ბატონო, ბურნუთისა, კანაფისა, ლილახანისა ამეებიდგანა?

მამასახლისი.

მაგეებიდგან არაფერი შენი ჭიიმე, და ერთი ექვსიოდ შაურიკი მაქუს. გუშინ ორს კაცს ჩხუბი მოუიდათ და საკინძის ჩამოსაწყვეტი ნავართვი.

მოურავი.

ვეფო რა დაემართათ ამ იჯარაებსა, შემოსავლიდგან რათ იკლეს.

მამასახლისი.

როგორ არ იკლებენ შენი ჭიიმე, ცუდი დრო შეგვექნა, ხალხში პირი აღარ არის დანდობა და ღუთის შიში, დღეს ასეთი საქმე გავიგონე თქუწნი რისხუა არამაქუს რომ, არამც თუ იჯარებმა შემოსავალიდგან იკლონ, ამკარათ ცეცხლი რომ ჩამოგვივარდეს და ერთიანათ მოგვწვას კიდეც ცოტაა.

მოურავი.

მერე აგრეთი რა გაიგონე ვეჟო?

მამასახლისი.

რალა რა გავიგონე შენი ჭიიმე, გურიაში შავი ზღვის პირს მოსახლე ვილაც ერთი ღუთის უშიში აზნაური ყოფილა ქართლიდგან გარდასახლებული, მოსულა შენი ჭიიმე ქუთაისში ერთი იმერლის ქალი შეურთავს ცოლათა, სამი წელიწადი იმასთან უცხოვრია შენი ჭიიმე გურიაში, მერე გამოჰპარვა ცოლსა და მოსულა ქართლში და ერთი ქალიც ქართველი შეურთავს ცოლათა შენი ჭიიმე, იმასაც გაჰპარვა წასულა ოსებში, ერთი ოსის ქიზგაც იქ შეურთავს ცოლათა შენი ჭიიმე, ის ოჯახდაქცეული იმასაც გამოჰპარვია და წასულა სომხითში ერთიც შულავერში სომხის ქალი შეურთავს შენი ჭიიმე, ახლა იმასაც გამოჰპარვია შენი ჭიიმე და დაიარება სადღაც დაღუპვაში ჩუმათ, ამდგარან შენი ჭიიმე იმისი ცოლები ოთხივ ერთათ შეყრილან და გურიელთან უჩივლიათ, გურიელს ბევრი უძებნიებია შენი ჭიიმე მაგრამ თავის საბძანე[ბე]ლში ვერ უპოვინებია, ახლა ის ოთხივ იმისი ცოლები და იმათი საჩივრები გურიელს ჩუწნს ბედნიერს მეფესთან გამოუგზავნია და შემოვედრებია შენი ჭიიმე რომ აპოვინოს სადმე ის აზნაური ღირსად დასაჯოს და იმისი ცოლებიც ანუგეშოს რითმე, მე ეს

ანბავი ერთი გორელი კაცი გახლდათ იმან მიანბო, მეფე გორ-სა ბძანდებოდა და იქ მიიღო გურიელის მოხსენებაო, და როგორც იმ კაცმა მოგახსენათ მგონია ამ საქმეზედ დღეს მეფისაგან ოქმიც მიიღოთ. აბა ქრისტიანობაში რომ ამისთანა საქმე მოხდეს, რათ მოგვივა კარგი დრო შენი ჭიიმე (ყურებზედ ჴელს იცემს) რატომ ყურები არ დამიდგება შენი ჭიიმე ქრისტიანობაში ამ ხმის გამგონსა (ტირილით) ნეტავი ღუთის მადლით თუ ამისთანა დროს შევესწრებოდი ადრევე მამკვდარიყავ და აქამდინ არ მეცოცხლა.

მოურავი.

(გაოცნებით). ოჰ, ჰო, ჰო, ჰო, ჰო! ეს რა ანბავია თქუჴნი ჭირიმე, მიკვირს ამტელის ცოდვსაგან და მომატებულათ ამისთანა საქმის მოქმედებისაგან, რატომ ცა ზედ არ დაგვენგრევა თქუჴნი ჭიიმე. მამაჩემი იორამ ნუ წამინყდება ის კაცი სწორეთ ცოცხლივ არის საკირეში დასანავი (მამასახლისს) მამასახლისო! ეგ საქმე მართალია?

მამასახლისი.

მართალი გახლავსთ თქუჴნი რისხუა არა მაქვს.

გამოსვლა 2.

იგინივე და გზირი.

გზირი. (შემოვა და თავს დაუკრავს მოურავს) ბატონი მოურავი ადექელა ღმერთმა.

მოურავი.

გაგიმარჯოს, სადიყავ გზირო?

გზირი.

არსადა შენი ჭიიმე, დემეტრე გოგილაშვილმა ერთი ფურკამეჩი დაკლა და სამოურაო წესი მოგართვათ ბეჭი, შინ მივეცი ბიჭებსა მოსახარშავათა.

მოურავი.

ააშენა ღმერთმა (მამასახლისს) მამასახლისო? მე ისევ იმ ოთხის ცოლის შემრთველთანა ვარ, ახ! ნეტავი არ იქნება ერთი ჯელში ჩამივარდეს და მე უჩვენებ თამამასა, აქ ხომ არსად დაიარება, თვალი არსად მოგიკრავს?

მამასახლისი.

არსადა შენი ჭიიმე, აი მოგეცა ლუთის წყალობა ფხიზლათ ვიყოთ მეცა და ჩემი მოხელეებიცა, თუკი თვალი მოვკარი სადმე, თქუზნი რისხუა არა მაქუს სანამ აქ მოვიყვანდე კისერში ცემით სიცოცხლეს დავამწარებ.

ნინიკა.

(შემოვა და მოახსენებს) გარეჯვრელი ბასილაშვილი ბერუა გახლავსთ ძლუზნი მოგართვა და თქუზნს ნახვას ნდომულობს.

მოურავი.

შემოიყვანე ვეჟო.

გამოსვლა 3.

იგინივე და ბერუა.

(შემოვა ბერუა ნინიკა წინ მოუძღვის ხონჩითა, ხონჩას მოურავის წინ დასდგამს და მოახსენებს): მოურთმევია შენი ჭიიმე გარეჯვრელს ბასილაშვილს ბერუასა, ერთი დოქი ღვინო, ერთი ნასუქი ინდოული, ცხრა გარეჯული შოთი და ცხრა კვერცხი.

მოურავი.

ააშენა ღმერთმა.

ბერუა.

ღმერთმა შენი ჭირი მამცეს შენი ჭიიმე.

მოურავი.

(ნინიკას) ბიჭო! გადი ყანნი შემოიგანე და ბერუას თავისი ღვინის ჭაშნიკი ასვი.

ნინიკა.

(გავა ყანნს შემოიგანს დაუსხამს ღვინოსა ბერუასა და მისცემს) დალიე ბერო.

ბერუა.

(გამოართმევს ყანნსა დაილოცება) დიდება ღმერთსა მონყალესა, ღმერთო შენი გამარჯვება მოეც ბატონს ჩუწნს მოურავსა, შენს წყალობას ნუ მოაკლებ აქა ბრძანებელსა (დალევს).

მოურავი.

(ნინიკას) ბიჭო! ერთიც ასვი!

ნინიკა.

(დაუსხამს ღვინოს ისევ ჴელში მჭერალს ყანწზედ)

ბერუა.

ბატონო მოურაო შენი ჭიიმე, ღმერთმან მოგცეს იოსების მშვენიერება, სამფსონის ძლიერება, და სოლომონის სიბრძნე.

მოურავი.

გაგიმარჯოს ღმერთმა ჩემო ბერო.

ბერუა.

(დალევს და ყანწს ბიჭს მისცემს) აჰა ძმავ გაიტანე.

ნინიკა.

(გაიტანს ღვინოსა და ძღუწნსა)

მოურავი.

ბერო თქუწნში რა ანბავია როგორი რა ჭირნახულის მოსავალია?

ბერუა.

ყველასთვის კარგი შენი ჭიიმე, მაგრამ ჩემთვის კი არაფერი.

მოურავი.

რატომა ვეყო.

ბერუა.

ოჯახი რომ დაექცეს მამულაშვილს იორდანეს იმიტომ.

მოურავი.

როგორა ვეყო.

ბერუა.

რალა როგორა შენი ჭიიმე, ჩემ ბედობაზედ წრეულ ოთხი დღის ყანა მქონდა დათესილი, ასეთი მოსავლის პირი უჩნდა თქუჭნი რისხუა არა მაქუს რომ ავის თვალით არ ინახოდა, წუხელის იმის მეხრეებს შენი ჭიიმე ჯარი შეუშვიათ და ასე ამოუგდებინებიათ თქუჭნი რისხუა არა მაქუს რომ (დაანახვებს ჯელის გულსა) როგორც ამაზედ არა არისრა ისე იქა, დილას მიველ იმასთან სალაპარაკოთა ბევრიც მაგინა შენი ჭიიმე და ისე გამამისტუმრა, მერე დაიწყო სიარული და ქალაქში წამოვიდა.

მოურავი.

ეხლა აქ არის?

ბერუა.

აქ გახლავს შენი ჭიიმე, ბაზარში დაიარება.

მოურავი.

(გზირს) გზირო! წადი ეს ბერუაც თან წაიყვანე, იპოვე იორდანე და ეხლავ აქ მომგვარე.

გზირი.

ბატონი ბრძანდები შენი ჭიიმე ეხლავ აქ გაახლებ. (ბერუას) წავიდეთ ბერო. (გავლენ მარჯვნივ).

მოურავი.

მამასახლისო! მამაჩემი ნუ წამიწყდება თუ მართლა ყანა წაუხდენია ავით მოსაკიდებელი არის.

მამასახლისი.

აბა ყანის წახდენა ვისგან რამოსაწონია შენი ჭიიმე, მერე ეხლა რომ სამკალათ არის მოსული.

ნინიკა.

(შემოვა და მოახსენებს) გარეჯვერელი მამულაშვილი იორდანე გახლავსთ თქუჴსნ ნახვასა ნდომულობს და ძღუჴსნიც მოგართვათ.

მოურავი.

ვეჴო მე მაგის დასაძახებლად გავგზანე და ეგ თითონ მოსულა, დაუძახე შემოვიდეს.

გამოსვლა 4.

იგინივე და იორდანე.

(შემოვა იორდანე, წინ ნინიკა მოუძღვის ძღუ[ე]ნითა და ღვინითა, მოიტანს ხონჩას მოურავის წინ დასდებს და მოახსენებს) მოურთმევეია შენი ჭიიმე მამულაშვილს იორდანეს, ერთი კარგი დედალი, ერთი ბურვაკი, ცხრა ნაზუქი, და ერთი დოქი

ღვინო.

მოურავი.

ააშენა ღმერთმა.

იორდანე.

ღმერთმან შენი ჭირი მამცეს.

მოურავი.

ნინიკო! აიღე ემაგ საღვინით ღვინო აწაფე იორდანესა თავისი ღვინის ჭაშნიკი ნახოს.

ნინიკა.

(მისცემს იორდანეს საღვინესა) დალიე იორდანე.

იორდანე.

(გამოართმევს საღვინესა და მოურავს) ბატონო მოურავო! ნება მიბოძე შენი ჭიიმე ერთი ჩემებურათ დავილოცო.

მოურავი.

დაილოცე ვეჟო ვინ გიშლის.

იორდანე.

(ილოცება).

დიდებაა ღმერთსა!

ამონყვეტა ლეკთა,

ჟამი ხორასნელთა,

მათი ჯარის ბელადები
გარდაცვინდენ კლდეთა,
ავი კაცი და მოქრთამე
დაილუპნენ ბნელთა,
ამხანაკის მოლალატე
მიეცნენ დიდს სენთა.
ლმერთო შენი გამარჯვება
მოეც თავადებთა,
ქართლ-კახეთის აზნაურთა
აძლევენე მტერთა,
ჭირნახულის მოსავალი
მოუმატე გლეხთა.

შენდაო ბატონო! (ინაფებს საღვინეს. დიდხანსა
დაარაკრაკებს).

მოურავი.

(პუბლიკას) ვეჟო ეს ძალიან წურბელასავით მოეკიდა
ამ საღვინესა, რაც მოუტანია კიდეც დასცლის.

იორდანე.

(მოიხსნის საღვინეს პირიდგან ქშენითა და მისცემს
ნინიკას.) ჰა ძმაო ეს საღვინე.

მოურავი.

ნინიკო! ერთი მამასახლისსაც აწაფე თორემ მგონია
ღვინისათუს სული წაუიდა.

ნინიკა.

(მისცემს მამასახლისსა) აჰა, მამასახლისო. (ჩუმათ)

ჩაჭყურტე მაგ ოხერ მუცელში.

მამასახლისი.

ღმერთმა შენი ჭირი მამცეს შენი ჭიიმე ბატონო მოურაო (ინაფებს საღვინეს დიდს ხანს, მერე მოიხსნის ქშენით და წუნ-წკლი გადმოდის ღვინისა წვერსა და ტუჩებზედ ენით იწმენდს და მერე) ჰე... დალოცა ღმერთმა ვაზო შენი ძირი. (ნინიკას) ჰა ძმაო ესაღვინე გაიტანე.

ნინიკა.

(აიღებს ხონჩასა და საღვინესა და გაიტანს მარჯვნივ.)

იორდანე.

ბატონო მოურაო შენი ჭიიმე! ჩუწნ რომ ეს ღვინო არა გვექონდეს შენი რისხუა არა მაქუს არც ბერი და არც ერი ერთს მანყულათ არ ველირებით.

მოურავი.

კარგია მაგრამ ბევრის დაღევა კი არ ვარგა.

იორდანე.

ეჰ... შენ კი დაგლოცა ღმერთმა, თუ კაცი ღვინოში ჟინჟილივით არ დაღბა, იმ დაღევას რა ხეირი ეყრება შენი ჭიიმე.

მოურავი.

არა, ბევრის დაღვევისაგან შფოთისა და ზარალის მეტი არა წარმოსდგებარა, უთუოთ დაღვევისაგან იქნებოდა, რომ

შენს მეხრეებს ბერუა ბასილაშვილის ყანაში ხარები შეუშვიათ და ყანა გაუფუჭებიათ, მერე პირიქით შენ კიდეც გაგილანძლავს, აბა რას ემართლებოდი, ეხლა ჩემთან გიჩივის.

იორდანე.

აბა მაგაზედ იტყვიან შენი ჭიიმე რომა ბატონს წინდანინ მოჩივარი მართალი ეგონაო. მე იმისთვის მინდა მეჩივლა და იმას დაუსწვრია.

მოურავი.

როგორა ვეჟო?

იორდანე.

რალა როგორა შენი ჭიიმე, შედალოცვილო მეც პასუხი მამისმინე და მერე ისე გამამტყუნე, აგრე კიარა თქუწნი რისხუა არა მაქუს, თუ მე მაგ საქმეში მტყუანი გამოვიდე ერთი შვიდეულათ ჯარიმა გადამახდევინევი.

მოურავი.

აბა მიანზე ვეჟო, მაშ როგორ იყო ეგ საქმე.

იორდანე.

აი როგორ იყო შენი ჭიიმე, ბერუასი და ჩემი ყანა ერთმანერთან ახლო გახლამთ, იმისთვის ჩემსასა და იმის მეხრეებს გუთნის ხარი ერთათ ჰყოლოდათ, გუთანი რო გამოეშვათ შენი ჭიიმე, ჩემ მეხრეებს ჯარი საძოვარში წაესხათ და გვერდით მოსდგომოდენ, იმის მეხრეებს შენი ჭიიმე ძან დაელიათ და დამთვრალიყვნენ, აბა მოგეხსენებათ შენი ჭიიმე დალეულს კაცს ძილი მოუვა, დასძინებოდათ, ხარი უპატრონოთ ყო-

ფილიყო შესულიყვნენ ყანაში და სულ ამოეგდოთ, მერე მეხრეებს ბერუასი რო შეშინებოდათ ჩემი მეხრეებისათჳს გადმოებრალეზინათ, იმაზედ შენი ჭიიმე დილას მამიხტა სახლში და ხიზანი გამილანძღა, აბა რას მემართლებოდა შენი ჭიიმე ჯერ სწორე გაეგო და მერე ისე გაველანძღე.

მოურავი.

ვეჟო ის შენ გიჩივის და შენ იმასა რომელს დაგიჯეროთ, მანამ ორივეს ერთათ არ შეგყროთ და არ გალაპარაკებთ მანამ თქუჴნი გასამართლება არ იქნება. მე ეხლა გზირი და ბერუა გამოვგზანე რომ ეპოვნეთ და აქ მოეყვანეთ, წადი შენ ისინი იპოვე და ყველანი აქ მოდით რომ გაგასამართლოთ.

იორდანე.

ბატონი ბრძანდები შენი ჭიიმე, როგორც თქუჴნი ნება გახლდეთ (გავა მარჯვნივ.)

მოურავი.

მამასახლისო! მე ცოტა საქმე მაქუს გარეთ მინდა გავიდე და ისინი რომ მოვიდნენ აქ მოაცდევინე.

მამასახლისი.

(მაშიებს მიართმევს) ბატონი ბრძანდები შენი ჭიიმე.

მოურავი.

(გავა მარცხნივ.)

გამოსვლა 5.

მამასახლისი.

(მოურავი რომ გავა ის მივა და იმის ტახტზედ დასჯდება და პუბლიკას) ეს დალოცვილი ჩუჭნი მოურავი თითონ შექცევით ბრძანდება, როცა უნდა მოისვენებს და როცა უნდა ილხენს, ერთხელ მეც არ მიბძანებს თუ მამასახლისო დაილალებოდი და დაისვენე, აგერ ხუთი დღეა ჩემს თვალს ლული არ მოსვლია, მე მეძინებოდა იმან მიბძანა აქ მოიცადეო (სთვლემს). აბა რავექნა, ნათქვამია ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო და მეხომ კაცი ვარ, ეჰ! მამასახლისის ცხოვრება რა ცხოვრებაა, როგორც ძუნგელა ძალღმა ისე უნდა ირბინოს. ლუთის წინაშე ესკი არის მამასახლისის პატივი ხანდახან თითო ყანწს არაყსა და თითო ჯელადა ღვინოს ასმევენ ხომე აქა იქა, მაგრამ თუ არა გაუკეთარა ისევ შხამათ ამოადენენ, (სთვლემს და თავს იქნევს მერე დაეძინება... კომბალი ჯელიდგან გავარდება და შემკრთალი წამოვარდება). რა რა... რას მიბრძანებდი შენი ჭიიმე (მიიხედ მოიხედავს და როვერავის დაინახავს პუბლიკას) ამ დალოცვილი მოურავის შიშით ძილიც კი დამფთხალი მაქუს.

გამოსვლა 6.

იგივე, გზირი, ბერუა და იორდანე.

(შემოდინ მარჯვნივ კარიდგან ჩხუბით ბერუა თავ გატეხილი იორდანე გულ დაბლლეძილი და გზირი თან მოსდევს.)

ბერუა.

არა შე ოჯახ დაქცეულო შე სახკარ ამოსანყვეტო რას მემართლებოდი ე... ცასა და ქუჭყანას შუა ოთხი დღის ნა-

ფუზარი მქონდა, ისიც ამამიგდებინე შენს საოხრო ჯარებსა და თავიც გამიტეხე განა, მაცა მაცა აგრე იყოს თუ მე შენ ეს შეგარჩინო.

იორდანე.

ოჯახი შენ დაგექცა და სახკარიც შენ ამოგინყდა, თვალეზი ბრმა გქონდა შვილო, ნაკვალევს ვერ შევატყე საიდან იყვნენ ჯარები შესული, აბა ის შენი ხარები გახლდენ აი.

ბერუა.

შე ოჯადაცეულო ჩემა მეხრებმა არა სთქუჴს იმისი ჯარები იყვნენო შვილო ე...

იორდანე.

ჩემი ხარები საიდან იყვნენ შვილო ე... ყურები დაგიდგეს რო ვერა გაიგონორა, შენ მეხრეებს შვილო გუთნიდან ერთი უღელი ხარი გამოეშვათ და საღამომდინ ქირით ემუშავებინათ, იმითი ღვინო ეყიდათ და ძაან დამთვრალიყვნენ, ჯარები გაჴპაროდათ და ყანაში შესულიყუნენ, აბა შე ოჯადაცეულო უპატრონო ჯარი ყანას ამოაგდებდა მარას იქმოდა ჴა!

ბერუა.

ჴაჴაი... ტყუილაგ! ტყუილაგ! დახე ამ ოჯადაცეულსა რაები მოიგონა აცა შვილო შერა მიყავ თუ მე ეგ საქმე არ გამოვიკვლიო და ნაქმარი ვერ გიყო.

იორდანე.

რათაო ე... გიჴია ეოჯადაცეული.

ბერუა.

ვის ეუბნები ოჯადაცეულსა შე ბეხო კამეჩო ჰა!
დამენინძლავე ძან საწრეები აგაყვანო.

იორდანე.

იქ შინ მობძანდი და ვინც ააყვანინებს გამოჩნდება,
შეღორო ღორო, ნახევარ ლიტრის კაცი ლიტრის კაცს მაგას
უნდა მეუბნებოდე, მერე გუშინდელი ღლაპი.

ბერუა.

ვის ეძახი ღორსა შე ოჯადაცეულო ჰა (მიინევს საცე-
მრათა.)

იორდანე.

(მიინევს ბერუაზედა) მობძანდი და გაჩვენებ თამაშასა.
(მისცვივიან ერთმანეთსა.)

მამასახლისი.

(ჩაუვარდება შუაში) არა ვის სახლში ჩხუბობთ თქუც
ოჯადაცეულო ჰა (ამ ყვირილზედ შემოდის მოურავი.)

გამოსვლა 7.

იგინივე და მოურავი.

მოურავი.

(შემოვა მარცხნივ და დაუყვირებს) რა ანბავია რა ან-
ბავია დაიჭირეთ ორივე.

მამასახლისი და გზირი.

(დაიჭერენ.)

მოურავი.

არა თქუჴ ყურუმსაღებო ვის სახლში ჩხუბობთ ჰა!
(მამასახლისს) მამასახლისო! გაასხით ეგენი ბოსელში
შეამწყვდიეთ მე მაგათ გაურიგებ საქმესა. (მამასახლისსა და
გზირს გაჴყავთ. კარებთან რომ მიიყვანენ მოურავი) პანჩური
მაგათ პანჩური.

მამასახლისი.

(ამოჴკრამს პანჩურსა გაიყვანს მარჯვნივ და თითონ
ისევ შემოვა.)

მოურავი.

მამასახლისო სად დაასისხლეს ერთმანეთი?

მამასახლისი.

რამოგახსენო შენი ჭიიმე, აქ ისე ჩხუბით შემოვიდენ ის
იყო ვაშველებდი და თქუჴნც შემობანდით, გზირს ეცოდინება
ის მოჴყვა თანა.

მოურავი.

დამიძახე გზირს აქა.

მამასახლისი.

(მივა და მარჯვნივ კარიდგან გასძახებს) გზირო! ბატო-

ნი მოურავი გიბძანებს აქ შემოდი.

გამოსვლა 8.

იგინივე და გზირი.

გზირი.

(შემოვა მარჯვნივ და მოახსენებს) რას მიბძანებდი შენი
ჭიმიე.

მოურავი.

ჩხუბი სად მოუიდათ იმათა?

გზირი.

აქედან რომ გიახელით შენი ჭიმიე იორდანეც გზაზედ
წამოგვეწია და ბერუას უთხრა ბატონს მოურავს ნუ ვაწუხებთ
წამოდი მარანში ღვინოს ჩამოვასხამ და შევერიგდეთო, წავეყვით
შენი ჭიმიე იორდანესა, ორი თუნგი ღვინო იმან ჩამოასხმევინა
და შვიდი ჩარექიც ბერუამა, ერთი ხუთხუთი ჩარექი რომ გი-
ახელით შენი ჭიმიე მერე წამოვედით აქა, თქუწნთან უნდა გხ-
ლებოდით და შერიგებულყვენ, გაუწყრათ ჩემი იესო ქრისტე
გზაზედ რალაზედაც წაკინკლავდენ ბერუამ საყელო დაადლ-
იდა იორდანესა, მერე იორდანემ დასცხო სახრე ბერუასა და
თავი გაუხეთქა, ისიყო აქ გიახელით და თქუწნც მობძანდით.

მოურავი.

შეხე შეხე ამ ყურუმსალს ყურუმსალის შვილსა მე საქ-
მეზედ გავგზავნე ეს შესულა და სმა დაუნყვია, მამასახლისო!
ერთი უღვავში აუწიე მაგასა.

მამასახლისი.

(ასწევს უღვაშსა და გზირი ღრიალებს.)

[გზირი.]

ვაჟმე მოვჰკუდი მოვჰკუდი დავაშავე შენი ჭიიმე ეს ერთი მაპატივე და კულავ აღარავიქ თქუჰნი რისხუა არა მაქუს.

მოურავი.

გაუშვი კარგი, ნადით ახლა ის გლეხები მამგვარეთ ძალიან დავზურგო.

მამასახლისი და გზირი.

(გზირი გავა მარჯვნივ და მამასახლისი მოურავს.) ბატონო მოურავო შენი ჭიიმე, მოდი იმათ ნუ დავლახავთ, კაი ოჯახის შვილები არიან ითაკილებენ, იმათ თითო თუმანი საბრიყო გადავახდევინოთ ნავიდნენ და მერე ჭკუა ისწავლონ.

მოურავი.

მართლა ითაკილებენ, მაშ ნადი და როგორც იცოდე ისე მოახერხე.

მამასახლისი.

(გავა მარჯვნივ.)

ნინკა.

(შემოვა მარჯვნივ და მოახსენებს) ბატონო! ოთხნი ვილაც ქალნი გახლავან და თქუჰნს ნახვას ნდომულობენ შენი ჭიიმე.

მოურავი.

უთუოთ ის ქალები იქნებიან წელან მამასახლისმა რომ მიანბო, წადი უთხარ შემოვიდნენ. (ნინიკა გავა)

გამოსვლა 9.

იგინივე და ქალები.

ქალები.

(ოთხნი ერთათ შემოვლენ მარჯვნივ, თავს დაუკვრენ მოურავსა და ქეთევანა მიართმევს მოურავს ქალაღსა.)

მოურავი.

ეს რა არის დედანო?

ქეთევანა.

მეფის ოქმი გახლავსთ.

ვარდხათუნ.

ჩუჭნი მეფე ჰოქმი მოგვცა თქუჭნთუნა.³

მელანია.

ეგე ბეტონო ვოქმი ქვე არის მეფის, ვოქმი.

თამარა.

ჴენწიფე ოქმი რატო, ზად.¹ მოურავი მიუტანე ზად.

1 [ოს.] – თქვი.

მოურავი.

(პუბლიკას) ეს რა არეულს ხალხში ჩავარდი თქუწნი ჭირიმე, რომელს ერთს გაუგონო, (ქალებს) დედანო! თქუწნში კარგი ლაპარაკი რომელმა იცის.

ქეთევანა.

მე შენი ჭირიმე.

მოურავი.

მაშ შენ მელაპარაკე (ქალაღდს უშვერს) ეს რა არის?

ქეთევანა.

მეფის ოქმი გახლავსთ და შიგ ჩუწნი საჩივრები აწყვია.

გამოსვლა 10.

იგნივე და მამასახლისი.

მამასახლისი.

(შემოვა მარჯვნივ და მოახსენებს) ბატონო მოურავო ის გლენხნი გაუშვი შენი ჭირიმე.

მოურავი.

როგაუშვი ისიც აასრულე შენ რომ იცი.

მამასახლისი.

მარას ვიქმოდი შენი ჭირიმე გადავახდევინე და აი მოგართვი (მისცემს ფულებსა.)

მოურავი.

(შემდეგ დათვლისა) მამასახლისო! ორი მინალთუნი აკ-
ლია.

მამასახლისი.

რაუყოთ შენი ჭიიმე, თქუჴნი რისხუა არა მაქუს ველარ
იშოვეს, აპატივე თქუჴნს სადღეგძელოთა.

მოურავი.

კარგი რაღაც არის არის, (პუბლიკას) თქუჴნი ცოდო
არა მაქუს თითონ აუკრავს. (ჩაიდებს ჯიბეში ფულებსა და
მერე ქეთევანას ქალაღდს აუშვერს) დედავ! ეს რა არის.

ქეთევანა.

აკი მოგახსენე შენი ჭირიმე მეფის ოქმი გახლავსთ.

მოურავი.

ჰო... ოქმი. შიგ რა სწერია?

ქეთევანა.

ბატონო წაიკითხე და განა ვერ შეიტყობ.

მოურავი.

(გახსნის ქალაღდსა და კითხულობს) ჩუჴნო ერთგულო
ტფილისის მოურავო იოთამ! გურიის მთავარი რომ ესეთს სა-
ჩივარს ინერება აზნაურს სვიმონ გვერდელაძეზედ, ეს როგორი
ქრისტიანობის წესია რაც იმას მოუქმედებია. – გიგზავნით-რა

ამასთანავე გურიელის წიგნსა და იმასთან მიტანილს სვიმონის ცოლების საჩივარსა, გიბრძანებთ: ეხლავ მოაძებნინო ის აზნაური თქუჴნს სამოურაოში და თუ იპოვნოთ დააჭერინო, მოუწოდო მერე ჩუჴნი კარის მსაჯულ მდივანსა და ერთმანეთის თანხმობით იმისი სამართალი განსაჯოთ გინდოდესთ სიკუდილითა, და გინდოდესთ ნასალის დადებითა რომ ჩუჴნ არაფერში მოთავთიშე არ ვიქნებით, და იმისი ცოლებიც ანუგეშეთ რითმე..... (როგაათავებს) აბა ახლა გურიელის წიგნი წავიკითხო რას იწერება.

თქუჴნო უმაღლესობავ.

მეფეთ მეფეო!

წმიდანი მამანი და მოძღუარნი ეკკლესიისანი და ეგრედვე წინა-პარნი ჩუჴნნი მარადის იმ ღუნაში იყუნენ, რათა ქრისტიანებრივი წეს-დებულება გამთავრებულ იყო და განმთავრდესცა უკუნისამდე დაწესებულს ქრისტიანებრივს სჯულზედა, რომლისა დასაცველადაცა არიან დადგენილნი და ვართ: მღუდელთ მთავარნი, მეფენი და მთავარნი. აბა ამისთანას ქრისტიანობაში ერთმა ლაყაფმა აზნაურმა ეს როგორ უნდა მოახდინოს რაც იმისი ცოლების საჩივრებიდგანა სჩანს.

თუმცა მსურდა იმისი ღირსად დასჯა, მაგრამ აქ ჩემს საბძანებელში ვერსად ვაპოვნინე, ახლა ხმა შემომესმა რომ მანდ ქართლში დაიარება სადღაცა. ამისათჴს მოგართმევთრა ამასთანავე მისი ცოლების საჩივარსა, უმორჩილესადა ვსთხოვ თქუჴნს უმაღლესობასა ნეტარ-ჴსენებულის ბედნიერის მეფის მამის თქუჴნის სულის ხათრისათვის, შეიბრალოთ ეს ქალნი აპოვნინოთ ის აზნაური, ღირსად დასაჯოთ და ეს იმისი ცოლებიც ანუგეშოთ რითმე.

თქუჴნის უმაღლესობის

უმდაბლესი

გურიის მთავარი... (შემდეგ ნაკითხვისა მოურავი ქალებს.) დედანო! სანამ თქუჴსნს საჩივრებს ნავიკითხავ შორს მოვა და აბა თქუჴსნ მოკლეთ მითხარით თითო თითოთ თქუჴსნი საჩივრები.

ქალები.

(ერთათ) მოგახსენებთ შენი ჭირიმე².

მოურავი.

(მელანიას) დედაე! აბა მითხარ შენ რასა სჩივი?

მელანია.

ბეტონო მოურავო! ქუჴც ჭირი მოგჭამა პაპუნკა ტყემა-ლაძის ქალმა მელანიამ. ისტე უნელელებლი დაემართოს თქუჴსნს ლალატს რავარიც დაემართა მელანიას, ერთი ვინცლა ლაყაფი აზნოური შემომეტყუა და ცოლათ ქუჴ შემირთო წემიყვანა და გურიას შავი ზღვის პირს დამასახლა, ვორი წელი ქუჴც ჩემთან იყო და ერთი კი ბლარი დოუსვი, მერე დამტოვა ვოხრათ და გედიბნა საცლა უბედურებაში, ნეტა სულ წანყმედილს ვორი ფოხალი ღომი მაინ დეეტოებია რომ ბლარი გამომეზარდა, ისტე შევჭირდი რომე შიმშილით ბლარი გადამინელდა დოუნელდეს მას თავი მისი ცოდვით. ბეტონო! მპირდებოდა რომე სულ თებზით და ხიზალალით ქუჴ შეგინახაო მარა, აგერ რამტელი წელი ქვე იქნება რომე არც თებზის და არც ხიზალალის გემო არ გემიგია, ნეტა მისი მამის სულის შესანდობლად თებზის წვენი მაინ დეეხვრეპიებია ვისმე. მერე ვუბედური საცლა გა-

² თუმცა ქალების ერთათ სათქმელი ქართულის ლექსით არის დაწერილი, მაგრამ წამკითხველმა იგრძნოს, რომელ ყველანი ყოველს ერთათ სათქმელს ბუნებითს ენაზედ ლაპარაკობენ (ავტორის შენიშვნა. ქ. გ.).

დაჰკიდებია (ქალებზედ ჴელს მიიშვერს) ამათა, ცოლათ ქუჴ შოურთავს ესენიცა და ამათაც ქუჴ გაპარვია, ანი შენს მუხ-
ლებს ენაცვლება მელანია აპოვიე ვუბედური გოურისხდი და
ჩემთვინაც ქვე აპატრონებეი.

მოურავი.

(ქეთევანას) დედავ, შენ რალას სჩივი?

ქეთევანა.

მეც იმ ლუთის მტერზედა ვსჩივი რომელზედაც ეს
სჩივის (მელანიაზედ აჩვენებს) თურმე ამაზედ ჯვარდანერი-
ლი ყოფილა გამოჰპარვია გურიიდგან, მოვიდა ქართლში და მე
შემომეტყუა უცოლო ვარო, ჩემზედ ჯვარი დაინერა, ერთი წე-
ლინადი კი ჩემთან იყო და მერე გაიპარა სადღაცა, მას აქეთია
ვზივარ მწარეთ დაღონებული ყოვლით უმონყალო და იმისი
გზის შემაცქერალი, ამისთანა გამრავლებულს ქრისტიანობა-
ში ეს როგორ უნდა მოხდეს შენი ჭირიმე, აგრემც ღმერთი
გამარჯვებას მოგცემს ბატონო მოურაო ის ლუთის უშიშარი
აპოვინეთ სადმე და ერთის გზით ჩემთს აპატრონებინე.

მოურავი.

(ვარდხათუნას) დედავ! შენ რალას სჩივი.

ვარდხათუნ.

როგორთუ რაზ ვჩივი ბატონო მოურაო! ე... ეზ რა ბი-
აბრუობა რომელიც რომა აზნაური სვიმონ ბეგი ჩემთს უქნია,
ერთიც შულავერში მოსულა. თქო თუ: მე თიფლიზეცი ბეზირ-
განი ვარ კოსე,³ ქალი მინდა შევიერთო კარგი ოჯახისა კოსე.

3 [სომხ.] – იტყვის.

ერთი ცხონებული მამაჩემი კარგი ვინმე გვარისა ყოფილა მარტირუზიანც... შულავერის ქევხა ყოფილა! მერე დედაჩემი ჩემთვინა თქოთუ, ერთიც ეზ ბეზირგანი ვინმეა მოდი ჩემო ვარდ-ხათუნ შენ ამისი ცოლი გქნამ! მერე მქნა იმისი ცოლი. ხუთი თვე ჩემთან იყო მეუბნებოდა ტიფლიზ კუტანიმო,⁴ ენკი ჩეუ,⁵ ერთი ღამეს ფახავ ქუ⁶ ბეზირგან, სანყალი დედა ჩემი ენ ქან ლალვეცავ ურ⁷ კინალამ თვალეზმა დავრდა, უი იმ აჩკინ ვარდხათუნ კოსე,⁸ ფესენ გაპარვა არავ კოსე,⁹ შენ ქმარმა აღარ გეყოლება კოსე, ვუი თუ ღამე მარტოკა ლოგინში შეგეშინდეს კოსე. აბა ეს როგორი საქმეა მოურაო-ჯან! ერთიც შენი დიდობის ხათრისათვის მიპოვნინე ჩემი ქმარმა, მეც ხომ უბრალო ვინმე არა ვარ, შულავერის ქევხას ქალმა ვარ.

მოურავი.

(თამარას) დედავ! შენ რაღას სჩივი.

თამარა.

მე სე წირიმე, ერთი ლაპუ¹⁰ მოიდა ნარასი ზალ,¹¹ მე აზნაური ზალ, ხორზუ ქიზგა¹² გინდა ზალ, ცოლი არა გყავს ზალ, მერე ცემი ოძახი ოცი ურატი დაგპირდა და სეგირთო მე ცოლათა. ერთი წელიწადი იყო ცემთანა ქმარი, ბევრი ლუდი დალიებს სე წირიმე; მე დაგპირდა ქრებასი¹³ წაგიყვანდრ ხორ-

4 [სომხ.] – თბილისში წაგიყვანო.

5 [სომხ.] – ეს კი არა და.

6 [სომხ.] – გაიქცა შენი.

7 [სომხ.] – იმდენი იტირა, რომ

8 [სომხ.] – ვაი ჩემს თვალებს, ამბობს ვარდხათუნ.

9 [სომხ.] – სიძის გაპარვა, ამბობს.

10 [ოს.] – ბიჭი

11 [ოს.] – ჩემთან თქვა

12 [ოს.] – კარგი გოგო

13 [ოს.] – ცხინვალში

ზუ ყუმაჩი¹⁴ კაბა გიყიდიდრ, ხორზუ ქალმარზანიდრ¹⁵, წითელი სკალატიდრ, ხადონა¹⁶ პერანგიდრ, სე წირიმე, მერე დასწყევლოს ვას კირკიტ¹⁷ ხუჩაუ¹⁸, ერთი ღამეს ცემთან დაგეძინა კაბიცასი¹⁹ მერე დილაზედ გაგელვიძა ნახე ალა არის ცემთანა ქმარი სე წირიმე, დამართისტა²⁰ ფინთი ლაგუ²¹ ყოფილა. ახლა მე აღარა ქმარი სე წირიმე, გისონე ცემი ქმარი და მოგეცი, ერთი ქარძინა²² არა გაქ რონამო.

მოურავი.

(გაკვირვებით პუბლიკას) ის რა მაცდური კაცი ყოფილა თქუწნი ჭიიმე ასე ყველანი როგორ დაატყუა, აბა ეს რა საქმეა რაც იმას მოუხდენია, მამა ჩემი ნუ წაწყნდება სწორეთ დასარჩობია. ამ იმერელის ქალის ცოდუა უფრო მწვავეს ყველაზედა, საწყალი ისე ქმარს არა სჩივის როგორც თევზის უჭმელობასა, აბა თქუწნი ჭირიმე იმერელს კაცს რომ ბზობასა და ხარებობას თევზი არა ჰქონდეს ვითომც იმისთვის იმ დღის მზე ბნელი ყოფილა (ქეთევანას) დედაე! ხმა ხომ არსაით შემოგსმენიათ თქუწნის ქრმისა თუ ახლა საით მხარეს არისო.

ქეთევანა.

ერთმა გულის სანდო კაცმა მითხრა, ვითომც თუ აქ იყოს და ორთაჭალაში იმალებოდეს.

14 [ოს.] – კარგი ქსოვილის

15 [ოს. ქალმარზანი] – კარგ თავშალს

16 [ოს. ხადონ] – პერანგი

17 [ოს. ვასტრჯ] – გზის ანგელოზმა

18 [ოს. ხოშაე] – ღმერთმა

19 [ოს. ყაბს] – კალთაში

20 [ოს.] – მოსაფერებელი სიტყვა, „მენი ჭირიმე“-ს მსგავსი.

21 [ოს.] – კაცი

22 [ოს. ქარჟინ] – პური

მოურავი.

არიქა მამასახლისო! ეხლავ ორმოცი კაცი აფრინე და ორთაჭალას გარს შემოარტყი და გარეთ არავინ გამოუშვა, შენ წადი შენის მოხელეებითა, ათიოდ მარჯვე კაცი თან წაიყვანე დაიჭირე და ჯელ შეკრული აქ მომგვარე.

მამასახლისი.

ბატონი ბძანდები შენი ჭიიმე. (გავა მარჯვნივ)

მოურავი.

(ქალებს) დედანო! თქუჴნ გარეთ ეზოში მოიცადეთ და თქუჴნი ქმარი რომ მოიყვანონ თქუჴნც თან შემოჴყევით.

ქალები.

(ერთათ) ბატონი ბძანდები შენი ჭირიმე (თავს დაუკვრენ და გავლენ.)

გამოსვლა 11.

მარტო მოურავი

(პუბლიკას) თუ ღმერთმა ინება და ჯელში ჩავიგდე ის აზნაური მე უჩვენებ იმას სეირსა, მამაჩემი ნუ წამინწყნდება სწორეთ ანწუხზედ არის ჩამოსაცმელი. თქუჴნი ჭირიმე ასე ღეთის უშიშრობა როგორ იხმაროს კაცმა რაც იმ ავაზაკს მოუქმედებია აიპე, აიპე, აიპე, სწორეთ ყურებში თითებ დასაცობი საქმე არის.

გამოსვლა 12.

იგივე და გზირი.

გზირი.

(შემოვა მარჯვნივ და მოახსენებს.) ბატონო მოურაო შენი ჭიიმე, როგორც აქედან გავედით ის აზნაური სადა-ლაქოდგან გამოვიდა, ცოლებმა დაგვანახვეს მაშინვე დავი-ჭირეთ ხელები შეუკარით და მე აქ გაახელი თქუჭნთან მოსახ-სენებელათა.

მოურავი.

ბარაქალათ, მერე რაუყავით.

გზირი.

მამასახლისს მოჰყავს შენი ჭიიმე.

მოურავი.

მაშ მე ერთი შიგნით შევალ ცოტა საქმე მაქვს და სანამ შემოვიდოდე აქ მოაცდევინე.

გზირი.

ბატონი ბძანდები შენი ჭიიმე (მაშიებს გაუსწორებს და მოურავი გავა მარცხნივ.)

გამოსვლა 13.

იგივე, მამასახლისი, სვმონ და იმისი ცოლები.

მამასახლისი.

(შემოვა წინ მოჰყავს სვიმონი კლავებ შეკრული და უკან

მოსდევნ იმისი ცოლები.)

ქეთევანა.

არა შე ლუთის მტერო სად იმალებოდი და ჩემს ცოდუ-
აში რათა სდგებოდი, აბა ვის ამარა გამიშვი.

ვარდხათუნ.

ურ ფახავ ურის ფახჩერ,²³ უშენოთ ლოგინში რამტელი
შიში და სიცივე გამამივლია, ახლა ვნახოთ შენი პატასხანი²⁴ რა
იქნება.

მელანია.

აბა ჰო ვეჟო სადანა იმალებოდი შოუბედურო, სადანა
წოუხვიდოდი შენი ბედის ამნერს, ანი ქუჭ კი გაეზი მახეშიდ.
აბა თუ გუარიანი კაცი ხარ თავი გეიტანე.

თამარა.

აიდა საძარ ქებალა²⁵ კაი ლაგუ²⁶ სენა ყოფილხარ, სად
იყავ სე ოძახქორო, ბაჩისტა²⁷ ახლა ვნახოთ რაუზმენ სენა,
დამართისტა დაარცონ კარგი იქნება.

სკმონ.

(გადახედამს ცოლებსა და თვალეზ გადატრიალებით)
განყდეს თქუწნი ქოქი, განყდეს.

23 [სომხ.] – სად გაიქცი? სად წახვედი?

24 [სომხ.] – პასუხი

25 [ოს. დახაჟარ ქებალათ] – ოჯახი დაგენგრეს.

26 [ოს.] – კაცი

27 [ოს.] – აქ: გადაგეხდება.

გამოსვლა 14.

იგინივე და მოურავი.

მოურავი.

(შემოვა მარცხნივ შეხედავს სკმონს გაჯავრებით)

სკმონ.

ბატონი მოურავი ადლეგძელა ღმერთმა.

მოურავი.

შენც შეგარცხვინა ღმერთმა და შენი გამარჯვებაცა!

სკმონ.

რათა შენი ჭიიმე, რა დამიშავებია.

მოურავი.

(შეტევით) ხმა ჩაინყვიტე შეურცხო (გზირს) გზირო!
ნადი მდივანსა და მსაჯულსა სთხოვე აქ მობძანდნენ რომ ამი-
სი სამართალი გავაბჭობინო.

გზირი.

ბატონი ბძანდები შენი ჭიიმე (გავა მარჯვნივ.)

მამასახლისი.

ბატონო მოურავო შენი ჭიიმე, ასე გამიჭირვეულდა
თქუჭნი რისხუა არა მაქუს რომ კინალამ ზედ შევაკვდი, ძლივს
წამოვიყვანე. ვითომ ამაში ქრისტიანობის ნიშან წყალი კიდევ

იპოებოდეს თუ.

სკმონ.

(იქით) აი გაგიწყრეს ღმერთი, ეს უფრო გადამირევს ამ მოურავსა.

მოურავი.

არა შე ურცხო რატომ არ მოდიოდი.

სკმონ.

ბატონო ტყუილათ მოგახსენებს ამას კი ნურას დაუჯერებთ, მოხუცებულია თავში ნახევარ ტვინი აღარ ექნება, კარგათ მოგეხსენებათ კაცი რაკი მოხუცდება სისხლი გაუშრება, აბა სისხლ გამშრალს კაცს რალა ჭკუა ექნება შენი ჭიიმე.

მამასახლისი.

(შეტევით) რაო რაო!

მოურავი.

(სკმონს) შეხე შეხე ამ ურცხვსა რაებსა ლაპარაკობს ჩემს წინა.

გამოსვლა 15.

იგინივე მსაჯულ მდივანი და გზირი.

გზირი.

(შემოვა მარჯვნივ მოახსენებს.) ბატონო გიახლებიან ვისთანაც გამგზავნე შენი ჭიიმე. (თითონ ისევ გავა მარჯვნივ)

მოურავი.

გადმოვა ტახტიდან და მიეგებება კარებში.

მდივან მსაჯული.

(შემოვლენ მარჯვნივ და თავს დაუკვრენ.) მოურავს ვახლავართ.

მოურავი.

ბატონებს ვახლავარ მობრძანდით თქუჴნი ჭიიმე ტახტზედ დაბძანდით (სამნივე დასხდებიან ტახტზედ.)

დავით.

ეს ის აზნაური გახლავსთ ოთხის ცოლის ქმარი.

მოურავი.

ის გახლავს შენი ჭიიმე.

გრიგოლ.

(სკმონს) უნდა გრცხვენოდეს შე ლუთის უშიშარო.

მამასახლისი.

ბატონებო! ერთს სიტყუას მოგახსენებთ თქუჴნი ჭიიმე და ნუ განმირისხდებით, ერთი ცოლი მყუანდა, თქუჴნი რისხუა არა მაქუს ასე შემაჭირვა, რომ თუ მალე არ მამკდომოდა თავს დამარჩობინებდა და ეს ოჯადაცეული (სკმონზედ ჴელს მიიშვერს) როგორ უძლებს ოთხოთხს ცოლსა. (სიცლით) აიპე, აიპე, სად შეუყრია ამ ოჯახქორსა ერთი ნახირი ცოლი

ე... დასწყევლოს ჩემა იესო ქრიტემა (მსაჯული მდივანი და მოურავი იცინიან ამ თქმაზედ.)

მოურავი.

(სემონს დაანახებებს თავის ცოლებზედ) ესენი ვინ არიან?

სემონ.

ჩემი ცოლები გახლავან შენი ჭიიმე.

მოურავი.

მერე ოთხოთხი რა ანბავიაო.

სემონ.

სახელი ოთხი ჰქვიანთ შენი ჭიიმე მაგრამ ერთათ კი არა ღირან (პუბლიკას) მე მესხუთესაც ვეპირებოდი და ეს ოთხსაც მიშლის.

მოურავი.

რას მიჰქარავ, როგორ თუ არა ღირან.

სემონ.

აი ესე შენი ჭიიმე, კი ნუ გამირისხდები, ერთი ლამაზი ქალი მიბოძე ცოლათა და ამ ოთხივეს შენ მოგართმევ.

მელანია.

ვუბედურო, მაშინ კაი ვიყავ რომ მეუმბებოდი ალვის შტო ხარო, ალვის.

ქეთევანა.

მაშინ ხომ კარგი ვიყავ რომ მეუბნებოდი ნეტავი შენთან მამკლაო.

ვარდხათუნ.

(ორის ჴელით ქოქოლას მიაყრის) ვუი ქუ აჩკინ, არაჯ სირუნერ, ჴიმა ფისიმ.²⁸

თამარა.

აიდა ქუჯი ჴირტ,²⁹ სენ არ უთხარი სენ ლამაზიო.

სუმონ.

(ცოლებს გადახედავს). განყდეს თქუჴნი ქოქი.

დავით.

(სუმონს) მამაჩემი ნუ ნამიწყდება დასარჩობი ხარ შენა.

სუმონ.

რათა შენი ჴიიმე რა დამიშავებია.

გრიგოლ.

(შეტევით) სუ შე არამზადავ, შე შე ქრისტიანობის წესის დამარღვეველო, არა გრცხუჴნიან რომ კიდევ ლაპარაკობ.

სუმონ.

28 [სომხ.] – ვაი შენს თვალებს, ადრე გიყვარდი, ახლა ცუდი ვარ.

29 [ოს.] – ძაღლიშვილო.

რათა შენი ჭიიმე, რისა უნდა მრცხუწნოდეს, რატომ არ მიბრძანებთ ჩემს დანაშაულსა თუ რა არის.

მოურავი.

ერთი შეხედეთ ამ ურცხვსა თუ ხმა ჩაიწყვიტოს, დაშავება მეტი რაღა იქნება ოთხი ცოლი ერთათ შეგირთავს.

სკმონ.

ეგრა დანაშაულია შენი ჭიიმე, ქრისტიანს კაცს სამი ცოლის შერთვის ნება ხომ აქვს.

მოურავი.

ეგ როცა ერთი მოუკვდება მეორეს შეირთავს, მეორე მოუკვდება მესამეს, და შენ სულ ერთათ შეგირთავს.

სკმონ.

ბატონო ვის რა ენაღვლება რომ ჩემი ნება მოცემული ცოლები ერთათ შევიერთო, ვითომ დამხოცია და თითო თითოთ შემირთავს. (პუბლიკას) ამისთანა იქნება რამე რომ ასე უსამართლოთა მტანჯვენ.

მოურავი.

ეგ ვსთქუათ ეგრე იყოს, მეოთხე ცოლი რაღაა.

სკმონ.

(აჩვენებს თამარაზედ) ესა.

მოურავი.

ჰო სწორეთ ეგა.

სუმონ.

ამის ცოლობას ძალა როდი აქუს, ოსურათა მყავს ურატით შერთული.

მოურავი.

(მსაჯულ მდივანს გაკვირვებით) ბატონებო! ერთი გაუგონეთ რაებსა ლაპარაკობს.

სუმონ.

რაებსა ვლაპარაკობ შენი ჭიიმე თუ სწორეთ გაასამართლებთ მე დანაშაული არა მაქუსრა.

მოურავი.

(შეტევით) ხმა ჩაინყვიტე შეურცხო (მამასახლისს) მამასახლისო! პირში ალიკაპი ამოზდე რომ აღარ ილაპარაკოს, გაიყვანე დაამწყვდიე სანამ გავასამართლებდეთ და შენ ისევ აქ შემოდი.

მამასახლისი.

(ამოსდებს ალიკაპსა და რომ გაიყვანს მარჯვნივ თითონ ისევ შემოვა.)

ცოლები.

(სუმონს მიმავალს) ჰე, ჰე, ჰე, ეგრე გირჩევენინან.

მოურავი.

(ქალებს) დედანო! თქუჲნ გარეთ მოგვიცადეთ სანამ ჩუჲნ განვჰსჯიდეთ, და თქუჲნი ქმარი რომ შემოვიყვანოთ თქუჲნც თან შემოჰყევით.

ქალები.

ბატონი ბრძანდებით თქუჲნი ჭირიმე (გავლენ მარჯვნივ.)

მოურავი.

(მსაჯულ მდივანს) აბა რას ინებებთ ბატონებო იმისი დასჯისას?

დავით.

ჩემი ჰაზრი ეს არის, იმ აზნაურს ქუდი გადმოუბრუნოთ და თავზედ ისე დავხუროთ, მერე პირუკულმა შევსვათ ვირზედა და კუდი ჳელში მივცეთ, ჯერ ქალაქი შემოვატაროთ რომ ყველამ გაიგოს იმისი დანაშაული, მერე გავიყვანოთ ქალაქს გარეთა და ჩავაქვაოთ.

გრიგოლ.

ვგონებ ესე სჯობდეს, შაყა ვაქნევინოთ ოთხათა და ოთხივ კუთხივ სამ დღემდისინ ქალაქში დავაკიდებინოთ, მერე ჩამოვადებინოთ და ლეში მძოვრისათჳს მივაცემინოთ.

მოურავი.

ბატონებო! თუ თქუჲნც თანახმანი გამიხდებით მგონია ესა სჯობდეს: ქრისტიანი კაცი არის სულს ნუ წაუნყმედთ,

ორივ თვალეზი დავსთხაროთ და სიკუდილამდინ ცოდვის მო-
სანანიებელად მონასტერში გავგზანოთ, და თუ იმისი ქონება
ამოჩნდეს რაჲმე, ცოლებს გაუნანილოთ საზრდოთა.

მსაჯული და მდივანი.

ეგ ძალიან კარგი სჯა გახლავსთ, ეგრე ავასრულოთ.

მოურავი.

მამასახლისო! გადი ის აზნაური შემოიყვანე, იმისი
ცოლებიც თან შემოასხი და ტარულასაც უთხარი რომ ქუჩაში
დაიყვიროს ხალხი სალაყბოზედ მოგროვდეს და იმის დასჯას
უცქირონ.

მამასახლისი.

ბატონი ბძანდები შენი ჭიიმე (გავა მარჯვნივ.)

მოურავი.

ბატონებო! თქუჴნმა მზემა მე კიდევ ის მიკვირს თუ
როგორ მოახერხა ერთათ ოთხის ცოლის შერთვა.

დავით.

გასაშტერებელია მამაჩემი ნუ ნამინყდება.

გამოსვლა 16.

იგინივე, მამასახლისი, სკმონ, და სკმონის ცოლები.

მამასახლისი.

(შემოიყვანს სკმონს, ცოლები თან მოსდევენ და

მოურავს.) აი მოგართვი დამნაშავე შენი ჭიიმე.

მოურავი.

(ქალებს) დედანო! ჩუჴნი სამართალი ეს არის: თქუჴნს ქმარსა თავის შეცოდების სანაცლოდ თვალები უნდა დაეთხაროს და მოსანანიებლად სიკუდილამდისინ მონასტერში გაიგზავნოს, და თუ ქონება ამოუჩნდეს სადმე რამე თქუჴნ უნდა საზრდოთ გაგეწილოსთ.

ქალები.

(ერთათ) გმადლობთ შენი ჭირიმე, ძალიან კარგი სამართალი გახლავსთ.

სუმონ.

(ცოლებს) კარგი ღმერთმა მოგცეთ კარგი სამართალი ეგ იყოს. (მოურავს) ბატონო მოურაო შენი ჭიიმე, მე მაგ სამართლისა ყაბული არა მაქუს.

მოურავი.

ხმა ჩაიწყვიტე, შენ ყაბულობას არავინა გკითხავს.

ტარულა.

(კულისას გარეთ ყვირის) ხალხნო! ყველანი სალაყბოზედ მოგროვდით და უცქირეთ აზნაურის სუმონ გვერდელაძის თვალების დათხრასა, ოთხის ცოლის შერთვისათუს. (სამჯერ დაიყვირებს.)

მოურავი.

ბატონებო! წავიდეთ ჩუჭნი განჩინება ავასრულოთ, მამასახლისო! წამოიყვანე ეგ აზნაური თანა. (გადმოვლენ ყველანი ტახტიდგან გადიან, თან მისდევენ სუმონის ცოლები და მამასახლისს მიჰყავს სუმონი, მარჯვნივ კარებთან რომ მივლენ შემოდის ნათესავი გვერდელაძისა.)

გამოსვლა 17.

იგინივე და ესტატე.

ესტატე.

(შემოვა მარჯვნივ კარით ქალაღდს მოსცემს მოურავსა და თავს დაუკრავს) ბატონი მოურავი ადექელა ღმერთმა.

მოურავი.

ეს რა ქალაღდია?

ესტატე.

მეფის ოქმი გახლავსთ შენი ჭიიმე.

მოურავი.

(მოვა წინ სცენაზედა თან მოჰყვებიან ყველანი და ქალაღდს მღივანს მისცემს) ბატონო მღივანო! თქუწნ წაიკითხეთ მამა თქუწნი ნუ წაგინწყდებათ, მე ცოტა თვალთ კარგათ არ მიჭრის.

მღივანი.

(კითხულობს) ჩუჭნო ტფილისის მოურაო იოთამ! თუმცა ჩუჭნის ოქმით გიბრძანეთ რომ აზნაური სუმონ გვერდელაძე

დაგეჭირა და ოთხის ცოლის შერთვისათვის დაგესაჯა, მაგრამ იმისი ნათესავი ესტატე ბურტყლაძე დაგვეაჯა იმისი დასჯის პატივებასა და ჩუწნც იმისი ერთგულის ნამსახურობის გამო აჯა მისი შევისმინეთ და სუმონს დასჯა ვაპატივეთ უკეთუ ამ ოქმის მიღებამდის არ დაგისჯია, ხოლოდ გარდაასახლე ისა გურიაში თავისი ცოლებიც თან გაატანე და იცხოვროს იმათ-თანა. იმის ცოლებთაგანი მელანია ირაცხებოდეს კანონიერს ცოლადა რადგანაც პირველათ იმასთან არის ჯუარ-დანერი-ლი, მაგრამ სხუა ცოლებსაც ისეთს პატივს აძლევდეს როგორც პირველსა, ხოლოდ თავისის ცოდვის მოსანანიებლად, ყოველს კვირიაკესა ეკკლესიაში ორმოცს მუხლს მოიყრიდეს კირიე-ლეისონის თქმითა და ყოველს საუფლოს დღესა შესწირვიდეს ეკკლესიასა: ერთს შულოს ბანბის ნართსა, ერთს კვერცხს საკმელსა, ერთს სტილს წმიდა სანთელსა, ნახევარ ჩარექს ზეთსა, და ხუთს ფარასა. – აწე გიბრძანებთ ბრძანება ჩუწნი ესრედ გაასრულე...

სუმონ.

ღმერთო შენ განაძლიერე ბატონი მეფე!

მოურავი.

რადგანაც მეფეს უბძანებია შენის დანაშაულის პატივე-ბა ჩუწნ რალა შეგვიძლიან, მამასახლისო! გაუხსენი ჴელები.

მამასახლისი.

(გაუხსნის ჴელებსა.) მორჩი შვილო რალა, შენმა ბედმა იმუშავა. (ჩუმათ) აბა ჴელების გასახსნელი მამეცი რამე.

სუმონ.

(ჩუმათ) ხმა ჩაინწყვიტე თორემ ასეთს ნიხლს მოგცემ რომ მაღაყი გადაიარო, სულ შენგან ჩავარდი ამ ქირში.

მოურავი.

(ქალებს) დედანო! აი ჩამიბარებია თქუწნთვს თქუწნი ქმარი, და როგორც მეფეს უნებნია წადით და ერთად იცხოვრეთ.

ქალები.

(წაავლებენ სუმონს ჯელსა და მიათრევენ) აქ წამოდი და მაგ სიცოცხლეს დაგამწარებთ.

სუმონ.

(ყვირის) განყდეს თქუწნი ქოქი, ეს შეჩვენებულები მამკვლენ. (დაეშვება ფარდა.)

მოქმედება მეორე.

(სცენა წარმოადგენს შავს ზღუასა, ზღვის პირზედ ჭალასა და მარჯვნივ სუმონის სახლსა, შუა სცენაზედ ზღვის პირსა ზდგას ერთი გძელი ხის სკამი, ფარდა აიხდება და სუმონი გამოვა.)

გამოსვლა 1.

სუმონ.

თუმცა ჩემს მსაჯულებს თვალების დათხრას მოურჩი მაგრამ რა გამოვიდა, ოთხი ბაიყუში ერთათ ამკიდეს ცოლებათა და სიცოცხლეს მამწარებენ, ნეტავი ორი დღე კიდევ შეეგვიანებინათ ჩემს ცოლებს ჩივილი მაშინ ყველას მოვრჩე-

ბოდი, დუშეთში ერთი ქალი მყვანდა შეპირებული, ვენაცვალე იმას სულში ასეთი ლამაზი არის რომ კაცი იმისის ცქერით ვერ გაძლება, ის უნდა შემერთო ცოლათა და გავპარულვიყავით, მაგრამ ამ შეჩვენებულებმა ჩემმა ცოლებმა მომასწრეს და აქ წამომიყვანეს. ახ! თუ ერთი კიდევ ჩავიგდე საითმე ის ქალი მაშინვე კი ჯვარს დავინერ და გავიპარები, წიგნი კი მივწერე და აქ დავიბარე არ ვიცი მოვა თუ არა, მაგრამ მე იმას ისეთრიგათ უყვარვარ რომ ის უჩემოთ ვერ გასძლებს და უეჭველად აქ მოვა, ოჰ! თუ რა ბედნიერი ვიქნები რომ ისიც შევიერთო (ამდროს ისმის კარებიდგან ყვირილი სკმონის ცოლებისა.)

მელანია.

სკმონიკო! სკმონიკო! სკმონიკო ჰუ...

სკმონ.

(იქით) ხმის წყვეტა, (ცოლს) რეიო რეიო.

ქეთევანა.

სკმონ! სკმონ! სკმონ!

სკმონ.

(იქით) ლუთის რისხუა ლუთის რისხუა (ცოლს) რაგინდა.

ვარდხათუნ.

სიმონ-ბეგ! სიმონ-ბეგ! სიმონ-ბეგ!

სკმონ.

(იქით) ასტუნ კრაკ. ახტუნ კრაკ.³⁰ (ცოლს) ინჩგუზის.

თამარა.

ვოსიმონა! ვოსიმონა! ვოსიმონა!

სუმონ.

(იქით) აიდახაძარ, აიდახაძარ, აიდახაძარ, (ცოლს)
ჩიქანუს?

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) აქ შემოდი! აქ შემოდი! აქ
შემოდი! აქ შემოდი. აქა, აქა, აქა.

სუმონ.

(პუბლიკას) აი ჩემი ოჯახის ბედნიერება, რომელს
ერთს გაუგონო ამ გასაწყვეტებს (ცოლებს) მოვდივარ.

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) ჩქარა შემოდი... ჩემთან...
ჩემთან... ჩემთან...

სუმონ.

(იქით) შენც მამიკუდი, შენცა, შენცა, შენცა. (ცოლებს)
მოვდივარ ჩემის ოჯახის დამადგენლებო (იქით) მგონია უფრო
დამაქცევებო.

ცოლები.

³⁰ [სომხ.] – ღვთის ცეცხლი, ღვთის რისხვა.

(თითო თითოთ და ზედიზედ) რას იგვიანებ აქ შემოდი მეტეი... ჩემთან... ჩემთან... ჩემთან...

სკმონ.

(ყურებში თითს დაიცობს და იქით) უჰ... უჰ... უჰ უ... განწყდეს თქუწნი ქოქი. შევიდე თორე გამფათვრენ.

ქეთევანა.

(გამოვარდება) რო გეძახი არ გესმის, აქ შემოდი თორემ არ ვიცი თუ რას გიზამ.

სკმონ.

მოვდივარ ჩემო სულის მტრედო! (იქით) უფრო ყვავო! (გაჰყვება.)

გამოსვლა 2.

სოფიო.

(შემოვა მარცხნივ მხარიდგან და პუბლიკას) საიდგან სად გადმოვარდი თქუწნი ჭირიმე, სად დუშეთი სად შავი ზღვის პირი, ამაზედ იტყვიან აი საიდგან სადაო, წმიდაო საბაო. (ამოოხვრით) მაგრამ ეჰ! სიყვარულს რა არ შეუძლიან სკმონს ასეთი წიგნი მოენერა ჩემთვისა რომ როგორც წავიკითხე უეცრათ გულში სიყვარული ისე აღმეგზნო როგორც ცეცხლის ალი, და უეცრათ აქეთკენ ისე გადმოვფრინდი როგორც ფრინველი. მე კი ავასრულე იმისი თხოვნა და აქ მოვედი მაგრამ არ ვიცი თუ ის როგორ აასრულებს თავის აღთქმასა და ან ოთხს ცოლს როგორ გარდურჩება. ეჰ! ჯანი გავარდეს თუ ვერაასრულებს ერთი მაინცა ვნახავ და სიყვარულის სურვილს

მოვიკლავ.

გამოსვლა 3.

იგივე და სუმონ.

სუმონ.

(შემოვა მარჯვნივ კარით დაინახავს სოფიოს და შეკრთება) ოჰ! ჩემო გონებიდგან განუშორებელი სოფიო მოსულხარ გენაცვალე, ეხლა მითხრეს შენი მოსვლა მაგრამ როდი მჯეროდა, ამას რა მამაგონებდა ჩემო სააქაოს ცხოვრებავ თუ შენ კიდევ ჩემთანა გნახავდი.

სოფიო.

ვითომ რატომა, აი კაცები როგორ ურწმუნონი ხართ. მე კი ავასრულე შენი თხოვნა, მაგრამ აბა შენ როგორ აასრულებ ჩუწნს პირობასა?

სუმონ.

შენ დარდი ნუ გაქუს, სოფიო არ მამიკვდება მალე ავასრულებ.

სოფიო.

აბა როგორ აასრულებ, რას უზამ მერე ოთხს ცოლსა.

სუმონ.

ოთხივ შენ გენაცვალოს ჩემო სიცოცხლე!

სოფიო.

შენც გენაცვალონ მაგრამ, ჩუჭნი პირობის ასრულება კი ძალიან ძნელია.

სუმონ.

შენ რაც დაგარიგო ისე მოიქეც და ასრულება ადვილია.

სოფიო.

აი როგორც მეტყუვი ისე მოვიქცევი მაგრამ მე კი მეძნელება.

სუმონ.

(ყურში ჩუმათ და მერე მალლა) ეს წიგნი იმას მიუტანე ვინც გითხარ და ყველას ის მოახერხებს, მაგრამ თუ გიყვარდე მოახლური ტანისამოსი ჩაიცვი რომ ან ჩემმა ცოლებმა, და ან სხვებმა ეჭვი არაიღონ ჩუჭნზედა.

სოფიო.

ბატონი ბძანდები (გამოართმევს წიგნს და გადის.) მშვიდობით ნახვამდინ! (გავა მარცხნივ.)

სუმონ.

(მისძახის) მშვიდობით ჩემო სულის მტრედო! მშვიდობით! (პუბლიკას) მართალს არ ვამბობდი, როგორი ლამაზი ქალია და კარგი გულისა, აი ჩემის გულისათვის საიდგან სად მოვიდა, ეგ როგორ არ შევიყვარო, აი მტლეთ დაედვენ მაგას ჩემი ოთხივე ცოლები (ამდროს ისმის სუმონის ცოლების კივილი.)

გამოსვლა 4.

(შემოცვივიან სკმონის ცოლები სცენაზედა და ზედიზედ უყვირიან.)

მელანია.

სკმონიკო! სკმონიკო! სკმონიკო ჰუ...

ქეთევან.

სკმონ! სკმონ! სკმონ!

ვარდხათუნ.

სიმონ-ბეგ! სიმონ-ბეგ! სიმონ-ბეგ!

თამარა.

ვოი სიმონა! ვოი სიმონა! ვოი სიმონა!

სკმონ.

(იქით) ღუთისა და ბატონის ქარ ცეცხლი თქუჴნა, ხმის ნყვეტა. (პუბლიკას) ჩავარდი ცეცხლში (ცოლებს) ჩემო სულის კრავებო (იქით) მგონია უფრო ყვავებო (ცოლებს) აბა რომელს გაგიგონოთ.

ცოლები.

(ერთი ერთმანერთზედ და ზედიზედ) ბრძანება ისე გაქვს მოცემული მე უნდა გამიგონო, მე უნდა გიყვარდე, მე უნდა პატივი მცე მე, მე, მე.

სკმონ.

(იქით) შავი ჭირი შავი ჭირი, შავი ჭირი, (ცოლებს) რა-გენაღვლებათ ვისაც რა გქონდესთ სათქმელი ჯერ ერთმა სთქუათ, მერე მეორემ, მერე მესამემ, და მერე მეოთხემ.

მელანია.

ეგე რამ გათქმევია შოუბედურო, ანი სხუას რას დავეძებ, უნინ მე შეგირთავარ, მე უნდა მელაპარაკო და პატივი მიქნა.

სკმონ.

მე მაგაზედ თანახმა ვარ, რომ სხვებზედ პირველი პატივი შენ გეკუთვნის.

ვარდხათუნ.

(იქით) ინჩე ასუმ ტუტუც ხოჩე.³¹ (ქმარს) რაო რაო? პირველი რას ჰქვიან, ეგ რომ უნინ შეირთო ჩუჭნი რა ბრალია, საქმე ჩამამავლობაზედ არის, მე ქემხას ქალმა ვარ!

სკმონ.

(იქით) არიქა შემოუტია სომხის ქალმა და ვილა დააჩუმებს.

ქეთევანა.

ჩამამავლობა რასა ჰქვიან საქმე სიყუარულია, მე ჩემი ქმარი ძრიელ მიყუარს.

31 [სომხ.] – რას ამბობ, ტუტუცი ხომ არა ხარ.

თამარა.

ვო ქეთევანა! მეც განა არ გიყვარს.

მელანია.

მე უმფრო ძრიელ მიყვარს.

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) მე უფრო მიყვარს, მე, მე, მე.

სუმონ.

(იქით) გრ... რ... რ... რ... რ... არიქა აირია მონასტერი...
მოდის და ახლა თქუჴნლა დააჩუმეთ ესენი.

მელანია.

ისტე მიყვარს რავარც თეთრი გომიჯი.

ქეთევანა.

მე სიყუარულით გულში ცეცხლი მეგზნება.

ვარდხათუნ.

ის ესტი სირიმ³² როგორც ბულბული ვარდი.

თამარა.

ისე გიყუარს სიმონა როგორც თბილი ხაბიზგინა.

32 [სომხ.] – ისე მიყვარხარ.

სკმონ.

მე დიდათ მოხარული ვარ რომ თქუწნში ეგრეთი ჩემი სიყუარული იპოება (იქით) რომელი დაუჯერო ამ გასანყვეტებსა, როცა თვალებსა მთხრიდენ მაშინ ყველას უხაროდათ, და ახლა კი ყველას ჩემთვის სიყუარული უმჟავდებათ. (ცოლებს) გამიგონეთ საყვარლებო! მე ჰაზრიდგან მიმეფარა თუ თქუწნ ოთხნი მყუნდით, ან თუ ჩემი სიყუარული თქუწნში ეგრე განწილული იყო. უძვირფასესნო ჩემნო! მართლ-მსაჯულეზამ ინება ჩემი დაჯილდოება თქუწნთან შეკავშირებითა ჩემის ოჯახის გასაბედნიერებლად (იქით) მგონია უფრო დასაქცევლად (ცოლებს) ამისათვის მე მსურს თქუწნში იპოებოდეს თანახმაობა, დაბძანდით რამოგახსენოთ: (სკამს მოიტანს წინა) დაბძანდი ჩემო მელანია! დაჯექ ჩემო ქეთევან! ჰამეცექ ნსტირ³³ ვარდხათუნ! სპათ ვოი თამარა! (დასხდებიან) თუ ჩუწნ სწორეთ განვსჯით თქუწნ ყველანი სტყუით ჩემთანა რომ გურიელთან მიჩივლეთ და აღარ დამაცალეთ თითოთითოთ მენახეთ, მაგრამ აღარ მოვიგონებ წარსულს საქმესა, ვისიამოვნებ თქუწნით რომელიც მებოძეთ მე წყალობად, (იქით) მგონია უფრო რისხუად. (ცოლებს) უკეთესი სიამოვნება რა იქნება ჩემთვის რომ ყოველთვის ისე ვხარობდე თქუწნზედ, როგორც დღესა.

ცოლები.

(ფეხზედ ადგებიან და თითო თითოთ.)

მელანია.

აჰა ახლა ქვეც კი მეიგონე ჩემი სიყვარული, შენამც გენაცვლება-მთქუა შენი მელანია.

³³ [სომხ.] – მობრძანდი, დაბრძანდი.

ქეთევანა.

ეგრე თქვი ჩემო გაბადრულო მთვარევ.

ვარდხათუნ.

აი ქუ მატალ³⁴ სიმონჯან! ენპეს ასა³⁵ გენაცვალე.

თამარა.

ცემი ქმარი ხორზე ლაგუ,³⁶ მოიტა ყელზედ მოგეხვიო
(ეხვევა.)

ცოლები.

(ერთი ერთმანეთზედ და ზედიზედ) მოდი მეც მოგეხვიო
(ეხვევიან.)

სუმონ.

ოჰ, ოჰ, ოჰ, კარგი მოიცადეთ გეთაყვანეთ ვიცი რომ
ყველას გიყვარვართ.

ცოლები.

(ჩამოეხსნებიან.)

სუმონ.

დაბძანდით რა მოგახსენოთ.

ცოლები.

34 [სომხ.] – შენ გენაცვალე.

35 [სომხ.] – ასე თქვი.

36 [ოს.] – კარგი კაცია.

(დასხდებიან.)

სკმონ.

აბა ახლა საზღოობისათუს ვიზრუნოთ.

ცოლები.

აბა გვიტხარი.

სკმონ.

ყოველს სახლის ხარჯს რაც კი მოგვინდება სულ მე ვტვირთულობ (დაანახვებს დეკორაციას⁴) აი ამ საწლებსაც თქუწნის თვალით ხედავთ შეძლებაც სამყოფი მაქუს. ერთის სიტყვით თქუწნ არაფრის ნატრულს არ გაგხდით, აბა მითხ-
ართ თქუწნში რომელს უფრო გიხდებათ კაბა რომ ყველას იმისთანა გიყიდოთ.

ცოლები.

(ფეხზედ ასდგებიან და ერთი ერთმანერთზედ) მე უფრო მიხდება, მე, მე, მე.

ვარდხათუნ.

ჩემმა უფრო ყველაზედ მოსახდენია.

სამი ცოლი.

(ერთი ერთმანერთზედ) ჩემი უფრო ყველაზედ მოსახდენია,
ჩემი, ჩემი, ჩემი.

სუმონ.

კიდევ შეჰქენით ყვირილი (შეუტევეს) ჩუმათ.

მელანია.

ანი ეგე ვის უთხარ. რავა დამაჩუმებ შო უბედურო, უმფრო ქვეც ვილაპარაკებ.

ცოლები.

(სამნი ერთათ და ზედიზედ) უფრო ვილაპარაკებთ, ვილაპარაკებთ, ვილაპარაკებთ.

სუმონ.

(დაყვირებით) დაჩუმიდით თქუც ჩემო სახლის ბაიყუშებო.

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) გაიგონეთ რა გვითხრა, ბაიყუშებო, ბაიყუშებო, ბაიყუშებო.

სუმონ.

(ხვეწნით) ჩემო ანგელოზო მელანია! ჩემო თაიგულო ქეთევან! ჩემო მთვარევე ვარდხათუნ! ჩემო ვაჩილავ თამარა! დაჩუმიდით გეთაყვანეთ (იქით) მეთაყვანეთ და მენაცვალეთ (ცოლებს) აი რაგითხრათ.

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) გვითხარ.

სკმონ.

დაბძანდით მოგახსენებთ.

ცოლები.

(დასხდებიან.)

სკმონ.

(იქით) ძლივს არ დავაჩუმე ეს გასაწყვეტები, რა კარგი სასიამოვნონი არიან როცა კი ჩუმად არიან (ცოლებს) ახლა ჩუქნ ხომ საზღოობა გვინდა, აბა თქუწნში საჭმელის მოხარშვას ვინა ტვირთულობს.

მელანია.

მე მეხარშე არვარ ვინც ქვე უნდა მოხარშოს არ დავეძებ, მარა სუფრაზედ კი მზა მომერთვას ღომი და მწვრები.

ქეთევანა.

არც მე ვარ.

ვარდხათუნ.

ჩემი გუარში ხაშაპანი³⁷ არვინ ყოფილა და არც მე გავხდები.

თამარა.

(წელებს იქნევს) ნაი, ნაი, ნაი, ნაი, ნაი.³⁸ მე არ მოხარსე აზნაურის ცოლია.

37 [სომხ.] – მზარეული

38 [ოს.] – არა

სუმონ.

მაშ ცარიელი სიყუარულით ხომ ვერ დავძლებით, ქამა არ გვინდა.

მელანია.

ვერ გეიგე შო უბედურო მე მხარშაობას ვერ ვიქ ვერ.

ცოლები.

(სამნი თითო თითოთ და ზედიზედ) არც მე ვიქ, არც მე, არც მე, არც მე.

სუმონ.

(ხვეწნით) მელანია შენ აკი კარგი იმერული მწვრები იცი აბა ერთი ქათამი შეგვინვი ბრონეულით.

მელანია.

იქანა იმერეთი იყო და აქანა გურიიაა, არ ვიზამ არ და არ!

სუმონ.

ვარდხათუნ! შენ ხომ კარგი ფლავის მოხარშვა იცი, აბა ერთი შულავრულათ მოხარშე.

ვარდხათუნ.

მაშინ ვიცოდი როცა ჩემთან ქმარმა არ იყო, ეხლა რათ გავხდები ხაშაპანი ქმარი უნიმ.³⁹

39 [სომხ.] – მზარეული ქმარი მყავს.

სუმონ.

ვოთამარა! შენ რაღას იტყვი.

თამარა.

მე არც ხანაპური გააკეთე და არც საბიზგინა გამოაცხე, ჴელები დაგენვის.

სუმონ.

ქეთევან! შენ ხომ კარგი გულისა ხარ შენ მაინც მოხარშე ხომე გეთაყვანე.

ქეთევანა.

მე არავისი მზარეული არ გახლავარ.

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) არც მე ვარ, არც მე, არც მე.

სუმონ.

მაშ ჩუზნ ჭამა არ გვინდა.

ქეთევანა.

შეძლება გაქუს მზარეული დაიჭირე და იმას ახარშვინე.

სუმონ.

(ამოოხვრით) კარგი ვიშოვნი მეტი რაღონეა, აბა საჭმელის საქმეს მოვრჩით ჩემს ტანისამოსს ვილა შეჰკერავს.

ქეთევანა.

მე თითი დუტკომ წამიხდინა ნემსს ვერ ვიხმარებ.

მელანია.

ანი მე ხატს დოვპირდი ოლონც ჩემი ქმარი მაპოვიე მთქვა და მის დღეჩიდ ნეფსი არ ვიხმარო მთქუა.

ვარდხათუნ.

ჩემი გუარში დერციკმა არავინა ყოფილა და არც მე გავხდები.

თამარა.

მე არც ცუყა გააკეთე და არც პანინი მოქსოვე, ზელები გეტკინება.

სუმონ.

ერთის სიტყვით თქუწნ ერთმანერთის შურით არაფრის გაკეთება არ გინდათ.

ქეთევანა.

არიცი მარტო მე რომ გყოლოდი ცოლათა ყველას მე გავაკეთებდი.

ვარდხათუნ.

ქმარმა იმიტომა ვქენი ჩემთუსა რომ ახჩიკ-პარუნათ⁴⁰ უნდა ვიჯდე.

40 [სომხ.] – უფროსად

ცოლები.

(სამნი თითო თითოთ და ზედიზედ) მეც უნდა ვიჯდე, მეცა, მეცა, მეცა.

სკმონ.

(იქით) აი შავი ჭირი გეცათ, გეცათ, გეცათ.

ვარდნათუნ.

ბევრი ლაპარაკით გლუხსმი ცავეცრუდა,⁴¹ დერციკმა იშოვე და ყველა შესაკერი იმან ჰქნამს შენთვინა.

სკმონ.(იქით) აი გადაგინყდეთ და გადაჰყევით თანა კაინუგემს თქუჴნ მე მაძლევთ (ცოლებს) კარგი, ერთი დუშელი ქალი არის აქა მკერაობაც კარგი იცის და მზარეულობაცა იმას დავიჭერ (პუბლიკას) ამათმა გატიელებამ ამ ნაირის მხნეობით ჩემს ოჯახს ფეხზედ დაადგენენ (ცოლებს) მაშ იმიტომ შეგირთეთ რომ ცუდათ ისხდეთ და იქეიფოთ? (პუბლიკას) ვნახოთ თუ ამათ ფეხები როგორს მახეში გაჰყონ.

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) არიცი უნდა ვიქეიფოთ.

სკმონ.

(ამოოხვრით) კარგი თქუჴნი ნება იყოს, ახლა თუ გნებავთ მიბძანდით ნყლის პირისაკენ და ისეირნეთ.

მელანია.

41 [სომხ.] – თავი ნუ ამატკიე.

(წაავლებს ჴელსა) ანი მომე ჴელი და ნემიტანე.

ვარდხათუნ.

(მისწვდება) ინძელ ტურ ძერ.⁴²

ქეთევანა.

(მივარდება) მეც მამეცი ჴელი.

თამარა.

მოიტა კლავი სეოჯახქორო.

სუმონ.

აბა რომელს ერთს მოგცეთ ორი ჴელის მეტი ხომ არა მაქუს, მოდით თუ გინდათ ზოგმა ცხვირსა და ქოჩორზედ მამ-ჭიდეთ ჴელი.

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) რამენაღვლება ერთი ჴელი კი მე მამეცი და (მიეხვევიან და ეწევიან.)

სუმონ.

გამიშვით ნუ მამკალით თქუჴ გასანყვეტნო.

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) ნეტავი არ გვეპრინე-ბოდე (მიინევენ წყლის პირისაკენ, სუმონ ნაუა ჴელიდან და გაექცევა, დასდევენ ცოლები უკან დასაჭერათა და გაუვარდე-

42 [სომხ.] – მომეცი ხელი.

ბა მარჯვნივ კარით და გაჰყვებიან თანა.)

გამოსვლა 5.

სოფიო.

(შემოვა მარცხნივ საჩქაროთ) სუმონ! სუმონ! აღვას-
რულე რაც მითხარი (მიიხედავს სუმონს რომ ვერ დაინახავს
გაკვირვებით) უი გენაცვალეთ სად წასულა.

გამოსვლა 6.

იგივე და სუმონ.

სუმონ.

(შემოვა მარჯვნივ ქასქასით.) ძლივს არ წაუველ
ჯელიდგან იმ გასაწყვეტებსა (დაინახავს სოფიოს) ოჰ სოფიო!
მოსულხარ გეთაყვანე ჩემო სულის ნუგეშო! ჩემო სიამოვნებავ,
თავს შემოგველონ ჩემი ოთხივ ცოლები.

სოფიო.

(განაზებით) აი როგორ ჩქარა მოვედი.

სუმონ.

(აღერსით) რასაკურველია შენ ჩქარა მოხვიდოდი ჩემო
სწრაფო მიმინოვ! ჩემო ნოეს მტრედო!

სოფიო.

ეგ ყველა კარგი მაგრამ, აბა მითხარ ჩუჭნს საქმეს რო-
გორ აასრულებ.

სუმონ.

(სიცილით) ჩემთან ყოფნა არ გინდა გეთაყვანე, შეგიყვან სახლში გოგოთა.

სოფიო.

(გაოცებით) რაო, გოგოთა... (ტირილით) იმიტომ მა- მიყვანე დუშეთიდგან აქა რომ შენს ოთხს ბაიყუმს ცოლებს მამსახურო, ვაჟ ჩემი ბრალი რატყუილათ დაფშვერი გზაზედ სიარულითა, განა არ ვიცოდი რომ კაცები სულ აგრე მაც- დურები და ქალების გზის ამრევეები ხართ, დაუნდობლები და შეუბრალებლები, ვაჟმე მშობელო რას ალაგს ჩავვარდი, ოჰ! ამ ხმის გამგონეს რატომ მინა არ დამფარავს (გული მისდის და მიდის წასაქცევათა.)

სუმონ.

(დაიჭერს და ხვენწით) არა გეთაყვანე სოფიო! გეხუმ- რებოდი შენმა გაზდამ გეხუმრებოდი, გული მოიბრუნე სულო შენუ მამიკვდები გეხუმრებოდი, გეთაყვანე გული მოიბრუნე, გოგოთ კიარა იმათს ქალბატონათ მინდინარ.

სოფიო.

(ცოტას ხანს უკან გულის მობრუნებით) თუ მეხუმრე- ბოდი აბა მითხარ როგორ აასრულე ჩუწნს აღთქმასა.

სუმონ.

წელან შენ რომ წიგნი გაგატანე ის მეგემე არის და ჩემი დიდი მეგობარი, რადგანაც შენ აქ მოსვლას მოგელო- დი ამისთვის წინათვე გავტეხილვარ მე იმას ამ ჩუწნს საქმესა,

პირობა მამცა როცა დრო ჩაიგდოთ მოდით გემში ჩაგსხამთ და ტრაპიზონში გაგიყვანთო აბა იქიდგან ვინ გამოგვიყვანს გენაცვალე. შენ ცოტა მოთმინება გასწიე, მე ჩემს ცოლებს ისე დავარწმუნებ ვითომ სახლში გოგოთ შეგიყვანე და შენც ისე მოიქეც რომ არაფერს მიგვიხვდენ ჩემი ცოლები, მერე როცა დრო ჩავიგდოთ გავიპაროთ ჩავსხდეთ გემში და წავიდეთ.

სოფიო.

მართლა გეთაყვანე, ეგ ძალიან კარგი ჰაზრია მოდი ერთი მოგეხვიო (ეხვევიან ერთმანერთსა.)

გამოსვლა 7.

იგინივე და მელანია.

მელანია.

(შემოვა მარჯვნივ დაინახავს იმათ ნახვევს და დაიკვივლებს) უი... სკმონიკო! აპა მაგა რაიზამ შოუბედურო.

სკმონ.

(უეცრათ მოშორდება და შეშინებით) ვინა მე... არაფერსა შენუ მამიკვდები (იქით) აი დასწყევლა ღმერთმა საიდგან გამოჩნდა (მელანიას მოფერებით) ოჰ! შენა ხარ მელანია, ჩემი ოჯახის მასურნელებელი ყვავილო (იქით) მგონია უფრო ამაყროლებელი.

მელანია.

ჰო, ჰო... უბედურო, უბედურო, მეითრიე ენა გაცვეთილი ძელივით. (შეტევით) რა უზამდი მაქალს?

სუმონ.

არაფერსა შენმა სიცოცხლემ, გოგოთ ვიჭერ და ფასს ურიგდები.

მელანია.

სწორა მითხარ, სწორა, ისტე ახლო რავა ეტკუპოდი.

სუმონ.

(იქით) ეს ძალიან შინაგანს კითხუაში შედის, ის კი არცის რომ ამისი ფჩხილი მირჩევიან ოთხივე ცოლების თავსა (მელანიას) ვარიგებდი სახლში როგორ მოიქცეს რომ შენ გესიამოვნოს.

მელანია.

ეგე კაია მარა არღა გნახო ისტე ახლო შეტკუცვილი თვარა, ზე შოუყენებ კონტოხტს და გადავარონიებ ქართლშიდ.

სუმონ.

არა შენნუ მამიკვდები როგორ გავბედავ.

მელანია.

ანი შენ გოგო! ნედი სამზარეულოშიდ ღომი უხარში არ მეგივიდეს და ღორის ფეშხო უწვავი თვარა ვა შენს ყოფას, არღა გნახო სვიმონიკთან ისტე ახლო შეტკუცული თვარა მთლა გაგტანჯავ.

სოფიო.

ბატონი ბძანდები ქალბატონო! (მიმავალი იქით) შენი თავის გახეთქამა კარგი ღომი მე შენ მოგიხარშო (გავა მარჯვნივ.)

სკმონ.

ახლა ხომ გოგო გიშოვნე ჩემო მელანია, დაჯექ და სულ იქეიფე.

მელანია.

ეგე კაია მარა კი არ მიაძება რომე ჩემს გარდა სამი ცოლი ქვეც სხვა გყავს.

სკმონ.

მე უფროც არ მიაძება, მაგრამ ეხლა რაღა გაენწყობა.

მელანია.

აწი თუ არ გაიმებოდა რავა ირთავდი ისტე ბრიყულა მისთანა უგვანს ცოლებს.

სკმონ.

შენ რა გენაღვლება, შენს სიყვარულს ხომ იმათზედ არ გავცვლი, მერწმუნე ჩემს გულზედ შენის მეტი ვერავინ იუფლებს.

მელანია.

აწი მართლა მეუმბები, შენამც გენაცვლება შენი მელანია მთქვა, აპა, მოდი დაგლოშნო (მოეხვევა.)

გამოსვლა 8.

იგინივე და ქეთევანა.

ქეთევანა.

(შემოვა მარჯვნივ და ნახვევს რომ დაინახავს) იე, იე, იე,
ძალიან კარგია, ძალიან საუცხოვოა.

სუმონ და მელანია.

(უეცრათ მოშორდებიან ერთმანეთსა.)

ქეთევანა.

კარგი ბატონო! ერთმანეთს ნუ შორდებით, შეექცით,
შეექცით.

მელანია.

ანი კაი მიქნია თუ შევექცევი შენი ქვე მეშინიან თუ.

ქეთევანა.

თავი ქვისთვინ გიხლია, ჩემი ქმარი შენ დაისაკუთრე.

მელანია.

რავა სულელურათ როხამ შოუბედურო, ვერ გეიგე
მოურავმა რავა წეგვიკითხა ვოქმი, ანი პირველი მევარ რავ-
არც მინდა ისტე მევიხდენ.

ქეთევანა.

პირველი, შენი თავის გახეთქამა მე კი ჯუარ დანერილი

ცოლი არა ვარ თუ.

მელანია.

ვუბედურო, ვუბედურო, ვუმაღ ქუე მე ვარ ჯვარ დაწ-
ერილი.

ქეთევანა.

ჯანი გაგვარდეს თუ ხარ, მე შენ მაგის კოცნის ნებას
არ მოგცემ.

მელანია.

ვუმფრო ქვეც ვაკოცებ და ქვე გაგასიებ.

ქეთევანა.

აბა გაკოცინინოს, ცემით სულ ყბებს აუნთებ.

მელანია.

(გაოცებით) ეგე რავა ათქმევიე ენას შოუბედურო, ვის
სცემ ვის, ჩემს სუმონიკას შენ სცემ, რავა მაგის თხრობამდი
ენა მუცელშიდ არ ჩეგივარდა. ისტე დაგარჩობ რავაც ნუნკი
კატა.

ქეთევანა.

(წაიძრობს ფეხიდგან ქოშსა) აბა მობძანდი, ამ ქოშით
მაგ ყბებს სულ დაგამტვრევ.

სუმონ.

(იქით) არიქა ღმერთო შენს მადლსა, მოხვდა ნამგალი

ქუასა.

მელანია.

ჩეიგდე ენა მუცელშიდ თვარა მე ვიცი რასაც გიქ.

ქეთევანა.

(ქოქოლას მიაყრის) უი შენს სინათლესა, შიშით გული არ გამიხეთქო შენ ნუ მამიკვდები.

მელანია.

უმზირე უმზირე ნაჭენავ ხვრეპია ქართველს რავა არ ჩუმდება.

ქეთევანა.

მეხიკი დაგეცა მაგ ლომი ჭამია თავზედა.

მელანია.

ანი მიძრახე ლომი შენ ნუ მოუკვდები მელანიას, თხლე ჭამია ქართველო, ნედი თქუზნებური ჩალა კრიფე ისტე შიშველი ფეხებით.

ქეთევანა.

(იქით) ვაი შენ ჩემო კარალულო ჩალაო რომ ამისთანა იმერლის გომბიო მასხარათ გიგდებდეს. (მელანიას) შე ღვლიპო შე ლაფჩინის ნატრულო.

მელანია.

ჰო, ჰო, ჰო... მთიულის ქალო.

ქეთევანა.

მიჰქარავ, ქართველის ქალი ვარ შე თევზის ნატრულო.

მელანია.

იქით დეიკარგე შე მჭადის ნატრულო თვარა ზე
შემოგაფხრენ მაგ ლეჩაქს.

ქეთევანა.

(იქით) ხედამ ამ იმერლის გომბიოს როგორ წათამამ-
და (მელანიას) აბა მობძანდი, სულ მატყლივით გაგინენამ მაგ
თმასა (მიინევს ესა და მელანიაც მოინევს ჩაუარდება შუაში
სკმონი.)

სკმონ.

დაიცადეთ გეთაყვანეთ (იქით) მეთაყვანეთ და მენაცვა-
ლეთ, ღმერთო შენ ამოაჟღეტინე ერთმანეთი ეგება ცოლები
შემითხელდენ. (ქეთევანას) აბა რას ჩადიხარ შენ ხომ ჭკვიანი
ხარ (მელანიას) აბა რათ გეკადრება შენ ხომ გაზდილი ხარ
(იქით.) ნაბლის კრეფაზედ (მელანიას) რა შენი ტოლია რომ
მაგას ელაპარაკები, წავიდეთ შინა (წაავლებს ჳელსა და ძალით
გაჰყავს.)

მელანია.

(მიმავალი) მაცა მაცა შო უგვანო თუ ეს შეგარჩინო
(აფურთხებს და გადის მარჯვნივ.)

ქეთევანა.

(ორის ჳელით აყრის ქოქოლას) იე... მეხი შენც დაგეცა

და შენს ნაქნარსაცა (პუბლიკას) ხედავთ, ეს იმერლის გომბიო როგორ ნათამამდა, როგორ ახი არა მქონდა სულ ქუჩა ქუჩა მეთრია.

გამოსვლა 9.

იგივე და სკმონ.

სკმონ.

(შემოვა მარჯვნივ და ქეთევანას) შენგან არ მიკვირს რომ იმას აპყევი.

ქეთევანა.

კარგი, კარგი, ბატონო! სულ შენი ბრალია, თუ ჩვენში ჩხუბი არ გინდოდა რათ ირთავდი იმისთანა ბაიყუშს ცოლებსა.

სკმონ.

(იქით) ამ გასაწყვეტებს ყველას ერთი და იგივე კითხუა აქუსთ, ამათ ერთმანეთი არ მოსწონთ და ისკი არ იციან თუ მე ყველანი ჭირივით მეჯავრებიან. (ქეთევანას) რა გენაღვლევა ეყარნენ ისინიცა ჩემი სიყუარული ხომ შენის მეტთან არავისთან არის დამყარებული.

ქეთევანა.

მართლა გეთაყვანე ჩემო გაფურჩენილო ვარდო! ეგრე გიყვარვარ, მოდი ერთი მოგეხვიო (ეხვევიან ერთმანეთსა.)

გამოსვლა 10.

იგინივე, და ვარდხათუნ.

ვარდხათუნ.

(შემოვა მარჯვნივ ნახევს დაინახავს და დაუყვირებს)
ეეე... გ რა ბიაბრუობაა... ე. ე. ე... გ რა საქმეა...

სკმონ.

(მოშორდება და იქით) არიქა გაჩნდა შულავრულა და სერი უცქირეთ (ვარდხათუნს) არაფერი ქუ არიუ⁴³ გიდენა, ყურში მელაპარაკებოდა სადილათ რა მოვამზადოო. (ქეთევანას თვალს უზამს გასასვლელათა.)

ქეთევანა.

(მიმავალი) საწელი გაგინყდეს თუ ერთი კოცნა დაგეცლია (გავა მარჯვნივ.)

ვარდხათუნ.

რალაც ტლაშანის ხმა გავიგონე.

სკმონ.

არა შენ ნუ მამიკვდები, ჯელი ჯელს დავჰკარ და იმისი ხმა იყო.

ვარდხათუნ.

იქნება ჩემი სიყუარული სხუაზედ გაცვალო, მე ქევხას ქალმა ვარ.

სკმონ.

43 [სომხ.] – აქ: თავში ხომ არ გიქრის.

შენ არ მამიკვდე, განა არა გჯერა რომ შენ ყველაზედ ძრიელ მიყვარხარ, შენმა მზემა შენი სიყვარული ისეთი დამნიფებული არის ჩემს გულში როგორც სომხითური დუთმა ნესვი.

ვარდხათუნ.

დრუსტის ასუმ,⁴⁴ ბას მოდი ერთი პაჩი გიყო (ეხვევიან ერთმანერთსა.)

გამოსვლა 11.

იგინივე, და თამარა.

თამარა.

(შემოვა მარჯვნივ და რომ დაინახავს ნახვევს დაუყვირებს) აიდა ხაჯარ ქებალა,⁴⁵ ეგ რაქენი სე ოძახქორო.

სუმონ.

(მოშორდება და პუბლიკას) არიქა ახლა ჯერი ამას ერგო.

ვარდხათუნ.

ვა! ინჩის ბლაუმ,⁴⁶ ჩემი ქმარმა ვეხვევოდი შენ რა დავა გაქვს.

თამარა.

ბაქისტან ქმარი მე გინდა, სენ ბოლო ცოლი ხარ.

44 [სომხ.] – სიმართლეს ამბობ.

45 [ოს.] – ოჯახი დაგენგრეს.

46 [სომხ.] – რას ბლავი.

ვარდხათუნ.

ვუი ქუ აჩკინ,⁴⁷ მე ქევხას ქალმა ვიყო შენ ჩემთან უნდა თქო რამე.

თამარა.

აცუ დალამა,⁴⁸ სენ ვინ არის მეცემი ქმარი გინდა (ნაავ-
ლებს ჴელსა და მიინევს თავისკენა) არდამ რაცუ⁴⁹ ვოსიმონა!

ვარდხათუნ.

(მიინევს თავისკენა) ესტი არი⁵⁰ მეთქი.

სუმონ.

გამიშვით ნუ მამკალით, რომ ან ერთთან მივიდე და ან მეორესთან.

ვარდხათუნ და თამარა.

ერთი აქეთ ინევს და მეორე იქით) არდამრაჩუ⁵¹... ესტი არი⁵² მეთქი.

სუმონ.

გამიშვით გამიშვით (ნაუვა ჴელიდგან და გაექცევა, გა-
მოუდგებიან ცოლები უკანა, სუმონ გაუვარდება გარეთა და
გაჰყვებიან ცოლები თანა.)

47 [სომხ.] – ვაი შენს თვალებს.

48 [ოს.] – აქ: ჩაინიე.

49 [ოს.] – აქ მოდი.

50 [სომხ.] – აქ მოდი.

51 [ოს.] – აქ მოდი.

52 [სომხ.] – აქ მოდი.

გამოსვლა 12.

ჰაჯი აბდულ.

(შემოვა მარჯვნივ ზღვის პირიდან) აგი ჩემი სვიმონ მოვარჩინო ცოლებსა თორემ მომიკვლენ, ჩავსვავ გემშიდ და ნავიყვან ტრაპიზონში.

გამოსვლა 13.

იგივე და სუმონ.

სუმონ.

(შემოვა ქასქასით და დაინახავს ჰაჯი აბდულას.) ოჰ, მეგობარო მოსულხარ, ცოტა კიდევ მამიცადე გეთაყვანე რომ ჩემს ცოლებს გამოვეპარო და ნავიდეთ.

ჰაჯი აბდულ.

მოგიცდი მარა ბევრი არ დეიგვიანო ბინდმა არ გვის-ნროს (გავა მარჯვნივ ზღვის პირზედ.)

გამოსვლა 14.

სუმონ და სოფიო.

სოფიო.

(შემოვა მარჯვნივ ტირილითა და სუმონს) აქ იმისთვის მამიყვანე რომ შენს გასაწყვეტს ცოლებს მომაკვლევიანო.

სუმონ.

როგორა გეთაყვანე?

სოფიო.

რალა როგორა, შემოვარდა იმერლის გომბიო მელანია, ლომისთვის მარილი რათ გიქნიაო ასეთი სილა მკრა ყბა ისევ მენვის, აბა მე რა ვიცოდი ჩემს დღეში უმარილო საჭმელი არ გამიგონია. მერე თან მოჰყვა ქეთევანა, ხორცი ქაფ უხდელი მოგსვლიაო ასეთი ჩამკრა გულში რომ დამილურჯდა, შემოვარდა ვარდნათუნ, ფლავისთვის ერბო დაგიკლიაო თავი მოუკვდეს იმასა ასეთი ჩამკრა თავში რომ ეხლაც ისევ მტკივა. მერე ოსის ქიზგა შემოვიდა, ხაჭაპური უმცხვარი მოგსვლიაო იმას კი გამოვექეც თორემ მამკლავდა.

სკმონ.

აი სამივეს ჯელები დაემტვრეს და მეოთხემ კისერი მოიტეხოს, აბა რომელს ლოყაში შემოგკრა გეთაყვანე.

სოფიო.

(ჯელს იღებს) აი ამაში.

სკმონ.

მოიტა ვაკოცო ეხლავ მოგიჩეხა შენმა მზემა.

სოფიო.

(მიიწევს) არა მე ისევ დუშეთში წავალ.

სკმონ.

(ხვეწნით) სოფიო ცოტა კიდევ მოიცადე შენი ჭირიმე სანამ სადილსა ვსჭამდეთ და შენმა გაზდამ ეხლავ წავალთ, ეხლა მეგემე აქ იყო გავისტუმრე იქ გველის, ჩუწნ სადილის

ჭამა რომ დავინყოთ შენ ღვინოს ნუ შემოიტან, მე რაერთიც უნდა დაგიძახო მაინც არ შემოიტანო, მერე მე გამოვალ შემოსატანათა გავიპარნეთ ჩავსხდეთ გემში და წავიდეთ.

ცოლები.

(კულისიდგან) გოგო, გოგო, გოგო!

სოფიო.

(სცენაზედ) ბროგო აგიტეხოთ ღმერთმან და ჭიჭო.

სუმონ.

აი აქ მოდიან ჩემი ცოლები და მე განგებ ჯავრობას დაგინყებ და შენ ნუ გეწყინება (უჯავრდება.) შენა სტყუი, შენა, შენა, რატომ ისე არ ასრულებ როგორც გიბძანებენ ჩემი ცოლები.

გამოსვლა 15.

იგინივე და ცოლები სუმონისა.

ცოლები.

(შემოდინ მარჯვნივ კარით და სუმონს) დღეს კიდევეგდოს და ხვალ დაიკარგოს ჯანაბასა.

სუმონ.

როგორც თქუჴნი ნებაა (იქით) უთქუჴნოთაც ნავა დღესა.

ცოლები.

სადილი მზათ არის კარგი ჰაერია აქ შევექცეთ.

სკმონ.

გოგო! ნადი ბიჭმა ხალიჩა შემოიტანოს და შენ სუფრა და პური.

სოფიო.

(გავა მარჯვნივ.)

სკმონ.

(ცოლებს) აბა ვინძლო ლაზათიანათ შევექცეთ, დავსხდეთ და სულ ლამაზი ქალების სადღეგრძელო ვსვათ.

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) ვინ ლამაზებისა უნდა ვსვათ, განა ჩუზნ ლამაზები არა ვართ.

სკმონ.

ლამაზები რო ხართ ისევ თქუზნვე არ მოგივათ დღეგრძელობა.

გამოსვლა 16.

იგინივე, ბიჭი, და სოფიო.

ბიჭი და სოფიო.

(შემოვლენ მარჯვნივ შემოიტანენ ხალიჩასა სუფრასა

პურსა და ქურჭელსა და გაშლიან წინ სცენაზედ.)

სუმონ.

ნადი ბიჭო შენ მწვადი შემოიტანე და გოგომ ღვინო.

ბიჭი და გოგო.

(გავლენ მარჯვნივ.)

სუმონ.

ჩემო სულის გვრიტებო (იქით) უფრო ბაიყუშებო (ცოლებს) დაბძანდით.

მელანია.

აწი წესით თავი ალაგი მე მერგება და მე უნდა დავჯდე.

ვარდხათუნ.

(წელსა ჰკრავს) მე ქემხას ქალმა ვარ თავში უნდა დავჯდე.

ქეთევანა.

(გააგდება ვარდხათუნას.) მე უნდა დავჯდე.

თამარა.

(წელსა ჰკრამს.) ჰაცუ დალამა,⁵³ მე უნდა დაბძანდე (აირევიან ერთმანეთში და ეწევიან ერთმანერთსა.) არა მე უნდა დავჯდე, მე, მე, მე.

53 [ოს.] – აქ: მოშორდი.

სკმონ.

მოიცადეთ ნუ ჩხუბობთ მე გაგაშველებთ, რადგანაც მელანია ხნით ყველაზედ დიდია, თავი ალაგი ამას ერგება.

ცოლები.

(სამი თითო თითოთ და ზედიზედ) ეგ რო ყველაზედ უნინ დაბერდეს ჩუჭნი რა ბრალია, თავს მე უნდა დავჯდე, მე მე, მე.

მელანია.

ანი ჯანი წეგივიდეთ დასხედით რავარც გერჩიოთ.

სკმონ.

(დაჯდება და ცოლებს) დასხედით რიგიანათ ნულარ ჩხუბობთ.

ცოლები.

(დასხდებიან.)

სკმონ.

(გასძახებს) ბიჭო მწვადი შემოიტანე.

ბიჭი.

(შემოიტანს შანფურით მწვადსა სკმონს მისცემს და გავა.)

სკმონ.

(შესთლის მწვადსა და იძახის) იე იე იე ამ მწვადსა რა

მცვრიანია, არ გაგიგონიათ მწვადი მცვრიანიო. ქალი თმინიო.
(ქეთევანას შეუთლის) მიირთვი ქეთევან!

მელანია.

უმალ მე უნდა მომართვა მაგას კი არა (მოგლევს და
შესჭამს.)

ქეთევანა.

შხამათ შეგერგოს თუ შენც მოგიჭრიდა.

სუმონ.

(შესთლის და მიართმევს.) აბა მიირთვით.

ვარდნათუნ.

(მოგლევს და შესჭამს.)

სუმონ.

კიდევ მიართმევს.)

ქეთევანა.

(მოგლევს და შესჭამს.)

თამარა.

მეც განამე სე ოძახქორო და.

სუმონ.

(გადუგდებს შანფურსა.) აჰა თავში იწყვიტეთ და რაც
გინდა ჰქენით (გასძახებს გოგოს) გოგო ღვინო გამოიტანე.

სოფიო.

(ხმას არ მოსცემს.)

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) რა ღმერთი გაუწყრა იმ გომბიოსა რაუყო ღვინო, წყურვილით დავირჩეთ.

სკმონ.

(გასძახებს) გოგო ღვინო გამოიტანე გოგო.

სოფიო.

(ხმას არ მოსცემს.)

ცოლები.

(თითო თითოთ და ზედიზედ) უთუოთ დაეძინებოდა.

სკმონ.

მელანია! ადე გაისარჯე და შენ გამოიტანე.

მელანია.

მე არავისი მემარნე არ ვარ, ვინც ქვე უნდა გამეიტანოს.

სკმონ.

ქეთევან! შენ მაინც გამოიტანე.

ქეთევანა.

არავისი გოგო არ გახლავარ.

სუმონ.

ვარდხათუნ! შენ ხომ მორჩილი ხარ შენ გამოიტანე.

ვარდხათუნ.

ქეცხას ქალმა და ღვინის გამოტანა არ გამიგონია.

სუმონ.

ვო თამარა! შენ გამოიტანე.

თამარა.

მე ღინო არ გინა, ლუდი იყოს გამოიტან.

სუმონ.

(იქით) მეც ეგმინდა (ცოლებს) კარგი მე გამოვიტან. (გავა.)

ცოლები.

(ერთათ მიაძახებენ.) ნელანვე აგრე გექნა.

ქეთევანა.

ავდგებოდით ერთერთი და გამოვიტანდით (ამდროს ას-
ტყდება ქუხილი, ჭეჭვა და ელვა.)

ვარდხათუნ.

ვილას ეუბნები, შენ გამოიტანდი (ამდროს მარჯვნივ
მოდიან ლოტკით სუმონ სოფიო და მეგემე სიმღერით.)

[სვიმონ, სოფიო და მეგემე]

ქორთაკალინ საროსი, ახ გულ ეი ამან! ამან...

იარი დუშტუნიარასი ახ! ლე, ლე, ლე, ლე, ლე, ლე,
ამან ამან ამან...

მელანია.

(მიიხედავს) ანი რას ვხედავ, ჩვენი გოგო და სიმონიკა
ქვე მიდიან.

ცოლები.

(ერთათ ნამოცვივიან თითოთ თითოთ და ზედიზედ)
სიმონიკო ჰუ! სვმონ! სიმონ-ბეგ! ვო სიმონა! (სამსამჯერ.)

სვმონ და სოფიო.

მშვიდობით ქალბატონებო ჩუჴნ ტრაპიზონს მივალთ
და იქიდგან ტკბილს ღვინოს გამოგიგზავნით.

ცოლები.

(ერთათ) სად მიხვალ შეწყეულო სვმონ! შე შეჩვენებულო,
აქ გამოდი აქა, აქა, აქა, შე მეფის ოქმის გამტეხო, შეუღლოვ
შე უსჯულოვ აქ გამოდი აქა აქა აქა, (ლოტკა რომ ნაპირს
მიატანს ცოლები ჴელს განუპყრობენ ღმერთსა.) ღმერთო შენ
მიეცი ჩვენი მაგიერი პასუხი (ამდროს დაიჭექებს საშინლათა,
გაიღვებს გასკდება მენი ლოტკაზედ და დანთქამს, და დაეშ-
ვება ფარდა.)

დასრულდა 2 მოქმედება.

განა ბიძიამ ცოლი შეიზო!

კომკლავა ერთს - მოქმედებად

გარდაკეთებულო

ზუსტულიდან

ზ. ანტონოვისაგან

მოქმედნი პირნი.

ბებერი და მდიდარი ვაჭარი, **გალუსტ მინაიჩ თანდოევი**¹

შორს ნათესავი ამისი ჩინოვნიკი, **მანუჩარ სტეფანიჩი**

სოფიო, ცოლი გალუსტასი

თინათინა, დედა სოფიოსი

კეკელა, მაზლის ქალი თინათინასი პირველს ქმართან

ნიკალაი ივანიჩ ვარდუოვი, დოხტური

ბიჭი თანდოევისა, **იმერელი ივანიკა**

მოქმედება ტფილისში.

პირუჭლად წარმოდგენილ-არს ტფილისის ტეატრში

„3“ ფებერვლისას 1852^ბ წელსა. (სცენა წარმოადგენს თანდოევის ზალასა, ზალასა აქვს შუაზედ და აქეთ იქით კარები, კარებების გვერდზედ ფანჯრები, შუაკარის გვერდზედ კუხნის კარი ზალაში შემომსვლელი, თითონ ზალა არის მორთული მებელითა, მარჯვნივ სდგას საწერი სტოლი ზედ აწყვია საწერ კალამი და ქალაღდი, მარცხნივ სდგა² კამოდი ქალის ჴელსაქმითა, ფარდა აიხდება და თანდოევი.)

გამოსვლა 1.

გალუსტა.

ვა! კინალამ ემე არა ვჰქენი და ჩემი ნათესავისთვის არ გაუშვი ჩემი დოვლათმა, არა ერთი პატრონი მყვანდეს მითხრას თუ, ახმახ! შენი სიცოცხლე შენი ნათესავისთვის რათ აქლექებდი, ტო შავი დღე გამოგივლია, ფულებმა მოგიგია დაჯე ჭამე რიგიანათ ეგ ოხერი და? აი მედა ჩემა ღმერთმა ჩემი სიდედრუამ ნორეთ ჭკვიანი დედაკაცმაა, მოვიდა ჩემთუნა თქოთუ გალუსტ? „მაგოდენი ფულებმა გაქუს, შენ მოხუცებულმა ხარ, აგრე უპატიურათ რათ იკლამ თავი, მოდი ჩემი სოფიკუა მოგცემ ცოლათა, ჰამ⁵⁴ ჯაელი და ლამაზი, ჰამ კარგათ მოგივლის, ჰამ შვილმა გეყოლებო“ მერე მე ვსთქვ იმასა ბებერმა ვარ შვილმა აღარ მეყოლება მეთქი, დეე ჩემი ქონება ჩემი ნათესავი მანუა დარჩეს მეთქი, მერე იმანა თქო: „შენი ნაქნარი დოვლათი რომ იმანა ჭამოს იმითი შენი გულმა რას გაიხარებსო, ტო ფულები ბევრი გაქუს იყიდე ჯანჯაფილის მურაბა და ჭამეო, ასე გაგხდის როგორც ოცდა ხუთის წლის ჯაელმაო, ჰამ დობტური ნახე ისიც ჯანის კაპლი რამე მოგცემსო, მერე ლამაზი ცოლი გეყოლება იმას თამაში დაუნყეო ნახვალ და გაიხარებო, ჰამ შვილმა³ გეყოლება და შენი იმენიეზედ ნასლედნიკმა დარჩებო!“ ტო⁴ მართლა ზედ ლეკრიც მირჩია შენი ცოლი შვილი ვაყოლეფო, ავდექი მეც დაუჯერე და შევირთე სოფიო ცოლათა, მივჰყევი სულ⁵ ჯანჯაფილის მურაბა ვჭამე და დობტურის კაპლი ვსვი, ჰამ ლამაზი ცოლიც მეთამაშებოდა, ასე გავჯაელდი და ჯანი მამივიდა რომ მინდოდეს და ორი არშინი მეტი გადავხტები აი თუ არა (გადახტება) ახლა ისიც როგორია რომ ნასლედნიკმა მეყოლება, ჩემი ცოლი მგონია ორსულია სულ მჟავე რამეები თხოულობს საჭმელათა, ეხლა ბორჯომში

54 [სომხ.] – აქ: აი.

გავგზავნე იბანოს რომ შვილი მოუმაგრდეს, ფულები კი ბევრი მებარჯება მაგრამ ჯანი დავარდეს თუ დამებარჯება, ვა! ერთი სოფიოს მოხვევენა და პაჩის ქნა მილიონი არა ღირს (ამოოხვრით) მაგრამ ვაი იმ გლხინ ურ⁵⁵ თვენახევარია ბორჯომში წასვლის გამო აღარ მინახავს. (სიხარულით) ახლაკი მალე ვნახამ.

ორიოდ დღეში ვნახამ ჩემი სოფიო,
მაშინვე კი უნდა ყელს მოვებვიო,
ერთი გულიანათ ჩავკოცნო
ჩავეხვიო,(გულში ჳელს იცემს) და, და, და, დაა!
მარჯანს ტუჩზედ დავუნუნო დავებ-
ვიო!(დაფიქრდება.) ვა რალა ფიქრმა უნდა, მერე სპალნაში
წავალთ... წავიდე ერთი ჩემი იმენიე დაუარო ქირებმა ავჰ-
კრიფო. (გავა მარცხნივ.)

გამოსვლა 2.

თინათინა და დობტური.

(შემოვლენ მარცხნივ კარიდგან.)

თინათინა.

ბატონო დობტურო! მე თქვენი სიკეთე ჩემი სიცოცხ-
ლეში ვერ გადავიხდი, ერთ ყალმათ და, ჩემი ქალმა სოფიო
თქვენგნით არის გაბედნიერებული, მართალია ჩემი სიძეს მეც
ველაპარაკებოდი, მაგრამ უფრო თქვენი თხოვნას დასდო პა-
ტივი და თქვენ დაგერწმუნათ.

დობტური.

რასაკურველია ბატონო! ყოველნი სულნი მოვალენი

55 [სომხ.] – ვაი ჩემს თავს.

ვართ ურთიერთს ჴელნი აღუპყრათ და ბედნიერებას მივამთხვიოთ.

თინათინა.

დიდი მადლობელი ვარ დობტუროჯან! ჴეელი სიძემ კი ვერ ვიშოვნე მაგრამ ძალიან მდიდარია, ჩემი სოფიკუა კარგათ გაიხარებს. სანყალი ჩემი სიძემ ასეთი უყვარს რო პური ჴამდენ და, ჩემი სოფიკუას ცქერიდან თვალი არ მოაშორებს, ახლა ჩემი ქალი ჴაელია, ბევრჯელ ქმართან რო თამაშა მოუნდება იმისი ქმარი ეძინება ხომე, მერე ამტელი ეთამაშება რომ გამოაღვიძებს და ისიც თამაში დაუნყებს, სანყალი ძრიელ უხარიან რომ ჴაელი და ლამაზმა ცოლმა იშოვნა, თქვენიც ასეთი მადლობელი არის რომ რალა ვთქო, თქვენმა მზემა ბატონო დობტურო და, რაც რომ ჩემი სიძე თქვენთვის ემე არ უქნია, პატივი უცია, ეხლა ჩემი ქალი რო გაიხლებათ ის უფრო მეტი პატივი მოგცემს.

დობტურო.

გმადლობთ, ბატონო თქვენს ქალს ფეხმძიმობა ვერ შეატყეთ?

თინათინა.

აი დუნ აპრის⁵⁶ რო შევატყე, აგერ ორი თვეა სულ მაზა მაზაები და მყავეები თხოულობს, ჩემი სიძეც ასეთი უხარიან, ახ! ნეტავი არ იქნება რომ ვაჟმა ეყოლოს, მაშინ ბატონო დობტურო ვინ იცის თუ ჩემი სიძე თქვენთვის რა ფეშქაშები ჴქნას.

56 [სომხ.] – შენ გაიხარე.

დობტური.

ბატონო! თქვენი ქალი რომ მშვიდობით დაბრუნდეს ბორჯომიდან თქვენ სიფთხილე გმართებთ, უნდა აზიზათ შეინახოთ და არა გააჯავროთრა, თორემ გულის გაანჩხლება დედაა ყოველთა სნეულებათა, მე თვთ გალუსტ მინაჩსაცა ვსთხოვ რომ ისიც გაუფთხილდეს.

თინათინა.

რას ბძანებთ ბატონო! იმას რა თხოვნა უნდა, ჩემი სიძე..... მგონია და, ტახტიდან ფეხები⁶ არ გადმოადგმევინოს და სადაც მაზა გამოჩნდეს სულ იმისთვის აქნევინოს, მაგრამ ჩემი ღარდმა ის არის იმას ერთი ვილაც შორს ნათესავი ჰყავს, ჩემი სიძე მოხუცებულია ვინიცობაა შვილმა არ ეყოლოს არ მოატყუოს ის ნათესავი და იმენიე თავისი საწელზედ არ აქნევი-ნოს, ამას ეგება ეცადოთ როგორმე, რომ ჩემი სიძე დავიყო-ლიოთ და სუყველა დოვლათი ჩემი ქალისთვის გავაშვებინოთ.

დობტური.

მე მაგას მოვახერხებ, მაგრამ თქვენ თქვენის ქალის შვილის უყოლობაზედ ეჭვი ნუ გექნებათ, ხოლოდ რაც წამ-ლები გაძლიოთ სულ იმითი შეინახეთ, მე შევატყე სუსტობა ყრმისა და იმისათვს ურჩიე თქვენს ქალს ბორჯომის წყლით ბანება, ის წყალი სხეულს შეუმაგრებს და უეჭველად ეყოლება შვილი, რასაკურუელია წყალზედ ბანება საჭირო არ იყო თუ თქვენი სიძე ახალგაზდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც არა უშავს რა, წყალი კარგია, და თქვენი სიძეც სამოცდა შვიდის წლი-სა არის კიდევ შეიძლება შვილი ეყოლოს. (მიიხედავს.) აგერ ვგონებ თქვენი სიძეც მოდის.

გამოსვლა 3.

იგინივე და გალუსტა.

გალუსტა.

(შემოვა მარცხნივ კარიდგან⁷ მიბრუნდება ფანჯრისკენა და გასძახებს.) ეგ ჩემი ცოლის პარტრეტი შუაზედ დაჰკიდეთ, გარეშემო ყვავილები გაუკეთეთ, პატარა ზევით ასნი, ცოტა კიდევ, ცოტა, ჰო კარგი. (თავს დაუკრამს სიდედრსა) რასა იქ ჩემო სიდედრო (დობტურს.) უკაცრაოთ ბატონო დობტურო! არ ვიცოდი თქვენი აქ ყოფნა თორემ აქამდინ გაახლებოდი.

დობტური.

რასა იქთ⁸ გალუსტ მინაირ! ხომ მშვიდობით ბრძანდებით.

გალუსტა.

ვა! რასაკურველია⁹ მშვიდობით გახლავართ. (გაიხედავს¹⁰ კარებში.) ეგ ბროლით ყვავილი ერთი მარჯვნივ და მეორე მარცხნივ ფანჯრებში დასდგით, კრესლები სტოლს აქეთ-იქით მოუდგით.

დობტური.

როგორც ჰგავს თქვენს ოთახებს მებელითა ჰრთავთ.

გალუსტა.

დიახ დობტუროჯან! ჩემი ცოლი¹¹ მამსვლელია, მინდა ერთი ახალ მოდურათ მოვრთო სახლი, რომ ერთიც შეხედოს თვალებში იამოს. (გახედავს კარებში.) მდივანზედ მარჯვნივ

ნაკერი მუთაქა დადეთ, სტოლი პატარა წინ მისწიეთ, ნელა, ნელა ვა! არ გატეხოთ და.

თინათინა.

(დობტურს.) როცა კი ცოლის სახელზედ რამეს შვრება, აღარც თავისი თავი და აღარც სხვა ვინმე ახსოვს, აი ჩუჭნ¹² ყური როდი გვიგდებს.

გალუსტა.

(მობრუნდება.) აბა ახლა მიბძანე დობტუროჯან რა გენებებათ, ხომ მშვიდობით ბრძანდებით კარგათა.

დობტური.

გახლავართ, ახლა თქვენს ცოლს არ მოეღიოთ, ვგონებ მოგწყინდათ უიმისოთ ყოფნა.

გალუსტა.

დობტუროჯან! შენმა მზემა უიმისოთ გული ასეთი მენვის თითქო ერთი ტაშტი ღველფი დაუყრიათ ზედა მეთქი, ვა! უიმისოთ ყოფნა ჩემთვინ წორეთ ძიმწარეა ჰა! დობტუროჯან! უკაცრაოთ კი ნუ ვიქნები და ერთი როდის იქნება იმისი შავი თვალეები ისე დავწუნწო როგორც ყინვარე შაქარი. (გულში ჩაიკრამს.) ვა! შეოხერო გულო როგორ გაზძელ აქამდინ უიმისოთა.

თინათინა.

ვინ გიშლიდა ფესაჯან!⁵⁷ ეტყოდი სოფიოსა განა თან არ ნაგილებდა.

⁵⁷ [სომხ.] – სიძეჯან.

გალუსტა.

ვა! განა გულით არ მინდოდა, მაგრამ რომ არ წამილო, ვაი თუ წყლებმა განწყინოსო, ოჰ, ბატონო დობტურო! ჩემი ასეთი ხათრი კი აქვს რო მეტი არ იქნება, ტერ ასტვან⁵⁸ რა გულისაა არ იცით.

დობტური.

მე ვიცი, სწორეთ ანგელოზია.

გალუსტა.

ერთით კი კარგი მამივიდა რომ¹³ არ წავედი, სპალნა არ მოსწონდა ახალ მოდურათ არ არის გაკეთებულიო, მეც ჴელახლათ კედლები დამინგრევინებია და როგორც იმან უყვარს ისე გამიკეთებინებია,¹⁴ რო შეხედოს ჩემი ცოლი გულში იამოს. მაგრამ იმისი გაშორებამ კი ძალიან შემანუხა.

დობტური.

ეგრე ჰსჯობს, რამტელისამე კვირით განშორება, განმეორებით ალაგზნებს მეუღლეთა შორის სიყვარულსა.

გალუსტა.

ერთი რას ბძანებ დობტუროჯან! ეგ ჩემთვინ რა საჭიროა, ჩემა მზემა და, ასეთი მიყვარს როგორც ფუტკარი თაფლი, მინდა რომ გვერდიდან არ მოვშორდე, მაგრამ, (ამოიოხრებს.) ახ ნეტავი ჩემი ნათესავის დარდმა არა მქონდეს და სხვა კი არა მინდარა, ის რო მამაგონდება და, სულ ფიქრმა იქით წამივა ხოლმე.

58 [სომხ.] – უფალო ღმერთო.

თინათინა.

ეჰ... დალოცვილო, შენც დააცლი და შენი ნათესავი მოიგონებ.

გალუსტა.

ჩემო სიდედროჯან და! იმან რო გაიგოს ჩემი ცოლის შერთვა, ოჰ, ოჰ, ოჰ ო....

დობტური.

განა თქვენ აქამდისინ არ გიცნობებიათ იმისთვის⁵⁹ თქვენი დაქორწილება.

გალუსტა.

არა დობტუროჯან, ის ეხლა აქ ხომ არ არის ქუთაისშია იქ ემსახურება, განა თქვენ არ იცით იმისი ჩუმათ დავინერე ჯვარმა.

თინათინა.

ფესაჯან! რათ იცი აგრე, განა შენ შენი ნათესავისაგან გეშინიან.

გალუსტა.

ეჰ სიდედროჯან! რა არის რო მეშინოდეს, მე იმასთან მტყუანი ვარ, მანუა, ჩემი ნათესავის ერთია ჰა! ოჰ იმისი დედა რა ქალი იყო და, რა სახლის ტანტიკინი,⁵⁹ ფხვნილი ნახშირი არ გადაყრიდა სახლიდან ჰა, რო კვდებოდა სანყალი ჴელში მამცა მანუა და მითხრა „შენ იცი და ჩემი შვილიო“, ამტელი

⁵⁹ [სომხ.] – დიასახლისი

კი ვიტყვით რომ რაღა, მერე მეც ვსთქვი იმასა მე მამა ვიქნე-
ბი და ეგ ჩემი ნასლედნიკი ვქნამ მეთქი, პირი მივეცი ცოლი
არ შევირთამ მეთქი, სანყალმა ჩემი იმედით იყო, ახლა რომ
შეიტყოს ცოლი შემირთამს, თავი მოიკლამს ჰა. (გულზედ ჴელს
დაიდებს.) ეს ტიელი რა მაგარი გული მქონდა, მეგონა ეშმაკი
ვერ მამატყუებდა ჰა!

თინათინა.

ფესაჯან! აბა მაგას რას ამბობ ქუ მატალ.⁶⁰

გალუსტა.

არაფერი. (გაკვირვებით.) ვა, კიდენ ჭკუა გამამივიდა
თავიდან, რაებსა ვბოლამ ნათესავი რას ჰქვიან, ერთი სოფიო-
სთან ჰაჩი მთელი ქუჭყანა¹⁶ არ მირჩვენიან, (დაფიქრებით.) მა-
გრამ მართლა რომ ჩემი ნათესავი გაიგოს ჩემი ცოლის შერთვა
რა უთხრა, ვა! უნდა მოვიგონო რამე რაღა.

თინათინა.

ფესაჯან! ეგრე ჯობიან შენმა მზემა, ბოლო მოუღე იმის
საქმესა რომ აღარ ჰსწუხდებოდე.

გალუსტა.

მარასავიქ ვა! ეხლა აღარ ვიცი სად არის.

თინათინა.

ვინა? შენი ნათესავი.

⁶⁰ [სომხ.] – შენ გენაცვალე.

გალუსტა.

ჰო, აგერ ერთი თვე იქნება წიგნი მოეწერა ერთი კვირემდინ მოვალე და გნახამო, ასეთი კი გავხდი კინალამ შიშისაგან ჯორივით დავიყოყინე, მაგრამ მას აქეთია იმისი არა ფერი გამიგონია,¹⁷ არ ვიცი მოვა თუ არა.

თინათინა.

ფესაჯან! ეგ კარგი შემთხვევა არის, წიგნის პასუხი მისწერე და შენი ქორწილიც შეატყობინე, იქნება აღარც კი მოვიდეს რაკი შენს ქორწილს შეიტყობს.

გალუსტა.

ეჰ, შენ აგრე გგონია, მგონია ჯავრით სულ ემე ჰქნას, გადირიოს.

თინათინა.

ჯანი დავარდეს თუ გადირევა, შენ ძალიან თავი დაგიდვია შენი ნათესავისათვინა, იმას კი აღარა ფიქროფ თუ შენ ეხლა ცოლიანი ხარ და შვილებმა¹⁸ გეყოლება, აბა იფიქრე თუ რამტენს ფულს ხარჯამს შენი დოვლათიდგანა.

გალუსტა.

ეჰ, ფულებიც რო არ უგზავნიდე აქამდის ოცჯერ მოვიდოდა აქა.

თინათინა.

შენ ძალიან გეძნელება იმისი შენგან მოშორება, ალბათ მუქთი ფულები გაქვს მიჰყევ და უგზავნე, რა დიდი რამ უნდა

იმის მოშორებასა, ფოშტით ერთი დათხოვნის წიგნი და იმისი ჯანი.

გალუსტა.

ეგ ძალიან კარგია, მივწერ და იმითი მოვიშორებ რომ მოსვენებით ვიცხოვრო.

დობტური.

მე მაგაზედ თანახმა ვარ, თქვენი სხეულის მდებარეობა მაგას თხოულობს რომ თავისუფლათ იცხოვროთ და ყური მოსვენებით გქონდეთ, თორემ სხვის ბედნიერებისათვის ზრუნვა ძალიან გავნებსთ თქვენა.

თინათინა.

(დობტურს ყურში.) თქვენი ჭირიმე გაუადვილეთ ნათესავის დათხოვნა და თქვენი პატივის ცემა მე ვიცი. (სიძეს.) ფესაჯან! დობტური მართალს ბძანებს აი.

გალუსტა.

შენ აგრე გგონია.

თინათინა.

(გაჯავრებით.) შენ მაგ ფიქრით თავს ივწეფ, თუ შენ გეზარება მე მივწერ წიგნსა.

გალუსტა.

ნუ ჯავრობ ჩემი სიდედრო! ახლა კი ისე ვქნამ როგორც თქვენ გინდათ.

თინათინა.

მაშ ეხლავ აასრულე თორემ მერე დაგავინყდება.

გალუსტა.

ახლავ სოფიო არ მამიკვდება.

თინათინა.

მაშ მე წავალ და მოვემზადები რომ სოფიოს მივეგებო და მალე მოგგვარო (დოხტურს.) ბატონო დოხტურო! არ წა-
მოხდებოდა.

დოხტური.

გიახლებით დიას წავიდეთ, მშვიდობით გალუსტ მინაინ!
(გავლენ.)

გალუსტა.

მშვიდობით.

თინათინა.

(კარებიდან.) სიძეჯან! არ დაგავინყდეს წიგნის მინერა.

გალუსტა.

ეჰ, განა შენ არ იცი მე თუ ვსთქვი რამე კიდევ ავას-
რულებ.

გამოსვლა 4.

მარტო გალუსტა.

(დაჯდება სკამზედ სტოლთან, აიღებს კალამსა და ქალაღდსა) მეტი ღონე არ არის უნდა წიგნმა დავწერო ჩემი ნათესავთანა. (დაფიქრდება დიდხანს და მერე.) ვა! თავი რა უნდა დავინყო რო არ ვიცი, ჩემი ნათესავმა ჩინოვნიკია იმან ფრანტული წიგნი უნდა დავწერო, მაგრამ რა მივწერო. (ველს შემოიკრამს შუბლზედ.) ამ ოხერი თავში კი არაფერი გროვდება და. ეჰ! ჯანი დავარდეს თუ არა გროვდება, არ დავწერამ, (ადგება და გაკვირვებით.) ვა! მერე ჩემი სიდედრი რო თქო დაწერეო მამ არ დავწერო, (ოხრამს.) ოხ.. ოხ.. ოხ.... ეს... ინჩ კრაკი მეჯ ნენგავ,⁶¹ ვაი ჩემი ნათესავი მანუა ინჩ ყოჩალ ტყაე,⁶² ჩემი დოვლათმა რა კარგათ მოიხმარებდა, (დაფიქრდება და მერე გაჯავრებით.) ვა! კიდენ ჭკუა წამივიდა თავიდან, ტო ჩემი ნაქნარი დოვლათი მე ვჭამო, კანც⁶³ სხვას უჭამია, (ამდროს შემოდის ივანიკა.)

გამოსვლა 5.

იგივე და ივანიკა.

ივანიკა.

(ნელის სიცილით.) ალა! ალა! ალა! თავი ქვე მეიკალ სიხარულით თავი.

გალუსტა.

ვა, ტო ახმას! გიჟმა ვარ თავი მოვიკლა, რაზ მიჰქარამ ბიჭო, რა სიხარულით.

61 [სომხ.] – აქ: რა ეშმაკურად მზაკვრობ.

62 [სომხ.] – რა ყოჩალი ბიჭია

63 [სომხ.] – ან, ანდა; აქ: რალა

ივანიკა.

(ტაშს უკრამს.) აბა დოუარე ცეკო სიხარულით, ცეკო შეკაცო.

გალუსტა.

(გაშტერებით უცქერის.)

ივანიკა.

(კიდევ ტაშს უკრამს და ეუბნება.) რა მიმზერ არ იცეკვებ, საცეკვაო ქვე კი გაქვს.

გალუსტა.

(პუბლიკას.) ვა! გიჟვეცავ ეს ანინან.⁶⁴ (ბიჭს.) რა ემეები შვრები ბიჭო.

ივანიკა.

მე ქვე მიხარიან და შენ ქვე არ გეიხარებ.

გალუსტა.

ტო ყურუმსად რა გიხარიან.

ივანიკა.

ქალბატონის მოსვლა.

გალუსტა.

(სიხარულით.) როგორ თუ მოსვლა.

64 [სომხ.] – გაგიჟდა ეს ნყეული.

ივანიკა.

(იქით.) რავა არ ვიცი მე სულელმა¹⁹ რომე, თბილ ქალაქშიდ ქალბატონების მოსვლა.... (აღას.) ალა აპა ქვე არ იცი.

გალუსტა.

რა ბიჭო რა ამბავია თქვი ჩქარა თორემ გულში შემეშინდა.

ივანიკა.

აწი რა მამცემ სამახარობლოს რომ გითხრა.

გალუსტა.

ტო ერთი მითხარ და, თუ კარგი რამეა ერთი წაღები ჩაგაცმევ.

ივანიკა.

აპა დეიფიცე რომე საჩუქარს ქვე არ გამიტეხ.

გალუსტა.

ვა! განა მე მაგისტანა ვინმე ვარ ჩემი ნათქომი გავტეხო, კანჭი მამტყდეს თუ არ აგისრულო.

ივანიკა.

ერთი თუ ორივ.

გალუსტა.

ორივ, ახლა არ იტყვი.

ივანიკა.

(სიხარულით) კი გეტყვი კი, თქუწნი²⁰ სიდედრი ტყუილა წევიდა ქალბატონის მოსაყვანად, დღეს თავად მევიდოდა, წუხელის ცხეთას ქვე ყოფილა.

გალუსტა.

(სიხარულით.) ტო ივანიკა მართლა ამბობ.

ივანიკა.

(მოიხდის ფაფანიკსა და ძირს დაახეთქებს.) ესტე დემეფსოს თავი თუ მართლა არ გეუბნეოდე,²¹ ჩვენი მეზობლის ბიჭმა ქვე მითხრა გუშინ სალამოზედ ერთათ მოვედით ცხეთასო, ჩვენები ქვე წემოვიდენ ლამეო, და შენმა ქალბატონმა თქვა მე მეშინიან ლამე ვერ ვივლიო, გეიხარე აპა ქვე დღეს მოგივა.

გალუსტა.

(სიხარულით.) ოჰ, გენაცვალეთ დღეს ჩემი სოფიო ვნახამ ერთი გულზედ მოვეხვიო, (ბიჭს.) მოიცა ბიჭო აქა, ერთი შევიდე ოთახები დავიარო ურიგოთ არაფერი ეწყოს (გავა.)

გამოსვლა 6.

მარტო ივანიკა.

(პუბლიკისაკენ) უბედური უბედური სულ გედირევა, ოჰ, დედა! დედა! ნეტამც გამზერიათ როცა ქვე ცოლს ეთამაშება, ისტე ძალისად მიიწ მოინევს ხომე მისი ცოლი, დეინვას მისი სული, ვინცალამ ყმანვილი ქალი ბებერს კაცს მისცეს, აპა რას გავს ბეტონო, უმზერ ხომე ჩემს აღას, ცოლი ქვე ეთამაშება მას ქვე სთქვლემს, ისტე გამიანჩხლდება ხომე გული მარა, ეჰ.....

გამოსვლა 7.

იგივე და გალუსტა.

გალუსტა.

(შემოვა და ეტყვის.) ივანიკა შენ გადი კუხნა კარგათ მიაღაგ მოალაგე.

ივანიკა.

კი ბატონო მარა, წაღები ქვე კი არ დაგავინწყდეს თვარა კანჭს ქვე მეიტეხ. (გავა)

გამოსვლა 8.

მარტო გალუსტა.

(სიხარულით) ახ ტერ ასტვან⁶⁵ ერთი დროზედ მიჩვენე ჩემი სოფიო; (დაფიქრებული დადის.) არ ვიცი აბანო როგორ გახდიდა, ვა! რალა ფიქრი უნდა უფრო ლამაზმა გახდებოდა.

გამოსვლა 9.

იგივე და ივანიკა.

ივანიკა.

(შემოვა და ეტყვის) ალა ვინცალა სტუმარი ქვე გენვია თქუცნს²² ნახვას ქვე ნდომობს.²³

გალუსტა.

ვინ სტუმარია ბიჭო, ყელზედ წითელი ხომ არ უკერია.

65 [სომხ.] – უფალო ღმერთო

ივანიკა.

კი ბატონო.

გალუსტა.

სერთუკზედ თეთრი ღილები ხომ არ უკერია.

ივანიკა.

კი ბატონო.

გალუსტა.

ვაი ქუ ტუნ ქანდვი⁶⁶ ივანიკა კარგმა მახარობელმა შენა ხარ, ხომ არ უთხარი თუ შინა ვარ.

ივანიკა.

აჰა მარა ვეტყოდი შეკაცო.

გალუსტა.

ვეტყოდი შინ არარი თქო.

ივანიკა.

იიმე, ტყუილს რავა ვეტყოდი, წნეულს ჩვენმა ხუცესმა ტყუილის თხრობისათვის ბარე ვორი ცალი თებზი გარდამახდევია.

გალუსტა.

(ოხრამს.) ოხ! ოხ! ოხ! ჩემი ნათესავმა არის უთუოთა,

⁶⁶ [სომხ.] – შენი სახლი დაიქცეს.

ვაი რა შხამათ გამიხდა სოფიოს ნახვა. ოხ! ოხ! ოხ!

ივანიკა.

(იქით.) რა სნება შემოედო ვუბედურს რავა ოხრავს.
(ალას.) ალა! აპა შემევიყვანო²⁴ აქანა.

გალუსტა.

(გაშტერებით უცქერის.)

ივანიკა.

რა მიმზერ შეკაცო, შენთან ქვე მევიდა სტუმრათ
ჩემთან ქვე კი არ მოსულა.

გალუსტა.

(ნამოუვლებს სკამს დასარტყმელათ.) ნადი მოიყვანე
ჰერნანიან.⁶⁷

ივანიკა.

რავა წინილაა უშველებელი კაცი ქვეა. (გავა.)

გამოსვლა 10.

მარტო გალუსტა.

უნდა როგორმე მოვახერხო ჩემი ნათესავი არ შეიტყოს
ჩემი ქორწილი.

67 [სომხ.] – აქ: შობელძაღლო

გამოსვლა 11.

იგივე და მანუა.

მანუა.

(შემოვა შეკრება და ეტყვის.) ოჰ, უკაცრაოთ, უთუ-
ოთ თქუცნი²⁵ მსახური შესცდა რომ აქ შემამიყვანა, მე მინ-
და ჩამამხტარვიყავ ბიძაჩემთანა, და იმან აქ შემამიყვანა
თქვენთანა.

გალუსტა.

(იქით.) ველარ მიცნო აი, ექვსი წელიწადია აღარ უნახა-
ვარ, (მანუას.) მანო! ველარ მიცან.

მანუა.

(მივარდება და ჴელზედ აკოცებს.) ოჰ, ძიაჯან შენა ხარ.

გალუსტა.

როგორ ველარ მიცან.

მანუა.

თქვენმა მზემა ველარ გიცან, ახ როგორ გამოცვლილხ-
ართ, ორი წელიწადიც რო გასულიყო სულ ველარ გიცნობდი.

გალუსტა.

ვა! მართლა. (იქით.) ნეტავი ეხლაც სულ ვერ გეცნე.

მანუა.

ძიაჯან გასუქებულხარ, გალამაზებულხარ, გაჯეელებულხარ, ერთის სიტყვით თითქო მეორეთ დაბადებულხარ.

გალუსტა.

მაშ რა გგონია შენა.

მანუა.

თუ შენ აგრე ჰქენი, რამტენსამე ნელს უკან ჩემზედ უფრო ჯაელი გახდები.

გალუსტა.

მადლობელი ვარ ჩემი ღმერთისა რა მიჭირს.

მანუა.

ღმერთმა ნურა გაგიჭიროსრა, აი როგორ კარგია უცოლობა, სულ გამოცვლილხარ.

გალუსტა.

(იქით.) ჯერ ჰალა ვერ მიმხვდარა, (მანუას.) გზაზედ ხომ არ დაიღალე.

მანუა.

არა ძიაჯან! (გაიცინებს.) მე ისევ ის მიკვირს ადრე რა პროსტათ იცვამდი, ეხლა გაფრანტებულხარ.

გალუსტა.

(იქით.) აურიო ეგება ლაპარაკმა. (მანუას.) ოჰ თუ შენთვინ...(ამდროს შემოვარდება ივანიკა.)

ივანიკა.

აღა! აღა! ჩქარა, ჩქარა, წაღები ქვე მიყიდე ქალბატონი მევიდა.

გალუსტა

(შეუტევს.) სუ. (მანუას.) რა ძრიელ ფიქრმა ვშვრებოდი.

ივანიკა

(იქით.) ვაჰ შენს გუნებას თუ არ გეიხარეფ ცოლის მოსვლით.

მანუა.

რას ამბობს ეგ ბიჭი ვინ ქალბატონი მოვიდაო.

გალუსტა.

(მიხედავს ივანიკას გაჯავრებულის სახით და მერე მანუას.) არაფერს, ადრე ვისთანაც ყოფილა მოჯამაგირეთ, იმისი აღის ცოლი სხვაგან იყო წასული, ეხლა მოსულა და იმას მახარებს.

ივანიკა.

(იქით.) ხნორა მოგეცა ხნორა შენ მაგას ეუმბები. (აღას.) აღა! აჰა წაღებს ქვე არ მიყიდი, შენ არ დამპირდი კანჭი ქვე მამტყდესო თუ არ გიყიდოო როცა შენი ქალბა....

გალუსტა.

სუ შე ჰარამზადავ, წადი გიყიდი გიყიდი, (პუბლიკას.)

ხათაე! მე ვმალამ ესა ყვირის.

ივანიკა.

აჰა მე ქვე სხვა რა მინდა, (გადის და პუბლიკას.) ქვე რაცალა კია ამ უბედურის თავს რო ცოლს ასტე მალამს.

მანუა.

ძიაჯან! მოიტა ერთი ბურნუთი მამანევიწე.

გალუსტა.

განა ბურნუთი სწევ შენა.

მანუა.

ხანდახან სხვის კოლოფიდგან.

გალუსტა.

ეჰ, ცუდი რამეა, მე დიდი ხანია ხელი ავიღე ბურნუთის წევისაგან.

მანუა.

ეგეც ახალი ანბავი, ცვლილება ცვლილებაზედ, ერთის სიტყვით ძია სულ შეცვლილხარ, ჯაელობა გინდა თუ ფრანტობა შენ დაგინყვია, ბურნუთის წევისაგან ჯელი აგიღია, აღარც ბებრულათ კრუსუნებ, საწლებიც სულ ახალ მოდურათ მოგირთავს, არ ვიცვი თუ რა ანბავია.

გალუსტა

.(იქით.) მე ჩემი ცოლის ნახვა გულთ მინდა, ეს

ღრამატიკით მელაპარაკება, ერთი დაუფანტო ლაპარაკი გავი-
ცალო, (მანუას) მანო! გზაზედ დაილალებოდი მე ვიცი პური
გეშეიება, ბიჭს დაუძახებ ზაკუსკა მიირთვი. (გასძახებს.) ივან-
იკა.

ივანიკა.

(შემოვა კუხნის კარიდგან.) რას მიბძანებ ბეტონო.

გალუსტა.

წადი სტოლზედ კარგი ზაკუსკა ჰქენი ამისთვის, ეხლა
გამობძანდება და მიირთმევს.

ივანიკა.

კი ბატონო მოვამზადებ მარა, წალები მიყიდე თვარა
კანჭი ქვე მოგტყდება, ან ხო მოგივიდა ცოლ....

გალუსტა.

სუ შე ახმახო გიყიდი, ჩქარა მზათ იყოს.

ივანიკა.

(გავა.)

გალუსტა.

(მანუას.) რო იცოდე რანაირი ფიქრი ვშვრები შენთვის,
ხო კარგათა ცხოვროფ, ადრე მოგენერა მოვალო, რო დაიგვი-
ანე ჯავრით გული ემეს მიშვრებოდა მითამაშებდა, აბა გადი
ზაკუსკა მიირთვი.

მანუა.

ჩემი დაგვიანების მიზეზი ის იყო ბორჯომში მივბრუნ-
დი გზიდგანა²⁶ იქ ზოგი ნაცნობი მყვანდა, ზოგი მეგობარი,
ზოგიც ახლათ გავიცანი და დრო გავატარე.

გალუსტა.

პლუტო! პლუტო! ქალები ეთამაშებოდი განა.

მანუა.

არა ძია, მაგრამ ბორჯომში იმტელს ქალებში ორი ქალი
მამეწონა ორივე გაუთხოვრები იყვნენ, ერთს იმათგანს ქუთაისს
უნდა წასვლა და მე მთხოვა რომ ერთათ წავსულიყავით პირო-
ბაც მივეცი, ძალიან კარგი კამპანიონკა ვიშოვნე გზაზედა.
გთხოვ ძია დიდ ხანს არ დამაყენო აქა რომ იმასთან მგზავ-
რობას არ დავსცდე, ისინიც უნდა მოსულიყვნენ და არ ვიცი
მოვიდნენ თუ არა.

გალუსტა.

ჰაი, პლუტო! გაუარშიკდი იმ ქალსა განა, გინდა ცო-
ლათ შეირთე. მე რათ დაგაგვიანებ როცა შენი ნება იყოს მაშინ
ნადი, ჩემთვის დიდი სასიამოვნოა შენი ბევრს ხანს²⁷ აქ ყოფნა,
მაგრამ შენ იცი. (იქით.) ის კი არ იცის თუ მე უფრო მეჩქარება
ამისი გაცლა.

მანუა.

როცა თქვენ მიბძანებთ მაშინ წავალ, მე თქვენს წი-
ნაალმდეგს ვერა ვიქ.

გალუსტა.

ერთი რადროს ცერემონია[ა], თუ გინდა ამაღამვე წადი.

ივანიკა.

(შემოვა კუხნის კარიდგან და გალუსტას.) ალა! ზაკუსკა ქვე მზათ არი.

გალუსტა.

(მანუას.) მანო! გადი შეექეცი.

მანუა.

(გადის.)

გალუსტა.

(ბიჭს.)

აქ მოდი, (მოიყვანს წინა და ჩუმათ.) მაგას არა გააგე-ბინორა აი.²⁸

ივანიკა.

კი ბატონო,²⁹ მარა შენც წაღები ქვე არ დაგავინყდეს თვარა კანჭ ქვე მეიტებ.

გალუსტა.

ვა! ხათაე გიყიდი არ დამაცდი ბაზარში გავიდე.

ივანიკა.

(მიმავალი იქით.) ქვე არ დაგაცალა ღმერთმა თუ არ მიყიდო.

გამოსვლა 12.

მარტო **გალუსტა**.

ჩემი ნათესავი დაღალულია ეხლა ზაკუსკა სჭამს, და მერე დაიძინებს, მანამ მე ჩემი სიდედრუა და ცოლი გავაფთხილებ არაფერი გააგებინონ იმასა. (გაიხედავს.) ვა! ისინი აგერ აქ მოდიან.

გამოსვლა 13.

იგივე, სოფიო, თინათინ და კეკელა.

(გააღებენ მარცხნივ კარებსა და შემოდიან.)

სოფიო.

(ქმარს.) გალუსტ მინაიჩ! ასე ჩქარა არ მოგველოდი განა.

გალუსტა.

(სიყვარულით.) ბას ვილას მოველოდი თუ შენ არა, ჩემი გულის ვარდო, შვიდობა შენი მობძანება სოფიოჯან! (მივა და უნდა მოეხვიოს.)

ივანიკა.

(გააღებს უეცრათ შუა კარსა და დაუძახებს.) ალა მევ-

იდა შენი ნათესავი.

გალუსტა.

(უეცრათ უკან დადგება.) ღმერთმა დაგწყევლოთ შენცა და იმანაცა.

ივანიკა.

აღარ მოდის უკან ქვე წევიდა. ალა! წაღები მიყიდე თვარა კანჭი ქვე მოგტყდება. (წავა.)

სოფიო.

რა ნათესავს ამბობს!

გალუსტა.

დაბლა თქვი, დაბლა არ გაიგონოს, ჩემი ნათესავი მოვიდა. ეგება როგორმე გავიცალო, თქვენც თავი არ გამოამცნაუროთ, (სიხარულით.) ხომ კარგათ გაატარეთ ბორჯომში დრო?

კეკელა.

ოჰ. ძალიან კარგათ, უნდა გეცქირა სოფიო უქრმო ეგონათ და რამტელი საქრმო გამოუჩნდა, მოციქული მოციქულზედ მოდიოდა არ გათხოვდებაო.

გალუსტა.

მე ვიცი ჩემი სოფიო არავიზედ გამცვლიდა.

სოფიო.

დრო კარგათ გავატარეთ მაგრამ ერთისათვისა³⁰ ვსწუხ-

დი.³¹

გალუსტა.

ვა! სანუხარი რა გქონდა, ფულები გინდოდა კიდევ მამ-
ნერდი და რაერთიც გინდოდა წაალებინებდი. ვა! ეს ტიელი
შენთვის არ მინდა.

სოფიო.

არა ფულების საქმე არ იყო.

თინათინა.

არა სიძეჯან! შენ რომ იქ არა ჰყვანდი იმისთვის უმნუხ-
არნია, ხომ მოგეხსენებათ საყვარელი ცოლ-ქრმის მოშორება
ძნელია.

გალუსტა.

აჲ... ვენაცვალე სოფიოჯან შენი ყრმიზი ლოყები!

თინათინა.

ფესაჯან! რატომ არ მიესალმები შენი სოფიოსა, ამტე-
ლი ხანი პაჩი არ მოგინდა.

გალუსტა.

როგორ არ მამინდა მაგრამ სოფიო.....

სოფიო.

(გაუცინებს და გვერდზედ გადმოხედავს.)

ივანიკა.

გაალებს შუა კარსა და ჩუმათ იცქირება.)

გალუსტა.

(ყელს უწევს.) სოფიოჯან! ქუ მატად⁶⁸ მე. მე. მე. მე.
(წინ მიიწევს.)

სოფიო.

(დაღვრემილის სახით გადმოხედავს.)

გალუსტა.

(უკან იწევს.)

ივანიკა.

(პუბლიკას.) უბედური უბედური რავა შიშობს. უკან ქვე
იწევს. ახ, ახ ნეტამც..... მე.....

სოფიო.

გალუსტ მინაიჩ! უკან რათ იწევ.

გალუსტა.

(შემკრთალი.) რავიცი შენ როგორღაც ბრუნდეთ გადმამხედე
და შემეშინდა.

თინათინ.

მიდი სიძე, მიდი, ნუ გეშინიან.

68 [სომხ.] – შენ გენაცვალე.

გალუსტა.

(მიიწვევს ხვნეშით.) ჰ. ჰ. ჰ. ქუ მატალ⁶⁹ სოფიოჯან! მოდი ერთი პაჩი გიყო (რო უნდა მოეხვიოს.)

ივანიკა.

აღა მევიდა ნათესავი.

გალუსტა.

(მოშორდება უეცრათ.) აი ასტვან ანიწი ქიზელუ სრანელ.⁷⁰

ივანიკა.

არა ისევ უკან წევიდა, აღა! წალები ქვე მიყიდე თვარა კანჭი ქვე მოგტყდება.

გალუსტა.

(გამოუდგება.) ტო ჰერნანიწან ხათე,⁷¹ არ მამშორდები, გიყიდი შე ოჯახ დაქცეულო.

ივანიკა.

(გაექცევა.)

სოფიო.

ამალამ ხომ სპალნაში შემობძანდები.

69 [სომხ.] – შენ გენაცვალე.

70 [სომხ.] – ღმერთმა დაგწყევლოს მაგისტვის.

71 [სომხ.] – აქ: მობელძაღლო, ხათაბალაა.

გალუსტა.

ბას კარგი ჩემი გულის სიცოცხლევ ეხლა თქვენ წადით და მე ერთი ჩემი ნათესავი გავიცლი, იმისი გზა დაიშალოს როგორც ჩემი პაჩი დაშალა.

სოფიო.

(გადის და ქმარს.) მშვიდობით შენი ჭირიმე გალუსტ მინაიჩ! მშვიდობით. (გავა და თან გაჰყვებიან თინათინა და კეკელა.)

გამოსვლა. 14.

გალუსტა და მერე მანუა.

გალუსტა.

(პუბლიკას.) ამისთანა კარგი გულით თავისი დღეში არა ყოფილა ჩემთანა, როგორ მეფერება. (გახედავს ფანჯარაში). მშვიდობით ჩემი გულის ანგელოზო! მშვიდობით. (ჰკოცნის სცენიდან.) მნა. მნა, მნ, მნ, ნ, ნ, ნ, აააჰ.

მანუა.

(შემოვა უეცრათ და ბიძას.) რა იყო ძია, რას შვრებოდნი მაგასა.

გალუსტა.

(შეშინებული.) მეე.... არა ფერ.... სა.

მანუა.

ოჰ. ძია კაი პოვარი გყოლია, კარგი ზაკუსკა მამიტანა.

გალუსტა.

(იქით.) ოჰ, როგორ შემეშინდა.

მანუა.

ძიაჯან! აბა ახლა შენი სახლები და ბაღჩა დამატარე
ვნახო.

გალუსტა.

რადროს ეგ არის, ჯავრით აღარა ვარ.

მანუა.

საჯავრელი რა გაქვს.

გალუსტა.

მეტი რა ჯავრი უნდა, ქუთაისში მდიდარი ურიას ჩემი
რვაასი თუმანი რო ემართა იმან გაკუტრებულა, ეხლა წიგნი
მივიღე უნდა წავიდე როგორმე გავისალო.

მანუა.

ძიაჯან! შენ რათ წახვალ მე აქ არა ვარ.

გალუსტა.

შენ ჯერ აქა რჩები, და წასვლა ეხლა უნდა.

მანუა.

ემ მინუტში წავალ.

გალუსტა.

მართლა ქუ მატალ,⁷² (პუბლიკას.) რა მორჩილი ნათესავი მყავს. ერთი გავიცალო აქედან, მერე იქ სხვა წიგნი მივადევნებ და მოვიშორებ. (მანუას.) ბას ერთი ორიოდ რიგი წიგნი დავწერამ წაიღე და წადი.

მანუა.

ძალიან კარგი იქნება.

ივანიკა.

(შემოვა მარჯვნივ კარიდან ჳელში ზონტიკი და მანტელია უჭირამს და გააქვს მარცხნივ კარით.

მანუა.

ძია! ბიჭს რო ზონტიკი და მანტელია მიაქვს, ვისია?

გალუსტა.

(მიხედავს და იქით გაჯავრებით.) ახ ტერ ასტვან ეს რა ახმახია. (შემკრთალი.) რა... ეგენი არავისი, გუშინ ერთი ჩემი მეგობრის ნათესავმა ქალებმა ჩამოიარეს და ჩემთან ჩამოხტნენ იმათია, ხვალ ისევ წავლენ.

მანუა.

მაშ რატომ არ მითხარი თუ აქ ქალები გყვანდნენ სტუმრათა.

გალუსტა.

72 [სომხ.] – შენ გენაცვალე.

აღარ მამაგონდა, (დაუკარგამს ლაპარაკსა.) ეხლავე³²
შემოგიტან წიგნსა და წადი. (გავა.)

მანუა.

(მარტო დადის დაფიქრებული მერე გამოსწევს კამოდის ყუთსა და შეკრთომით.) ამას რას ვხედავ ქალის ჴელსაქმე, ეი ბიძიავ! ბიძიავ! აქ რაღაც ამბავია. წელან ქალის ტანისამოსი შემოატარეს, ამ კამოდშიაც ქალის ჴელსაქმე აწყვია, ბიძაჩემიც როგორღაც გადაკვრით ლაპარაკობს, უთუოთ ამბავია რამე, ურიის გაკუტრებაც განგებ მოიგონა რომ უნდა გამგზავნოს და აქედან მამიშოროს, აი გიდი ბებერო კუდიანო. როგორ მატყუებს.

გამოსვლა 15.

იგივე და კეკელა.

კეკელა.

(შემოდის და კულისაში ლაპარაკობს.) ერთი ვიღაც ნათესავია თუ თვალით არა ვნახე არ იქნება, ისეთი ვინ არის რო ყველას ასეთს შიშს ქვეშ გვაგდებს.

მანუა.

ერთი ამ სახლებში ჩუმათ თუ არ დავათვარიელე და ეს დაფარული საქმე არ გავიგე არ იქნება. (გადის კარებში და ორნივ ერთმანერთს პირდაპირ შეხვდებიან.)

კეკელა.

(შეკრთება.) ახ!

მანუა.

(შეკრთომით.) ამას რას ვხედავ.

კეკელა.

ყმანვილო თქვენ აქ საიდან მოსულხართ?

მანუა.

ვლმნიფავ თქვენ ბრძანდებით! საიდან იცნობთ³³ ბი-
ძაჩემსა.

კეკელა.

(შეკრთომით.) თქვენი ბიძაა, იმისი ნათესავი ხართ.

მანუა.

ოჰ! რა კარგს დროს შემხვდით, უკაცრაოთ თუ არ ვიყ-
ოთ ბორჯომში თქვენთან რომ ქალი იყო, ის ვინ არის, რადგა-
ნაც³⁴ თქვენ აქ ჩამომხტარხართ უთუოთ ისიც აქ იქნება.

კეკელა.

არა ყმანვილო! აქ არ გახლავთ, იმან თქვენ აკი გითხ-
რათ რომ ქუთაისს ვაპირობ³⁵ წასვლასაო.

მანუა.

დიხს ვლმნიფავ! მითხრა, თუ უკაცრაოთ არ ვიყოთ
მითხარით თქვენს გაზდასა, საიდან იცნობთ³⁶ ბიძაჩემსა, ნათე-
სავი ხომ არა ხართ იმისი, ან დიდს ხანს დარჩებით აქა?

კეკელა.

პო. დიას. (დაყოყმდება.) არა მგზავრათ ჩამოვხტი მალე
ნავალ.

მანუა.

(იქით.) აქაც რალაც არის დაფარული ვერა გამიგიარა.

გამოსვლა 16.

იგინივე და დოსტური.

დოსტური.

(შემოვა შუა კარიდან და კეკელას.) მამილოცამს,
ჴელმნიფავ თქვენი მშვიდობით დაბრუნება, როგორა რა მთლი-
ანათ მოიარეთ თბილი წყალი, უფალმა გალუსტ მინაიჩმა დი-
დათ დამავალა იმისი ცოლი მენახა წყლიდგან მოსვლის ჟამსა,
ხომ მშვიდობით ბრძანდება.

მანუა.

(გაკვირვებით.) რაო ცოლი?

დოსტური.

დიას ცოლი.

კეკელა.

(იქით.) ნავიდე ძალუა გავაფთხილო თორემ ვინ იცის
რა მოხდეს.

მანუა.

განა ბიძიამ ცოლი შეირთო?

დობტური.

(იქით.) ახ! იმისი ნათესავი ყოფილა, ოხ თუ რა ბრიყვი ვარ.

მანუა.

(გაჯავრებით.) ეს რა ცეცხლია, ეს რა უღთობაა, ცოლს ირთამს და არ მატყობინებს, თავის აღთქმასა ჰსტეხს და უბედურათა მხდის, ეს რა ანბავია, მე ამას ვერ მოვითმენ.

დობტური.

(იქით.) ეგება დავამშვიდო როგორმე (მანუას.) ყმანვილო! ნუ სწუხართ, იქნება თქუწნთვს³⁷ საზიანო არ იყოს.

მანუა.

თქვენ იმის მეგობარსა ჰგევხართ თქვენ გეცოდინებათ, დიდი ხანია დაქორწილდა ბიძაჩემი?

დობტური.

არა, მე იმისი დობტური ვარ.

მანუა.

ერთი და იგივეა,³⁸ ერთი მიბძანეთ! ვინ შეაცდინა ის ცოლის შერთვაზედა, უთუოთ მოხუცებულობის გამო შეაცდენდა ვინმე თორემ ის ცოლს არ შეირთავდა.³⁹

დობტური.

მე დიდი ხანია ჩემი თავი გავკანონე, რომ არას გზით

არ გავერევი ცოლ ქმრობის საქმეში, მამიტვეთ ავათ მყოფნი მელიან უნდა გიახლოთ. (გადის.)

მანუა.

(აყენებს.)⁴⁰ ეს მაინც მითხარით ის ქალი ვინ არის აქ რომ იყო.

დობტური.

განგიმეორებთ⁴¹ მე არ ვერევი.... ამას ჰკითხეთ და ეს გეტყვით ყველასა.

მანუა.

ვინ მეტყვის. (შემოდის თინათინა.)

დობტური.

(მიმავალი პუბლიკისკენ.) თავშიამც ქვა უხლიათ როგორც უნდა გაშველდნენ, ჩემი საქმეა რეცეფთი დავსწერო⁴² ფულები ავილო, მოკვდება თუ მორჩება დარდი არა მაქვს. (გავა შუა კარით.)

გამოსვლა 17.

მანუა და თინათინა.

მანუა.

(პუბლიკისკენ.) იქნება ეს ანბავი მართალი იყოს, იმას კი ჰგავს და, (თინათინას.) ბატონო რამწამს შემოგხედეთ მაშინვე ვიგრძნე.

თინათინა.

რომ ბიძაშენი ცოლი შეირთო, დიახ მართალია, თუ ჩემთვის⁴³ გაეგონებინა აქამდინაც უნდა ეცნობებინა თქვენთვისა.

მანუა.

(იქით.) დობტურმა მართალი ჰსთქვა, ეს ჩემთვის საზიანო არ არის.

თინათინა.

ბიძაშენს თქვენ ძალიან უყვარხართ, მე მგონია რომ იმან თქვენთვის არა დაუშავებიარა სიკეთის მეტი.

მანუა.

არაფერი მე მაძლობელი ვარ, მეც ჩემის მხრით ვეცდები ძალოჯან რომ ყოველთვის იმასაცა და თქვენც გასიამოვნოთ.

თინათინა.

(იქით.) თავისი ძალუა ვგონივარ ამ ტუტუცსა.

მანუა.

(იქით.) მე ბიძაჩემს ვაქებ⁴⁴ ამ შემთხვევაში, ამისთვის რომ თავსი⁴⁵ შესაფერი ცოლი შეურთავს, სანამ ცოცხალია კარგათ მოუვლის, და როცა მოკვდება ეს როგორ წამართმევს ნასლედნიკობასა.

გამოსვლა 18.

იგნივე და გალუსტა.

გალუსტა.

(შემოვა ჯელში წიგნი უჭირამს. და მანუას) მანოჯან! აი ეს წიგნი, ვექსილმაც შიგ არის, წაიღე და ეცადე გაასაღო (სიდ-ედრს დაინახავს და პუბლიკისაკენ გაჯავრებით.) ტერ ასტვან, ჩემი სიდედრმა აქ არის.

მანუა.

(ამოოხვრით.) ერთი ჯელი⁴⁶ მიბოძე ძია, მინდა გაკოცო.

გალუსტა.

(აძლევს ჯელსა.) აჰა ჯელი⁴⁷ მანოჯან, მაგრამ აგრე გულ დამწვარმა რათ ლაპარაკობ.

მანუა.

(ცოტა იქით მიიყვანს და დაბლა.) მე წელანვე შევიტყე შენი შემთხვევა.

გალუსტა.

(შეშფოთებით.) ვა! განა რა მამსვლია.

მანუა.

ჰო.... მე ვიცი.

თინათინა.

(იქით.) ახ! ნეტავი ჩემი სიძემ პირში არ გამამტყუნოს.

მანუა.

აბა ძია კაი გულითა გკითხავ, მითხარი ბედნიერთა სცხოვრებ შემდეგ მისა თუ არა?

გალუსტა.

ვა! განა შენ არ იცი მე ჯავრი და მწუხარება არა მიყვარს, და ანკი რა სამწუხარო მექნება უცოლშვილო კაცსა.

მანუა.

ცოლიანი რო იყო?

გალუსტა.

ახ, ტერ ასტვან⁷³ ვინ უთხრა. (გადახედავს სიდედრსა და გაჯავრებით.) ჰაი ქოფაკ.

მანუა.

ძიაჯან! არა უშავსრა, მე რათ მერიდები და მიმაღავ, კაი ფარდნი⁴⁸ შეყრილხართ ცოლქრმათა, ცოდოა ვინც თქვენ გაგამტყუნებთ.⁴⁹

გალუსტა.

(იქით.) სრა გლხი არიუ გიდენა⁷⁴ სწორეთ⁵⁰ გაუგია ჰა. (მანუას.) მანოჯან! კარგი ფარდი არა ვართ, ჩემი მცნობები კი მძრახამენ, არა ხართო.

მანუა.

73 [სომხ.] – უფალო ღმერთო.

74 [სომხ.] – აქ: თავში ხო მარ გიქრის.

ერთით ეგეც მართალი უთქვავთ, შენ ჯეელი ხარ შენს⁵¹
ცოლზედა.

გალუსტა.

(იქით.) გული დაუმშვიდო⁵² (მანუას.) ეჰ, რაც უნდა
ჯეელი ვიყო მაინც ნასლედნიკმა არ მეყოლება.

თინათინა.

რო ათასი თქვა გეყოლება. არამც თუ ერთი და ორი,
ოთხიცა.

ივანიკა.

(უეცრათ შუა კარს გააღებს და დაუძახებს.) კი, კი, შე
ნუ მოუკვდები ჩემს თავს ქალბატონი დედა, ბარე ვოთხი ლუ-
ნიც ვოთხი.

გალუსტა.

(მიხედავს.) ეს ინჩ კრაკე.⁷⁵

ივანიკა.

აღა ქალბატონმა დეიძინა და დეიბარა, კარები არავინ
დაარახუნოსო, ანი არ დააფაჩუნო თვარა გეილვიძებს და მის
დღეჩიდ აღარ მიგიშვებს ახლოს.

გალუსტა.

(თან ნათესავს უცქერის თან ივანიკას და ეტყვის.) სუ

75 [სომხ.] – ეს რა ცეცხლია.

შე კვდარ ოხერო!⁵³

ივანიკა.

ანი მე მივალ მარა, წაღების ყიდვა არ დაგავინყდეს თვარა კანჭი ქვე მოგტყდება. (გავა.)

მანუა.

ძიაჯან⁵⁴ რა ქალბატონს ამბობდა.

გალუსტა.

(აჩვენებს სიდედრზედ.) ეს ვერ დაინახა და ოთახის კარები რომ გამოხურული უნახამს მძინარე ჰგონებია და იმას ამბობდა. (იქით.) ამ ტუტუცი იმერლისგან რამტელი ქირში უნდა ვიყო, ეს ეხლაც მოვრჩი მერე რო კიდენ თქოს რამე, დასწყევლოს ღმერთმა ეზ რა ხათა ავიტეხე.

გამოსვლა 19.

იგინივე და დობტური.

დობტური.

(შემოვა შუა კარით.) გალუსტ მინაირ! თქვენი ცოლი კიდევ მიზეზიანობს.

გალუსტა.

(იქით.) ეს რა ბრიყვი დობტურია. (დობტურს.) ერთი რას ბძანებთ. (აჩვენებს სიდედრზედ.) აბა შეხედე ვაშლივით წითელი ლოყები აქვს.

დობტური.

ამას, რა საკურველია აქვს და არცარა ჰსტკივარა, მაგრამ თქვენი ცოლი კი საჭიროებს ექიმის წამალსა.

თინათინა.(ჩუმად პირზედ ჴელს მიაფარებს.) გაჩუმდი თუ ღმერთი გნამს აქ დაფარული საქმე გვაქვს.

დობტური.

ჰო... ეგ სხვა საქმეა. (იქით.) მგონია კიდეც დავროხე.

გალუსტა.

მანოჯან! აი ეს წიგნი აბა წადი.

მანუა.

ძია! გინდა წავიდე.

გალუსტა.

მაშ ვა! იმტელი ფულმა დაეკარგოთ, შენი ჩამადანი ჩალაგებულია და ყველა მზათა გაქვს, შენ იცი როგორც რომ ეცდები.

მანუა.

კარგი ძიაჯან! ეხლავ წავალ. (გადის და პუბლიკას) ამათ უნდათ დამთესონ, აქ რალაც ანბავია,⁵⁵ მაინც არ წავალ და სუყველას გავიგებ⁵⁶ რაც უნდა მამივიდოდეს. (გავა და გა-ჰყვებიან დობტური და თინათინა.)

გამოსვლა 20.

გალუსტა და მერე სოფიო.

გალუსტა.

ოჰ. ოჰ. ოჰ. ძლივს კიდენ არ გადავრჩი, ოჰ, ჩემი სოფიოჯან! ერთი გნახო ჩემი თაიგულო. (ამდროს შემოვა სოფიო.)

სოფიო.

ოჰ. გალუსტ მინაირ მარტო ხარ, ნათესავი გაისტუმრე.

გალუსტა.

გავისტუმრე, ფეხი მოსტყდეს იმანა, იმტელი არ დამაცალა ერთი პაჩი მექნა შენთვინა.

სოფიო.

აი ეხლა.....

გალუსტა.

მოდი ჩემი სამოთხის ყვავილო! ჩემი გულის ემევე, ვარდო! მოდი პაჩი გიყო, შენ კი გენაცვალოს შენი გალუსტ მინაირი, (უნდა მოეხვიოს.)

ივანიკა.

შემოადლებს კარსა და დაუყვირებს.) ალა მევიდა ნათესავი.

გალუსტა.

(უკუ დგება და მიხედავს.) ოჰ, ჩემი პური შხამი გახდეს შენი და იმისი მუცელში როგორც ჩემთვის ერთი პაჩი შხამი გახადეთ.

ივანიკა.

არა ისევ გებრუნდა მარა, წაღები მიყიდე თვარა კანჭი ქვე მოგტყდება. (წავა.)

სოფიო.

მაშ გავალ არ მოვიდეს.

გალუსტა.

(ყელს უწევს.) ქუ მატალ⁷⁶ სოფიოჯან! ცოტა ხანი კიდეც იყავ ერთი შენი ცქერით გული ემე ვქნა, გავახარო.

სოფიო.

(გაჯავრებით.) რათ იცით ქრმებმა აგრე მიცივება, რო დრო იყოს ხომ....

გალუსტა.

(უკან დადგება.) აი, შენი ჭირიმე ვინ რამე ამბობს, როგორც შენ გნებამს.⁵⁷

სოფიო.

გეხუმრებოდი, მოდი, მოდი.

⁷⁶[სომხ.] – შენ გენაცვალე.

გალუსტა.

(სიხარულით.) ჰ... ჰ... ჰ... მართლა გეთაყვანე (ინმენდს უღვაშებსა და ტუჩებს.) ბას აბა პაჩი გიყო ჩემი გულის ვარდო. (მიიწეეს ახლო მისასვლელათ.)

გამოსვლა 21.

იგინივე და კეკელა.

კეკელა.

(შემოვარდება უეცრათ მარჯვნივ კარით და სოფიოს.) სოფიო! სოფიო! (გალუსტას.) გალუსტ მინაიჩ! სოფიო აქ არის?

გალუსტა.

(პუბლიკისკენ.) ახლა ეს გაჩნდა, ამისი ხმა ჩაწყდეს თუ ერთი პაჩი დაეცლია.⁵⁸ (კეკელას.) აქ არის, რა გინდა რას მორბიხარ?

კეკელა.

ბაღჩაში დავსეირნობდი⁵⁹ და შენი ნათესავი იქ შემოვიდა, დავინახე თუ არა მაშინვე აქეთ გამოვიქეცე, აქ კი არ შემამყვეს თანა.

გალუსტა.

რას დარბოდი ბაღჩაში რომ ერთი მინუტი სახლში არ დადგები. (ორივეს.) დაიმალენით გეთაყვანეთ აქ არ შემოვიდეს და არა გნახოთ, მე გავალ ეგება გავიცალო ის შეჩვენებული. (გადის და გაჯავრებით) დამაცადოს სანამ ტროიკაში ჩემი ჯელით არ ჩავსვამ⁶⁰ კი აღარ მოვეშვები ჰა. (გავა.)

გამოსვლა 22

სოფიო და კეკელა.

სოფიო.

კეკე! ნავიდეთ აქედანა.

კეკელა.

რათ ნავიდეთ რისა გეშინიან, გალუსტ მინაიჩი იმას ხომ აქ არ შემოუშვებს.

სოფიო.

რათ ეჩვენე იმ ყმანვილსა?

კეკელა.

რა ვიცოდი თუ იქ შემოვიდოდა მთელი დღე ხომ შინ ვერ ვიჯდებოდი ტუსალივითა, ბალჩაში შეველ სასეიროთა და ისიც იქ შემოვიდა, მე ერთითაც მიკვირს, რათ უმაღავთ⁶¹ იმ ყმანვილსა თქვენს საქმესა, და ან რათა გსურთ იმისი თქვენგან განშორება.⁶²

სოფიო.

რავქნა, თუ ჩემს ქმარს არ უნდა იმისი აქ ყოფნა.

კეკელა.

შენ ეტყოდი რომ ჩვენ ის ბორჯომში გავიცანით.

სოფიო.

(შემკრთალი.) სუ. სუ. სუ. რას ამბობ, მაგას როგორ ვიტყვი, მაშინ რა ვიცოდი თუ ნათესავი იყო ჩემი ქრმისა, შენი ჭირიმე არც შენა ჰსთქვა თორემ ყელს გამამჭრი.

კეკელა.

ვითომ⁶³ რათაო, რა ურიგო ყმანვილია რომ იმასთან გაცნობა სირცხვილი იყოს, გავაგებინოთ⁶⁴ იქნება მაშინ აღარ გაგზავნოს გალუსტ მინაიჩმა და აქ დარჩეს, ოჰ, თუ რა მოხარული ვიქნები ის ყმანვილი რომ აქ დარჩეს. მე ძალიან მამწონს!

სოფიო.

მე როგორც ვხედავ⁶⁵ იმას შენი გული მიუზიდავს.

კეკელა.

(ამოოხვრით.) ძალიან, მეც როგორც ვატყოვ იმასაც უყვარვარ.

სოფიო.

ეჰ, ტყუილს ამბობ.

კეკელა.

როგორ ტყუილს ვანბობ,⁶⁶ განა ვერ შეატყე ბორჯომში როგორ გრძნობით მელაპარაკებოდა. შენც კი გეარშიყებოდა ქალო. (ამოოხვრით) მაგრამ ეჰ, იმისი წასვლით გული მე დამეკოდება თორე შენთვის სულ ერთია ქრმიანი ხარ, ოჰ! თუ რა ბედნიერება იქნება ჩემთვისა რომ ის აქ დარჩეს.

სოფიო.

კეკე! თუ ღმერთი გნამს ეგ ჰაზრი მოიშორე შენგანა.

კეკელა.

ვითომ რათაო, არამც თუ დღე, ღამე სიზმარშიაც კი ის ყმანვილი მაგონდება და სულ იმასთანა ვარ.

სოფიო.

რას ამბობ ქალო! როგორც ვხედავ ის ვაჟი შენთვის მოგინდომებია.

კეკელა.

რატომაო, ვითომ რა სანუნარია, სოფიო ოხ! ნეტავი კი მოხდებოდეს ჩემი იმასთან....

სოფიო.

ქალო როგორ შეიძლება აგერ ის დღეს მიდის.

კეკელა.

(მიიხედავს შუა კარისკენ.) ოხ! ღმერთო ჩემო ის არის.

სოფიო

.(იქით.) ახ! რა მახეში გავები.

გამოსვლა 23.

იგინივე და მანუა.

მანუა.

(შევა.) ამას რას ვხედავ, თქვენ აქა ბძანდებით
ჯელმნიფავ! მაშ თქვენ ორივემ მამატყუეთ.

კეკელა.

რა იქნა გალუსტ მინაიჩი?

მანუა.

(სიცილით.) დაჭერილია.

სოფიო.

როგორ თუ დაჭერილია.

მანუა.

შიგნით ოთახში შევიდა რილასთვინაცა, მე თქვენი ხმა
შემამესმა, მიველ კარები დაუკეტე და აქ შემოველ.

სოფიო.

(კეკეს.) კეკე, კეკე, წავიდეთ ჩქარა გეთაყვანე.

მანუა.

არა ჯელმნიფავ! (სიცილით.) თქვენ ჩემის ჯელიდგან
ვერ წახვალთ, მეორეთ ველარ მამატყუებთ, მე თქვენ ეხლა
ქუთაისს მეგონეთ და ისევ აქ გხედავთ, ერთი მიბძანეთ თქვენი
ჭირიმე რომლის მიზეზითა ხართ აქა!

სოფიო.

გინდათ შეიტყოთ.

მანუა.

ოხ! ჴელმწიფავ! დიდათ მსურს, და უეჭველად⁶⁷ იმედი მაქვს შემატყობინოთ.

კეკელა.

(იქით.) იმასთან ლაპარაკს მე მელაპარაკოს რომ უქრმო ვარ.

სოფიო.

კეკე! გეთაყვანე წადი გალუსტ მინაიჩს კარი გაულე, მე არ მიყვარს მაგისტანა ხუმრობა.

კეკელა.

გეშინიან რომ არ შესწუხდეს.

მანუა.

ჰო, ჰო, ჴელმწიფავ! კარი გაულეთ ბიძაჩემსა. ოჰ! მგონია ასეთი კი გაჯავრდეს ჩემზედა.

კეკელა.

ბატონი ბძანდები (მიმავალი გულ დაკლებით.) მე თითქო ამათში მეტი ვიყო ისე მითხოვენ. (სოფიოზედ.) ამ ქალბატონს ქმარი ხო ჰყავს, უნდა სხვასაც ეკუთქუროს და მე ჩემს საყვარელთან არცკი მალაპარაკოს. (გავა.)

გამოსვლა 24.

ივანიკა, მანუა და სოფიო.

ივანიკა.

(კარს შემოაღებს და პუბლიკას.) აპა ბეტონებო ნეტამც გამზერიათ ჩემი აღისათვინ, ვინცაღა გაცვეთილს დოუმწყდევია ოთახშიდ კარი დოუკლეტია, და ისტე გულ დაფსობილი კივის რავარც დაგლეჯილი მგელი. (გააჯავრებს.) ვა! მამავ, ეზ რა ბიაბრუობაა, ერთი გამიღეთ მამა გიცხონდებათ. (გავა.)

მანუა.

ახლა მარტო ვართ აბა მინაბეთ თქვენი ანბავი.

სოფიო.

მე გთხოვთ მონყალეო ჴემნიფევ დამიტეოთ თავისუფლათა, ნუ თუ ილაპარაკოთ ჩემთანა, პირის პირსაც ნუ შემამხედავთ.⁶⁸

მანუა.

როგორა? თქვენ გსურთ მომაკლოთ სიამოვნებასა და ველარ გხედავდეთ, რათ ინებებ⁶⁹ მაგას ჴელმნიფავ,⁷⁰ მორიდება რათა გსურთ, უთუოთ თქვენი ნათესავნი მცნაურნი ყოფილან ბიძაჩემისა რომ თქვენ აქ ჩამამხტარხართ, და ამითი ჩვენზედ ეჭვს ვერავინ მოიტანს, მე დიდათ მსურს თუ გამაბედნიერებთ. (ახლო მიინევს.) განგიცხადოთ.....

სოფიო.

ოხ! ყმანვილო რათა გსურს მიმამთხვიოთ უბედურებასა.

მანუა.

როგორ უბედურებასა, მე, მე, მე უნდა მიგამთხვიოთ თქვენ უბედურებასა, მაშინ როდესაც მზათა ვარ თქვენთვის მსხვერპლად შევინირო.

სოფიო.

ბიძაშენს ჩემზედ არა უთხრარა შენს გაზდასა თორემ (დაყოყმდება) ოჰ!..... იმას ძალიან უყვარხართ და მეც ალერსიანათ მექცევა.

მანუა.

როგორ თუ ალერსიანათ გექცევა, რომლის მიზეზით?

სოფიო.

რომლის მიზეზითაც უნდა იყოს, ის ასეთი ტკბილი კაცია რომ ერთის სიტყვით ჩემი ცხოვრება იმის ჯელთ ანდვია.

მანუა.

(იქით გაკვირვებით.) ეს რა მესმის, ამისი ცხოვრება იმის ჯელთ ანდვია, (სოფიოს.) რა არის მერე აგრეთი თქვენში.

სოფიო.

ნუ მკითხავთ⁷¹ ვერაფერს გეტყვით, და მასთანავე გთხოვთ, თუ გაქვსთ ჩემი მცირედი ხათრი, ეხლავე წადით სადაც მიდიოდით რომ მე თქვენ ამის მეტათ აღარა განახოთ ჩემთანა, და ეს ნახვა უნდა იყოს პირველი და უკანასკნელი.

მანუა.

(გაკვირვებით.) პირველი და უკანასკნელი? მაშ უნდა

მოვაკლდე თქვენის მშვენიერების ჭვრეტასა, ეგ იყო ჳელმწიფავ თქვენი აღთქმა ბორჯომში?

სოფიო.

ღიას! ღიას. (გავა მარჯვნივ კარებში.)

გამოსვლა 25.

მარტო მანუა.

ეს რა ანბავია თქვენი ჭირიმეთ, მე ვერაფერს მიმხვდარვარ, ღმერთო ჩემო შენ დამიფარე, ბორჯომში კინალამ ჩემის სიყვარულით გაგიყუდა და აქ სწორეთ არცკი მელაპარაკება.

გამოსვლა 26.

იგივე და დობტური.

დობტური.

(შემოვა დაინახავს⁷² მანუას და გაბრუნდება.) ოხ, ნათესავი აქ ყოფილა გავეცალო თორემ კიდევ დავროხამ რასმე (გადის.)

მანუა.

(აყენებს.) მომითმინეთ დობტურო! თქვენთან საქმე მაქვს.

დობტური.

(იქით.) ეგება გადავრიო და არა მკითხოსრა. (მანუას.)

რა გემიზეზებათ მიბოძეთ მაჯა ვნახო.

მანუა.

დიდი ხანია თქვენ ბიძაჩემთან მეგობრათა ხართ?

დობტური.

აბა ენა მიჩვენეთ ძრიელ ნაზლიანი ხომ არა გაქვსთ.⁷³

მანუა.

(იქით.) მე რას ვკითხავ⁷⁴ ეს რას მეუბნება ტუტუცი ყოფილა. (დობტურს.) ბატონო! მე თქვენ სხვას ვკითხავთ.⁷⁵

დობტური.

ჯერ უეჭველათ სლაბიტელი უნდა მიირთვათ და მერე მიქსტურას გასმევთ, მიბოძეთ ქალაღდი რეცეფთი დაგინეროთ, და ამასთანავე იმასაც დაგარწმუნებთ⁷⁶ რომ მე სხვა დობტურებივით ხარბი არა ვარ, (იქით.) ესე იგი რასაც მეტს მამცემს ჩემთვის ისა სჯობს.

მანუა.

(იქით.) ღმერთო ჩემო მე ვერა გამიგიარა, რომელსაც რასა ვკითხავ⁷⁷ სულ გადაკვრით მელაპარაკებთან. (დობტურს.) ბატონო! მე თქვენ ვკითხავთ⁷⁸ ბიძაჩემისა დიდი ხანია მეგობარი ხართ.

დობტური.

ჰო, დიას იმას ვეძებ წელან სადილათ მთხოვა და ეხლა სუფრა დაგებული იქნება, მშვიდობით მე პური მამშვიდა. (გა-

დის.)

მანუა.

ბატონო დობტურო! ერთი მამითმინეთ⁷⁹ მე⁸⁰ თქვენთან საკითხავი მაქვს.

დობტური.

თქვენ რომელს რაზრიადში ემსახურებით?

მანუა. (იქით.) ეს გიჟი ხომ არ არის. (დობტურს.)

ბატონო დობტურო ჰაზრი მინდა გკითხოთ.

დობტური.

ავათ მყოფობაზედ დარიგება, ბატონი ბძანდებით ეგ ჩემი საქმეა რითი ხართ ავათა, უთუოთ ჰაერის ცვლილება გავნებდათ.

მანუა.

ჩემთვის არაფერს უვნია, მომისმინეთ რა მოგახსენოთ, მე ყველას მივხვდი რასაც მიმალავდენ, ბიძაჩემსა ჰყავს ქალი, გთხოვთ მიშუამდგომლოთ⁸¹ რომ ის ქალი მე ცოლათ მამცეს, და მასთანავე ისიც უთხარით⁸² რომ რასაც ის ჩემგან საყვედურს ელის ცოლის⁸³ შერთვისათვინ, ყოველივე მოისპობა ჩემის იმ ქალთან შეთვისებთა.

დობტური.

როგორ თუ ქალი! რომელი ქალი.

მანუა.

განა რამტელი ჰყავს იმასა.

დობტური.

(იქით) ღმერთმა შემარცხვინოს თუ მე აქ მესმოდეს რამე, ერთი ეგება თავიდან მოვიშორო ეს ვილაც ტუტუცია, (მანუას)⁸⁴ ბატონო, მე წელანვე მოგახსენეთ რომ ცოლ ქრმო-ბის საქმეში არ გავერევი.

მანუა.

აბა თქვენ თითონ იფიქრეთ, მე ხომ ვერ ვეტყვი ბი-ძაჩემსა და არც რიგი არის თუ ისევ სხვის პირით არ უთხარი, და თქვენზედ უკეთეს ვილას ვათქმევინო, უეჭველათ თქვენც გადაგიხდით.

დობტური.

როგორ, მაშ თუ ცოლს შეირთავთ⁸⁵ აქ ახლო დასდგე-ბით⁸⁶ სადმე.

მანუა.

დიახ რასაკურველია.

დობტური.

(იქით.) ეგება თავიდან მოვიშორო უნდა დავპირდე. (მანუას.) დიახ ბატონი ბძანდებით ვეცდები. (ამდროს ისმის ხმა გალუსტასი.)

გამოსვლა 27.

იგინივე გალუსტა და თინათინა.

გალუსტა.

(ყვირის კულისის გარეთ.) რაიქნა ის დანყვევლილი რაიქნა, მე იმან უნდა დამამწყვდიოს, დამაცადოს თუ იმისი თავზედ რა ვქნა.

მანუა.

გავიქცე დავემალო თორემ მამკლავს. (გავა შუა კარით.)

გალუსტა.

(შემოვა და დობტურს.) აქ არ არის? სად ჯანაბას წასულა.

თინათინა.

იე. იე. იე. კაი ნათესავია, დაამწყვდევეს ჰა.

გალუსტა.

(დობტურს.) სად წავიდა?

დობტური.

ის არსად წასულა აქ არის, მე იმისგან მაქვს თქვენთან სათქმელი რამე მონდობილი, მაგრამ არ ვიცი შემიძლიან თქვენს⁸⁷ სიდედრთან ვსთქვა თუ არა.

თინათინა.

განა აგრეთი რა საიდუმლოა მაგათში.

გალუსტა.

ეჰ, დალოცვილო შენც ახლა დაინყე ცერემონი, თქვი და რაღა.

დობტური.

მე სწორეთ⁸⁸ მოგახსენოთ არ მეგონა თუ თქვენ როგორც პატიოსანი კაცი, ცოლს შეირთავდით⁸⁹ მაგ გვარის მოტყუებითა.

გალუსტა.

როგორ მოტყუებითა.

თინათინა.

ერთი ბრძანეთ⁹⁰ გეთაყვანე დობტურო.

დობტური.

მაშ მე თქვენ მოკლეთ მოგახსენებთ. (გალუსტას.) შენი ნათესავი გთხოვს⁹¹ შენს ქალსა.

თინათინა.

რაო! ქალსა, ერთი ეგ მაკლდა, ნახე რისაც მეშინოდა იმაში არ ჩავარდი.

გალუსტა.

როგორ ჩემი ქალი, იმან მაგ სიტყვთ⁹² რა ესმის.

თინათინა.

ოჰ, ღმერთო ეს რა მამივიდა, ჩემი სოფიო თავი მოიკლავს.⁹³

გალუსტა.

ბატონო დობტურო! რეები ლაპარაკობ ერთი სწორეთ⁹⁴
გამაგებინე და.

დობტური.

(თინათინას.) განა თქვენ აქამდინ⁹⁵ არ იცოდით.

თინათინა.

აბა რა ვიცოდი შენი ჭირიმე, მამატყუა ამ უღმერთომ
მამატყუა, ოჰ. ეს რა ურცხოებაა.

დობტური.

ჰეი⁹⁶ გალუსტ მინაიჩ! გალუსტ მინაიჩ! აგრე არ უნდო-
და.

გალუსტა.

ერთი რაები ამბობ დობტუროჯან გამაგებინე და.

დობტური.

(თინათინას.) მერწმუნეთ თუ მცოდნოდა არას გზით არ
გირჩევდით⁹⁷ ამისთვის⁹⁸ ქალის მიცემასა.

თინათინა.

(ტირილით.) ოჰ სოფიოჯან! სოფიო! ნახე რას ალაგს
ჩაგაგდე შვილო, რა უბედურებაში მიგეცი.

გალუსტა.

როგორ უბედურებაში.

თინათინა.

მე ადრევე ვიცოდი რომ შენ ცრუ იყავ, მაგრამ მე არ გავხდები შენი მოსატყუარი. არა, არა, არის კანონი, მთავრობა, გიჩივლევ და ასეთი საქმე⁹⁹ დაგმართევ რომ ჯერ არავის დამართოდეს.

გალუსტა.

ერთი დაიცადე სიდედროჯან და.

თინათინა.

დაჩუმდი შე უსჯულოვ! შე უღვთოვ!

გალუსტა.

ახლა გინდა მეც გამაცხარო გიჟი მოზვერივითა.

დობტური.

არა გალუსტ მინაიჩ! ამნაირი საქმე და მოტყუება მოსატევებელი არ არის.

გალუსტა.

(იქით.) ოჰ. ეს დობტური რა ბრიყვია. (დობტურს) ერთი ჯელი¹⁰⁰ არ აიღებ დობტურო? რას ჩამაცივდი. (სიდედრს.) რას გადარეულხარ.

თინათინა.

კიდეც გადარეულხარ და კიდეც გადამტვრეულხარ.

გალუსტა.

ტო ძაინდ კტრე ქოფაკო და.⁷⁷

თინათინა.

რუსებისა არ იყოს, ტისამ ქოფაკ.

გალუსტა.

ვა! რუსული ჯერი არ არის მე ქართული ვთქვი.

თინათინა.

აი რუსულმა ძაღლმა შეგჭამოს შენა, ჩემი ანუკ მანუკი⁷⁸ სოფიო გერის პატრონი გახადე.

გალუსტა.

ტო გიჟვეცავ,⁷⁹ რაები ამბობ.

თინათინა.

ღმერთმა რომ არ გიცის, არ გეყურება.

დობტური.

გალუსტ მინაიჩ! სუფრა დაგებულისა¹⁰¹ თუ არა?

გალუსტა.

ტო ერთი ჳელი აიღე მამა გიცხონდა, სიდედრმა სულ შენ გადაამირიე.

77 [სომხ.] – შენ ხმა ჩაიკმინდე, კოფაკო.

78 [სომხ.] – ბავშვი

79 [სომხ.] – გაგიჟდა

დობტური.

აგერ პირველი საათი სრული არის, სწორეთ სადი-
ლობაა.

ივანიკა.

(გაალებს კარსა და შემოსძახებს.)¹⁰² ალა! დრო არ მევი-
და წალები მიყიდე თვარა კანჭი ქვე მოგტყდება.

გალუსტა.

(გამოუდგება გაჯავრებული.) ტო ჯელი არ აიღებ შე
არამზადავ.

ივანიკა.

(გაექცევა.)

გალუსტა.

(კბილებს იჭკრთიალებს.) რა იქნა ის ჩემი ნათესავი
ერთი გავგლიჯო, ეზ რა ხათაში ჩამაგდო.

გამოსვლა 28.

იგინივე და მანუა.

მანუა.

(შემოვა და დობტურს.) ბატონო დობტურო! რა ჰქენით?

დობტური.

ბატონო! მე თქვენ გითხარით და კიდევ განგიმეორებთ

მე ცოლქრმოზის საქმეში არ ვერევი, შეგიძლიანთ თქვენ პირის პირ მოილაპარაკოთ მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მე პური მშინ. (გავა შუაზედ.)

გალუსტა.

(სიდედრს.) ეხლა ნურაფერი¹⁰³ იტყვი ნათესავი აქ არის.

მანუა.

ძია მე ვიცი დობტური სულ ყველას გეტყოდა.

გალუსტა.

(ნაავლებს ჯელსა და წინ მიიყვანს.) აქ მობძანდი ბატონო, მითხრა, დიას მითხრა, (გაჯავრებით.) ვა! ტო ჩემი ჭირათ მოხვედი, რა გინდა რო მიყო, რაები გიბოდამს დობტურთანა, ეგ შენი ბოდვა რო გაეგო ვინც მე ვიცი იმანა, იცი რა მამივი-დოდა.

მანუა.

მე ვგონებ ისეც ის ჰსჯობდა უწინ ძალუასთვინ მეთხოვნა მაგრამ.....

თინათინა.

ჩემთვის?

მანუა.

დიას თქვენთვის, განა არ ვიცი რომ ის თქვენი ქალია.

თინათინა.

(იქით.) ოჰ. ღმერთო ამას რას ამბობს. (სიძეს.) აი შენის დაჩუმებით სადამდინ მიმახსენებინე.

გალუსტა.

ტო ღმერთმან იცის გაგიჟდები.

მანუა.

იქნება თქვენ ჰგონებთ¹⁰⁴ რომ ჩემგან შეყვარება იმ ქალისა ჯიბრით იყოს, არა, ყმანვილი ქალი წელან რომ მე მელაპარაკებოდა ბორჯომში გავიცან.

თინათინა.

ბორჯომში.

გალუსტა.

ბორჯომში.

მანუა.

დიახ, ძია! წინათაც არ გითხარი, იმან მითხრა ქუთაისს მივალო და ეხლა კი აქა ვხედავ, აბა რა ვიცოდი თუ ის შენი ქალი იყო, უთუოთ ძრიელ აგიკრძალავთ რომ არ მეჩვენოს თორემ, აქამდინ ის როგორ არა მნახავდა.¹⁰⁵

თინათინა.

(იქით.) უთუოთ კეკელას ამბობს.

გალუსტა.

(იქით.) ხედავთ კეკელას¹⁰⁶ როგორ ვაჟთან გამეგობრე-

ბულა.

მანუა.

იმასთან კიდევ ერთი გასათხოვარი ქალი იყო. ოჰ, რა ლამაზია¹⁰⁷, მე ორივესთან ვატარებდი დროსა.

გალუსტა.

(შემკრთალი.) ვა! განა შენ მეორესაც ეარშიყებოდი.¹⁰⁸

მანუა.

არა, მე იმათგანი ერთი მიყვარდა ნამდვილათ, რომელსაც არა მგონია მამაშოროთ და შემაქორწილოთ.¹⁰⁹

გალუსტა.

მერე, მერე, ქუთაისიდგან რომ მობრუნდები.

მანუა.

არა ძიაჯან! ბარემ ეხლავ მოვრჩეთ.

გალუსტა.

(აჩვენებს სიდედრზედ.) აი ჩემს ცოლსა სთხოვე.

თინათინა.

ჯერ ერთი ქალთან მოვილაპარაკო.

მანუა.

თქვენს ქალთან! დიახ სწორე ხართ, ოჰ, ის ასეთი

შეკრთა რო უთხარი ბიძაჩემს უნდა ვთხოო რომ¹¹⁰ ნება მამცეს
შენი შერთვისა მეთქი რომ მეტი არ იქნებოდა.

თინათინა.

(იქით.) ეს რა მესმის, ეს მართლა ჩემს ქალსა თხოულობს.

მანუა.

საკურველია, ბორჯომში ალერსიანათ მექცეოდა და აქ
სულ ახლო არ მეკარება, უთუოთ თქვენ უშლით.

თინათინა.

(იქით.) რავექნა რაებს ამბობს.

გალუსტა.

მე აქ ვერას მიმხვდარვარ.

თინათინა.

არა ყმანვილო! მე თანახმა არა ვარ იმის მოცემაზედ.

გალუსტა.

(იქით.) ახლა ესეც თანახმა არ უხდება და უნდა ხათა-
ბალა გამიხადოს.¹¹¹

მანუა.

ძალო! თქვენ უნდა იფიქროთ რომ ჩვენი ბედნიერება
თქვენს გამო იქნება, მე ვიცი რომ იმასაც ძრიელ უყვარვარ.

გალუსტა.

როგორ, განა შენ მალმალ ნახავდი¹¹² ხომე იმ ქალსა.

მანუა.

არა, პირველათ სულ ახლო არ მეკარებოდა და მე ძალიანაც ვკვირობდი, მაგრამ, მერე კი.....

გალუსტა.

ჰო თქვი თქვი, რაღა მერე...

მანუა.

თქვენთვის არაფერი სანყინოა¹¹³ ღმერთსა ვფიცავ, თქვენ გგონიათ იმათ მარტო აქ ვიცნობდე, ბორჯომში გავიცან როგორც წელან მოგახსენეთ, და მეც თვით დარწმუნებული ვარ რომ იმ ქალმაც უარი არ ჰსთქვას ჩემზედა, იქ სულ ერთათ დავსეირნობდით¹¹⁴ ხომე, ოჰ მეტადრე ერთს ღამესა მშვენივრათ გავატარეთ დრო, ერთათ ვიყავით დაპატიჟებული მარტო მე, და ორნი ისინი, ჯერ ვიტანციეთ, მერე ვახშამს შევექეციეთ, და შემდეგ ვახშმისა, შინამდისინ გავაცილე.

გალუსტა.

როგორ თუ გაიცან, დასეირობდით, და შენ გააცილე.

თინათინა.

(იქით.) ახ! ინჩანიმ,⁸⁰ ეს რათქვა, გადირევა ჩემი სიძე, ეგება როგორმე მოვახერხო.

80 [სომხ.] – რა გავაკეთო.

გამოსვლა 29.

იგინივე სოფიო და კეკელა.

(შემოვლენ.)

გალუსტა.

ჰო, წორეთ თქვენ მინდოდით ბატონებო და მოხვედით კიდეცა, წინ მობძანდით რა გკითხოთ.

კეკელა.

გალუსტ მინაიჩ! აგრე გაჯავრებული სახით რათ გვიყურებ.¹¹⁵

სოფიო.

(დაინახავს. მანუას.) ახ! ეს ისევ აქ ყოფილა.

თინათინა.

(იქით.) გამოუქომაგდე. (კეკელას.) არ იცი რო ჩვენ სრული ნება გვაქვს თქვენზედ ჯავრობისა, მაგრამ ეხლა კი დრო არ არის, კულავ¹¹⁶ გეტყვით რაზედაცა ვჯავრობთ.

გალუსტა.

ჩე, ჩე, ჩე, მე ეხლავ მინდა შევიტყო ეზ რა ანბავია.¹¹⁷

თინათინა.

ფესაჯან! აბა ეხლა რა დროსია ქუ მატალ!⁸¹

გალუსტა.

ტო ძალიან კარგი დრო არის მე ჩემმა ვიცი. (სოფიოს და კეკელას.) თქვენ ორივეს გკითხავთ¹¹⁸ როგორ ატარებდით დროსა ბორჯომში?

კეკელა.

რა.... ესე იგი რას ვაკეთებდით.

გალუსტა.

დიახ! რას აკეთებდით.

კეკელა.

ხან ვტანციობდით, ხან ვგულაობდით, (სოფიოს.) არა სოფიო.

სოფიო.

(იქით.) ახ! რაებს ამბობს, კანკალმა ამიტანა.

მანუა.

აი ძია მე მოგახსენებ.¹¹⁹

გალუსტა.

მე შენ არა გკითხამ ამათი ქომაგი გახდე.

81 [სომხ.] – შენ გენაცვალე.

კეკელა.

განა რა ქომაგობა გვინდა.

გალუსტა.

(გაჯავრებით.) არ გახსოვთ? ერთს ღამეს რომ სხვაგან ბძანდებოდით დაპატიუებული და ვახშამით უკან ერთმა ყმანვილმა გაგაცილათ.

სოფიო.

(შეშინებული.) ახ! ღმერთო.

მანუა.

(იქით.) რავექნა ამას რა დავა აქვს, რა ეჭვი შეაქვს ამათზედა, და ან რას შინაგანს ძიებაში შედის.

კეკელა.

ღამე ვინ გაგვაცილა (სოფიოს.) სოფიო შენ არ გახსოვს?

გალუსტა.

(შეტევით.) დამიმაღეთ ძალიან მე არა ვიცი რა ჰა, სირცხვილი ქალბატონებო, ჩემი ნათესავმა ყველა მითხრა.

სოფიო.(იქით.) ახ! ამას უთქვავს.¹²⁰

კეკელა.

ყმანვილო მე არ შემიძლიან თქვენ გაგამტყუნოთ, მაგრამ კი არ მახსოვს როდის იყო. (გალუსტას სოფიოზედ.) გალუსტ მინაიჩ! სოფიომ უფრო ხსოვნა იცის აბა იმასა ჰკითხე.

გალუსტა.

(სოფიოს.) აბა თქვენ მითხარით ქალო როგორ იყო.

თინათინა.

ახ ეს რა ხათაში ჩავარდა¹²¹ ჩემი ქალი.

სოფიო.

(ყოყმობით.) მე, ეეე.....

კეკელა.

ქალო! რატო პასუხს არ აძლევ შენს ქმარსა.

მანუა.

(გაკვირვებით.) თავის ქმარსა.

კეკელა.

(ნეკზედ კბილს დაიდგამს.) ოხ ღმერთო! ეს რა ვთქვი.

თინათინა.

ადრევ გეთქვა ის არა ჰსჯობდა.

მანუა.

(იქით.) ეს რა ანბავი ყოფილა თქვენი ჭირი, კიდეც იმიტომ მიმალავდა¹²² ბიძაჩემი რომ ეს ამის ცოლი ყოფილა, და მე ვთხოვდი რომ ცოლათ შემრთე მეთქი. მიკვირს რატომ არ გადირია ბიძაჩემი, თქვენმა მზემ მე სწორეთ ისე მეგონა ეს სიდედრი ამის ცოლი იყო, და ეს ძალუაჩემი იმასთან სხვა ქრ-

მისაგან მოყოლილი გერი, ვეცადო ეგება დავაჩუმო როგორმე, ამ მეორე ქალსაც ხომ უყვარვარ, მოდი ამას შევირთავ არც ეს არის ურიგო. (ბიძას.) ძია! მაგან არაფერი იცის იმ ღამისა და კიდევ რომ იცოდეს როდი გეტყვის (კეკეზედ ჴელს მიიშვერს.) ამისი ხათრით.

თინათინა.

ფესაჯან! სწორეთ¹²³ მოგახსენეფთ თქვენი ნათესავი.

გალუსტა.

(გაჯავრებით.) როგორ თუ სწორეს.

მანუა.

ძიაჯან! თქვენ ვერ მიმხვდარხართ, თქვენ სხვა ნაირათ გაიფიქრეთ, მე მოგახსენეთ იმავე ღამეს ვალვიარეთ მე და ამათ (ჴელს მიიშვერს.) ერთმანეთთან შეთვისება და თქვენმა ცოლმა არ იცოდა, მაგრამ მითხარით რათ მიმაღავდით და ძალუათ თქვენი სიდედრი მიჩვენეთ.

კეკელა.

(იქით.) ოჰ, ამას რას მოულოდნელს ბედნიერებას ველ-ირსე, მე მირთავს.

გალუსტა.

კარგი პლუტო! გეხუმრებოდი (კეკეს.) კეკე თქვენ იქვე დაგინწყიათ პლანები რალა, ბას ეხლავ დაგნიშნავთ.

კეკელა.

(მორცხობით.¹²⁴) ჩვენ....

მანუა.

(ჩუმათ.) ჴელმწიფავ პასუხი მიეცით არ გეგონოს თუ მე ვხუმრობდე, ნამდვილ თქვენ შეგირთავთ.

კეკელა.

მართალს მიბრძანებთ!¹²⁵ დიდად სასიამოვნოა ჩემთვისა. (გალუსტას.) გალუსტ მინაიჩ! თუ თითონ სურს მე....

გალუსტა.

ბას მართალი ყოფილა, მე რათ მიმალამდით და სოფიოზედ ტყუილათ ეჭვი მიმატანინეთ. (სოფიოს.) შენთან ვსტყუი ქუ მატალ⁸² სოფიოჯან!

სოფიო.

კაცებმა სულ აგრე იცით რო გაუკითხავათ ცოლებს ამტყუნებთ.

გალუსტა.

არა გეთაყვანე სოფიოჯან! ნუ გამიჯავრდები, მე როგორ არ ვიცი რო შენი გალუსტ მინაიჩი არავიზედ არ გასცვლი. (კეკეს.) კეკე მაშ ეგრე იყო საქმე?

თინათინა.

ფესაჯან! რადგანც¹²⁶ თითონაც სურთ შენც დალოცე და დანიშნე.

სოფიო.

82 [სომხ.] – შენ გენაცვალე.

ძალიან კარგი იქნება. (კეკეს ჩუმათ.) შენც ხომ ეგ გინდოდა ახლა გაიხარე.

გალუსტა.

(დაუჭერს წელსა მანუასა და კეკელასა¹²⁷ ერთმანეთს მისცემს და ეტყვის.) რადგანც ორივეს გსურთ, ღმერთმა ერთმანეთი შეგაბეროთ, კარგი ბედი მოგცეთ, ფულების შენახვის შნო მოგცეთ. (მანუას ცალკე.) არა თქო მანოჯან! რომ ბიძაჩემი¹²⁸ ნასლედნიკობას¹²⁹ დამპირდა და მამატყუაო, აი მანოჯან! შენთვინ შემამინეგია ათასი თუმანი, ღმერთმა მოგახმაროთ. ჯვარიც მე დაგწერამთ ჩემი ხარჯით.

მანუა და კეკელა.

(წელზედ აკოცებენ.) გმადლობთ.

თინათინა და სოფიო.

მოგვილოცავს, ღმერთმა გაგაბედნიეროთ.

გამოსვლა 30.

იგინივე და დოხტური.

დოხტური.

(გააღებს კარებსა და ეტყვის.) გალუსტ მინაიჩ! სუფი გაცივდა არ გამობძანდებით?

გალუსტა.

აა! ბატონო დოხტურო! აქ მობძანდი, ჩვენ ნიშნობა გავმართეთ.

დობტური.

მერე ვინ შერთე ცოლათა.

გალუსტა.

ჩვენი კეკე.

დობტური.

(იქით.) მე ასე მეგონა თუ თავის ცოლი შერთო. (მანუ-
ას.) მამილოცავს ყმანვილო! ხომ აქ იცხოვრებთ.

მანუა.

გმადლობთ, დიახ!

დობტური. (იქით.)

კიდევ პრაქტიკა, ღმერთმა ავადმყოფი¹³⁰ ნუ გამოუ-
ლიოს.

გალუსტა.

მანოჯან! რაც დაგიმაღე უკაცრაოთ.

მანუა.

არაფერს ძია, მე ვარ უკაცრაოთა, გთხოვ რაც შეგანუხე
მამიტევო.

გალუსტა.

სულ მიპატივებია ჩემი სოფიოს მზემა.

ივანიკა.

(კარს შემოაღებს.) ალა! ანი მე რას მიპირობ, წაღებს ქვე არ მიყიდი.

გალუსტა.

(ფულს მისცემს.) აჰა შენი წაღების ფასი, შენ იყიდე.

ივანიკა.

აჰ, ღმერთმა შენი ჭირი მამცეს, ვორივ კანჭი ქვე მთლა გიმყოფოს. (იქით.) თუ მთლა მეიტებს კი არ მომკლავს¹³¹ მჯავრი.¹³²

დოსტური.

გალუსტ მინაიჩ! სუფი გაცვივდა.

გალუსტა.

აი! სტუმრებთან ბოდიში მოვიხდი¹³³ და გაახლები.

ბატონებო ვინც ამაღამ დაესწარით ნიშნობაშია, გთხოვთ პატივ მცემთ და მობძანდეთ, დღეის სწორსაც ქორწილშია.

დასრულდა.

მზის დაბნელება
საქართველოში

ნამდვილი კომედია
სამს-მოქმედებად რუსულის
სტენიოთურთ, შეთხზული
წ. ნ. ანტონოვისაგან

მომქმედნი პირნი:

გეურქ კარაპეტოვი ძუჭლი ვაჭარი.

ცოლი ამისი **რევსიმე**.

ქალი ამათი **მარეს**.

დედა გეურქასი **ნენე**.

ბიჭი გეურქასი **სუმონიკა**.

მდგმური გეურქასი პორუჩიკი **გრიგოლ ჩეშმაკოვი**.

ნათლია გრიგოლისა **მიკირტუმ მინასოვი**.

თავ. **ინდო შერმანაძე**.

გეურქას მეგობარნი მოხუცებულნი: აზნ. **ზაალ პინტრიშიძე**.

გლეხი **ბერუა ლაპინაშვილი**.

ტფილისის მოქალაქე.

რუსის ჩინოვნიკი.

რუსეთის მუჟიკი **გრიშა**.

ცოლი ამისი **ავდოტია**.

გლეხი ცოლ-შკლითა.

ივანე.

მანო.

გეო.

დარჩო.

ტფილისის შარლატანები:

მეზურნეები.

საზანდრები.

მაყურებელნი ხალხნი სხუა და სხუა გუარისა.

მახარობელი.

ნემეცი.

ჭრანცუზი.

მოქმედება ტფილისში 1-ი და 3-ე კარაპეტოვის სახლში და 2-ე დიდუბეში.

1-ად წარმოსდგა ტფილისის ტეატრში 12 იანვარისას 1853 წელსა.

მოქმედება 1.

(ფარდა აიხდება და სცენა წარმოადგენს დარბაზსა, დარბაზსა აქუს შუაზედ, მარჯუნივ და მარცხნივ კარებები, მარცხნივ სდგას ტახტი დაფენილი, უკან აწყვა სკამები და წინა სდგას სტოლი, ნენე ზის ტახტზედ აბრეშუმს ართავს და ზუზუნებს, მარეხ დადის დარბაზში ნაზის სიარულითა და მღერობს).

გამოსულა 1.

ნენე და მარეხ.

მარეხ.

გამიფრინდა სიხარულის ფრინუჭლი ლეილიმ.

შემთხუჭვისა გამო სხვსა და სხვსა, ჰალეილიმ

სხვსა და სხვსა.

დავშთენილ ვარ ან ესრედ უნუგემოდ ლეილიმ.

უბედობის გამო სხვსა და სხვსა, ჰალეილიმ

სხვსა და სხვსა.

ნენეს) ბებილო! ახლანდელი ვაჟები საყუარლებს რომ მოშორდებიან ესე მღერობენ ხომე.

ნენე.

ნეტავი შენა შკლო რომ ყმანვლმა ხარ და სიმღერის მეტი ჯავრი არა ფერი გაქუს, მე ლამის ჯავრით გადავირიო.

მარეხ.

რა ჯავრი გაქუს?

ნენე.

ჯავრი მეტი უნდა, მზემ უნდა დაბნელდესო.

მარეს.

დაბნელდეს რა არის.

ნენე.

როგორ რა არის! ანბობენ თუ წარყუნამ უნდა მოვიდესო და ყველანი უნდა დავიხოცნოთო, მინდა საზიარებლათ მოვემზადო.

მარეს.

(იციინის).

ნენე.

ქა! დახე დახე ურცხუსა ამ დროული ადამიანი როგორ მასხარათ მშურება, რას იცინი შე ლირფო.

მარეს.

როგორ არ ვიციინი, აი უსწავლელობა რა არის რომ ამ უწინდელს ხალხსა არაფრის მიხვედრა არა გაქუსთ, ჰსწავლა რომ გქონდესთ წაიკითხავდით წიგნებსა და იქიდგან გაიგებდით მზის დაბნელების მიზეზსა, აბა ჩუწნს მდგმურს აჭიცერსა ჰკითხე და ის გეტყვს დაბნელების მიზეზსა.

ნენე.

ქალბატონო შენ იმასთან ჩურჩულ კურკული დაესხენ.

თორემ ნახამ თუ რა მოგვივა.

მარეს.

რა უნდა მამივიდეს, არ იცი ბებილო ახლანდელს დროში ქალისგან ვაჟთან ლაპარაკი განათლება არის.

ნენე.

ქა მეხი თქუჴნც დაგეცათ და თქუჴნი განათლებაცა, კიდევ მაგისთანაებმა ჩაგუაყარა თუალში ნაცარი და ასეთი დრო მოგკვიდა.

მარეს.

ბებია-შკლობამ ქალისა ვაჟთან ლაპარაკი სირცხული არ არის, თქუჴნ ასე გგონიათ როგორც დაგუჴლაპარაკებიან მაშინვე შეგუჴამდენ, შენა ჰსთქჴ ქაღმან თავის თავი თითონ დაიცუას თორემ ერთმანერთმან ლაპარაკი სხუა არა არის-რა, ხოლოდ ვაჟი ქალის ცქერიტა და ქალი ვაჟის ცქერიტა სიამოვნებენ.

ნენე.

(ორს თითს ტუჩებზედ დაიდებს), არა თქუჴ ურცხუჴ-ბო თუ ახლანდელი გომბიოები ლირფები არა ხართ უცხო ვაჟი რას გეყვთ სალაპარაკოთა, ოცდათორმეტის წლისა ვიყავ ჯერ ქუჩაში თავი არ გამამეყო თორემ კაცთან ვინ მალაპარაკებდა, მერმე ქმარმა რო შევირთე სამი წელიწადი დანიშნულმა ვიყავ ნიშნობის ღამის მეტათ ჩემი ქმრის სახემ არ მინახამს, მერე ჯუარი დამწერეს და ერთი წელიწადი კიდენ ხმა არ გამეცა.

მარეს.

იე... იე... იე, კაი ცოლ-ქმრობის ლაზათს კი ნახავდით
ჰა.

ნენე.

ვითომ რატომაო!

მარეს.

აბა რაკი ქალი და კაცი ყმანჯლობის ჰასაკს გადავლენ
იმათი ცოლ-ქმრობა რა იქნება, მგონია ერთმანეთის დანახუ-
აცკი ეჯავრებათ, ლაზათი იმასა აქუს და სასიამოვნო ის არის
რომ ქალ ყრმათ სანამ სიყმარნჯლე ანუწვეთ მანამდის შეიყარნენ
ცოლ-ქმრათა, ნახავ თუ როგორის სიყუარულით დასტკებებიან
და ან როგორი მხიარული ცოლ-ქმრობა ექნებათ.

ნენე.

(გაკვრუჭბით ორს თითს ტუჩებზედ დაიდებს) ქა გენაც-
უაღეთ ეს რაები მესმის თექუსმეტის წლის ქალისაგანა (მარ-
ეხას ქოქოლას მიაყრის) აი ფჩანას⁸³ მარეს, ფჩანას! შენამც
გაგიშავდეს გვრგვნმა მაგისტანა ლაპარაკისათუნა (დააგდებს
თითის-ტარს ტახტზედა მივარდება მარეხას და აგდებს.) წადი
აქედან დამეკარგე შე ლირფო, დუს გნა დუს⁸⁴ შე ბეჰაიას ნა-
შობო.

გამოსულა 2.

იგინივე და რევსიმე.

რევსიმე.

83 [სომხ.] – გაფუჭებულო.

84 [სომხ.] – შენ წადი, შენ.

(შემოქმედების ჩხუბზე და დედამთილს) თითონ შენ ბეჭაივ და ქოფაკო, რას ერჩი მაგ ქალსა.

ნენე.

აი სახელმა შენც გაგინყდეს და შენი ქალმაცა, გუჭლი შენა ხარ და ეგ შენი წინილაა, ის დღე დაინოს როცა შენ ჩემი ოჯახში რძალმა გახდი.

რევისიმე.

ქა გუჭლი ჩაგიდე მაგ ქოფაკი ყელში, შენი ვინმეები რომ აღარ ვაბარბარე ჩემი სახლში განა იმიტომა.

ნენე.

შენი ვინმეებისათვის ხომ სუყველა შურები, განყდეს იმათი გასაგისი.

რევისიმე.

ქა შენი თავიც ამოგიჭამია, ჩემი გასაგის დაესხენ თორემ აღარ გახსოვს, იმ დღეს ქოში რო დაგარტყი და თეძო აგათრევი, ახლა უარესი გიზამ.

ნენე.

(ორს თითს ტუჩებზე დაიდებს) ქა გენაცუალეთ განა ჰარს დედამთილინ ესპესი პატივ ტა,⁸⁵ (ორის ჴელით ქოქოლას მიაყრის) აი მამიკუდეს შენისთანა რძალმა, ტერტერამც წაუღია თავისი კოლოპურტში⁸⁶ შენი შამშიმეზიანი ხავერდის ქათიბმა.

85 [სომხ.] – რძალმა დედამთილს ამგვარი პატივი უნდა სცეს.

86 [სომხ.] – დასაკარგავში.

რეესიმე.

(ქოქოლას მიაყრის) ოლოლო! ოლოლო! ვერ გაიგე დედამთილმა მოდნი აღარ არის, ძაინდ კტრე⁸⁷ ქოფაკ თორემ სახლიდგან გაგაგდებ.

ნენე.

აი უწინამ დღე დაგელიოს შენცა და მაგ შენი ქალიცა რომ შენ ნენე ვერ გააგდო.

რეესიმე.

ქა! ჩემ ქალს რას მისწუდი შე აშარო.

ნენე.

აშარო და აშრის ჯინშო, აი შავი ქირმა ჭამოს შენისთანა რძალი.

რეესიმე.

ქა ვერა ხედამ ამ ქოფაკსა როგორ ენა წაიგძელა, აბათუ ვერ გაგაგდებ და ნახამ (აიღებს აბრეშუმთანს ფირფიტასა და თითისტარსა გაუგდებს შუა კარით და მერე მივარდება ნენეს) გაეთერი მეთქი კარში თორემ თრევით გაგიტან.

ნენე.

არ გავალ.

რეესიმე.

87 [სომხ.] – ხმა ჩაიწყვიტე.

(ნაავლებს კლავში ჯელსა) გადი მეთქი თორემ თმით
გაგათრევ.

ნენე.

არ გავალ.

რევსიმე.

(მოუვათ ჩხუბი დაინყობენ ნივილ კივილსა, რევსიმე
ცალის ჯელით მოხდის ლეჩაქსა, და მეორე ჯელით მიითრევს
გარეთა, ნენე თან სწყევლის და თან არ მისდევს, მერე რევსიმე
გაიყუანს ძალ და ძალ შუა კართა და მარეხა გავა მარჯუნივ).

გამოსულა 3.

სიმონიკა.

(შემოვა შუა კართ და პუბლიკას) აჰ, დედა, დედა, დედა,
რავა აშარი ყოფილა ჩემი ქალბატონი, თქუჴნ ნუ მოუკუდებ-
ით ჩემს თავს მთლა დეიბდღვნა უბედურმა, შევარდა ეზო-
შიდ გამეიტანა ნიჩაბის კოჭატი და მისთანა მოზდოდა მოზდო
მის დედამთილს რომე, წელი ქვე აათრევია, წეიქცა ვუბედუ-
რი და ქვე ჴყავის (გააჯავრებს). ვაი წელი, წელი, წელი, ალა
ზედ მოესწრო და ჯავრობა დოუნყო ცოლს, მარა თუ მალე
არ დაჩუმებულ-იყო კილამ მასაც ქვე ზდო თავშიდ, აჰ რავა
გამეხარებოდა რომ მისთვნაც ქვე მოედო კოჭატი აჰ, იმან რომ
გუშინ ქვე სილა მიფსკვნა დაეფსოს მას თავი ეხლაც ქვე მენჯს
ყბა, მინდა გავქცეულ-იყავ მარა, მიტომ ვერ წაველ აგერ ყავ-
ლი გამივა და შევხარი ოცს ჴრელს მანათს.

გამოსულა 4.

იგივე და გრიგოლ.

გრიგოლ.

(შემოვა შუა კარით და სიმონიკას) სიმონიკა რაებს ლაპარაკობდი?

სიმონიკა.

აჰ, მობძანდი შენი მუხლის ქირიმე არაფერსა, დიდი ქალბატონი და პეტერა წეიკიდენ და მათი ანბავი მიჰკრდა.

გრიგოლ.

მარეხი ხომ იმათში არ ერია?

სიმონიკა.

იიმე! განა რა მიბძანებ ბეტონო, რავა გარევ მარეხს ჩხუბშიდ, ნეტა მისი ზდილობისა პეტერა მიჰკრობოდათ ვუბედურს მის დედ-მამას.

გრიგოლ.

კარგი გაზდილია?

სიმონიკა.

აჰ! მომეცა ღუთის-წყალობა კაი ის იყოს, ის რო წიგნს წეიკითხავს ნუ მამიკუდე ჩუწნმა ხუცესმა ისტე ვერ წეიკითხოს, ისთე ყოვლის ფრით ზდილია აჰ, დედა, დედა, იმან რომ ოქრო ქსოვილი ხალიჩა შეკერა არ ეგება მისთანა ქუჭყანაზედ, მისი ბრჭყვალემა თუალს ქუჭ მოსტაცებს კაცს, კი ნუ გემიწყრები და ერთი რამ მინდა მოგახსენო.

გრიგოლ.

აბა მითხარ?

სიმონიკა.

ურიგო არ იქნება შენუ მოუკუდები ჩემს თავს რომე შენ და მარეხმა გვრგვნი იფსკუნათ, შენს მეტს კაცს არვის ჰფერობს მისი ცოლობა.

გრიგოლ.

მეცა მსურს მაგრამ იმისი მამა არ მაძლევს ნებასა.

სიმონიკა.

იიმე! ვუბედური რაში გწუნობს, მის სოკოიან თავს გავხართუ, აპა თუალათ ხარ კაი და ტანათ, ყმანვლი და ჩინიანი, ხნორა ჩუწნებური მჭადის ტოლა ოქროს აპელატი განყვია მა მხრებზედ.

გრიგოლ.

ეგ ყველა კარგია მაგრამ მარეხ შინ არის?

სიმონიკა.

კი შინ გახლავთ.

გრიგოლ.

ნადი აბა მოახსენე გრიგოლ მოვიდა თქო.

სიმონიკა.

კი ბეტონო, მარა ქუჭ კი გვეედრები გვრგვნი იფსკუჭ-
ნით, მე უმფრო მიტომ მიხარიან მზითვს სკივრს ქუჭ მე მეგი-
ტან და ბარე სამს მანათს დაგადებებ (გავა მარჯუნივ).

გამოსულა 5.

მარტო გრიგოლ.

(დადის და ოცნებით ლაპარაკობს) ოჰ, სიყუარულო!
სიყუარულო! მე ვგონებ შენგან გულში აღგზნებული ცეცხლი
უმეტეს შემწული იყოს ვიდრე სახმილის ცეცხლი. თქუწნმა
მზემ ეს არის ეხლა სადილს გაახელ და მიმეძინა, ძილში ხმა
შემომესმა ვითომც მარეხ მოსულ იყო და მელაპარაკებოდა,
ისე შეშფოთებით წამოვარდი რომ აღარ ვიცოდი სად ვიყავ და
სად არა, მივიხედ მოვიხედე და რომ ველარავინ ვნახე უეცრად
მეცა სიყუარულის სედუა და სულ დამათულა, მერე ვჰსთქვ
მაინც სიზმარში იმასთან ვლაპარაკობდი წავალ და ეგების იმი-
სი მშუწნიერი სახე ვნახო და იმასთან ლაპარაკით დავსტკებ
და გავმხიარულდე მეთქი. ზი განგებაო! დიდს ხანს არ გან-
მიქრობ ჩემს გულში აღგზნებულს სიყუარულის ცეცხლსა, შენ
გვეედრები ნუ მოგვსპობ ერთმანერთის სიყუარულსა, და შენ
გუაღირსე ერთმანერთთან შეკავშირება.

გამოსულა 6.

იგივე და მარეხ.

მარეხ.

(შემოვა მარჯუნივ კარით და გრიგოლი რომ დაინახავს
უეცრათ დაიძახებს) ოჰ, (გული მისდის და მიდის წასაქცე-
ვათა მარეხ დაუჭერს კლავსა და აყენებს) ყმანჯლო გონება
შემოიკრიფე რა დაგემართა?

გრიგოლ.

(სასწრაფოთ გულს მოიმაგრებს) ოჰ უკაცრავათ მარეხ შენი ჭირიმე. მამიტევე, უზღველობა მამივიდა კარებში ვერ მოგეგებე, მაგრამ შენმა გაზდამ ჩემი ბრალი არ არის, როგორც კარებში ფეხი შემოსდგი უეცრად გამოკრთა შენი სახის მშუწნიერების ელუა, შეიპყრა ჩემი გული სიყუარულის ჯაჭვთა და მიმწურა სიკუდილამდე.

მარეხ.

კარგი ყმაწვლო კმარა ხუმრობა.

გრიგოლ.

მარეხ! მე მოგიკუდე თუ ამას ხუმრობით გეუბნებოდე, შენს მზესა ვფიცავ რა მე და შენ ერთმანერთისთვის სიყუარული გამოგვცხადებია, მას აქეთია ძილი გამკრთალი მაქუს და თუალთაგან სიყუარულის ცრემლი არ შემშრობია.

ვეღირსები იმ დღესა რომ ჩემთან გვრგვნიტ შეკავშირებული გნახო!....

ვეღირსები იმ დღესა რომ შენი მშუწნიერებისგან გამომკრთალი ელუა ჩემს გულს ანათებდეს....

ოხ მარეხჯან! შენა ხარ კავშირი ჩემის სიცოცხლისა!

შენა ხარ ნათელი ჩემის გულისა!

ნეტავი ვიცოდე ნამდვლ ვეღირსები შენთან შეკავშირებასა თუ მოცთუნებული ვარ სიყუარულის ეშხითა?

მარეხ.

განა რწმუნება არა გაქუს ჩემის აღთქმისა, შენს მზესა ვფიცავ გრიგოლ მარეხი შენს მეტს არავის ეკუთუნის!

გრიგოლ.

რავექნა სულო! მე მითხრეს ვითომც მამაშენი ვილასაც ვაჭარს გაძლევდეს და ამისთვის ვიშიშვი, არამც თუ მამის მორჩილებამ დაგძლიოს და საუკუნოთ მიმცე განუქრობელის ცეცხლით დანუასა.

მარეს.

მე დიდათ მიკვრს ყმანული კაცი ხარ და სიყუარულის ძლიერებას არ აფასებ, განა ვინ უნდა აღმოფხურას ჩემს გულში დამკვდრებული შენი სიყუარული, მერწმუნე თვნიერ სიკუდილისა ვერავინ აღმოფხურის, ვერც მამაჩემი და ვერც სხუანი. ერთი ოდენ შენა ხარ მფლობელი ჩემის გულისა, რომელმანც მიმზიდე მჰსგავსად ანდამატისა. გსურს დაგარწმუნო ჩემი შენდა კუთუნილება როგორც თინათინმა ავთანდილი დაარწმუნა?

გრიგოლ.

ძალიან სასიამოვნო იქნება.

მარეს.

ფიცით გითხრობ შენგან კიდე, თუ შევირთო რაცა ქმარი,

მზემცა მამხვდეს ხორციელად, ჩემთვის კაცად შენაქმარი,

სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქუცსკნელს ვიყო დასანთქმარი,

და შენი მკლევდეს სიყუარული, გულსა დანა ასაქმარი.

გრიგოლ.

(სიხარულით) ოხ ღმერთო! განა იმაზედ უბედნიერესი კაცი კიდევ იქნება რომელსაც საყუარელისაგან ამგუარი აღთქმა ესმას, ჭეშმარიტად ამ შემთხუჭვით ბედნიერად ვრაცხავ ჩემს თავსა, (მარებს სიყუარულით) მარეხჯან! მეცისე დაგიმტკიცებ გეთაყუანე ჩემს სიყუარულსა როგორც ტარიელმა ნესტან-დარეჯანსა და ვიყუნეთ ერთნი.

მარეს.

ძალიან საუცხოო იქნება.

გრიგოლ.

ან რასაცა მე მაღირსებ, ჯორციელი არა ღირსა,
მონყალეზა იჩქითია, ლუთისა ამაღ არა მკვრსა,
შენთა შუქთა შემომადგა, ბნელსა გულსა ზედან
მჭვრსა,
და შენი ვიყო სადამდისცა, დამიყოფდეს მიწა პირსა.

მარეს.

(მკლავს დაადებს მხარზედ თავს მიიტანს გრიგოლის ლოყასთან სიყუარულით უცქერის და ეუბნება): ახლა ხომ დარწმუნებული ხარ გეთაყუანე ჩემის შენს კუთუნილობაზედ?

გრიგოლ.

შენმა გაზდამ სრულად დარწმუნებული ვარ.

მარეს.

(მკლავში გაუყრის ჯელსა სცენაზედ დადიან პოდ-

რუჩკითა და ეუბნება): მაშ დრო არის ჩუჭნის შეუღლების თადარიკს შეუდგეთ?

გრიგოლ.

შენმა სიცოცხლემ დღესვე.

მარეს.

აბა როგორ უნდა სთხოვო მამაჩემს ჩემი ცოლათ შერთუა?

გრიგოლ.

მე ბევრს ცერემონიებს არ მოვყუჭბი. პირდაპირა ვსთხოვ ვოენურათა, და თუ ნებას არ მომცემს, მოგიტაცებ და ჯუარი დავინეროთ.

მარეს.

არა, ეგ სირცხვლია, სახელი გამიტყდება, შენ შენი ნათ-ლია მიკირტუმა გამოგზავნე, და იმან ისე თავისათ ლაპარა-კი ჩამოუგდოს მამაჩემსა ჩემს გათხოვებაზედ და შენი მოცე-მა უთხრას, და თუ ნებას არ მიჰსცემს, მერე მე სხუა ჰაზრს გეტყვ და ისე მოვიქცეთ.

გრიგოლ.

ბატონი ბრძანდები შენი ჭირიმე, როგორც შენ მიბ-რძანებ (ამ დროს გარედგან ისმის ჴმა გეურქასი) ჯერ ერთი შინ მინდა შევიდე საქმე მაქუს და მერე ჩამოვალ ბაზარში.

მარეს.

ვაიმე, მამაჩემი მოდის ერთათ არა გუნახოს გეთაყუანე,
ნავიდეთ ჩქარა და ჩემი ოთახის კარით გადი.

გრიგოლ.

ნავიდეთ შენი ჭირიმე (გავლენ მარჯუნივ კლავი კლავ
გაყრილი).

გამოსულა 7.

გეურქა.

(შემოვა შუა კარით და ცოლს გასძახებს) რევსიმე!

რევსიმე.

(კულისიდგან ჳმას მოსცემს) ჰამე!

გეურქა.

არი ესტი მე ბან უნიმ ასელუ.⁸⁸

რევსიმე.

ეს საათის აღაჯან! (შემოვა მარცხნივ კარით და გეურ-
ქას) აბა ინჩ პიტისკოსი.⁸⁹

გეურქა.

არი ნსტირ კოსიმ.⁹⁰ (სკამებს მოიტანებენ დასხდებიან
და მერე გეურქა): რევსიმე! ის ემე შენ ხომ იცი?

რევსიმე.

88 [სომხ.] – მოდი აქ, რაღაც მაქვს სათქმელი.

89 [სომხ.] – რა უნდა მითხრა.

90 [სომხ.] – მოდი, დაჯექი, გითხრა.

აბა ვინა ალაჯან?

გეურქა.

ის ემე ვა?

რევსიმე.

ქა ვინა?

გეურქა.

ტო ჩუჭნი ემეანთ ლალო.

რევსიმე.

მარქარაანთი.

გეურქა.

ჰო, იმან კარგი ფერშალია ერთი მოვაყუანინოთ.

რევსიმე.

ქა რათ გინდა ალაჯან?

გეურქა.

მზემ უნდა დაბნელდესო და მეშინიან, მინდა სასუნებელი რამე გამოვართო რომ გული იმითი შევინახო.

რევსიმე.

ქა განა მართალია!

გეურქა.

ვა! გაზეთი კითხულობდენ ბაზარში.

რევისიძე.

უი, უთუოთ ლილა გასცუჭთიათ და ტყუილი მოუგონიათ.

გეურქა.

ვა! ყველანი ამბობენ და ახლა შენ ნუ დაიჯერებ.

რევისიძე.

ბას ალაჯან სანამ დაბნელება გადივლიდეს სარდაფში დავიმალოთ.

გეურქა.

არა, ერთი მე ისევ ნავალ ფერშალი ვკითხამ და როგორც იმან მეტყუეს ისე ვქნამ (ამ ღროს ისმის გარედგან ხმა მიკირტუმასი) გეურქე ტანნე.⁹¹

გეურქა.

ხმას მისცემს სცენიდგან) ოვის?⁹²

მიკირტუმა.

(გარედგან) ისიმ ქუ მიკირტუმ.⁹³

გეურქა.

91 [სომხ.] – გეურქა ნავა.

92 [სომხ.] – რომელი ხარ?

93 [სომხ.] – შენი მიკირტუმი ვარ.

აა... მიკირტუმ რომანიჩ ჰამეცეე.⁹⁴ (ცოლს) შენ მარეხის
ოთახში შედი და მოერიდე (რევსიმე გავა).

გამოსულა 8.

იგივე და მიკირტუმა.

მიკირტუმა.

(შემოვა შუა კარით და გეურქას) ვუნცის პარუნ გეურ-
ქ!⁹⁵

გეურქა.

ფარქ ასტუნო ლავიმ, ჰამეცეე ნსტირ.⁹⁶ (დასხდებიან
სკამებზედ).

მიკირტუმა.

დღეს ერთი კაი ჯურათი მიქნია, და შენთვნაც მინდა
ვექნა.

გეურქა.

რა ჯურათი?

მიკირტუმა.

ერთი კარგი არტალა მიყიდნია სადილათ ის მინდა ვჭა-
მო დანივრული და შენც მენვიე.

გეურქა.

94 [სომხ.] – მობრძანდი.

95 [სომხ.] – როგორა ხარ, ბატონო გეურქ!

96 [სომხ.] – ღვთის ნყალობით, კარგად, მობრძანდი, დაბრძანდი.

ეგ კარგია მაგრამ მე რა ჯურათი უნდა მაქნევინო.

მიკირტუმა.

(გაამაყებით) ჰ... შენთუნ, შენთუნ, ასეთი ემე მიქნია, ფიქრი, რომ უფულოთ მინდა ქალმა გაგითხოვო.

გეურქა.

ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ასუმინ⁹⁷ მზემ უნდა დაბნელდესო და ხალხი დაიხოცოსო, ტყუილათ ორი დღისთუნ რალა გავათხოვო ქალი.

მიკირტუმა.

ეჰ... გლუხს ქარინ ტალინ, დიფ სუტინ ასუმ,⁹⁸ შენი მდგმური აფიცარი არა თქო, ორი მინუტი დაბნელდება და ისევ გათენდებაო, დაბნელების დროს რომ არ შემეშინდეს, მე თუნგი ლავ კახეთუ გინი გციმ, კუჰარფიმუ კუ ქნიმ,⁹⁹ გამეღვძება და გათენებულიც იქნება.

გეურქა.

ისელ ენპეს კონიმ, ის ერკუ თუნგი გციმ.¹⁰⁰

მიკირტუმა.

აჰა... ქუ ჰორნ ვოლორმი, პრნავეუ გნაც.¹⁰¹

გეურქა.

97 [სომხ.] – ამბობენ.

98 [სომხ.] – ჩამაქვავენ, სულ ტყუილს ამბობ.

99 [სომხ.] – კარგ კახურ ღვინოს დავისხამ, დავლევ და დავიძინებ.

100 [სომხ.] – მე კი ასე გავაკეთებ, ორ თუნგს დავისხამ.

101 [სომხ.] – მამა გიცხონდა, გაათავე და ნადი.

ბას აბა მითხარ ვის უნდა მიმიტხოვო ჩემი ქალმა?

მიკირტუმა.

ვისა... ვისა... ჰ... კარგი ვინმესა, მოდი ეს ჩემი ნათლული აფიცარს მივცეთ.

გეურქა.

ჩე ახპერ იმ ბანჩე,¹⁰² მე ჩინოვნიკი ქალი არ მივცემ, მინდა ჩემი ტოლი ვაჭარი მივცე.

მიკირტუმა.

ვა! პანციონში გაზდილი ქალმა ვაჭარი გინდა მისცე?

გეურქა.

არაუშავს რა.

მიკირტუმა.

ვა! ჩემი ნათლულია, კარგი ვინმეა.

გეურქა.

არა ვერ მივცემ.

მიკირტუმა.

ვა! მერე სომეხია და ძკრათ ღირს.

გეურქა.

102 [სომხ.] – არა, ძმაო, ჩემი პასუხია არა.

ჩე ახპერ ჩიმ ტა.¹⁰³

მიკირტუმა.

ვა! უფულოთ მივცემ მეთქი.

გეურქა.

ასუმიმ ჩიმ ტა.¹⁰⁴

მიკირტუმა.

ვა! ასუმინ პორუჩიკი ჩინ უნე.¹⁰⁵

გეურქა.

ჩიმ ტა.¹⁰⁶

მიკირტუმა.

ტო ასუმინ ირექ მის უნე.¹⁰⁷

გეურქა.

(წამოდგება და გაჯავრებით) ვა! ასუმიმ ჩიმ ტა.¹⁰⁸

მიკირტუმა.

ასუმინ სტანისლავი ხაჩნერ უნე.¹⁰⁹

103 [სომხ.] – არა, ძმაო, არ მივცემ.

104 [სომხ.] – მე ვამბობ, არ მივცემ.

105 [სომხ.] – ამბობენ, პორუჩიკის ჩინი აქვს.

106 [სომხ.] – არ მივცემ.

107 [სომხ.] – ამბობენ, თავისი ხორცი აქვს.

108 [სომხ.] – გეუბნები, არ მივცემ.

109 [სომხ.] – ამბობენ, სტანისლავის ჯვრები აქვს.

გეურქა.

(დადის გაჯავრებით და ეუბნება) ჩიმ ტა.¹¹⁰

მიკირტუმა.

ასუმინ ელი ურიშ პატივ უნე¹¹¹ (ცხვრს დააცემინებს).

გეურქა.

(იქით) ზაჰრუმარ (მიკირტუმას) ვა! ასუმიმ ჩიმ ტა.¹¹²

მიკირტუმა.

ასუმინ მე იმქინელ აველ უნე.¹¹³

გეურქა.

(იქით) ვა ხათაე! (მიკირტუმას) ტო ასუმიმ ჩიმ ტა.¹¹⁴

მიკირტუმა.

ასუმინ ზახრაბრისტი შჰაგელ უნე.¹¹⁵

გეურქა.

(პუბლიკას) ვა გიჟე, არ გამეცლება (მიკირტუმას გა-
ჯავრებით) ტო ძერ ვიკალ ახპერ ჩიმ ტა.¹¹⁶

მიკირტუმა.

110 [სომხ.] – არ მივცემ.

111 [სომხ.] – ამბობენ, რალა, სხვა პატივი აქვს.

112 [სომხ.] – გეუბნები, არ მივცემ.

113 [სომხ.] – ამბობენ, ჩემზე მეტი აქვს.

114 [სომხ.] – გეუბნები, არ მივცემ.

115 [სომხ.] – ამბობენ, სიმამაცისათვის ხმალი აქვს.

116 [სომხ.] – გაიგე, ძმაო, არ მივცემ.

ასუმინ კრასნი ვრტნიკნელ უნე¹¹⁷ (ცხვრს დააცემინებს).

გეურქა.

(იქით) ჩორუცავ (მიკირტუმას) ასუმიმ ჩიმ ტა.¹¹⁸

მიკირტუმა.

ასუმინ ჩექმივრა შპორნელ უნე.¹¹⁹

გეურქა.

(მივა და ააყენებს სკამიდგან) თავი რათ მიხეთქამ ბევ-
რი ლაპარაკითა, გეუბნები არ მივცემ, ჩემი მარეხი მამიკუდეს
თუ მე ჩინოვნიკი ქალი მივცე.

მიკირტუმა.

ასუმინ პუჩუტნი ნაგრაღელ უნე¹²⁰ (ცხვრს დააცემინებს).

გეურქა.

(იქით) ასტუნუ კრაკ¹²¹ (მიკირტუმას) ასუმიმ ჩიმ ტა.¹²²

მიკირტუმა.

ბას არ მიჰსცემ შენი ქალი შენი მდგმური?

გეურქა.

არა.

117 [სომხ.] – ამბობენ, წითელი საყელოც აქვს.

118 [სომხ.] – ხრჩობა. ვამბობ, არ მივცემ.

119 [სომხ.] – ამბობენ, ჩექმაზე დეზეები აქვს.

120 [სომხ.] – ამბობენ, საპატიო ჯილდო აქვს.

121 [სომხ.] – ღვთის რისხვა.

122 [სომხ.] – ღვთის რისხვა, ვამბობ, არ მივცემ.

მიკირტუმა.

(იქით) არა მარა (გეურქას) ბას კარგი, აღარც მე დაგ-
პატიჟებ არტალაზედ.

გეურქა.

ტო რა გინდა ქალის საქმე იქით იყოს, არტალაზედ
დამპატიჟე.

მიკირტუმა.

ჩე ახპერ,¹²³ შენი ქალი შენთვან იყოს, ჩემი არტალა
ჩემთვის (გავა შუა კარით).

გამოსულა 9.

გეურქა.

(მარტო) ვა რა კაცია, პლუტი ჩინოვნიკი მიეცი შენი
ქალიო, ისიც ვოენი, ფულეები ისე ფანტვენ როგორც ბზე, სა-
დაც მივლენ დაიძახებენ დავაი შაფანცკუ, გადაუყრიან ფულე-
ბი თითქო რიყეზედ მოეგროებინოთო, მერე შაფანნიკიც ხომ
წორეთ არ გასხნიან, შემოჰკვრენ შპაგა და ბუთლიკა შუაზედ
გახეთქამენ, ნახევარი იქცევა, ნახევარი სმენ, მერე მოუათ
ჩხუბი დუელი იქმონენ, ეხლა მერო ჩემი ქალი ჩემი მდგმური
აფიცარი მივცე, ერთიც ვნახოთ დალეული მოვიდა, ერთი სი-
ტყუა უთხრა, მაშინვე შპაგა მდებს თავში და კტრიც გლუხ...¹²⁴
მიზდიე გეურქ, ვა რა კაცია მიკირტუმა, აპელატი აქუსო მაკ-
კრუტბს, დიდი რამე გონია ჰა... იმისთანა მუშური გირვანქა
სამ აბაზათ არის.

123 [სომხ.] – არა, ძმაო.

124 [სომხ.] – თავს მომაჭრის.

გამოსულა 10.

იგივე და სიმონიკა.

სიმონიკა.

(შემოვა და გეურქას) ალა! ვინცლა სქელი თავადი გახლავსთ და თქუჴნს ნახუას ნდომულობს.

გეურქა.

დაუდახე მოვიდეს, (გავა სიმონიკა და შემოვა ინდო).

გამოსულა 11.

იგივე და ინდო.

ინდო.(შემოვა და სალამს მისცემს) პარუმ გეურქას გაუმარჯოს.

გეურქა.

გმადლობთ კნიაზ! მობრძანდი დაბრძანდი (დასხდებიან სკამებზედ).

ინდო.

რასაიქ გეურქე როგორ მშუდობით ბრძანდებით?

გეურქა.

გმადლობთ კნიაზ! თქუჴნი პრწყინუალებაჲ სომ მშუდობით ბრძანდება?

ინდო.

ეჰ, რალა მშკდობაა ძმავე ჯავრით აღარა ვარ.

გეურქა.

რა ჯავრი გაქუს კნიაზ?

ინდო.

რალა რა ჯავრი ძმავე, ეს რალაც ეშმაკი მზის დაბნელება მოიგონეს ასეთი არიან შინა ლამის ჯავრით დანყდნენ.

გეურქა.

მეც ეგრე ვარ შენმა მზემა, ჩემი სახლობაც ასეთი ეშინიანთ რომ რალა ვთქო, არ ვიცი თუ რა ვქნა.

ინდო.

რალა უნდა ვქნათ ძმავე ტყუილილაა, რაც მოგვვა მოგვვა, უნდა თადარიკს შეუდგეთ, მე ეხლა შენთან იმისთვნ ჩამოველ, ვაი თუ მართლა გამინყრეს ღმერთი და როგორც ანბობენ ხალხი უნდა დაიხოცნონო მეც მამიკუდეს ვინმე, ფულებს მინდა დაგესესხო ერთი ათიოთ თუმანსა, რომ მზათა მქონდეს სამარხათა.

გეურქა.

ფულები კნიაზჯან! რავქნა ნუ გენყინება ვერ მოგცემ, ერთი ამისთვნა რომ ვაი თუ ჩუწნც დავიხოცნეთ და ვილამ გამოგართოს, და მეორეც იმისთვნა რომ კაი ნუ გენყინება და თავადები ნასესხი ფულები აღარ იძლევიოთ.

ინდო.

ეჰ... შე ოჯახქორო აგრე როგორ ამონყდებით ყველანი რომ ფულის გამომრთმევი აღარავინ დაგრჩეს, და მოცემაზედ კი ხათრიჯამი იყავ პარუმ გეურქ, რომ მამაჩემი ნუ წამინყდება ვადაზედ უეჭველათ მოგცემ, თუ გინდა კალოზედ პურს მოგცემ კოდს ოთხ აბაზათა.

გეურქა.

რავქნა კნიაზ! ეგ კალო ძალიან გული დამნო.

ინდო.

როგორა ვაჟო?

გეურქა.

თქუწნი ის ემე არ არის, გურგენ კნიაზი.

ინდო.

ჰო ვიცნობ ვიცნობ.

გეურქა.

იმან შარშან პური დამიკვეთა კალოზედ უნდა მოეცა, ნინდანინ შემოეთუალა ტომრები გამამიგზავნე პურით ავამსეფ და შეგინახამო რომ ამოხვალ მოგინყამო, მეც გავბრიყუდი და გაუგზავნე, თურმე ღალის ასაღებათ ტომრები არა ჰქონოდა და იმისთვის არა სდომია, მერე პურისათუნ რო წავედი კიდენ ერთი წყვლი სათალი და ერთი კარგი ზურგიელი წავიღე და მივართვი, ბატონო ის თევზებიც შეჭამა, ტომრებიც სულ დაეგლიჯა და აღარც პური მამცა, მეუბნება თუ წრეულ მოსავალი ნაკლებად მოგვვიდა და კულავ მოგცემო, ჯერ დღესაც ისევ გარბის არ ვიცი ავიღებ თუ არა, მაგრამ რას ავიღებ,

მგლის ჯელში ბატკანი ჩავარდეს კიდენ გამაართმევს ვინმე, უკაცრავად კი ნუ ვიქნები კნიაზჯან და თქუჴნ წორეთ ფულის გლებმა ხართ.

ინდო.

პარუმ გეურქ! მე იმაზედ ნუ გამცვლი, მამაჩემი ნუ წამიწყდება ისეთ პურს მოგცემ რომ სწორეთ დარკუჭული იყოს, მერე შენის ჩანახით აგინყამ და ჩემის ურმით ჩამოგიტან.

გეურქა.

კარგი კნიაზ! გენდობი და ერთი შენი პირიცა ვნახამ (ისმის გარედგან ხმა) პარუმ გეურქ შინა ბრძანდები.

გეურქა.

შინა ვარ, რომელი ხარ აქ შამოდი.

გამოსულა 12.

იგინივე და ზაალ.

ზაალ.

(შემოვა და სალამს მისცემს) პარუმ გეურქას გაუმარჯოს, (ინდოს) კნიაზს ვახლავარ.

გეურქა.

გმადლობთ, დაბძანდი, რისთუნ გარჯილხართ?

ზაალ.

(დაჯდება) რალა რისთუნ გავრჯილ ვარ ვაჟო, ე რალაც

მზის დაბნელებას ანბობენ ლამის შიშით დანყდენ შინაურები, დღეს გამამაგდეს ნადი გეურქას ერთი ხუთიოთ თუმანი დაესესხე ვინ იცის რა შემთხუჭვა მოგუჭცესო, თუ ღმერთი გნამს გეურქე ჳელი გამიმართე.

გეურქა.

ეჰ, ხუთი თუმანი არაფერია, შენ კაი ემისათუნ პირი გაქს, ნასესხისათუნ, გენდობი მაგრამ რაზედ გინდა?

ზაალ.

რაზედაც გინდა მამეცი, თუ გინდა ტივებს დაგიკუჭთ.

გეურქა.

ვა, ტივი რათ მინდა ღურგალი ხომ არა ვარ, ისე გენდობი ბარათითა. (ისმის კულისიდგან ხმა ბერუასი) ალა შინა ბძანდები?

გეურქა.

რომელი ხარ აქ შამოდი.

გამოსულა 13.

იგინივე და ბერუა.

ბერუა.

(შემოვა და თავს დაუკრავს) ალა ადეძელა ღმერთმა (ინდოს და ზაალს) ბატონებს გაუმარჯოს!

გეურქა.

რისთვის ჩამოსულხარ ბერო?

ბერუა.

ოჯახი რომ დაექცეს ჩუწნებურს ტარატასა, მზე უნდა დაბნელდესო რალაც ეშმაკი მოიგონა და ე დედაკაცები სულ დაგვგიჟა, ზოგს სანირავს აზიდვინებს ლუდლისთვნი შენი ქიმიე, ზოგი სამლთოსა ჰკლამს და ზოგი რას ჩადის, ჩაიქცა ი ოჯა-დაცეული შემოსავლითა, ამისთანა დოვრანი თავის დღეში არ დასცემია, იმისთვნი მზე კი არა ბნელდება უფროც განათ-და, მეც დედაკაცებმა გამამაგდეს ნადი ვალი აიღე და ერთი თოხლი იყიდე სამლუთო დავეკლათო, თუმანი ნახევარი მავალე აღა! სართლოთ ტკბილს მოგართმევ კოკას მანათათა.

გეურქა.

მერე ერთი თოხლისათვნი თუმანი ნახევარი რათ გინდა?

ბერუა.

იმისათვნი კი მაგტელი რათ მინდა, მაგრამ ერთი რკინის ჯაჭვც მინდა ვიყიდო.

გეურქა.

მერე ჯაჭვ რათ გინდა?

ბერუა.

რა ვიცი მკითხავმა თქუა მზე რო დაბნელდება ულაცი ჩოჩრები გაცოფიანდებიანი და ძაღლებს დაგლეჯენო, ერთი ჩოჩორი მყავს მართლა თუ ღმერთი გაუნყრა და გაცოფიანდა, ჩუწნს ბატონს ოცი მეტი მწევარი და მეძებარი ჰყავს სულ დაუგლეჯს და ვილა მოურჩება იმასა, მინდა წინდანწინვე ჯაჭვთ

დავაბა.

ზაალ.

ჩოჩორი კი არა და მეც გავიგონე, რაც პირუტყვია მზე რო დაბნელდება თავიანთი თავი სულ მგლები ეგონებათ მის-ცკვიან და ერთმანეთს დასჭამენო.

ინდო.

უფრო საკვრულში გავიგონე, მზე რო დაბნელდება ფრინუშლები ნივილს დაინყებენ ასეთის ხმითა რომ ყურთა სმენა აღარ იქნებაო, მერე ჩამოვლენ ქუწყანაზედა დაერევიან ადამიანებში და ნისკარტითა და კლანჭითა თავ პირს დააფხ-რენენო.

გეურქა.

არა კნიაზ! ასე ამბობენ მზე რომ დაბნელდება ციფგან ნამოვლენ გუჭლაშაპები და რაც ლამაზი ქალი და ვაჟია სულ ჩაყლაპენო.

ბერუა.

აიპე! იმ ტიალებსა სხუა საჭმელი გაუნყდათ, თუ მართლა აგრეა ი ოხრებმა ნეტავი უნინ ჩემი ბატონის მოურა-ვი ჩაყლაპონ თავის ცოლითა, რომ იმისგან მოსვენება აღარა მაქს. აგრე კი არა აი დასწყევლათ ღმერთმა ერთი კიდევ რაღაც უცნაური თქუცს, მზე რო დაბნელდება ერთი საშინლათ დაი-ქუხებს და რაც ორსული დედაკაცები არიან შიშით სულ ტყუბ ტყუბსა შობენო, მერე სიმნარით დაცოფიანდებიან და კაცებს დასჭამენო.

ინდო.

ესეც გავიგონე, მზე რო დაბნელდება შავი ზღუა ფრ-
თონას დაინყებს გადმოვარდება და კასპიის ზღუას შეუერთდება
და გზაზედ რაც ქალაქი და სოფლები დახუდება სულ თან
ნაიღებსო.

ზაალ.

უფრო საშინელი არა თქუჴს, მზე რო დაბნელდება
გაჩნდება ანტენ ქრისტე თავის ჯუართა შავი ზღვს პირსაო,
და ურიების გარდა ყველა ხალხს დახოცამსო.

გეურქა.

ვა! მაშ ნავიდე ყაყობა ურიას შევეხვეწო ჩემი ფული
მართებს ეგება არ მამაკულევიწოს, ეჴ ეგრე არა, ერთი ჩემი
მეგობარი თქო, კაზეთაში ესე წერია, მზე რო დაბნელდება ფრ-
ინვლები ძირს ჩამოცკვიან და დაიხოცებიანო, მერე პირუტყვე-
ბი ცაში ავლენ და მზე რო გამოვა ფრთებ შესხმული ჩამოვლენ
ქუჴყანაზედა, იმ კუდარ ფრინვლებს შესჭამენო, მერე ადამი-
ანებს დაიტაცებენ და უკიანის ზღუაში ჩაყრიანო.

ბერუა.

ამასაც მოგახსენებენ: მზე რო დაბნელდება ციდან
ცეცხლი ჩამოვა და მთელს ქუჴყანას გადასწუამსო, მაგრამ
რომელ ერთს დაუჯეროს კაცმა ამ ოჯახქორებსა, ზოგი რას
ბოღამს და ზოგი რასა, ეს ანბები წორეთ წარყუნის ნიშა-
ნია, ტყუილიდაა შკლოსა ჩუჴნი განირვს დღე მოსულა, ისევ
ღმერთს უნდა მივეწოდოთ რაც იმის ნებაა ის იქნება, მაგრამ
იქნება მართლა როგორც ანბობენ ლილა გაუცვდათ და მზის
დაბნელება ტყუილათ მოიგონეს?

გეურქა.

მეც ისე მგონია, მაგრამ გუჭლაშაპები კი ნორეთ ჩამოცკვიან ქუჭყანაზედა და ვისაც გარეთ მოასწრობენ იმას მოიტაცებენ.

ინდო.

ისევე ყველას ისა სჯობს ჩავიდეთ ცოლშულით სარდაფებში და სანამ მზის დაბნელება გადივლიდეს, დაუნყოთ ღვინოს სმა რომ არ შეგუჭშინდეს.

ზაალ.

ძალიან კარგსა ბრძანებ მეც აგრე მოვიქცევი, მაგრამ ამასაც ანბობენ: მზე რო დაბნელდება საშინელი მიწის ძვრა იქნება, ასეთი რომ იალბუზი და თრიალეთი ერთმანერთს ეცემიანო, იმ ძურაში სახლები რომ თავს დაგუჭქცეს ხომ დავიხოცებით.

ბერუა.

ეჭ დავანებოთ ამთენს ლაპარაკსა თავი, თქუჭნ კი დაგლოცათ ღმერთმა, აგრე ღმერთი როგორ ჯელს აიღებს ჩუჭნზედა რომ სულ დაგვხოცოს, გული გავიმაგროთ ძან დავთვრეთ და დაბნელების დროს გავიდეთ კარში, რაც მოგვკვა მოგვკვა, ხომ მოგეხსენებათ: ჭირსა შინა გამაგრება ასე უნდა ვით ქვტკირსაო.

გამოსულა 14.

იგინივე და ნენე.

ნენე.

(შემოვა და თავს დაუკრავს) ბატონები აცოცხლა ღმერთმა (ყველანი ფეხზედ აუდგებიან თავს დაუკურენ და მერე ინდო).

ინდო.

გაცხონა ღმერთმა ნენე! რასა იქ ხომ მშუდობით ბრძანდებით, დაბძანდი (დასხდებიან ყუჭლანი).

ნენე.

ეჰ, ჩემი მშუდობა რალა მშუდობაა ამ დროს გადამკიდე.

ინდო.

მართალს ანბობ დედაშულობამა, ძალიან ცუდი დრო შეგვექნა ამ მოხუცებულებსა.

ნენე.

რატომ არ შეგვექნება ცუდი დრო, დედაშულობის დანდობა აღარ არის და დედამთილ მამამთილისა, სიძვრე ეს არის სულ დაგუალარიბა ხორაგის ყიდუამა, მაგრამ მაინც კაცი ველარ გამაძლარა რიგიანათა.

ზაალ.

ახლა ახლანდელს ჩუჭნს ახალგაზდებსა ჰკითხე, ასე ანბობენ ჩუჭნისთანა მდიდარი ხალხი არავინ არისო და ვერცარავინ ჩუჭნისთანა ცხოვრობსო.

ინდო.

აბა იმათი სიმდიდრე რა სიმდიდრეა ბატონო! თუ კაცე-

ბი არიან ერთი კაცი ისტუმრონ სადილათა თუ კუჭი გაუძღონ.

ბერუა.

მე და ჩემა სულმა წორეთა ბძანებ.

ინდო.

სწორეთ როგორ არ ვანბობ ვაჟო, დაგსმენ ტოლია თუ რაღაც ეშმაკი იმაზედა, და ელი ამ ხანს და იმ ხანს საჭმელსა, უნდა ჩამოგიშეშედეს ფეხები ბევრის ჯდომითა, მერე მოგიტანებენ დაგიდებენ წინ თეფშსა და ერთს საათს ცარიელი თეფშისთჳნ გაცქერინებენ, ახლა მოგიტანებენ ბატონო დანა ჩანგალსა და შესცქერი თუ როდის მოგივა საჭმელი.

ზაალ.

აი იმ ჩანგლის მამგონს დაექცეს ოჯახი, ბატონო ერთს სადღაც ჯანამას შევხუდი ტოლზედ სადილათა, და მეც სხვს მიხედულობითა ჩანგალით დაუნყე ჭამა, გამიწყრა ღმერთი ვიძგერე ი ტიალი ტუჩში და გავიხეთქე, ნამვარდა ბატონო სისხლი და თქუწნმა მზემა ნახევარ თუნგი მეტი მედინა, გამოვარდი გარეთ ლანძღვითა, ოჯახი თქუწნც დაგექცათ და თქუწნს მასპინძლობასაცა მეთქი, ბატონო რა გვჭირდა ჩანგალი რომ არა გუქონდა, რომელი სჯობს (აჩუწნებს ხუთს თითსა) ამ ღუთისაგან მოცემულს ჩანგალსა, მართალია გემრიელათ არ გაჭმევს.

ინდო.

ახლა ბატონო მოიტანებენ და ჩამოგიმწკრივებენ კოვზებსა, და სწორეთ მამლის ყანწისტოლა ტაქნებსა.

ბერუა.

აი ი ტაქანის მამგონს ამოუნყდეს ცოლშკლი, ი ტიალში რო ჩაასხამ ღვინოსა და ინაფებ როგორც ყელს მოიღერებ დასალევათა და ი ოხერი იქვე ყანყრატოში მოწყდება, რა გვიჭირდა თქუჭნი ჭიიმე რომ ჯიხვითა ვსუამდით, ჰე ვენაცუალე იმი გამჩენსა, მართალია დალევ თუ არა მაშინვე ფერდებში არ მოგხუდება.

ინდო.

ახლა ბატონო ელი პურსა, მოგიტანებენ და თითო ნათალს დაგინებენ წორეთ თითის სითხეთა, ერთ ლუკმათ ჩაიდებ და კიდევ გათავდება, ელი კიდევ თუ როდის გამოვა წყალობა რომ კიდევ მოგიტანონ, თუ შეგასწრო მაინცელმა თუალი ხომ რა კარგი, დაუძახებს: პრინესი კუსოკ ხლება... თუ არა და უნდა იჯდე ისე მშიერი.

გეურქა.

რათა კნიაზ! მოთხოვა სირცხვილი არ არის, მაშინვე მოგიტანებენ.

ინდო.

ახირებულია თქუჭნმა მზემა, ბატონო რათ მოვითხოვო, რა ენაღვლებათ ქრიტიანულათ მოიტიანონ ი ოხერ ტოლზე და და მთელი პური დასდონ, რასაც შევჭამ შევჭამ რასაც არა იქვე არ დარჩებათ.

ბერუა.

თქუჭნი რისხუა არა მაქუს წორესა ბძანებ.

ინდო.

ახლა მოგიტანებენ ბატონო (თითით აჩუქნებს) ამოდენა შავი ბოთლათი ღვინოსა დასდგმენ ტოლზედა და გუჭრდით ერთი იმოდენა ბოთლათი წყალს მოუდგმენ.

ბერუა.

თქუჭნი რისხუა არა მაქუს ჳელში რო ჩავიგდო ი ბოთლას გამკეთებელი კბილით დავგლეჯამ, ეშმაკათ ერთს კაცს ქირა მიუტანე და სადილი უნდა ეჭმია, დამსვა შენი ჭიიმე სადილათა და ღვინო ი ტიალი ბოთლათი მამიტანა, ერთი ორიოდ ტაქანი რო დავლიე და გაუნყრა ჩემი იესო ქრიტე აკი დაიცალა, ვამბობ რავექნ ამ ტიალს თითქო აბრუ კარგი აქს და ასე მალე რამ დაცალა მეთქი, ავილე ჳელში გასაშინჯათა, თურმე ნუ ბძანებ შენი ჭიიმე ი ოხერს (უჩუქნებს მუშტსა) ნორეთ ამოდენათ კი ჰქონია ძირი შეხურეტილი, აი გაგინყრა ღმერთი შენცა და შენ გამკეთებელსაცა მეთქი, არა ის ოჯადაცეული იმის გამკეთებელი, თუ ქრიტიანის სული უდგია, ბიჭო რა ენაღულება ი ძირი ნორეთ უყოს რომ პატარა მეტი ღვინო ჩავიდეს.

ინდო.

ახლა ბატონო მოგიტანებენ რალაც ეშმაკურს საჭმელებსა, ჩუქნებურს ხო ველარას ნახავ, დასდებენ ერთს დიდს თეფშზედა დაადებენ ზედ კოვზსა და ჩამოატარებენ, ოცი კაცი რო იყოს ყველამ უნდა გაიხვედროს, ან შეგხუდება ერთი ლუკმა და ან ისიც არა.

ზაალ.

ბატონო იმის შეჭმასაც რომ არ დაგაცლიან, ერთი

ბიჭი რომ საჭმელს მოგართმევს, მეორე ბიჭიც დიამბეგის ისა-საულივით თავს გადგია, წამოუვლის ტოლსა და ისევ შეუჭმელს თეფშებს წამოჰკრეფამს.

ინდო.

ახლა ბატონო იმათი ღვინის სმა უნდა ნახო, დაჰკურენ ტაქანზედ ერთს ცვარს ღვინოსა და ზედ ორ წილს წყალს დაასხმენ, შეხვრეტენ ორიოთ ყლაპს ჩაისავითა, გადინწერენ პირჯუარსა წამოცკვიან და აუყენებენ სკამებს რახა რუხსა, მერე ჩაიჩრიან შტვირევით პირში რალაც ეშმაკური პაპირუსები შემოიღეს იმასა, დადიან და ქაჯებივით სხუა ენაზედ ლაპარაკობენ რომ ქრიტიანი კაცი იმათსას ვერას გაიგებს. ვეჟო რა გვიჭირდა რომ ტოლზედ არა ვჭამდით პურსა, დავფენდით კაი საფენსა, გავშლიდით ზედ სუფრასა და მოუსხდებოდით გარეშემო. პური კაცის თავს ოროლი მოგვვიდოდა, ხორაგი აუარებელი, და ხორცი რისაც უნდა ყოფილიყო სულ მთელ მთელი ასო, ღვინის სმას ნულარ ბძანებ, დაგუადგებოდა თავს მერიქიფე და ჯიხვებით სწორეთ წმასავით გუაყრიდა, ისე ვილხენდით ხოლმე და კიდევ სუფრიდგან რომ ავდგებოდით ჩუჭნი ნასუფრალით ათი კაცი კიდევ გაძლებოდა, და ამათი ნასუფრალით ერთი კატაც ვერ გაძლება.

ზაალ.

საჭმელს ჯანი გავარდეს, ეს საცმელიც რო ეშმაკური შემოიღეს, სწორეთ გუდასავით ჰკიდიათ ტანზედა და სახესაც ხო იგრეხენ რალაც ნაირათა, ზოგს ნიკაპზედ გამოუშვიათ პატარა წვერი თხასავითა, ზოგს ყბებზედ გაბანჯგვლილი დათვივითა, ზოგს სადა და ზოგს სადა და ამ თმაზედაც რალასაც ჯანაბას იგლესენ, ფერი კი ღორის ქონისა აქუს და არ ვიცი თუ რა არის.

გეურქა.

კნიაზ ეხლა ჩუჴნი ჭკუის ხალხი ძვირათ ნახამ.

ინდო.

ახლა ბატონო ერთი შეხედე იმათ გაპლუტებასა, ამ ქონის სანთელსაც ხომ აღარ კადრულობენ ცუდი სუნი აზდის დაგუაჭლექებსო, რალაც ეშმაკური სანთელი შემოუღიათ ასეთი ხმელია ის ტიალი, მერნმუნე რო ურიას თავში დაარტყა გააქრისტიანებს, ვაჟო იმათი მამები არ იყუნენ ჭრაქით სწვამდენ ღორის ქონსა რატომ არა ჭლექდებოდნენ.

ზაალ.

ქონის სანთელის დაწუა კი არა, ღვინის უსმელობა აჭლექებთ იმათა. ისინი ჩუჴნ დაგვცინიან ვითომც ბევრ ღვინოსა სმენო, ახლა ჩუჴნი ფერიცა ნახონ და იმათიცა, ჩუჴნ რომ ღვინოსა ვსუამთ და გამოვდივართ გარეთა წითლად ღაჟღაჟი გაგუაქს, ისინი რომ ჩაისა სმენ, მუცელში ჭაობი უკეთდებათ და იქიდგან სიყვითლე შეზდით, მერე შეუათ სიჭლექე, იავადებენ და ისევ უცოლშკლონი ოცდახუთის წლის კაცნი კუდებიან, აბა იმათ ჩუჴნსავით ღვინო დალიონ თუ ბევრი არ იცოცხლონ.

ინდო.

ერთი კიდევ რალაც ეშმაკური საჭმელი იციან, ზოგი ნითელია და ზოგი ყვითელი დაჭრელებული, დაზდებენ ბატონო თეფშზედა და სწორეთ ბნედა მოსული კაცივით ცახცახებს, ზედ დაადებენ კოვზსა და იმითი უნდა შეჭამო, ისეთი ცივია ის ტიალი ისეთი ცივია რომ სიცივით კბილებს დაგაყრევიანებს, მერე როგორც პირში ჩაიდებ ყბის მოქნევას ხომ აღარ დაგაცლის, ისე უეცრათ განყალდება რომ არც სულს არგებს და

არც ხორცსა.

გეურქა.

კნიაზ! მაგას ემე, ჭილე ეძახიან.

ინდო.

გეტყობა პარუმ გეურქ იმ ემეს მალ მალ მიირთმევ ხომე რომ სახელი გცოდნია.

გეურქა.

ეჰ, რა ჩემი საქმეა მაგრამ, ახარ სტუმრათ რო შევესწრობი მეტი რა ღონეა, იმას კი არა მთელი იმათი სტოლის საქმელები ერთი მათლაფა ჩაბუყბუყებული ბოზბაში მირჩევიან.

ინდო.

ჰაი თუ აგრე.

გეურქა.

ახლა ბატონო ეს რალა ღუთის რისხოა, ერთი კაბა რო უყიდო შენი ცოლი და ერთხელ კანპანიაში ჩაიცოს მეორეთ ის აღარ ჩაიცომს, ამბობს მოდნა აღარ არისო, რა გინდა ქნა ახალი უნდა უყიდო თორემ პური გაგიშხამებს.

ინდო.

ოჰ, მაგას კი ნულარ მეტყვ ძმავ, ეს ჩუჭნი თავადობა ლამის მაგ მოდნა მუდნამ დაგვლუპოს.

ნენე.

აი დაიქცეს მაგათი მოდნი, ბატონო უნინდელს დროში როგორ შეგვეძლო დედამთილისა და მამამთილის წინ ხმა ამოგუჭლო და ეხლანდელი რძლები დედამთილებს კიდეცა სცემენ, ეხლანდელი ყმანჭლი გომბიოებიცა ხომა დაინიშნებიან თუ არა ჯერ ჯუარ დაუნერლები, ქმარი მოხვდებათ თუ მაზლი გაუყრიან კლავში ჯელი და დაზდევენ ქურაქურა, აშრები, განყდეს იმათი პირის წყალი როგორც ჩუჭნი ნამუსი განყცტეს.

ინდო.

მართლა ეგეც კარგათ მამაგონე, ბიჭო ერთი ვილაც ოხერ ტიალი შემოვა შენ სახლში დაგინყებს მეგობრობასა და მისულა მოსულასა, მერე წაავლებს ბატონო შენს ცოლს კლავში ჯელსა და დაათრევს ქურა ქურა ვინ იცის სად ეშმაკებში, შეხუალ იკითხამ სახლში, ბიჭი გეუბნება თუ აქ რო ჩინოვნიკი დადის იმან წაიყუნა ქალბატონი გარეთაო, დაგწყევლოს ღმერთმა ეშმაკო ბიჭო რა გინდა შჯლო ე... სად მიათრევ ამ ჩემ ცოლსა, ვინა ხარ, სადაური ხარ, რას ეყვი ჩემს ცოლსა, დიდება შენთჳ ღმერთო არა გაგონილარა ამისთანა არა თქმულარა, მეც ადრე ქალაქში რო ვცხოვრობდი ხიზნათა ერთი ვილაც ოხერხიდა შემამეჩვია სახლშია და დამინყო მეგობრობა. მერე ერთს დღეს ჯელი სთხოვა, ჩემს ცოლსა კნენინა პოიდომ გულათო, ბიჭო იქით დაიკარგე თორემ გულათ მოგცემ მეთქი, მოვისვი ხანჯალს ჯელი ვიფრინე შინიდგანა და ის დღე იყო და ის დღე, სწორეთ ბზობის ყვავილივით დაიკარგა ჩემი სახლიდგანა.

ნენე.

თქუჭნმა მზემა ბატონო! ორმოცი წლის ქალი რო

კარებში მდგარიყო და ქუჩაში კაცს გაევიღო, მაშინვე კარს მოჰკეცდა და პირს მოარიდებდა, ეხლანდელი ქალები ძალათ კარებში გამოდიან ჩიქილა გადაფრიალებულები და ნანნავებ ზეით ამოყრილები, რა არის ვაჟებმა დაგვანახონო.

ზაალ.

ბატონო ეს კუდრებზედ გლოვაც რო ამოაგდეს, უნინ-დელს დროში რას ნაირათ დაძებით და საბნელეთში სხდომით გლოვა ვიცოდით, ახლა სადლა ნახავ იმისთანა გლოვასა, თუ მოუკუდებათ ვინმე იქნება სულის დაღევის ჟამს კი ჩამოაგდონ ცრემლი თორემ მერე როგორლა ნახავ ნატირებსა.

ინდო.

ბევრი რალათ ვილაპარაკოთ ძმავ! ერთის სიტყვით ამ მოხუცებულს ხალხსა ცუდი დრო შეეგუჰქნა, ჩუჰნს ჭკუაზედ აღარა არის რა.

სიმონიკა.

(შემოვა და გეურქას) ალა ჩუჰნი მდგმური აფიცარი თქუჰნს ნახვას ნდომულობს.

გეურქა.

მობდანდეს უთხარ (სიმონიკა გავა).

გამოსულა 15.

იგინივე და გრიგოლ.

გრიგოლ.

(შემოვა თავს დაუკრავს ყველასა და ისინიც ფეხზედ აუდგებიან და გრიგოლ) რასა იქ პარუმ გეურქ რას შეექცევით? (ისევე დასხდებიან).

გეურქა.

არაფერს, ახლანდელი დროზედ ვლაპარაკობდით.

გრიგოლ.

ხომ არ უჩივით?

გეურქა.

დიახ! ძალიან ცუდი დრო არის.

გრიგოლ.

მერე რა არის ცუდი?

ინდო.

ცუდი დრო მეტი რაღა იქნება ბატონო კი ველარ მოვისუცნეთ და, ჯერ მოვიდა დიდი ხორველა და ხალხი სულ ამოჟლიტა, მერე მოვიდა კალია და სამი წელიწადი ველარ მოვიშორეთ, მერე მოჰყუა კიდევ ხორველადა სრიმლი გაავლო აქაურობასა, იმას მოჰყუა გვალუა და ასე დაგუამშია რომ პურით ველარ გამაძღარვართ, მერე გაჩნდა საქონლის ჭირი და სამი გუთნეული გამინწყტა, ახლა ეს მზის დაბნელება მოსდევს და ვნახოთ ეს რასა იქს, ყველა ყველა მაგრამ მზის დაბნელება რაღაა, ვის გაუგონია საქართუცლოში თქუცნი ჭიმიე.

გრიგოლ.

ეგენი ყოველივე ჰაერზედ არის დამოკიდებული და არა ამ დროზედ, და მზის დაბნელებაკი არაფერი გასაკრუჭლ-ია, თქუჴნ არ მოსწრებხართ თორემ საქართუჴლოში თავის დროზედ ყოველთჴს დაბნელებულა მზე.

ინდო.

ჴო მე ვიცი თქუჴნ კი მოესწრობოდით, რას ბძანებ! ვინ გაიგონა მზის დაბნელება, და რადგანაც დაბნელდება სწორეთ წარყუნის ნიშანია.

გრიგოლ.

(იკინის) აიმე მოგახსენოთ მიზეზი მზის დაბნელებისა: ეს ცხადი საცნაური არის რომ მზე უძრავათა სდგას, ხოლო ქუჴყანა და მთუარე იბრუნვან, და ოდესმე ჩქარს ბრუნვაში მზის სიახლოეს შეუძლიანთ ისეთის მდებარეობის მიღება, რომ მთუარე დასდგება სწორეს წრეზედა და დაჴფარავს სიმგრ-გულესა მზისასა, თუ სრულად დაჴფარა მაშინ იქნება სრული დაბნელება, და თუ რავდენიმე ნაწილი დაჴფარა მაშინ იქნე-ბა კერძობითი დაბნელება; ეს ვარსკულავთ მრიცხუჴლთაგან გამოკუღეული არის, რვას წლის წარმავლობაში დაბნელდება მზე თურამეტჯერ, და მათ რიცხუში იქნება სრული დაბნელე-ბა მხოლოდ სამი, და თუთო მათგანი განვრცელდება მხოლოდ მესაე ნაწილზედ ქუჴყნის სქერასა, ერთი და თუთო მხარე მხ-ოლოდ სამასს წელიწადში იხილავს სრულს დაბნელებასა, რომელიც კავკასიის მხარესა წილ ხუდა ამა 1851 წელსა.

ინდო.

მერე ვინ მოგახსენათ რომ ეს სწორეთ აგრე არის.

გრიგოლ.

დარიგება არის გამოცემული.

ინდო.

აი ისემც რა უთხრა იმის დამწერსა როგორც ეგ სწორეთ დაენეროს; თუ არ დაგიშლია ცაში ავიდოდა და იქ დასწერდა, რას ბძანებთ ეგ რა დასაჯერია.

გრიგოლ.

(იქით) что за без талковый народ (ინდოს) მაშ თქუჴნ არა გჯერათ?

ინდო.

აბა რა დასაჯერია თქუჴნი ჭიიმე, ისარა სჯობს ესა ვსთქუათ რომ უბედური და ცუდი დრო შეგუჴქმნა და ყველა იმითი მოგუდის, ამისთანა უკულმა დროებასა ჩემს სიცოცხლე-ში არ მოვსწრებივარ.

გეურქა.

წორეთ ბძანებს კნიაზი, ფინთი დრო არის.

ზაალ.

ახირებული ცუდი დრო გუაქს, გაკითხუა აღარსად არის.

ბერუა.

ცუდ დროზედ მეტი რა იქნება შენი ჭიიმე, დიამბეგის იასაულეების შიშით, სახლში ქათამი ველარ შემინახავს.

ნენე.

ძალიან ფინთი დროა, დედამთილი რძლისგან ნამცეცი პატივი აღარა აქუს.

გრიგოლ.

(იქით) Вот неблагодарный народ (იმათ) იმას ხომ არა გრძნობთ თუ ამ ახალმა დრომ აღმოაცენა საქართველოში სწავლა, ჯელოვნება, განათლება და სიბრძნე, რომლითაც ძენი საქართველოსნი დღე და დღე ემსგავსებიან ევროპიის განათლებულთ ხალხთა და მიიხნევიან ფილოსოფიის სწავლამდე. თქუწნ ისევ ძუწლს წესზე მიიწვეთ და სამდურავს ამბობთ ჩუწნს ჭკუაზედ აღარავინ იქცევიანო, აბა რა ჭკუა გაქუსთ რა გელაპარაკოთ, მე გიმარტავთ მზის დაბნელების მიზეზსა, თქუწნ დამცინით, მე უფრო სულელი ვარ რომ თქუწნთან ლაპარაკით თავს ვიხეთქამ, (გაჯავრებით) *уберайтесь к черту* (გავა შუა კარით).

გამოსულა 16.

იგინივე გარდა გრიგოლისა.

ზაალ.

რა ძრეილა ცხარობს შენი მდგმური, მაგრამ რას შევეპუებით, ეგეც ამ დროს ჭკუისაა და ჩუწნი ლაპარაკი ჭკუაში არ მოსდის. (გეურქას) პარუმ გეურქ თუ ფულებს გუაძღვევ მოგუცცი რომ შინ მივეშუწლოთ თორემ შიშით დანყდებიან.

გეურქა.

აი მობძანდით ზარაფთან ჩავიდეთ იქ გამოვართმევ და

მოგცემთ (გავლენ ყველანი შუა კარით).

გამოსულა 17.

მარეხ და სიმონიკა.

(შემოვლენ მარჯუნივ კარითა და მარეხა) სიმონიკო!
ნადი ჩუჴნს მდგმურს სთხოვე აქ მობრძანდეს.

სიმონიკა.

კი ბატონო (გავა შუა კარით).

მარეხ.

(პუბლიკას) მამაჩემი თანახმა არა ხდება ჩემის გრიგოლის მიცემაზედა, მაგრამ მე იმის მეტი ქმარი არ მინდა, იმისი ზდილობა და სწავლა უმჯობესი არის ყოველს სიმდიდრეზედა, მოვიდეს აქა, მე ვიცი როგორც მოვახერხებ ჩუჴნს ქორწილსა.

გამოსულა 18.

იგივე და გრიგოლ.

გრიგოლ.

(შემოვა შუა კარით და თავს დაუკრავს) მარეხს ვახლავარ.

მარეხ.

(სიცლით) გრიგოლ! მოხუცებულებმა გაგაჯავრეს?

გრიგოლ.

შენმა გაზდამ შენს სიყუარულს არ დავეჭირე კინალამ თავში ხმალი ვზდე მამაშენსა.

მარეს.

(სიცილით) კაი სასიმამროს პატივი იქნებოდა.

გრიგოლ.

(სიცილით) რა გგონია, მერე უფროც გაგვიადვილდება ბოდა ქორწილი.

მარეს.

ფიქრი ნუ გაქუს, ეხლაც ადვილია. რა შემოეთვალა მიკირტუმას პირითა?

გრიგოლ.

რა შემოეთვალა, ჩინოვნიკს ქალს არ მივცემო, ასეთი ვარ სისხლი მიშრება ჯავრითა; არ ვიცი რა მოვახერხოთ.

მარეს.

მე გეტყვი რაც მოვახერხოთ, თუმცა შენ განუმარტე მზის დაბნელება, მაგრამ მამაჩემი მაინც დამყარებული იმაზედ არის: მზე რომ დაბნელდება ზეციდგან გუჭლაშაპები ჩამოვლენ ყმარწვლს ვაჟსა და ქალს დაიტაცებენო. ჩუჴნ იმას ეს თავისი ჰაზრი აუხდინოთ?

გრიგოლ.

აბა როგორა?

მარეს.

შენ წადი ეხლავ ერთი დროშკა იქირავე და უთხარი, რომ მზის დაბნელების დროსა საცა ჩუჴნ არ წავიდეთ საცქერ-
ლათა, შორიახლო მოგვეყვეს და ჩუჴნთან დადგეს, მერე რო-
გორც მზე დაბნელდეს ჩავსხდეთ დროშკაში, ჩუმათ თელეთს
წავიდეთ და ჯვარი დავინეროთ, რაკი იმ დაბნელებაში და-
ვიკარგებით მამაჩემს სწორეთ ისე ეგონება უთუოთ გუჴლაშა-
პებმა მოიტაცესო და მაშინვე გლოვას დაიწყებს. შენ ეს ანბავი
მიკირტუმას გაუტყდი, რომ იმ გლოვაში მივიდეს ჩუჴნსა და
მამაჩემთან იმ ნაირათ მოახერხოს, რომ სიხარულით მიგვაღე-
ბინოს სახლში.

გრიგოლ.

ეგ ძალიან კარგი ჰაზრია გეთაყუანე, მაგრამ გამოგიშ-
ვებს მამაშენი.

მარეს.

მაგისას მე მოვახერხებ, მაგრამ შენ კაცი რომ მოგი-
ვიდეს მალე მოდი და ერთათ წავიდეთ.

გრიგოლ.

მაშინვე გაიხლები, მაშ წავალ დროშკის დასაჭერათა,
მშუდობით გეთაყუანე (გავა).

მარეს.

მშუდობით ნახუამდინ (პუბლიკას). მართლა სამაგალი-
თო არ იქნება ეს ჰაზრი რომ ავასრულოთ?

გამოსულა 19.

იგინივე და რევსიმე.

რევსიმე.

(შემოვა და მარებს) შკლო! რატომ გარეთ არ გამოიხედამ მთელი ქალაქის ხალხი გარეთ გადის მზის დაბნელების საცქერლათა.

მარეს.

ცარიელის გარეთ გახედვით რას ვისიამოვნებ, დედა! ჩუჰნც ნავიდეთ მინდორში და იქიდგან უცქიროთ.

რევსიმე.

მამაშენს ეშინიან და გარეთ როდი გაგიყუანს.

მარეს.

რისა ეშინიან? ამტელს ხალხთან ყაბული არა აქუს, რაც იმათა ის ჩუჰნა, ჩუჰნს მდგმურს აჩიცერსა ვსთხოვოთ რომ თან ნამოგყუეს და აღარ შეგვეშინდება.

რევსიმე.

მერე ნამოგვევება.

მარეს.

თუ კი ვსთხოვთ როგორ არ ნამოგვევება.

რევსიმე.

მერე რას იტყვან შვილო შენსასა, უცხო ვაჟთან რა ჴელი აქუსო?

მარეს.

რა უნდა თქუან ხომ არ შემჭამს, თქუწნც იქ არ იქნებით, იტყვან იმათი მდგმურია და თან გამოჰყოლიაო.

რევსიმე.

კარგი, აგერ მამაშენი მოდის იმასაც ვეტყვ, წავიდეთ და თან წავიყვანოთ.

გამოსულა 20.

იგინივე და გეურქა.

გეურქა.

(შემოვა შუა კარით) ოჰ... ოჰ... ოჰო... რა ამბავია, მთელი ქალაქის ხალხი სულ გარეთ გადის მზის საცქერლათა.

მარეს.

მამა! გეთაყუა ჩუწნც წავიდეთ.

გეურქა.

ვა! მერე მართლა რომ ვეშაპი ჩამოვიდეს და შეგჭამოს?

მარეს.

ეჰ, ვეშაპი კი არა და, ტყუილს ამბობენ, თუ მართალია და რაც ამტელს ხალხსა ის ჩუწნა.

გეურქა.

რევსიმე! შენ რას იტყვ ნავიდეთ?

რევსიმე.

ნავიდეთ ყმანვილი ქალია გული ნუ დაუჩაგრავთ, ჩუჭნი მდგმური აფიცარიც თან ნავიყუანოთ, იმან ვონის კაცია უფრო არ შეგუჭმინდება.

გეურქა.

ვა! ის რომ ჩუჭნთანა ნახონ ხომ დაგუძრახამენ.

რევსიმე.

არა, დღეს ისეთი დრო არარის რომ დაგუძრახოს ვინმემ.

გეურქა.

ბას დაუძახეთ რა მენალულება.

რევსიმე.

(გასძახებს) სიმონიკო! წადი ჩუჭნი მდგმური უთხარ, მზის დაბნელების საცქერლათ მივდივართ უთხარ და თქუჭნც ჩუჭნთან წამობძანდი უთხარ.

სიმონიკა.

(კულისიდგან ხმას მოსცემს) კი ბატონო მოვახსენებ.

გეურქა.

ბას თქუჴნ გადით ზონტიკეპი შემოიტანეთ და წავი-
დეთ.

რევსიმე და მარეს.

(გავლენ მარჯვნივ).

გეურქა.

ახ! ნეტავი არ იქნება ეს მზის დაბნელებამ უხიფათოთ
გადაიაროს.

გამოსულა 21.

იგინივე და გრიგოლ.

გრიგოლ.

(შემოვა შუაკარით და მოიკითხავს) პარუნ გეურქას
ვახლავარ!

გეურქა.

მობძანდი ბატონო! უკაცრავათ ნუ ვიქნებით რომ გუშინ
გაგაჯავრეთ.

გრიგოლ.

არა უშავსრა, მე აღარცკი მახსოვს, (იქით) გაჯავრება
ახლა ნახე, რომ სულ ქოჩორი გაბდღვნევიწო.

გამოსულა 22.

იგინივე, რევსიმე და მარეს.

(შემოვლენ ზონტიკებითა და რევსიმე გრიგოლს) ოჰ!
ბატონო მობძანებულხართ? თუ უკაცრავათ არ გახლდეთ
ჩუწნთან წამობძანდით მზის დაბნელებას ერთათ უცქიროთ.

გრიგოლ.

ბატონი ბრძანდებით, დიდის კმაყოფილებით (გადახე-
დავს მარეხას და ერთმანეროს შესცინებენ).

გეურქა.

აბა მობძანდით წავიდეთ (გავლენ ყველანი და ფარდა
დაეშვება).

მოქმედება 2-ე.

(ფარდა აიხდება და სცენა წარმოადგენს დიდუბის მონ-
დორსა, ცასა და მზესა, მინდორზედ დადიან ხალხი სხუა და
სხუას გუარისა, ზოგნი ერთმანერთში ლაპარაკობენ და ზოგნი
მზეს შესცქერიან ტრუბითა და ზოგნიც ისე, წინ სცენაზედ
არიან რუსის ჩინოვნიკი და ქალაქის ვაჭარი).

გამოსულა 1.

ვაჭარი.

(ჰკითხავს ჩინოვნიკსა)

Господин! правда солнца чорна будит?

ЧИНОВНИК.

Как черный, оно затмеится.

купец.

Правда?

чиновник.

Разумеется правда.

купец.

Нончи?

чиновник.

Вот чрез несколько минут.

купец.

Ех... неправда... я слышил, что лилахана испортил да неправда выдумит зделили, что солнца чорна будит.

чиновник.

Что такое значит лилахана?

купец.

Ва! незнайшь лилахана?

чиновник.

А черт его знает что оно такое.

купец.

Ент котора на духану большой кушин стаит, да на кушину сыны краска стаит.

чиновник.

Тут и сам черт ничего не паймет.

купец.

Ва! какой чорт, чалавек всегда красит, знаишь Г! ент котора белый без на кушину пушайт, там сыны краска стайт, да белый без сыны делайт.

чиновник.

Красильный завод чтоли?

купец.

Да да да... теперь узнал, ент завод гварит, спортил гварит, да неправда выдумит сделил гварит, что солнца чорна будит гварит.

чиновник.

Я совершенно ничего не понял любезный!

купец.

Ва! тебе такой болшой голова есть да ум мала чтоли, как непонимайшь, у нас есть такой закон: когда заводу хозайн новый сыни краска на кушину пушайт, и когда ент краска спортит, тогда заводу хозайн не правда слова выдумит зделит и всякйй чалавеку скажит, да тогда краска анет хорошый зделится; теперь да так гва-

рит всеки чалавек, что заводу хозайн кушину краска пустил гварит, краска спортил гварит, да неправда выдумит зделил гвариг, что солнца чорна будит гварит.

чиновник.

А кто это вам сказал?

купец.

Мой сосед Гогила да Галуста, еще мои отцу мать Дареджана.

чиновник.

Скажи что они все дураки.

купец.

Ва! когда правда слов гварит дурак?

чиновник.

Что вы толкуйте, разве вы не слышали, что об этом издана наставление.

купец.

Кто ент писал?

чиновник.

Один астроном.

купец.

(В сторону с удивлением) устранум... имя такой что ент должно быть чорт. (чин.) Г! ент устранум чорт али чалавек?

ЧИНОВНИК.

Что вы говорите, какой чорт он человек.

купец.

Ва! чалавек как может пишить, солнца на небо а он на земли.

ЧИНОВНИК.

Мало чего нет, он умом писал.

купец.

Ва! Ум тебе да есть, зачто вы не пишишь.

ЧИНОВНИК.

Я не учился любезный астрономію.

купец.

(В полуголос) а ент учился: завтра приди кончол будит, после приди кончол будит, принеси деньги да зделим твой дело. а...

ЧИНОВНИК.

(В сторону с удивлением) что за чорт, откудава он узнал, что я вчерас от одного требовал взятку.

купец.

Господин! скажи пожолуста, ент чалавек устрану – мик или пустранумик, от куда писал, от суди или на небо пошол да так писал?

чиновник.

(В сторону) видно, что он глуп как бы ухитрится (купцу) он вошел на небо и так описал.

купец.

Ва! я слишил, что только чорт можит ходить и на земли, и на пизу земли, и на небо и на выши небо, а чалавек никогда не слишил.

чиновник.

Знаишь любезный! он вошел на небо чрез лестницу.

купец.

Ва! что вы гваришь, такой лесницу один корпус 20 год да неможит зделить.

чиновник.

Оно давно сделано и поставлено.

купец.

Ва! кто поставил?

чиновник.

Разве вы неслишили, что для праотца Якова поставлена

лестница.

купец.

Знайм, знайм, ент Абрааму сыну сын?

чиновник.

Ну да, чрез нее вошел и описан.

купец.

А... теперь правда. Господин! ент лесницу теперь да так стайт?

чиновник.

Как же, оно и теперь существует.

купец.

Ех... неправда.

чиновник.

Когда не верите так поезжайте сами туда и увидите.

купец.

Е... еу. куда пойдем, на дорогу 5,000 руб. да не довольно будит.

чиновник.

Ну так верте мне.

купец.

Вы да так гваришь как адин чалавек другой чалавеку ска-
зал.

чиновник.

А чтоже он сказал?

купец.

Два чалавек стоял адин улицу, адин чорна ешак да ент
улицу пошол, ент адин чалавек другой чалавеку спросил „сколько
на ент ешаки кожу волос будит“ ент другой сказал два миллион гва-
рит, ент адин сказал нибудит гварит, ент другой сказал кагда ни
веришь гварит, считай гварит, ент адин выдил, что сто год нельза
была считать, верил ему слова. Я да знайм, что неможно туда най-
ду, нада верить ваши слову... (разайдут и прохоживают на сцене).

გამოსულა 2.

იგინივე, გეურქა, რევსიმე, მარეს და გრიგოლ.

გამოვლენ მარჯუნივ სცენაზედ და უცქერიან მზესა).

გრიგოლ.

(აჩუჭნებს) უნინ სიბნელე ამ მხარიდგან წამოვა აი.

გეურქა.

შენმა მზემა და მე კიდევ ის მიკვრს თუ ის ვილაც ყო-
ფილა ისე წვრილათ როგორ დანერა მზის დაბნელება, თუ ისე
ახდა როგორც წერია, ის კაცი ნორეთ ეშმაკი ყოფილა თორემ

კაცისაგან როგორ შეიძლება.

გრიგოლ.

იმათ უკვირთ ევა ვისაც არ უსწავლია, თორემ ნასწავლის კაცისათვის გასაკრველი არარის, აი ჩუჭნი სომხური ეფემვერდი რამტელის ასის წლის წინათ არის დანერილი, მაგრამ იმაში სულ დანვრილებით სწერია: ან მზე როდის დაბნელდება, ან ჰაერი როდის შეიცვლება და ან სხუა და სხუა ამ გვარი ანბები.

გეურქა.

(გაკვირვებით) ჰუ... ჰუ... ჰუ. იმის დამწერს კი არა ჰქონია გოგრა, აბა იმის თავი იქნებოდა ძრიელ მძიმე აი.

გამოსულა 3.

იგინივე და გლეხი ცოლშვილითა.

(შემოვა მარცხნივ სცენაზედა დამთვრალი, ჳელში საღვინით ღვინო უჭირავს გლეხურათა მღერობს და ცოლ-შვილი ბანს აძლევენ).

ვერ დაიჭირავს სიკუდილსა, გზა ვინრო ვერცა კლდოვანი,

მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ გულოვანი,

ბოლოდ შეჰყარნეს მინამან, ერთგან მოყმე და მჯცოვანი,

და სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკუდილი საჯელოვანი. ჰე ...

არალაღე... ჰე...(ცოლს) დე... და... კაცო მეთქი გა... მიგონე.

მეთქი... რრრა... შშვილოსა მა... ინც ხო უნდა მოვჰკუდეთ და...
ბა... რემ ვა... ჟკაცურად დავიხოცნეთ. დავლიოთ ღვინო (ინა-
ფებს დიდხანსა მერე მოიხსნის ქშენითა და წუნწკლი წვერზედ
ჩამოსდის და იძახის) შვილებო... მეთქი... დვეუ... ჰე... ჰ. (სანამ
მოქმედება გათავდება მანამ სულ ბარბაცით დადის ხალხში,
ცოლი კლავს უჭერს არ უშვებს წასაქცევათა და ეუბნება) თავი
შაიმაგრე შე დასაქცევის შვილო.

გამოსულა 4.

იგინივე და შარლატანები.

(შემოდინან შარლატნურათ ჩაცმულნი თეთრის ქუდებ-
ითა, ცალცალს ჴელში უჭირავთ თვით საღვინე ღვინითა, და
ცალცალში ჩინურის ჯამები და ერთათ მღერობენ).

ისევ და ისევ ღვინითა არიალალი,

დრო გავატაროთ ლხინითა თარიალალი, (დაიყვირებენ).

ივანე. ჰაზარუ.¹²⁵

დარჩო და სხვანი

(ერთათ) ჰაზბანდარუ (მღერობენ ერთათ).

ლოთებო ნეტავი ჩვენა არიალალი, (ასხმენ ღვინოსა ჯამზედ).

დღეს მოგვეცა შვება ლხენა თარიალალი.

ივანე.

ვიპიმ შტოლი?..(სამნი ერთათ).

125 [სომხ.] – ათასი და.

რაზუმეიცა ვიპიმ.(დალევენ ერთათ და მოჰყვებიან სიმ-
ლერასა).

ნოემ რომ ერთხელ ინება არიალალი,
ყურძნის წვენის გემოვნება თარიალალი (დაიყვირებენ).

ივანე.

ჰაზარუ

(სამნი ერთათ).

ჰაზბანდარუ (მღერობენ).
თითონ ნუნუას მიუჯდა არიალალი,
წყალი პირუტყვთ დაანება თარიალალალი (დაიყვირე-
ბენ).

ივანე.

იშო ვიპიმ შტოლი?..(სამნი ერთათ). რაზუმეიცა ვიპიმ.

ივანე.

ჩუცნც ნოესავით ნუნუას მიუჯდეთ და წყალი ნავს
კაცებს დავანებოთ. (დაასხამენ ღვინოს და მღერობენ).
ავანთოთ შუშის ფარანი... არიალალი...
მოვნახოთ სავსე მარანი... თარიალალი.

ვანო.

ჰაზარუ.

მანო.

ჰაზბანდარუ. (მღერობენ).

დავლიოთ სავსე ტიკები... არიალალი...
შევიქნათ რაზბონიკები... თარიალალი.

ვანო.

იშო ვიპიმ შტოლი?..

მანო.

რაზუმეიცა ვიპიმ.(დალევენ და ივანე).
ჰუუ... ჰ (თავის ქნევით) დვვუ....

მანო.

ჰაზბანდარუ...

გეო.

ჰე, არ ამოხვალ გარჯილო სულო. აბა ახლა მობძანდ-
ნენ ვისაც ბევრი ფული აქუს, ჩუჰნ უფრო მხიარულად მოვჰ-
კუდებით თუ ისინი, იმათ ფულის ჯავრი მისდევთ და ჩუჰნ
არცა ძევს და არცა გეშინან. (მოჰყვებიან ერთათ სიმღერასა):

საყუარელი დაგვიკარგავს, ხომ არ გინახავთ ლოთებო.

ან ავლილი ან ჩავლილი, ხომ არ გინახავთ ლოთებო.

ჩვენ საყუარელს ყველა იცნობთ თეთრი ყელი აქვს
ლოთებო.

შავი თუალი თეთრი ლოყა, ზედ ხალი აზის ლოთებო.

გიშრისა თმა სხვილათ ნუელი, ნელზედ აყრია
ლოთებო.

ნარბი წვრილი ტუჩი ტკბილი. უხდება სახეს ლოთებო.

ვინც ამ საყუარელს გვიპოვის ას თუმანს მივცემთ
ლოთებო.

ვანო.

ჰაზარუ.(სამი ერთათ) ჰაზბანდარუ. (მღერობენ ერთათა და ხტიან).

ჰაი დანდანი დანდანი... ქუ ნანიდ ჩარ ტანი,¹²⁶

ჰაი დანდანი დანდანი... იმაცილის გალისიმ,¹²⁷

ჰაი დანდანი დანდანი... სმოვარის ჩაღის არი,¹²⁸

ჰაი დანდანი დანდანი... კაბენ კარიმ ჟანგარი,¹²⁹

ჰაი დანდანი დანდანი... ქობედ დნიმ ნირანი,¹³⁰

ჰაი დანდანი დანდანი... ქუ ნანიდ ჩარ ტანი.

მანო.

ჰაზარუ.(ერთათ) ჰაზბანდარუ.(აირევიან ხალხში მზეს უცქერიან და სიმთვრალით ხალხს აწყდებიან).

გამოსულა 5.

იგინივე და რუსეთის მუჟიკი ცოლითა.

(შემოვლენ მარცხნივ, მთვრალეები მუჟიკი მღერობს და ცოლი ბანს აძლევს).

В селе малой Ванка жил,

Ванка Танку любил.

Ай ли эта что... Ванка Танку любил.

Ванка конечку купил,

Сиво гриваго купил.

Ай ли эта что... сиво гриваго купил.

Ванка конку заложил,

Содвора он укатил.

126 [სომხ.] – დედა გენაცვალოს.

127 [სომხ.] – გაგიგია, მოვდივარ.

128 [სომხ.] – სამოვარი ხარ, მსუქანი ხარ, მოდი.

129 [სომხ.] – მწვანე კაბას შეგიკერავ.

130 [სომხ.] – დაგიღებ ჭერამს.

Ай ли эта что... содвора он укатил (и пр.).(Кричить вове горло) ей вы хлопцы... будем пить красненки и умрем веселинки.

чиновник.

Что ты русскій человек и ты съума сошел?

Гриша.

А ты что за умная птица а?.. (насмешкою) видишь смотреть, чего тут не выдал а?.. ех ты...

заложилбы тунучку красного, да чуречку белого вот дело, умер бы веселее, а то смотреть, выше ты голова

Авдотя

Ех молчи гриша ведь он чиновник

Гриша

А что за беда что он чиновник мы сейчас умрем вместе.

чиновник.

Ех ты дурак, за чтоже нам умереть?

Гриша.

А что! выш все грузины говорят, что мы сейчас умрем.

чиновник.

Какіе грузины говорят, из порядочных никто не скажить,

глупцы только говорят, тебе стыдно верить им, ты русский человек.

Гриша.

И ты та бабушка не умней их; ех... что стобой толькавать (разайдут и ходут на сцене).

გამოსულა ნ.

ჭრანცუზი. (შემოვა მარცხნივ, ჯელში დურბინდი უჭირავს დადის ხალხში და ყვირის) კტო კოჩი პასმატრრრი ჟოლნჩა ნა ტრუბ.....

ვანო. (ნინ მოიყუანს) ატტუდა ხარაშო მოჟნა სმატრრიმ?

ჭრანცუზი.

უ... ოჩინ კარასო.

ვანო.

შტო დამ ადინ რაზ პოსმოტრრიმ?

ჭრანცუზი.

(ინევს ტრუბიდგან) ქადა ადინ რაზ ტაკ ზდელაიი პოსმატრრრი ფოლ აბაზ. (ამოსწევს მეორესა) ქადა დვა ტაკ ზდელაიი ი პოსმოტრრრი ადინ აბაზ (ამოსწევს მესამესა) ქადა ტრი ტაკ ზდელაიი ი პოსმატრრრი აბაზ ი დვა საურ.

ვანო.

დავაი ნა პოლ აბაზ პოსმოტრრიმ (მისცემს ფულსა).

ჭრანცუზი.

ნუ სმატრრი (გაახედებს).

ვანო.

ნიჩავო ნა სმატრრიმ?

ჭრანცუზი.

ქაქ ნისმატრრი.

გეო.

აბა ერთი მე ჩავხედო (ჭრანცუზს) დავაი მენე ნა აბაზ
პოსპოტრრიმ (მისცემს ფულსა).

ჭრანცუზი.

პასმატრრი (გაახედებს).

გეო.

ნიჩავო ნი სმატრრიმ.

ჭრანცუზი.

ე... კლუპი კრუზინ, ქაქ ნე სმატრრი.

გეო.

(ამხანაკებს) დასწყევლა ღმერთმა მე ამითი ვერა დავინახერა-
და?

ვანო.

ვერცარა მე დავინახე.

მანო.

თქუჴნ არ იცით მაგითი დანახვა, მე ადრე დიდკაცთან ვიყავ მოჯამაგირეთა, იმას ღურბინდი ჰქონდა და იქ ვისნავლე გახედვა, აბა მე გავიხედო (ჭრანცუზს) ეი ფრანცუზ! თვოია ლეგუშკა კუშაი?

ჭრანცუზი.

მაია კუსაი.

მანო.

თვოია ხრისტიანინ?

ჭრანცუზი.

კრისტიან.

მანო.

ვა! რაზი ლეგუშკა კუშაი ჩალავეკ ქრისტიან ბუდით?

ჭრანცუზი.

(წელსა ჰკრავს) პროც ტვაია დურაქ.

მანო.

პოჟოლუსტა მოია დენგი ნეტუ, ნაპოლტარა აბაზ დავაი პოსმოტრიმ და კადა ნონჩი ატ ჩორნა სოლნცა ნე უმრუ, ზავთრა სოროკ ჟიირნა ჟიირნა ლეგუშკა პრინესუ თვოი ლავკა.

ჭრანცუზი.

ქარაშო, თვია ზნაიტ მია ლავკა?

მანო.

ნეზნაიმ.

ჭრანცუზი.

პრასი, ერივანცკი პლოსად ლავკა მუსიო ლამე.

მანო.

ხარაშო ნაიდუ.

ჭრანცუზი.

ნუ პასმატრრი (გახედავს).

მანო.

(გაოცნებით) ვა! მოია ნიჩავო ნი ვიდალ.

ჭრანცუზი.

ეხ... ქაქ ნე ვიდალ.

მანო.

(ვანოს და გეოს) დაინახეთ რამე თქუზნა?

ვანო და გეო.

(ერთათ) ვერცარა ჩუჰნ დავინახეთ.

მანო

აბა ერთი ვნახო ეშმაკობა ხომ არა არისრა (შინჯავს დურბინდსა) ვაიმე სარკე როდი ჰქონია.

ვანო.

მაშ მოგვატყუა?

მანო.

(ფრანცუზს) ზაშტო სტეკლო ნიეტუ ჰა?

ფრანცუზი.

(იქით) ახ!... გლუპი ქრუზინ უზნალ მოია ხიტრი დელა (კანკალებს შიშით).

ვანო, გეო და მანო.

(ერთათ) აი ლეგუშკა კუშაი ფრანცუზ ზაშტო აბმანით ჰა? დავაი მოი დენგი დავაი... (მისცკვიან საყელოს დაუჭერენ და ეწევიან აქეთ იქით, ნაართმევენ ფულსა, მოხდიან ქუდსა, ნაართმევენ ტრუბასა და თან ცემას დაუნყებენ, ჭრანცუზი ღრიალებს) აი, აი, აი... (გაექცევა და კულისაში გავარდება).

ვანო.

ვერა ხედამ ბაყაყი ჭამია ჭრანცუზსა როგორ გვატყუებდა, მგონიაკი ღირდეს ქუდი და დურბინდი ექვს შაურათა).

გამოსულა 7.

იგინივე და ნემეცი.(შემოვა მარცხნივ სცენაზედა, წინ თეთრი

ფართუკი აფარია, თავზედა ხახალი უძევს სალფეთ გადა-
ფარებული, დადის ხალხში და ყვირის) სა... ხრ მარო...
ჟინი. სა... ხრ მარო...ჟინი. სა... ხრ მარო...ჟინი.

ივანე.

(ამხანაკებს) არიქნა ჩუწნი ჭკუის საქმე გაჩნდა, ხალხი
ლამის შიშით დაწყდეს მზე ბნელდებაო და ეს სახრი მაროჟი-
ნას დაათრევს გასაყიდათა, მოდი დაუძახებ ვიყიდოთ: სამიოთ
სტაქანს რო შევჭამთ მე გავექცევი და ხალხში გავერევი, ის
რო მე გამამიდგეს, მანო! შენ მაროჟინა მოიტაცე და წაიღე
მერე ერთათა ვჭამოთ. მაინც წელან ჩუწნ ფრანცუზმა მოგ-
ვატყუა და ჩუწნ ეს მოვატყუოთ.

მანო.

აბა დაუძახე აგრე უყოთ.

ივანე.

ეი... ეი... მაროჟინა, დავაი სუდა (მოვლენ წინ სცე-
ნაზედ).

ნემეცი.(მიიტანს წინა) აშტო! დვოია გუბით.

მანო.

ვა! კაკ ნიკუპიტ. რაზი ემუ დენგი ნეტუ შტოლი, ონ
კნიაზ მაჭარსკი და ჩართუქესანსკი ზნაიშ.

ნემეცი.

ააა... გურუ... ზია, გავო ჟოლტი ჩოხა და ბელი ჟაპკა
ვსე კნიაზ. ნუ გუბი.

ივანე.

სტაქან პოჩომ?

ნემეცი.

ბეთ გაბიგ სერებრო.

ივანე.

მოია კაპიკ მაპიკ ნეზნაით, გვარი შაურ შტოლი?

ნემეცი.

ნუ... შაა... ურ.

ივანე.

ნუ დავაი ადინ სტაქან მენე (ამხანაკებზედ აჩვენებს)
ადინ იამუ, ადინ იამუ, ადინ იამუ.

ნემეცი.

ნუ გუჟიდე (ხახალს ძირს დასდებს ახდის სალფეთს
ამოიღებს სტაქანსა მაროჟინას ჩასდებს შიგა და თითო თითოთ
ჩამოურიგებს ყველასა და შეაჭმევს) ეინ¹³¹ აბაზ ბუდიდ.

ივანე.

ხარაშო, იშო დავაი.

ნემეცი.

გუჟიდე...(კიდევ შეაჭმევს) დებერ ცვიინ¹³² აბაზ ბუ...

დით.

131 [გერმ.] – ერთი.

132 [გერმ.] – ორი.

ივანე.

ხარაშო დენგი პოსლე ვაზმომ (გაექცევა და გაერევა ხალხში, ნემეცი მისდევს უკან ყვირილითა) უ... აზიათ. ბრაკ-ლატი გუდა იდომ.

მანო.

(აილებს მაროჟინასა და მიაბევინებს გარეთა).

გეო.

(უყვირის ნემეცს) ეი... ეი... ეი. ვონ ვიდიშ მაროჟინა ვზალ.

ნემეცი.

(მოვა წინ სცენაზედ ქუდს მოიხდის, თმას იბდღენის და ნემეცურათ ილანძღება), (მერე გამოუდგება მანუასა და მიმავალი) აზიათ ბროგლათი დებერ ხაზაინ შალვანი ნიდას (გავა გარეთ).

გამოსულა 8.

სცენაზედ მყოფნი.

(შეიქნება ხალხში ყაყანი) **ერთი** ამბობს: აი, სიბნელე ნამოვიდა (ცოტათ დაბნელდება სცენაზედ) **მეორე**. აი როგორ დაბნელდა. **მესამე** უფრო აკლო სინათლემა აი, (შეიქმონენ შიშით კანკალსა, სცენაზედა მზე უფრო ბნელდება ნელნელა, ხალხი შეიქს შფოთვასა, და გაშტერებით მზეს უცქერიან) აი აი დაბნელდა, დაბნელდა. (მზე სულ დაბნელდება, სიბნელე გასწევს ორს მინუტსა, და სიბნელეში: ზოგნი ერთმანერთს ეფარებიან, ზოგნი თუალებზედ ჴელს იფარებენ, ზოგნი სცენიდგან გაიქცევიან და ზოგნი შიშით ბაბანებენ და კბილს კბილზედ

აცემინებენ).

გრიგოლ.

(მარებს ჩუმათ) აბა დრო ახლა გუაქუს გეთაყუანე, ნავ-
იდეთ.

მარეს.

ნავიდეთ შენი ჭირიმე.

გრიგოლ.

(გაუყრის მარებს კლავში ჯელსა და ჩქარის სიარულით
გავლენ სცენიდგან მარჯვნივ. მზე ცოტათ განათდება, ხალხ-
ში ჩავარდება სიხარულისა ჩოჩქოლი). **ერთი** ამბობს ღმერთო
მადლობა შენთვის, აი ცოტათ განათდა. **მეორე**, აი უფრო მოე-
მატა სინათლე. **მესამე** აი სულ გამოდის მზე (ერთათ ხალხი)
აი აი აი თენდება, თენდება (მზე სულ გამოვა და ხალხი ერ-
თათ ყვირიან) ღმერთო მადლობა შენთვის ისევ გამოვიდა მზე
(ყვირიან სიხარულის ხმითა) განათდა, განათდა, განათდა ახლა
ღმერთი მოწყალეა განათდა. ურა, ურა, ურა.

Чиновник.

(Кричит) да торжествует наука?.....

რევსიმე.

(მიიხედ მოიხედავს და მარებს რო ველარ დაინახავს
შეშფოთებით) ეს ვაი შენ ჩემო თაო, მარეს რა ქნილა?

გეურქა.

(შეშფოთებით ათვალეერებს) ვაიმე, აღარც ჩუჴნი მდგმური აფიცარი არის.

რევსიმე.

ვაიმე. ქა! ალაჯან აღარ არიან?

გეურქა.

ვაიმე უთუოთ სიბნელეში გველაშაპები ჩამოვიდნენ და ჩაყლაპეს (ყვირიან ცოლი და ქმარი) ვაიმე შვილო (ხალხში ჩავარდება ჩოჩქოლი) რა ამბავია? ნუგეშინიანთ ღმერთი მოწყალეა (გეურქას და რევსიმეს უჭერენ კლავებსა გაჴყავთ გარეთა, ისინი მისდევენ ნივილ კივილითა, თან გული მიზღით და დაეშვება ფარდა).

მოქმედება 3-ე.

(სცენა წარმოადგენს გეურქასავე დარბაზსა, სცენა არის დაფენილი ხალიჩებითა. მარცხნივ ზის რევსიმე, გვერდით უზის დედამთილი, მარჯვნივ ზის გეურქა სამნივ შავებით დართულნი, რევსიმეს უსხედან მოსამძიმრე ქალები ჩადრებითა, და გეურქას კაცები; რევსიმე ტირის და ნენე ბანს აძლევს).

გამოსულა 1.

რევსიმე.

(ტირილით) მარეხჯან შე... ნი.. ჭი.. რიმე. ჰო... ჰო შენი ყრმიზი ლო... ყების ჭი...რიმე. ჰო... ჰო ვაი... ვაი... ვაი...

შენი გამოსურმული თვა...ლების ჭი...რიმე...

ჰო...ჰო შენი ხუჭუჭი ქო...ჩრის... ჭი...რიმე, ჰო...ჰო ვაი... ვაი... ვაი...(გეურქას) ალაჯან! ალაჯან! ქა! გენაცვალე ეს რა ცეცხლი მოგვკვიდა ზეციდგანა, განა მარტო ჩუწნთვნ დაბნელდა მზე.

გეურქა.

(ღრიალებს ტირილით) ვაიმე შვილო მარეხ, შვილო შენს თავზედ გვირგვინმა ველარა ვნახე, შვილო! სად დამეკარგე შვილო!

რეხსიმე.

ეგრე თქვი ალაჯან გენაცვალე! (ტირის).

მარეხჯან შენი ქორ... წილი ველარა ვნახე ჰო... ჰო. შენთვნ ჩალაგებული მზითევი ოხ...რათ დამრჩა ჰო...ჰო. ვაი... ვაი... ვაი... წელეზო დამწვარო.

გამოსულა 2.

იგინივე და სიმონიკა.

სიმონიკა.

(შემოვა ფაფანიკს გადიგდებს უკანა, წამოიჩოქებს და მიუტირებს) ვა ჩემს ყოფას, ეს რა მეგვივიდა ალა! რავა დავკარგეთ მარეხი, ვაი უბედურებს, ვაი დაფსებილებს.

რეხსიმე.

ეგრე მოგვიტირე სიმონიკო, მარეხი აღარა გუყავს. (დაიკივლებს) ვაი შენ დამკარგავსა შვილო! ვაი...ვაი...ვაი.

გეურქა.

სიმონიკო მამიტირე, მამიტირე, მარეხი აღარა მყავს.

სიმონიკა.

ვა ჩემს თავს აღა! ნეტამც შენ შეეჭამეთ მის მაგიერათ.

გეურქა.

ვაი ნეტავი აგრე ყოფილ იყო.

რევსიმე.

სიმონიკო! წადი ერთი სამოვარი კიპიტი ქენი კუსეზი დაუძახოთ.

სიმონიკა.

(დგება) კი ბატონო.

გამოსულა 3.

იგინივე და მიკირტუმა.

(მიკირტუმა შემოვა, გეურქა და რევსიმე მიუტირებენ) მიკირტუმჯან მოგვიტირე მარეხ დავკარგეთ. მიკირტუმჯან!...

მიკირტუმა.

ტო ტუტუც მიილიქ, ინჩიქანუმ?¹³³

გეურქა.

133 [სომხ.] – მელიქ, რას შვრებით?

ვა! მიკირტუმჯან რა ტუტუცობაა. ქალი დავკარგე ბას არ ვიტყვით, ნეტავი შენთვის დამეჯერებინა და შენი ნათლული-სათუნ მიმეცა, იქნება არ დამკარგოდა.

მიკირტუმა.

ტო მე ეხლა წიგნი მამივიდა ჩემი ნათლულისა, მწერამს: მზემ რო დაბნელდა ყარამანის დროს რო ფერიები ყოფილან იმისთანაები ჩამოვიდენ ციდგანა და მარეხ მოიტაცესო; მე გამოუდექ წასართმევათა, მარტო რო ვერ წავართვი ჰავლაბრის კაზარმიდან ერთი როტა ჯარი წავასხი და გამოუდექიო, ფერი-ები დაემზადნენ რომ გამქცეოდნენ და მარეხ უვკიანეს ზღვს კუნძულში წაეყვანათო, მაგრამ ერთს ხევში შევიმწყვდიე და აღარ უშვებო, ახლა გეურქასა ჰკითხე თუ ნებას მამცემს რომ ცოლათ შევირთო მარეხი ხომ გამოვისხნო, თუ არა და დავა-ნებებ ნაიყვანონო.

გეურქა.

(სიხარულით) ვა მართლა! თუ აგრეა გამოისხნას (წა-მოდგება ზეზე) ვინ ღორი არ შერთამს, ჩემი დოვლათიც სულ იმათ მივცემ ოღონც ჩემი მარეხი ცოცხალი მაჩუწნოს.

რევსიმე.

(ადგება და წამოცკვიან ყველანი, სიხარული შეუდგებათ და რევსიმე ეხვევა მიკირტუმას) ქა მიკირტუმჯან, გენაცვალე გვიშველე, ოღონც ჩემი მარეხი კიდენ ცოცხალი ვნახო და რო-გორ არ მივცემ ცოლათა.

მიკირტუმა.

პარუნ გეურქე! ბას პირობის წერილი დასწერე რომ იმა-

თი ჯუარის დაწერა შენი ყაბული არის და შენი იმენიეზედ
ნასლედნიკიც იმათა ჰქნამ, მე წავალ და იმათ მოვიყვან.

სიმონიკა.

აღა! დოუნერე შენი მუხლის ქირიმე, მარა ისიცკი შიდ
ჩასწერე რომე მზითვის სკივრის მისატანი სამი მანათი მომცეს.

გეურქა.

მიკირტუმ რომანიჩ! ვა მე მკითხამ, დაწერე როგორც
გინდა და მე ჴელი მოვანერამ.

მიკირტუმა.

სიმონიკო! წადი სანერელი და ქალალდი შემოიტანე
დავწერო.

სიმონიკა.

ახლავ შენი მუხლის ქირიმე (გავა და შემოუტანს).

მიკირტუმა.

(დაჯდება სტოლზედა, დასწერს და მიუტანს გეურქას)
პარუნ გეურქ! აბა ჴელი მოანერე.

გეურქა.

ერთი წამიკითხე როგორ დაწერე.

მიკირტუმა.

(კითხულობს) „1851 წელსა კათათუს შვიდმეტი დღესა,
ესე წერილი გაძლევ მე გეურქა კარაპეტოვი თქუწნ პორუჩიკი

გრიგოლ ჩეშმაკოვი, ამიტომა, რომა ჩემი ყაბული არის ჩემი ქალი მარეხზედ ჯვარი დაინერო დღესვე, და ჩემი იმენიის ნასლედნიკმაც შენ და ჩემი ქალმა გაგხადეთ, თუ მე ეს პირობა ატკაზი ვქნა, მაშინ ღმერთი გამინყრეს და ყოველი ჩემი იმენია თუ ფულები, სულ პრიკაზი მივცე შტრაფათა“.

გეურქა.

ძალიან კარგია (მოანერს ჴელსა და მისცემს მიკირტუ-მას).

მიკირტუმა.

(წერილს ჯიბეში ჩაიდებს დადის სცენაზედ და იცინის მაღა-ლის ხმითა) ხა...ხა...ხა...

გეურქა.

(გაკვრვებით) ვა! მიკირტუმჯან რას იცინი?

მიკირტუმა.

(გეურქას) აიდა შტუკ! ამისთანა შტუკი კამედიანჩიკი ჟამპოულაც ვერ იქმოდა ხა...ხა...ხა... (პუბლიკას) ვიდალ ვი? მიკირტუმ რომანოვიჩ კაკოი მასტორ ჩალავეკ, კაკოი შტუკუ ზდელილ ჰა... ხა... ხა... ხა... (გეურქას) აიდა შტუკ! შტუკ, შტუკ, შტუკ, შტუკ... ხა...ხა...ხა.

გეურქა.

(გაოცნებით) ვა! რა შტუკი ერთი გამაგებინე და?

მიკირტუმა.

ტო რის გველაშაპი, რის ფერია, მზემ რო დაბნელ-
და შენი ქალმა და ჩემი ნათლული თელეთში გაპარულიყვნენ
და ჯუარი დაუნერიათ, ახლა ჩემი ნათლული მწერამს: ერთი
შტუკი გაუკეთე გეურქასა, წერილი ეგები გამოართო რომ
ჯუარის წერის ყაბული ქნას და თავისი იმენიის ნასლედნიკმაც
ჩუჭნა გვექნასო, რაკი წერილი გამოგართვი ეხლავ წავალ და
იმათ მეზურნეებით და საზანდრებით მოვიყვან, ხა... ხა... ხა...
აიდა შტუკ... შტუკ... შტუკ... შტუკ... ხა... ხა... ხა...

გეურქა.

ტო მიკირტუმჯან გეთაყვანე მართლა ამბობ?

მიკირტუმა.

ვა! მართლა მეთქი ჩემი ჯანის მზემა, ტო გადით
შავებმა გამოიცვალეთ და სახლიც მოამზადეთ, მე წავალ და
ისინი მოვიყვან.

გეურქა.

ახ ტერ ასტვან!¹³⁴ ეს რა კუდიანი დრომ გამხდარა, ახ-
ლანდელი ხალხი წორეთ ფთიანი ეშმაკი მოატყუებენ ჰა!

მიკირტუმა.

(იცინის).

რესიმიე.

აღაჯან! ერთი ჩემი მარეხ დროზე ვნახო და რაც მოხ-
და მოხდა. (მიკირტუმას) მიკირტუმჯან! გენაცვალე დროზედ

134 [სომხ.] – უფალო ღმერთო.

მოიყუანე.

მიკირტუმა.

ახლავ მოვიყვან (გავა შუა კარით).

რევსიმე.

სიმონიკო! შენი სახლი დაგავე და ახალი მებილით მორთე, ჩუჴნც ტანისამოსები გამოვიცვლით და მოვალთ.

სიმონიკა.

კაი მოგეცა, ახლავ. (გავა და ცოცხს შემოიტანს).

რევსიმე.

ალაჯან! ნავიდეთ ტანისამოსი გამოვიცვალოთ და ჩუჴნი ვინმეებიც დავაძახებინოთ.

გეურქა.

ნავიდეთ მეტი რა ღონეა, ჩემი ქალი ვაჭარი მინდა მიმეცა მაგრამ რალა ფაიდა.

რევსიმე.

არა უშავსრა ალაჯან! იმან სომეხია ფულის ყაირათი ეცოდინება, ნავიდეთ (სიმონიკას) მებელს და საფენს მეორე ბიჭი მოგანოდებს კარებში და შენ მორთე სახლი (გავლენ ყველანი სიმონიკას გარდა).

სიმონიკა.

(მიადახეზს) კაი იქნება (მერე პუბლიკას) იიმე, ერა მოხ-
და შეკაცო, ნუ მამიკვდე ეშმაკს ვერ ეფიქრა ეს, აჰ დედა,
დედა, დედა, რავა გამეხარა, ჩემ სამს მანათს ავიღეფ (ხალიჩას
გამოიტანს გარეთა და მერე გვის სახლსა და თან მღერობს).

ოდელია დელასა, ორი ოდელია დელასა, დელასა...
აჰ, რავა ტკბილა შეიტკბიან ამაღამ (ამოოხვრით) ახ ნეტამც...
(ცოცხს გაიტანს გარეთა და ერთს ხალიჩას შემოიტანს მარ-
ჯვნივ კულისისაკენ დაჰფენს და ლაპარაკობს) კი თქუწნუ
მოუკვდებით ჩემს თავს ვარგისი ცოლქმარი შეიყარნენ
ოდელია... (ანოდებენ კარებიდგან მებელსა, სიმონიკა აწყობს
სკამებს რიგზედ ორს კრესლას დასდგავს მარცხნივ და სუ-
ზნებს გადააფარებს, ზედ ჩამოჯდება და ყელს მოიღერებს) აჰ,
მოგეცა ლუთის წყალობა მეცკი მომიხდეს გვირგვინის ფსკვნა,
აჰ გვირგვინიანი რავა ცეკვას დოუფლი. დედა, დედა, დედა...
(წამოდგება კლავებს კვანწავს თამაშობს და თავის თავს ეუბ-
ნება) ჰო უქენ უქენ შეკაცო, კი გიხდება კი.

გამოსულა 4.

(შემოდინ გეურქა, რევსიმე და სტუმრები დართულნი, გეურ-
ქას უჭირავს ცალ ჴელში ვერცხლის ჯამით ღვინო და ცალში
შალი, და რევსიმეს ვერცხლის ჯამით შარბათი).

რევსიმე.

აღაჯან რათ დაიგვიანეს?

გეურქა.

აი ფეხის ხმა ისმის ვილაც მორბის.

გამოსულა 5.

იგინვე და მახარობელი.

მახარობელი.

(შემოვა შუა კარით და დაიძახებს):
მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
მიჭამია ბალი,
ამიხვიეთ მხარი,
ერთი ჯამი ღვინო მასვით,
გამატარეთ კარი!...
მამილოცავს ბატონებო მშვიდობით მოგდიან მეფე და
დედოფალი!

გეურქა.

(ჯამით ღვინოს მიიტანს შიგ ფულებს ჩაუყრის დაა-
ლევინებს და შალით მხარს აუხვევს. ისმის ზურნის ხმა).

გეურქა.

აი მოდიან.

გამოსულა ნ.

(შემოვა მეჯვარე, შემოიტანს თეფშსა კარებნი
დაზდებს, ამოიღებს ხმალსა და კარის ამყოლზედ მიაბჯენს,
შემოდიან წინ მეზურნეები და საზანდრები, მერე შემოვლენ
მეფე და დედოფალი, და უკან მოზდევენ მაყრები, მეფე თეფშს
დაამტვრევს).

გეურქა.

ეჰ... ამისთანა შტუკი არ უნდა გექნათ მაგრამ, ფაიდა

აღარ არის (მიულოცავს) ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ერთ-მანერთი შეგაბეროთ, ფულის ყაირათი მოგცეთ სამი ვაჟი მოგცეთ და ერთი ქალი!

მიკირტუმა.

(ყვირის) ამინ... ისეღ საგლასიმ...

რეესიმე.

(სიძეს თავს დაუკრავს, ქალს პირზედ აკოცებს და მიულოცავს) ღმერთმა გაგაბედნიეროთ ერთმანერთს შეგაბეროთ (გრიგოლს) შენ იცი და შენი ვაჟობა როგორც ჩემი მარეხი კარგათ შეინახავ (დააღევიანებს მარეხას ჯამით შარბათსა, მერე მაცრები მიიყუანენ მეფე დედოფალს დასხმენ კრესლებზედა და ყველანი დასხდებიან სკამებზედ, საზანდრები დასხდებიან მარჯვნივ ხალიჩაზედა).

მიკირტუმა

(საზანდრებს) ვა! რას მოგიწყენიათ, ხო ხედავთ ქორნილი გვაქს აბა ერთი იმღერეთ!

საზანდრები.

(მოჰყვებიან სიმღერას და რო გაათავებენ).

მიკირტუმა.

ნუ! ტეპერ ლეზგინკუ...

საზანდრები.

(დაუკვრენ ლეკურს სათამაშოსა, ქალები ყველანი ითამაშებენ

და მაცრები ტაშს უკვრენ, მერე ითამაშებს მეფე და დედო-
ფალს დაუკრავს თავსა, დედოფალი ითამაშებს და რო გაათ-
ავებს თამაშობასა, ფარდა დაეშვება).

დასრულდა.

გზიგოლ ზხეულიშვილი
(გაზღანქეშვილი)

1820 - 1877

სუმრობა - კოლექციონერი
თბილისის კარტინაში.

მოქმედება წარმოსდგება ტფილისში.

მოქმედნი პირნი: ზაქარია, თომა და ოსეფა.

სახილველი წარმოადგენს მეიდანს ტეატრის წინ.

გამოსვლა პირველი.

ზაქარია და თომა.

ზაქარია.

იცი ახალ ცისკარში რა ამბები ჰსწერია?

თომა.

ბახუსის ერთგულთ ყმათა ემატებათ ჩინება.

ზაქარია.

გარწმუნებ, რომ ეგ უფრო ადვილ დასაჯერია,
ვიდრე რასაც ანბობენ ბაზრის ჩათუქესნები. – ამბობენ
ოსეფაო ვილაც ნაცნობს ჰსწვევია;

იქ თავის ჩვეულებრივ კარგად ჩაულლევია;
მოჰყოლია, მითომა პირველად საქართველო
იმის მამა-პაპისგან იყოს განათლებული;
მითომ იტალიიდგან ყველა კარგი სამღვდელო
იმათ გადმოეყვანოსთ და აქ დაედოთ რჯული.
ლაპარაკში რალაზეც მერმე გაანჩხლებულა,
როცა შინ მოდენილა, გზაზედ გაციებულა
და ანთება მოსვლია. ეხლა თურმე კაცს ძლივს
ჰსცნობს.

ხვნემის, როტამს და შფოთამს, და რალასაც შიშსა
ჰგრძნობს.

თომა.

იცე ახლა ჩუჴნ რა ვქნათ? მოდი ჩაიცვი ტყავი,
თავპირი მოიმურე, გაიკეთე ზედ რქები,
ფრჩხილები გამოიშვი, ყელს მოიბი ეჴვნები,
ამ სახით მიდი და მას მძიმედ დაუკარ თავი,
რომ უთუოთ ეგონოს თავის სულთა-მხუთავი.
ეგები ამით მაინც ცოტა დასტყუო ფული,
ათასში ერთხელ მაინც ვახსენოთ მისი სული.

გამოსვლა მეორე.

(სახილველი წარმოადგენს ოსეფას სახლსა, სადაც იგი
წევს კრავატზედ ავადმყოფი, და თავისთვის ლაპარაკობს.)

ოსეფა.

ამდენის ხნის კაცი ვარ, ჩემს ყურს არა სმენია,
რომ ყურძენი ოდესმე გამხდარ იყოს ავათა;
აგრეთვე მე ჩემს დღეში ცხვირს სისხლი არ მდენია;
ჰსჩანს, რომ მე და ნუნუა ვდგავართ ნათესავათა:
მაღალი ვით აქლემი, მტკიცედ ვიდექ, ვით ბურჯი;
ნეტა საით რა მეცა, რათ გავხდი ასე ლურჯი?
იანვრის აქეთ არის ველარა ვძრამ ჴელფეხსა,
ამ სენმა რამდენს ალაგს მომაცდინა ქელეხსა!
მშრალ შორუას მაჭმევენ, ზედაც მასხამენ წყალსა,
რა თქმა უნდა ესენი გამომილევენ ძალსა.
ამომეხლანდა ყელი, პირში აღარ მაქუს გემო,
ვაჲ ჩემო კახურო, ვაჲ არტალავ ჩემო!..
სრულიად დამეკარგა მადა და მშკდი ძილი,
ამისთანა სიცოცხლეს ბევრითა ჰსჯობს სიკვდილი!
მახსოვს, ბევრჯელ ჯიხვებით მისვამს შესანდობარი,

მგლოვრებს ჩემის ყურებით დავინწყებიათ მკვდარი..
რაც რომ საქართველოში ღვინო შეიქმნა ძვირი,
ბევრჯელ უცნობსა მკვდარსაც ცხარის ცრემლითა
ვჰსტირი,

მაგრამ მისი პატრონნი – მითომ ვერა მხედამენ –
კვლავებრივ პატიჟობას მე ველარ მიბედამენ. –
ან ეხლანდელი მკვდარი ვით ნახავს სასუფეველს:
იმის შესანდობრითა ვერ ისველებს კაცი ყელს!
წაგვიხდა საქართველო, განჰქრნენ კეთილნი დღენი,
ამ სიძვირემ დაბადა ჩემს გვამში ესე სენი.
სრულიად დამეკარგა მადა და მშუდი ძილი,
ამისთანას სიცოცხლეს ბევრით ჰსჯობს სიკუდილი! –

გამოსვლა მესამე.

(ამ დროს შემოვა ოსეფას სახლში ზაქარია სულთამხუთავად
ჩაცმული, ჯელში უჭირამს ჩანგლები, ცელი და დავთარი.)

სულთამხუთავი.

ყურს ესმა შენი ნატვრა და კიდევ გიახელი;
რასაიქ, ჩემო ოსეფ, მაჯა რათა გაქუს ცხელი?

ოსეფა

(შიშით შინჯამს.)

მე თქუჴნ არ მინატვრიხარ, არც გიცნობ ვინ
ბძანდები.

უკაცრაოდ არავარ, რატომ არ დაბძანდები...
ესე, ორიოთ დღია ჩამომივიდა ყელი,
ბიჭი გამიგზავნია, აგერ ექიმსაც ველი. –

სულთამხუთავი.

ამაოდ ნუ ჰსწუხდები... ჰსჯობს მოიხმე მოძღვარი,
ეზიარე, გეენდე, გლახაკთ დაუკალ ცხვარი...

ოსეფა

(გაოცებით.)

რა ღროს განდობა არის, ჯერ სად არის დიდ მარხვა;
ნეტა ვინ დაგიბარა, ვის სურდა შენი ნახვა.
მაგ საამო ამბისთვის ნუთუ ელი საჩუქარს... –
შენისთანა ოხუნჯებს უჩუჴნებენ თითით კარს. –

სულთამხუთავი

(ამოოხვრით.)

ჩემო ოსეფ, სამძიმო მაღევს ვალდებულება,
არასოდეს ჩემს მუხლებს არა აქუს მოსვენება...
უდროვოთ მივადგები საბრალოს შეწუხებულს
და რა შევალ, უეცრად შეუყენებ ჟრიამულს...
მე ვარ სულთა მხუთავი, მიხეილი სახელად;
შენიც მოსულა ჟამი – სულის ამოსახდელად.

ოსეფა (დაღრეჯით.)

ვაჲ საბრალო თავო! შენს მადლს, ეგ რა მითხარი...
მაგ თქმით ხომ ცოცხალს კაცსა საფლავი მომითხარი.
ჩემის ადრე სიკუდილით შენ რა მოგემატება;
მეკი სახლი, ცოლ-შკლი სრულად გამიოხრდება...
ათას მეტს დაგინიშნამ ჩემზედ მოხუცებულთა,
ბრმებსა, კუტებს და დამბლებს, რომელთაც თავი

ჴსძულთა...

ჯერ იმათი მალირსე კიდევ შესანდობარი,
და ამ ხუთის წლის შემდეგ – ეს სულიც მიიბარი.

სულთამხუთავი.

შენ ხომ ექიმისაგან არა გაქუს ღვინის ნება?

ოსეფა (მოკატუნებით.)

ჩემის სულის გულისთვის ჩავყლაპ როგორც იქნება;
ან რას მანყენს მე ღვინო, თუ რომ ვადა მექმნება.

სულთამხუთავი.

არა, შვლო, მაგისი მე სულ არა მაქუს ნება,
ან ხუთის წლის სიცოცხლით რაღა მოგემატება?
ხედამ, რომ დღე-დღეზედ კაცს ცხოვრება უჭირდება.
ღვინო, პური, ხორაგი ცეცხლის ფასათა ჰხდება...
ქალებს კი ნულარ იტყვი... ქვეყნად ცოდო
მრავლდება;
იმათ წამოსასხმლებზედ ქმრებს სარჩო უწყალდება...

ოსეფა.

მართალს ბძანებ, მაგრამა, ამ ხუთ წელიწადზედა,
ვჰფიცამ, ჩემს ცოლს ლეჩაქიც არ დავხურო
თავზედა...
მხოლოდ ვემსახურები მე ჩემს მუცელს და ჩემს
სულს,
ამაზედ არას დავზოგ, თუ რამ მაბადია ფულს.
ეკკლესიებშიც ვივლი, ხშირად ავანთებ სამთლებს.
ხანდისხან სადილათაც დავპატიჟებ ბერებს-
მღვდლებს.

სულთამხუთავი.

მაგას კარგათა ბძანებ, მაგრამ არ შეიძლება
არცარა ბედის შეცვლა, არც ვადის გაგრძელება.
ამისთვის გირჩევ, ეხლავ, თუ ჴელად გქონდეს ფული,
ანუ გემარხოს სადმე, ან გქონდეს გაცემული,
დაურიგე გლახაკთა, ეკლესიებს შესწირე,
აგრეთვე ქვრივთ და ობოლთ უწყალობე რამ მცირე. –
ვისთვისაც რას იმეტებ, ეხლავ მე ჩამაბარე –
სამოთხეში შესვლაზეც მევე წინ გამიმძღვარე.

ოსეფა.

თუ მხოლოდ მაგ იმედით მაჩქარებ წამგზავრებას,
გარწმუნებ, რომ ამაოდ შეჰსდგომიხარ ოცნებას.
დახე ამ სახლს მორთულსა, დახედე უცხოს მებელს,
რომელსღა აქუს თჳს ფერი?... ანკი ემგზავსება
ძველს?..

ჩემო წმინდა მამაო, ხედამ ჩემს სიღარიბეს? [...]¹ ახ-
ალუხიც, ჴელი მოუსვი ჯიბეს...

ქვრივ ოხრები და მღვდლები გამომრჩებიან მე რას:
ეგ სულ ერთია, რომა წინილა სთხოვდეს ძერას.

სულთამხუთავი.

მაშ გეტყობა, რო მხოლოდ ცოდვითა ხარ მდიდარი.
შენს ყოველს მოქმედებას მეტყვის ესე დავთარი.(ხსნის
დავთარსა და კითხულობს)

ოსეფა ოჩოპინტრე, ხანით სამოცის წლისა,
ავ მუცელა, ავ ხორცა და მტერი ქვრივებისა...

ოსეფა

(პირიდგან სიტყვას ართმევს.)

ნუთუ ეგ ცოდოები – ყველა ჩემზედ ჰსწერია!
ნუ ირწმუნებ, შენს მადლსა, ან რა დასაჯერია:
მე ჩემს დღეში ქვრივებზედ თვალი არა მქერია...
იქნება კი ხანდისხან ჩადრს ქვეშ შემიცქერია...
ეგ ან მე არ ვიქნები, ან შეცთომით მოსვლიათ
და წერაში სხვის ცოდო ჩემზედ გადმოუთვლიათ.

სულთამხუთავი.

ვინც ბედის წიგნს უარ ჰყოფს და ეჭვს შეიტანს
მაზედ,

ის წინათვე ხიდს იდებს ჯოჯოხეთისა გზაზედ.
მაგრამ ცოტა კიდევა იხმარე მოთმინება,
აქ ჯავრობა, უარი და უმეტეს გინება –
არა თუ ჰკურნენ ცოდოთ, არამედ ნაგწყმედს

სრულად,

და რაც გკითხო, პასუხებს მომიგებდე გულგრილად.

–“

(კითხულობს დავთარს.)

ერთხელ ოსეფა იყო დიდი პეტრეს ქალაქსა,
და იქაურს ამბავებს მოუთხრობდა დალაქსა.
ბევრი რამ უთხრა ავი – ნაუხდინა სახელი,
ასე, რომ იქ მოარულთ მრავალთ აიღეს ჴელი.

ოსეფა.

ეგ ჭორები ტყუილად მომიგონეს აქაურთ,

რომელთაც თითქმის კაცის თვით თვალში ჩინიცა
შურთ...

სულთამხუთავი.

მამ განა შენ არ გითქომს, რომ მთელი პეტერბურგი
მოიარე და ერთი თონე ვერ ჰპოვე ნამლად?

ოსეფა (მოკატუნებით.)

მართალია, ეგ მე ვჰსთქვ, მაგრამ მაშინ მე ზურგი,
ვგონებ ჰაერისაგან, მანუხებდა საძაგლად. –

სულთამხუთავი.

მაგისტანა მიზეზი როგორ შეინყნარება,
მაგრამ ყური დამიგდე, თუ რომ არ გეზარება.(აგრ-
ძელებს დავთრის კითხვასა.)„ერთხელ ოსეფა მეტად შეუდგა
სულის გზასა;

დღეში სამჯერ სიონის ჩაუვლიდა ქუჩასა,
და ღუთის მშობელს თვალს ცრემლით მეტად
ევედრებოდა,

იმის განძრახულებას აბა ვინ მიხვდებოდა. –

მაგრამ იქ მჯდომთ მკერვლებმა შეატყეს, რომ ხატის
ნინ

შენირული ფულები ხშირად იკარგებოდა...

ოსეფა (წელს აფარებს დავთარსა.)

ეგ რა წასაკითხია... კარგი მამაშულობას;

ბევრი მართლად იფიქრებს ამისთანა ხუმრობას. –

სულთამხუთავი.

გეუბნები, ამ წიგნში არ იქნება სიცრუე;
თუ მოსმენა არა გსურს, შენ ყური მოიყრუე. – (აგრძელებს
კუალად კითხვას.)„რა მკერვლის შეგირდებმა ყოველი ესე ნახ-
ეს

მათ ეშმაკობა რაღაც მსწრაფლ გულში განიძრახეს.

რა შორით მომავალი ოსეფა დაინახეს,
შავი ფული ჩაყარეს გაცხელებულ უთოში,
და რა კარგად გახურდა, ხატ წინ დააგდეს გროში.
ოსეფა ჩვეულებრივ დიდის ლალადებითა
მიახლოვდა ლუთის მშობელს, ხვეწნით, ამბორებითა. –
შემდეგ მან გროშისაკენ ჩუმათ გადაჰყო ჴელი,
და საშინლათ შეჰყვირა, რა დახვდა ისე ცხელი!
აქ ნვრილ ბიჭებს კასკასი ნაჰსქდათ საშინელია,
და ამ ხალხში ოსეფა გაძვრა, ვითა მელია.“ –

ოსეფა

(ძალა დატანებითის ღიმლით.)

ჭემმარიტად, მამაო, მეტად უხარის გულსა,
რომ ვხედამ აქაურ ხალხს ეგრე მოხერხებულსა...
ერთს უბრალო საქმიდგან მსწრაფლ ასეთ რამ
დაჰბადვენ,
რომელიც სიზმარშიაც არ წარმოგვიდგება ჩვენ!

სულთამხუთავი.

ვხედამ, ოსეფ, რომ ცდილობ განაქარწყლო ეგ
ცოდოც,
მაგრამ ხედამ, ამ დროში უფულოდ არ მოდის დოც.
ამ ცოდოების მქნელი არ უნდა იყოს ძვირი;
როგორც წელან გითხარი, ქისას მოუშვი პირი;
მხოლოდ ამ პირობითა მოგცემ ხუთის წლის ვადას,
იარე ქელეხებში, ნურც ძილს იკლებ ნურც მადას.

ოსეფა.

(უსიამოვნებით ჰყოფს ბალიშის ქუჭუმ ჴელსა, იღებს იქიდგან

ქისას და აძლევს სულთამხუთავს.)

შენმა მადლმა, მამაო, ეს არს უკანასკნელი

მძიმის შრომით და სისხლით ოფლით მოპოებული.

ინებეთ განუწილეთ, ვისაც იცნობდეთ ღირსად,

მეც დავთრიდგან მომშალეთ, ნუ გამხდი მტრის
გულისად. –

სულთამხუთავი.

ართმევს ქისას და ჯიბეში იდებს.

დარწმუნებული იყავ, რომ უპირველეს ადგილს
სამოთხეში დაგიჭერ. ახლა მიე თავი ძილს.

ხვალამდისინ სრულებით სიცხესაც გამოგილევ, მაგრამ ორი-
ოთ კვრას უწყლოდ ღვინოს ნუ დალევ. –(თავს უკრამს და გა-
დის.)

ოსეფა (თავისთვის.)

ღმერთო, თუმც გაქვს ყოველი რიგზედ დაწესებული,

მაგრამ ესკი ძნელია – ყოვლგან ფული და ფული.

აბა ვინ იფიქრებდა, რომ შენი მოციქული

იქნებოდა ჩვენებრივ ქრთამისა მოყვარული!...

ალექსანდრე გარსევანოვი
(გარსევანიშვილი)

ცოლები ღაკარტო

კომედია ორს მოქმედებად.

მოქმედი პირნი:

ხეჩატურ აკოფიჩ მეფულოვი, ჩინოვნიკი.

რემსიმე ლალოვნა, ცოლი ამისი.

იაგორ პეტროვიჩი ოქროევი, ვაჭარი.

კეკელა სტეფანოვნა, ცოლი ამისი.

ბაინდურ გასპარიჩ გულვარდოვი, ვაჭარი ბიძა რემსიმესი და
კეკელასი.

ივან ივანიჩი წუნნიევი, კაპიტანი არმიისა, ნათლია გულავარ-
დოვის შვილისა.

იმერელი ხოსია, ბიჭი მეფულოვისა.

ვარდუა, (ვარდისახარ) გოგო ოქროევისა.

მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს დიდს ოთახსა ორკარიანსა და ორ-
ფანჯრიანსა, არის მორთული კარგის მებელითა და სურათებ-
ითა.

გამოსვლა პირველი.

რემსიმე მეფულოვისა და კეკელა ოქროვეისა (ორივე
მორთულები: რემსიმე რუსულად, შლიაპითა და კეკელა ქარ-
თულად, შემოდინ კაბინეტიდამ და დასხდებიან სკამებზედ).

რემსიმე. რაღას ველით კეკელო, ბევრი ფიქრი აღარ
უნდა? რაკი ჩავიცვით, ნავიდეთ კიდევცა.

კეკელა. რას ამოვ რემსიმეჯან! განა კარგი იქნება, რომ
ნავიდეთ? აბა, იფიქრე, რას იტყვიან ჩვენზედა? ნუ წავალთ,
გეთაყვა; დაგვცინებენ, მასხარათ აგვიგდებენ.

რემსიმე. (წითლდება და გული მოზდის). არა დაო,
ნავიდეთ, უთუოდ ნავიდეთ. ჩვენ დაუმტკიცოთ ჩვენ ქრმებ-
სა, რომ ჩვენ იმათა ვსჯობივართ, ძალიან დაშორებითა; რომ
იმათ აბიდა მოგვცეს, დაკარგეს სირცხვილიცა, ნამუსიცა და
ყველაფერი. ნამეტნავად ჩემი ქმარი სულ წახდა და მოითხ-
არა. აგერ ორმოც და თორმეტი წლისა არის და ახლა დაიწყო
ფრანტობა და შარლატნობა; ნავა მთელი დღე და ღამე, საცა-
ლა დაეთრევა და მე მარტოკას დამაგდებს ხოლმე. დამაცადოს,
თუ მეც არ გადაუხადო ეს ჩემი ბიაბრუობა. იქნება ეგონოს,
რომ მე ვერავის ვიცნობდე! ამ ათის წლის წინათ, მე თაიგული
ვიყავი ერთის დიდი ღენერლისა. რას იტყვი, კეკე? ხუმრობა
არ არის ღენერალთან კურკურ-ჩურჩული! ყველანი ბალებსა
და სადილებს მიკეთებდნენ! ჩემს ბერახუა ქმარსა გონია, ჩემის

შერთვით, ვითომ ბევრი დავალება მიყო. არა, დაო, თუ ეხლა ჩვენ ქრმებს დაუთმეთ, სულ დავილუპებით. მაშ, მოდი და ისეე ძიას რჩევას დავადგეთ.

კეკელა. აგრე უყოთ. ჩვენც სამაგიერო გადაუხადოთ ჩვენს ქრმებსა. (ხალხისკენ). თქვენი ჭირიმეთ! ვის გაუგონია, რომ ქმარმა ცოლს ორ დღეობით თავი დაანებოს და შინ არ მიიხედოს. ვა, რას გვიშვრებიან ის უნამუსოები, ხედამთ?

რემსიმე. იქნება საცაა მოვიდნენ, ბარემ ნავიდეთ, რალა! წიგნები დაწერილები გვაქვს, მივცეთ მოსამსახურეებს და ნავიდეთ; უთუოთ ნავიდეთ, გენაცვა კეკეჯან!

კეკელა. ამ ჩვენმა წასვლამ, ჭკუაში, ხომ არ ჩააგდოს ჩვენი ქრმები, მაშინ რალა ვქნათ, ხომ ყველანი დაგვცინებენ.

რემსიმე. ამყოლს დამყოლი უნდა, ქალო! ამ წამლით მოვარჩინთ ჩვენ, გარყვნილს, ქრმებსა. (ზარსა რეკამს). ბიჭო! ბიჭო! ხოსიავ! შენ ეი!

კეკელა. მეტი ღონე არ არის. (იღებს ზარსა და მეორე მხარესაკენ რეკამს). გოგო! ვარდო! ჩქარა, შე, პირქუშო.

გამოსვლა მეორე.

იგინივე. (შემოცვივიან ერთის კარიდამ),

ხოსია და ვარდისახარ:

ხოსია. ქვე რავას მიბძანებ, ბატონო?

ვარდუა. ქალბატონო, რა გნებამს, შენი ჭირიმე? ფაიტონი მზათ გახლამს.

რემსიმე. ბიჭო, ხოსია! შენი ბატონი, რომ მობძანდეს, აი, ეს წიგნი მიეცი (აძლევს დაბეჭდილს წიგნსა). გესმის, თუ არა?

ხოსია. კი ბატონო. რავაც მოვა, ხელში მივცემ. (გამოართმევს წიგნსა და ჯიბეში იღებს).

კეკელა. (ვარდუას). გოგო! თუ შენი ბატონი მოეთრას, ეს წიგნი მიაოხრე, გესმის! (აძლევს წიგნსა).

ვარდუა. მოვა თუ არა, წინ მივაგებებ, ქალბატონო.

ხოსია. ქვე რა უთხრა აღას, რომ მკითხოს, სით წვეიდა ჩემი რემსიმეო?

რემსიმე. უთხარ თუ, მე არა ვიცირა.

ვარდუა. მე რალა უთხრა ბატონსა, რომ მკითხოს?

კეკელა. უთხარ თუ, მე არ ვიცი, სად წავიდა თქო.

ხოსია. ქალბატონებო, ქვე როდის მობძანდებით, როდის მოგელოდეთ?

რემსიმე. მე არ ვიცი. (კეკელას მიუბრუნდება). წავიდეთ რალა! მე ისე გაჯავრებული ვარ ჩემს ბერახუა ქმარზედა, რომ აღარც კი მინდა თვალით დავინახო.

ხოსია. (კეკელას და რემსიმეს). ბიძიასთან ხომ არ მიბძანდებით ქალბატონებო?

კეკელა და რემსიმე. არა! ჩვენც არ ვიცით, სად მივდივართ. გულიდამ ნალველი უნდა გადავიყაროთ; შევექცეთ სასიამოვნო საზოგადოებაში და ისევ მოვიდეთ. (აიღებენ ზონ-

ტიკებსა და ორივენი გავლენ).

გამოსვლა მესამე.

ხოსია და ვარდუა. (ორივენი უყურებენ იმათ, რომ მიდ-
იან. მერმე გადის ვარდუაცა; რჩება ხოსია მარტო).

ხოსია. (ლაპარაკობს თავისთვის). რავა გადირიენ ბა-
ტონი და ქალბატონი, რავას შვრებიან! ერთი აღმა დადის, მეო-
რე დაღმა. შე ნუ მოუკვდე ჩემ თავს, ხოსიკი! ასთე თუ იზმენ
მერეც, მთლა დაღუპენ სახლს. მარა, ანი რა გიჭირს! ჩემთვის
ისი სჯობს, არავინ იყოს სახლში. (იციინის). ხა, ხა, ხას მე დამრ-
ჩა ბურთი და მოედანი. კაის ვჭამ და კაის ქე ვსვამ და ვარდუ-
ასაც გვერდს მოვისვამ. აგერ ისიც ქე მოდის. (მივა კარებთან,
ამ დროს შემოვა ვარდუა).

ვარდუა. (ხოსიას). ნავიდნენ, მაგრამ, ვინ იცის, სად
ნავიდნენ, ახლა მარტოკაობა მამკლავს; ვაი ჩემი ბრალიცა.

ხოსია. (ჩუმად ეპარება ვარდუას). იმე! რავას ამოვ ვარ-
დუავ, შენ, რომ ჩემთან იყო, განა კი მიეწყენ? აჰა, შემოიხედე,
რავარი ყოჩალი ბიჭი ვარ? (გადაისვამს უღვაშზედ ხელსა).

ვარდუა. თვალი შენც დაგიდგება და შენ ყოჩალობასა-
ცა; გამეცალე იქით, შე, იმერლუკავ; (ხელსა კრამს). ქალბატო-
ნი შინ არა მყავს, მე რა გამამხიარულებს.

ხოსია. ვარდო! კაცების ქეიფი ღვინოა და ქალებსაცა
აქეთ გასამხიარულებელი ნამალი..... იცი, თუ არა?

ვარდუა. რა ნამალია?

ხოსია. (იციინის). მე ქე ვიცი, შენ ქმარი გინდა; ქმარი

ისტე მოგალხენს, სულ დაგავინყებს ჯავრსა და ნალველსა.

ვარდუა. მე რომ ჩემ ქალბატონს უყურებ, ცოლქრმობაში სასიამოვნო არა მექმნებარა.

ხოსია. რავას უნობ შენ! მე მისთან მარგალიტებს ქე გითხრობ, რომ მაშინვე დეინერო ჩემზედ ჯვარი. აბა ერთი ყავა მოადულე, ქეც დავლიოთ და ქეც ვიმუსაიფოთ.

ვარდუა. (იცინის). ხა, ხა, ხა! შე წყეულო, ისე უნინდე-ლივით მიპირობ. ხა, ხა, ხა, ვერ მოგართვი, მატყუებ, მომწონხ-არო, მაგრამ, კიდევ მამატყუებ.

ხოსია. ღმერთმა მე მამატყუოს, თუ მე შენ გილალატო. (მისწვდება საკოცნელად). მთლად გადამრია შენმა სილამაზე-მა, ისთე, რავარც ბაბუა შენი ბებია შენმა ხორამზემა. (მიხე-დავს ვარდუას და მღერობს). შენ ვარდი ხარ, მე ბულბული, ვოხრობით ამამდის სული; ვარდო! მიილე ჩემი გული, და ეს ოხერი თეთრი ფული. (გადაუგდება პარკსა). თითები გაქვს, შუშა, შუშა, ხელები სულ დაშუშხული; ყელ-გული, ასეთი თეთრი, როგორც, რომ ზღვის თართის ლორი.

ვარდუა. აი, შე ეშმაკო იმერელო! სად ისწავლე ეგ სიმ-ღერა და ლაქლაქი?

ხოსია. ზოგი ბატონისგან ქე ვისწავლე, ზოგი ქალბატონისაგან. იტყვიან: „ცხენი ცხენთან დააბიო, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. (მიიწევს ვარდუასკენ). მე და შენ ჯვარი ქე ვიფსკვნათ, მაისის დამლევს. გესმის! არავის უთხრა, თვარა..... გიზამ ნაქნარს!

ვარდუა. (გამოიქცევა აქეთკენ). არა! არა. შე, ფხუკი-ანო იმერელო. ჩემი ქალბატონი სულ იმას მეუბნება: კაცები

მუხანათები არიანო!

ხოსია. ბაბუა ქე არ წამინყდება, რომ ყველა კაცი მუხანათი არ არის; ზოგია და ზოგი არა. (ვარდუას). თქვენ კი ქალები, ისეთები ხართ, რომ ბატკანი ქე დეიკვლის თქვენის ხელითა. თქვენც კი იცით, ერთის თვალით სიცილი და მეორეთი ტირილი და ორი ხელით ერთი საზამთროს დაჭერა.

ვარდუა. ქალები კაცებისაგან ვსწავლობთ მუხანათობასა, იცი თუ არა? შე, ღვიტიკავ!

ხოსია. ვინ გეხვეწებათ ისწავლეთო?

ვარდუა. თქვენ, კაცები, რალათ ეშმაკობთ?

ხოსია. (მიუახლოვდება ვარდუას). თქვენ რითი იცით?

ვარდუა. (მოეცლება ხოსიას და ფანჯარასთან მივა). როგორ, რითი ვიცით? აი თვალთა ჩანს, რომ შენ ეშმაკობ; მეთამაშები და ეშმაკივით შემამღრაჭინებ. (ვარდუა იცქირება ფანჯარაში). აგერ შენი ბატონი მოდის ხოსიკო! იმასა კითხე ამ გვარი რამეები; შენსავით პლუტია და არამზადა. (ვარდუა გადის).

გამოსვლა მეოთხე.

ხოსია. (სდგას მარტო, ამ დროს მეფულოვი შემოდის და იძახის). ბიჭო! შენ ეი, ხოსია! ჩემი ცოლი შინ არის, თუ არა?

ხოსია. შინ არ გახლამთ, შენი ჭიიმე. მობძანდით ბატონო!

მეფულოვი. (წყნარად მივა სკამთან; ხელში უჭირავს პალტო და კაკარდიანი ქუდი). მადლობა ღმერთსა, რომ შინ
288

არ არის, მანამ ის მოვა, ჩემის თავის გასამართლებელს პასუხს მოვამზადებ.

ხოსია. მადლობა ღმერთსა, ბატონო, რომ შინ მობძანდი!

მეფულოვი. დაჩუმდი შე, ვირგლავ. (ფიქრობს). რავექნა, სად უნდა იყოს ჩემი ცოლი; იქნება სძინავს? ძილი და შექცევა ძალიან უყვარს; მეტი რა საქმე აქვს. თუ სხვაგან არ არის, უთუოთ შინ იქნება. ნავალ, გავალვიძებ. (ადგება წასასვლელად).

ხოსია. ქალბატონს არა სძინამს.

მეფულოვი. მაშ, თავის დას კეკელასთან იქნება?

ხოსია. არა, ბატონო, იქ არ გახლამთ.

მეფულოვი. მაშ სად არის? თავის ბიძასთან იქნება?

ხოსია. (ამოიოხრებს). არც იქ გახლავს.

მეფულოვი. (საჩქაროთ). მაშ სად არის? შე, წუნკო!

ხოსია. (ძრიელ ამოიოხრებს). არ ვიცი, სად არის.

მეფულოვი. დილით ხომ არსად წავიდა?

ხოსია. დიახ, წევიდა.

მეფულოვი. სად წავიდა? ვისთან წავიდა?

ხოსია. არ ვიცი. მგონი, ისა და კეკელა ერთად წევიდნენ.

მეფულოვი. ხოსია! ნაღვლობდა შენი ქალბატონი ჩემთვის თუ არა?

ხოსია. არა! სულაც არაფერს ნაღვლობდა.

მეფულოვი. ბიჭო! ჩემი ცოლი რომ მიდიოდა, არა დაგაბარა რა ჩემთანა? ან არ გითხრა, როდის მოვალო?

ხოსია. არა ბატონო! რომ მიდიოდა, ქალბატონმა მამცა, აი ეს წიგნი. (აძლევს წიგნსა). სხვა არაფერი!

მეფულოვი. (გამოართმევს წიგნსა და ფიქრობს). ცოლისაგან წიგნი! რაო! ეს რა ამბავია ჩემ თავსა? (გახსნის და კითხულობს)...„უფალო ჩინოვნიკო, ხეჩატურ აკოფიჩ! ჩემის მხრით ძალიან სისულელე იქნებოდა, რომ საყვედური რამე მამენერა შენთვის. გათავებული საქმეა! შენმა ცუდმა ყოფაქცევამა დამიმტკიცა მე, რომ შენ შემოძულე მე, თუმცა მე ვცდილობდი შენს სიამოვნებასა და შენთან, ყოველს მინუტს, დატკბობასა. ეჰ! მე, უბედურმა, რაღა უნდა გავაგრძელო და თავი მოვიკლა ნაღვლითა. მეტი ღონე აღარა მაქვს რა, ამაზედ მეტი, რომ შენ უნდა მოგბადო ქცევაში და გავფანტო ჩემი ჯავრი და მწუხარება ქვეყანაში ქეიფის წევითა და სიამოვნებითა. მე მგონია, ჩემო ქმარო, ამაზედ თქვენც მოხარული შეიქმნებით და ისიამოვნებთ ჩემის უგზო-უკვლო სიარულითა!“ (საშინლად ჩაფიქრდება). რაო? რა? რასა მწერს? ვაიმე! ავირიე! მიშველეთ! (თავისთვის ბარემ დავასრულო ნაკითხვა. კითხულობს). „ჩემო ქმარო! უთუოთ გაიმება ჩემი ამ გვარი, ტკბილი სიცოცხლე ნუთის სოფელში; თითონ თქვენა ხართ ჩემი მიზეზი. ვითმინე, ვითმინე შენი ცუდი ქცევა და აი! მეც შენს კვალზედ მივდივარ! მშვიდობით! გამხიარულდით და დარწმუნდით, რომ მე საყვედურს აღარას მოქცემ; რაც გინდა, ისა ჰქენი. ბედმა მამცა სასიამოვნო ნაცნობები და იმათში ერთი ახალგაზდა კაპიტან-

იცა“. „შენი რემსიმე“. (მერმე კიდევ ჩაფიქრდება ღრმად). რაო! რემსიმეს უშოვნია მეგობარი? კაპიტანი? ჰო! რა ცეცხლია, დავინვი! მიშველეთ! თუ ეს ცეცხლი ეხლავე არ ჩავაქრე, დავინვი; უთუოთ დავინვი. ეხლავ წავალ და რემსიმეს ბიძას შევჩივლებ; მოვძებნი მთელს ქალაქშია, მანამ გაიგებდნენ ამ ამბავსა. ეი, ბიჭო, ხოსია!

ხოსია. (მორბის ტირილით). ვაიმე, ბატონო უჰუ, უჰუ, უჰუ! რას მიბრძანებთ, შენი ჭიიმე?

მეფულოვი. ჩქარა, ახალი ტანისამოსი უნდა ჩავიცვა! (თავის თავს ელაპარაკება). იქნება, ეს ამბავი მართალი არ იყოს?..... იქნება, რემსიმეს სხვანაირად ჩააგონეს და დამაბეზღეს?.... იქნება..... მომიტანე ჩავიცვა, ჩქარა!.. ჩქარა!

ხოსია. ეხლავ, ბატონო, ეხლავ. (თან ტირის). უჰუ, უჰუ, უჰუ!

მეფულოვი. შე, ნუნკის შვილო! შენ რაღა გატირებს?

ხოსია. მე, წინილასშვილი არ გახლავარ, ბატონო. ჭუმბურიძე გახლავარ, შენი ჭიიმე.

მეფულოვი. მე რას გეუბნები, შენ რას გადასცემ.

ხოსია. მე არავის ვცემ ბატონო! შენთვის ვტირი და ჩემის თავისათვის.

მეფულოვი. ჩემთვის რასა ტირი? შე, ბრიყვო, მურტალო იმერელო! (დადის ჩქარა ჩქარა და აფურთხებს). დამაცადე ვილაც კაპიტანი ხარ, გიჩვენებ შენს სეირსა!

ხოსია. ბატონო! რავა არ ვტირი, მე, უბედური! მინდო-

და შემერთო ვარდუა, მარამ დავიშალე, ვხედამ, რომ ცოლთან ვერა თავსდებით და მე რალა ცოლი შევიერთო ანი.

მეფულოვი. ეს, ქოფაკისშვილი იმერელი, მართალს ამოხს. (თავის წინ). ოჰ, ღმერთო! რა ამბავია ქვეყანაზედა. მწერს: „კაპიტანი გავიცანო. გასქდი გულო! დადექ თვალეზო! ეს რა მეყურება! ეს ხუმრობა აღარ არის! (ხალხისკენ). მე სულ გადავირიე! (ხოსიას). ბიჭო! აგერ მოდის იაგორ პეტროვიჩიცა ვითამ იმასაც რამეები მოაქვს ცოლისათვისა; ის კი არ იცის, თუ იმის ცოლი კაპიტანს უზის გვერდზედა, ხოსია! მომიტანე ტანისამოსი. ჩქარა! (გადის და ხოსიაც უკან მიზდევს).

გამოსვლა მეხუთე.

ვარდუა გამოვა და ფანჯარაში დაინყებს ცქერას და ოქროვეიც იქ მივა და დადგება გაშტერებული ფანჯარის გარედამ.

ვარდუა. აი, ჩემი ბატონიც მოვიდა და რალაც მოაქვს თანა. უთუოთ ქალბატონისათვის ფეშქაშია. (შემოდის ოქროვეი და ხელში უჭირამს ორი ყუთი, მიდის თავის ცოლის ოთახში).

ვარდუა. მშვიდობა თქვენი მობძანება, ბატონო! სად გივლიათ?

ოქროვეი. (ხელს აუქნევს). ჩუ! რა შენი საქმეა! მე მინდა ჩემი ცოლი გავაკვიროვო..... არ მამელოდა მე?

ვარდუა. სად მიხვალ ბატონო?

ოქროვეი. (ნელნელა მიიპარება ოთახში). სუ! დაიცა; დაჩუმდი.

ვარდუა. ქალბატონი შინ არ..... არი!

ოქროვეი. ჩუ! ჩუ! ვარდო! იქნება იმან მაპატოს? (გადის).

გამოსვლა მეექვსე.

მარტო ვარდუა გოგო.

ვარდუა. (იცინის ხალხისკენ). ხა, ხა, ხა! რა დაუკარგამს ამ საცოდავსა? (კარებისაკენ იშვერს ხელსა). რას ეძებს? ნათქვამია: „რაც თხამ თრიმლს უყო, ის თრიმლმა თხასაო, ამისთანას, ასე უნდა, ხა, ხა, ხა! ახლა მიჰყევ უკანა. ბატონო! გაგიფრინდა მტრედი.

გამოსვლა მეშვიდე.

ვარდუა დგას და მერმე შემოვა **ოქროვეიცა.**

ოქროვეი. (გაჯავრებული შემოდის). გოგო ვარდუა!

ვარდუა. რას მიბძანებ, შენი ჭიიმე?

ოქროვეი. ჭირი შეგეყაროს და კვნესა! სად არის ჩემი ცოლი?

ვარდუა. (ხალხისკენ) დახედეთ ამ პაყარნსა, რას ამბობს! სასიკვდილო ეს არის და მე მკლავს. (ბატონს). არ ვიცი, შენი ჭირიმე.

ოქროვეი. უთუოთ მეფულოვიანთ რემსიმესთან იქნება. ნავალ იმათსა, კეკელა იქ უფრო ველარას მეტყვის. (მიაქვს თანვე პატარა ყუთები).

ვარდუა. ქალბატონი იქ არ არის; წავიდა სხვაგან ფაიტონით.

ოქროვეი. როგორ თუ ფაიტონით წავიდა! სად წავიდა? მარტო წავიდა, თუ წაყვა ვისმე?

ვარდუა. რემსიმეს წაყვა; არ ვიცი, სად წავიდნენ!

ოქროვეი. რომ მიდიოდა, რა სთქვა, როდის მოვალო?

ვარდუა. ასე სთქვა: ნულარ მელი, აღარ მოვალო.

ოქროვეი. მართლა ამოხ, თუ ტყუი?

ვარდუა. ღმერთმანი ბატონო, არ გატყუებ, რომ მიდიოდა, აი ეს წიგნი მამცა, ბატონს მიეცით. (გამოართმევს წიგნსა და ფიქრობს: ცოლისაგან წიგნი ცუდი ნიშანია. (ვარდუა გადის).

გამოსვლა მერვე.

მარტო ოქროვეი.

ოქროვეი. (სდგას მარტო და კითხულობს ცოლის წიგნსა, უცებ შესდგება და ამოხს). რა! რაო! როგორა! კე... კე... ლო ჯან! რა მოგვლია? სად წასულხარ? მოდი ჩემთანვე, სად მიხვალ, შენი ჭირიმე? ახ, ღმერთო! რა მამდის! თვალები მიჭრიალებს, ხელები მიკანკალებს..... პირში სული მიგუბდება, ფეხები ველარ დამაქვს.... ოჰ, ოჰ! რაზედ მამკალი, მინასთან რათ გამასწორე! რათ შემარცხვინე შე, ავო დედაკაცო! მიშველეთ! მიშველეთ! (დაეცემა სკამზედ, გული შემოეყრება და კარში გაიყვანენ. ფარდა დაეშვება).

მოქმედება მეორე

გამოსვლა პირველი.

სცენა წარმოადგენს იმავე ოთახსა. მეფულოვი ზის მარტო და ოქროევი შემოდის იმასთან და ხელში უჭირამს ცოლის წიგნი.

ოქროევი. ხეჩატურ აკოფიჩი! ჩემი ცოლი ხომ არ გინახამს?

მეფულოვი. (ინმენდს ხელსახოცით პირსა). დამაცა.... დამაცა.... ერთი მინუტი დამასვენე.... რაო? რაო?

ოქროევი. (აჩქარებით). მე გეკითხები: ჩემი ცოლი ხომ არ გინახამს?

მეფულოვი. მეე! არაა... არ მინახამს. (წამოხტება სკამიდან). შენ, ხომ არ გინახამს ჩემი ცოლი?

ოქროევი. რა ვიცი მე შენი ცოლი სად არის! აბა ეს წიგნი ნახე. (აძლევს წიგნსა). ერთი გამაგებინე, რასა მწერს ჩემი ცოლი?

მეფულოვი. აბა ვნახო, მიჩვენე. (კითხულობს თავის წინ და ამბობს). ოჰო, შენც მოგსვლია დღეობა! მამილოცამს! (იცინის ტირილის ხმაზედ). ახ, ახ, ახა, ახა! (ამ წიგნს მისცემს და თავის ცოლის წიგნს ამოიღებს ჯიბიდან და აძლევს ოქროევს). აბა, ეს ჩემის ცოლის წიგნი წაიკითხე. ერთის სიტყვით, მოუკლავარ ჩემ ცოლსა, რაღა!

ოქროევი. მაინცა და მაინც ვიტყვი: ეს ჩემი ბედისაგან მომდის... ყველა იღბალი ყოფილა!

მეფულოვი. ეს რა უბედურება დაგვემართა?

ოქროვეი. მგონი ჩვენი ბრალი უნდა იყოს. წავიდეთ, ცოლები მოვნახოთ მაგრამ... მაგარი ეს არის: კაპიტნის ბრძოლა ჩვენ არ შეგვიძლიან. ეს სულ შენი ბრალია, ხეჩატურ აკოფიჩ! სადღაც დამათრევედი მეცა და ჩემ ცოლსაცა: „ეს გავიცნოთ, ის გავიცნოთ“. აი, უცხო კაცების გაცნობამა, ესე გვიყო! დაგვლუპა და დაგვანელა! წავიდეთ, მოვნახოთ. (გადიან ორივენი). ღმერთო შენ გვიშველე! (ორივენი ამას ბუტბუტებენ. ამ დროსვე შემოდის გულვარდოვი).

გამოსვლა მეორე.

იგინივე და გულვარდოვი.

მეფულოვი. ხათაში ჩავარდით მეცა და ოქროვეიცა!

გულვარდოვი. მე თქვენთან მოვსულვარ, თქვენ კი სხვანაირად გარბიხართ? ეს რა ოინია! ეს რა ამბავია!

მეფულოვი. (დაუდგამს სკამსა). დაბძანდით, ბაინდურ გასპარიჩ! ჩვენ შენთან მოვდიოდით.

გულვარდოვი. მაშ სადილათ თქვენთანა ვარ, რალა! (მეფულოვს ჰკითხამს). რასაიქს შენი ლამაზი [ცოლი] რემსიმე? ღმერთმანი კარგი ცოლი გაქვს; ბევრი კაცი უჭირამს იმაზედ თვალი, სად არის?

მეფულოვი. (აირევა ფიქრში). რე... რე... რემსიმე. მე არ ვი...ვი...ცი, სად არიი...ის!

ოქროვეი (ხალხისკენ). ახლა არის ჩვენი ჭაპანწყვეტა. ახლა რალა ვქნათ?

გულვარდოვი. რას ამოვ, ცოლი არ იცი სადა გყავს? ეს ინჩხაბარეს.¹³⁵ ტერვოლორმია!¹³⁶ იქნება შავთვალა რემსიმე სძინავს? (მერმე ჰკითხამს ოქროევს). შენი წერწეტა კეკელა სადღაა? კიდევ ისე ნაზი ვინმეა, თუ არა?

ოქროევი. (სულ გადირევა, არ იცის, რა უნდა ქნას). კე... კელო არ ვიიიცი, სად არ...ის?

გულვარდოვი. ოჰო! არც შენ იცი ბატონჯან, შენი ცოლი რა კუთხეში ზის შენთვისა? მატყუებთ შინა გაქვთ თქვენი ცოლები: მიჩვენეთ, რას მალამთ, მზეთუნახავები ხომ არ არიან? შემოიტანეთ ჩემთანა.

ოქროევი. ბაინდურ გასპარიჩ! ჩვენი ცოლები შინ არ არიან, ჩვენც არ ვიცით, სად გაგვეპარნენ: სად წავიდნენ.

გულვარდოვი. ეს რა ამბავია, რა მესმის! ჩორტიონნაიტ. (გაჯავრდება და აფურთხებს). ეს რასა გავს? სწორე გითხრამ ეს ჩემი სირცხვილია. პროსტო სკანდალ! ტერალორმია!¹³⁷ მართლა მითხარით, რა უყავით თქვენი ცოლები, სად დადეთ?

მეფულოვი. არ ვიცი ბატონჯან! ცოლები დაკვარგეთ, გვიშველეთ რამე, პოჟოლუისტა, რადი ხრისტა; აგრემც სუფს-კარაპეტი¹³⁸ შეგენევა.

გულვარდოვი. თუ ეს ამბავი ქალაქში გაიგეს, კარში თავი აღარ გამოგვეყოფა, თითით საჩვენებელი გავხდებით, პატროსან სახლში აღარსად შეგვიშვებენ. იცით, თუ არა? ტერალორმია! ეს რა მოვიდა ჩვენ თავზედა? ერთი, რომ წასულიყო, კიდევ მაღლი ღმერთსა, მაგრამ ორივე ჩემი დისწულები

135 [სომხ.] – ეს რა ამბავია.

136 [სომხ.] – უფალო, შეგვიწყალებ.

137 [სომხ.] – უფალო, შეგვიწყალებ.

138 [სომხ.] – წმინდა კარაპეტი.

დაკარგულან. ახ, ბოჟ მაი! ერთი სწორეთ მითხარით, ისინი სტყუიან, თუ თქვენ შვრებით ოინები?

მეფულოვი. მე ვტყუი, მაგრამ დღესვე ვიპოვნი ცოლსა. ემ საათში მოვძებნი იმ შერვენებულს კაპიტანსა. მე ვაცნობებ იმას თავსა!

გულვარდოვი. ვა! რას იძახი კაპიტანი, ვინ კაპიტანია?

მეფულოვი. დასწყევლოს ღმერთმა! რემსიმე მწერს ისა და კეკელა მამიდასთან წასულან, იქიღამ კაპიტანთან. ნეტავი მე, რაღა.

გულვარდოვი. მართალია, მე ის კაპიტანი ვიცნობ, იმას ეძახიან: ივან ივანიჩ ნუნნიევ.

მეფულოვი. ვინაა? ნუნნიევი! მაშ დავღუპულვართ.

ოქროვეი. სადა სდგას ნუნნიევი. მე უთუოთ უნდა ვნახო ისა.

გულვარდოვი. გოსპოდინ ნუნნიევ დგას არაქელაანთ პეპკას სახლში, ვანქის ქუჩაში.

ოქროვეი. მაშ მშვიდობით, ორთავეს ვიპოვნი! (გარბის ოთახიღამ).

გამოსვლა მესამე.

გულვარდოვი და მეფულოვი.

გულვარდოვი. (იცინის). უყურეთ! ის ისეთი ყოჩალი ვინმეა, რაღა, მეტი აღარ შეიძლება, უთუოთ წაართმევს ცოლსა! (თავის წინ). აბა, ახლაა თამაშა! (მეფულოვს). შენ რაღას

დაგიშვია ეგ ცხვირი, ბებერო პლუტო! შენ კი არ მონახამ შენ ცოლსა?

მეფულოვი. მე ვერ დავიძვრი აქედამ, მეშინიან წუნნიევისა.... მამკლამს.

გულვარდოვი. (ხალხს). ერთი ნახეთ, რა გულადი ვინმეა! ცოლის წამოყვანისა ეშინიან, ფუ, შენს კაცობას! (აფურთხებს). შე ბეჰაია! შე ორყაბაზო! შე, შე, ბებერო პლუტო! შე.... შე.... შენაა! (აფურთხებს). მაშ რათ შეირთე რემსიმე, შე, თმათეთრო ყმანვილო, თუ ვერ მოუვლიდი.

მეფულოვი. მე მეგონა რემსიმე თავისთავს მოუვლის მეთქი, რადგან ოცდა თერთმეტის წლის ქალი იყო და ჯიელობის წრეს გასული იყო.

გულვარდოვი. მაშ, რას აპირობ ახლა?

მეფულოვი. არ ვიცი, რა ვქნა! გული მიკანკალებს, ფეხები მამკვეთა.

გულვარდოვი. მაშ რალა! მტყუანი ვინმე ხარ, რომ აგრე იტანჯები.

მეფულოვი. ვტყუი, მაგრამ იმ კაპიტნისა მეშინიან. რა ვქნა?

გულვარდოვი. ნუ გეშინიან, თავი იმართლე.

ხოსია. (უცებ შემოვარდება). ბატონო! ქალბატონმა ჩაიარა ფაიტონითა.

მეფულოვი. საით ნავიდა?

გულვარდოვი. არიქა! მარტო მიდის, ჩქარა ქენ რალა!

მეფულოვი. (აიღებს ქუდსა და გარბის). ახლა კი მოვე-
ნევი და მოვიყვან. (ყვირის). იზვოშჩიკ!¹³⁹ ფაეტონ! დროშკი!
(სოსიაც თან გაზდევს).

გამოსვლა მეოთხე.

გულვარდოვი მარტო ზის, უკრავს ტაშსა და იცინის.

გულვარდოვი. ხა, ხა, ხა! ყოჩაღ! ბარაქალა! ხეჩატურ
აკოფირ! რა მარდი ვინმე ხარ! დეე ირბინონ ჩემა სიძეებმა. ხა,
ხა, ხა! მე ვასწავლი ფესაებსა,¹⁴⁰ როგორც უნდა ცოლთან ცხ-
ოვრება. ხა, ხა, ხა! (ნაიქცევა სკამზე სიცილით). ბიჭო, ხოსია!
წყალი დამალევინე.

ხოსია. (მორბის) მიირთვი ბატონო წყალი (და გადის).

გულვარდოვი. (ხალხისაკენ). ისინი, რომ კაპიტანს დაინ-
ახვენ, ღმერთის მადლმა, ჭკვა აღარც ერთს აღარ შერჩება,
რალა!

ხოსია. (სიხარულით შემოვარდება). ბეტონო! აწი ქე
მობძანდნენ ქალბატონები და მოიყვანეს ერთი ჯიელი კაპი-
ტანი და იმალეებიან ოთახში, არავინა გვნახოსო.

გულვარდოვი. ბიჭო! აქ დაუძახე ქალებსა. ჩემი სიძეე-
ბი, რომ მოვიდნენ, მაშინვე შემატყობინე გესმის!

ხოსია. დიახ შენი ჭიიმე. (კარებში გაიძახის). მობძან-
დით ქალბატონებო! (გადის).

139 [რუს.] – მეეტლე.

140 [სომხ.] – სიძეებსა.

გამოსვლა მეხუთე.

მარტო გულვარდოვი დადის და ლაპარაკობს ნელნელა, თან სწევს პაპიროზსა: რა ახმახი სიძეები მაქვს! მაგრამ მე უჩვენებ, თუ ცოლებს როგორ მოექცნენ. ტერასტუაც!¹⁴¹ (შლის ხელებს). დამაცადეთ თქვე შარლატნებო, თქვე ნუნკებო, თუ რა გიყოთ! ამას უეჭველად ვქნამ, ან იმათ ერთი რამე ემეს უზამ. (ამ დროს შემოდიან რემსიმე და კეკელა და თან მოჰყავთ ხელჩაკიდებული ნუნნიევი მორთული მუნდირით და ეპოლეტებითა. მუზიკა იკვრის).

ნუნნიევი (მხიარულად შემოჰყავს ორივე ქალები ხელჩაკიდებული). გამარჯობა უფალო ბაინდურ გასპარიჩ!

გულვარდოვი. (წამოხტება სკამიდან და ჰკოცნის დისწულებსა). მობძანდით, დაბძანდით! ახლა ქალებო, უფალი კაპიტანთან, როგორი დრო გაატარეთ?

რემსიმე. ახ, ძიაჯან, კაპიტანი საყვარელი კაცია!

კეკელა. (ნუნნიევს). ახ, კაპიტანო, შენა სჯობიხარ ჩემ ქმარსა!

ნუნნიევი. (შრიალით გაივლის და გამოივლის სცენაზედ). ახ, გეგონეთ მე უბრალო ბუღბუღი. კარგი ფარჩის ნაჭერი ვარ!

რემსიმე. ძია! კაპიტანმა სულ მოგვანელა დარდები, გვაცინა ბევრი ჩვენ ქრმებზედ. მეტად მხიარული ახალგაზდა არის. დამპირდა ფრანგულ ბასტურს თამაშობას გასწავლიო.

კეკელა. განა, ძია! ბუღბუღს მოსწყინდება ვარდთან

141 [სომხ.] – უფალო ღმერთო.

ყოფნა? კაპიტანი ჩემი ბულბულია. ენაცვალოს ჩემი ბერახუა ქმარი!

წუნნიევი. (თავის წინ). ქალები ეშმაკები არიან. (ხალხისკენ). ლამის შემაცდინონ ამ ეშმაკებმა, ვერა ხედამთ?

კეკელა. ძიაჯან! სად არიან, ის დალოცვილი ჩვენი ქრმები?

გულვარდოვი. თქვენ საძებნელად წამოვიდნენ.

წუნნიევი. (იცინის). ხა, ხა, ხა! კარგი იქნება, რომ აქ მომასწრონ, სასაცილო საქმე გამოვა. (ყველანი გავლენ ერთად, გარდა გულვარდოვისა).

გამოსვლა მეექვსე.

გულვარდოვი მარტოა და მერმე შემოდის ოქროევი.

გულვარდოვი. მობძანდი სიძეჯან! გაქცეულო, აკლებულო ვაჭარო, ახლა კი ხელში ჩაგიგდეს ქალებმა, შე, პლუტო!

ოქროევი. (საჩქაროთ შემოვარდება და ქაქანებს). ვერც ცოლი ვიპოვნე და ვერც ის, შეჩვენებული კაპიტანი, იმ დასაქცევ ქუჩაშია. (დასდებს ქუდსა სტოლზედა).

გულვარდოვი. შენმა ცოლმა ამ მინუტში აქეთ გაიარა, მარტო, (ანიშნებს ქუჩასა).

ოქროევი. (დაავლებს ქუდს ხელსა). მაშ ეხლავ მოვენევი.

გულვარდოვი. თუ მოენევი გასაკურვალნი რამე იქნება, აი!

ოქროევი. ჩემმა მზემ მოვენევი (გარბის და იძახის).
ფაეტონ! დროშკი! დროშკი!

გამოსვლა მეშვიდე.

მარტო გულვარდოვი და მერმე კარებში შემოიხედვენ
ერთად კეკელა და ნუნნიევი, უჭირამთ სტაქნები და ჩაისა სმენ.

გულვარდოვი. აი, ბარაქალა სიძეჯან! ხა, ხა, ხა, ირ-
ბინე, ისეირნე, ოფლში გაცურდი, მოგიხდება; ჯანის სისაღე
არის. ხა, ხა, ხა!

კეკელა. (ამ დროს შემოდის კეკე). ძიაჯან რას იცინი.
ჩემი ქმარი სად არის?

გულვარდოვი. კიდევ გავარდა და დაგეძებს. ხა, ხა,
ხა! კეკე! შენ აქ დარჩი, მე წავალ და ზაკუსკასა ვიქ და ისევ
შემოვალ. თუ შენი ქმარი მოვიდეს, არ აჩვენო, და თუ დაინახო
მეფულოვი, არ დაასვენო, ცოლის საძებნელად გაგზავნე, აბა
ჰა!

კეკელა. კარგი, კარგი, ძიაჯან!

გამოსვლა მერვე.

იგივე კეკელა სდგას ფანჯარასთან, ამ დროს მეფუ-
ლოვი შემოდის და ხელსახოცით ინმენდს პირსა.

მეფულოვი. უჰ! სულ დავირბინე ქუჩები და ვერსად ვი-
პოვნე ჩემი ცოლი. დამეკარგა სამუდამოდ დამეკარგა! (დაინ-
ახამს კეკელასა). ვა! აქა ხარ კეკე! მადლობა ღმერთსა. დიდიხ-
ანია კაპიტნის სახლიდამ მოხვედით. სად არის ის რაზბოინიკი,
რატომ დედამინა არ გასქდა და თან არ ჩაიტანა ის ურცხვი?

კეკელა. მე ჩემს ქმარს არ ვანუხებ; ისა მტანჯამს. მადლობა ღმერთსა! დაბრუნებულხართ, უთუოთ, რემსიმეს მოიყვანდით? გთხოვ აბიდას ნუ აძლევ იმ ჩემ საყვარელს ნუნნიევსა.... თქვენმა რემსიმემ ეხლა ჩაიარა ამ ქუჩაზედა.

მეფულოვი. (ნამოავლებს ქუდსა და გარბის). მართლა გაიარა? მარტო იყო, თუ კაპიტანიც თანა ჰყვანდა?

კეკელა. მარტო იყო.

მეფულოვი. მადლობა ღმერთსა! საით ჩაიარა?

კეკელა. ლალუანთკენა.

მეფულოვი. მოვენევი, ვიპოვნი. (მირბის და ყვირის). ფაიტონი! ათს თუმანს დავხარჯამ, ვინც ჩქარა წამიყვანს.

გამოსვლა მეცხრე.

კეკელა მარტო და მერმე რემსიმეც შემოდის.

კეკელა. ხა, ხა, ხა! რა საცინელია, საცოდავი, ჩემი ქმარიც ღირსია ასე დაიტანჯოს ორივენი დარბიან და დაგვეძებენ, ჩვენ კი აქა ვსხედვართ, სახლში?

რემსიმე. (შემოდის). ვინ იყო? მგონი, ჩემი ქმრის ხმასა გვანდა? სად არის ის უბედური?

კეკელა. კიდევ გაიქცა შენს საძებნელათა. ხა, ხა, ხა!

რემსიმე. (გაიხედამს ფანჯარაში). უიმე ქალო, კეკე! შეხე, შეხე. მგონი ჩემი ქმარი მოდის!

კეკელა. (იცქირება ფანჯარაში). შენმა მზემა, სწორეთ

ის არის. (ხმა მაღლა დაიყვირებს) ძიაჯან, ძიაჯან! შემობძანდით.

გამოსვლა მეათე.

კეკელა, რემსიმე და გულვარდოვი, მორბის გამოქანებული და ინმენდს ხელებსა სალფეთქითა.

გულვარდოვი. მოვდივარ, მოვდივარ. რა მოგივიდათ?

კეკელა. ჩემი ქმარი მოდის.

გულვარდოვი. ნადი მაშ და დაიმალე. ის, ბატონი, ფესა სადლა გაგზავნე?

კეკელა. არ ვიცი, სად წავიდა.

გულვარდოვი. მაშ, კარგი კეკელო! შენ აქ დარჩი და უთხარი, რომ მე იმაზე გაჯავრებული ვარ. მერმე ეცადე, თავიდან როგორმე მოიშორო. გესმის, თუ არა? აბა ვინძლო! რალა!

კეკელა. კარგი ძიაჯან. (ორივენი გადიან).

გამოსვლა მეთერთმეტე.

მარტო რემსიმე დგას ფანჯარასთან, მერმე შემოვა ოქროევიცა.

რემსიმე. (ლაპარაკობს თავისთვის). ეს ბიძაჩემი, რა კარგი კაცია, ცდილობს: ჩვენი ქრმები დაილაღნენ და შემოგვეხვეწნენ. მაგრამ მეშინიან, ვაი თუ ჩემი ბებერი ქმარი დაილალოს და მოკვდეს! მეც თითონ არ ვიცი, რათ მიყვარს ის დასაქცევი ასრე.

ოქროვეი. (შემოირბენს საჩქაროდ, რემსიმეს ვერა ხე-
დამს). რა მეშველება, დაიკარგნენ ის ქალები! ეს რა ცეცხლია!
(დააგდებს ქუდსა).

რემსიმე. ღირსნი ხართ თქვე მუხანათებო; ორყაბაზე-
ბო!

ოქროვეი. (სიცილით) ახ, რემსიმეჯან, შენა! ჩემი კეკე
სადლა არის?

რემსიმე. კეკე, რათ გინდა, სადაც არის? შენ ხომ ხელი
აიღე იმაზედა და ჩემ ქმარსაც ხელი ააღებინე ჩემზედა; რალა-
სთვის გგვითხულობ შე, კაი კაცო, ნუღარვე.

ოქროვეი. სტყუი რემსიმე, სტყუი; ჩვენ თქვენზედ ხელი
არ აგვიღია.

რემსიმე. მაშ აქამდინ სად შეექცეოდით, სად დადი-
ოდით?

ოქროვეი. ჩვენ თავს ჩვენვე ვამტყუნებთ. მითხარი, სად
არის ჩემი ცოლი? მართლა თავი დამანება!

რემსიმე. არ იცი ყმანვილო! „რასაც დასთეს, იმასვე
მოიმიკი“. ძიაჩემი შენზე ჯავრობს რალას ბევრს გიჭრელებ,
ნადი შენი ცოლი მონახე. ის წავიდა მკითხავთან, ავლაბარშია.

ოქროვეი. ავლაბარში ვის ნაჰყვა?

რემსიმე. განა არ იცი ვისაც ნაჰყვებოდა. კაპიტანმა
ნაიყვანა.

ოქროვეი. ახლა კი, უთუოთ მოვენევი. (იღებს ქუდსა

და გარბის).

გამოსვლა მეთორმეტე.

მარტო რემსიმე და მერმე შემოდის კაპიტანი წუნნიევი, ჩაცმული მუნდერში. გაივლის და გამოივლის; ისწორებს აპოლეტებსა და ულვაშებსა).

წუნნიევი. რა ბედნიერი საათია, რომ ერთად ვსხედვართ რემსიმე?

რემსიმე. რაო! რას ბრძანებთ კაპიტანო?

წუნნიევი. მე მოგახსენებ, ახლო მოიდგით სკამი.

რემსიმე. (სკამს მიიწევს). განა, ასე უნდა მათამაშო ჩემ ქმართანაცა?

წუნნიევი. თუ ღმერთი გნამს, იმ ტუტუც კაცს ნუღარ მოიგონებ. მოიტა მამეც ეგ ხელი!

რემსიმე. ახ, კაპიტანო, თქვენ ძალიან შორსა სწვდებით!

წუნნიევი. (თავის წინ). მართლა სიბრიყვე მამდის. (რემსიმეს). ნუგეშინიანთ ჩემი.... მამეცით ხელი.

რემსიმე. (აძლევს ხელსა). მიიღეთ ხელი. მაგრამ ეს მითხარით, ჩემ ქმართანაც მამთხოვთ ხელსა?

წუნნიევი. (გამოართმევს ხელსა და ჰკოცნის). ახ. რა ლამაზი ხელია და გულის საკლავი თითებია! შენი ქმარი ღირსი არ არის ამ ხელისა. შენ ვინა და ის ვინა!

რემსიმე. ახ, კაპიტანო! რას მეუბნებით, განა ეგ სიტყვა ჩემ ქმართანაც უნდა მითხრათ?

წუნნიევი. ოჰ, უკაცრავათ! შენ ქმართან დარბაისლურად გელაპარაკები. (თავის წინ). ფუ, ეშმაკო! რავექნა, მეტად კარგი ქალია და რა უყო?

რემსიმე. ჩემ ქმართან, ეგრე რომ დამიწყო ლაპარაკი, რა ვქნა?

წუნნიევი. აი, რა უნდა ქნა: მე რომ გითხრა ხელი მამეც? ხელი მამეცი კანკალითა, ვითომ გრცხვენინან, თან მითხარი, „კაპიტანო! რა ხელსა მთხოვ, როგორ იქნება“. მე რომ გითხრა რემსიმე გიყვარვარ, თუ არა? „შენ მითხარი: მიყვარხარ და გენდობი“.

რემსიმე. კაია, გავათავოთ მასხარაობა და ქილიკი. მგონი ვილაც მოვიდა დროშკითა. ვუი ჩემთავსა! ჩემი ქმარი არის.. რაღა ვქნა?

გამოსვლა მეცამეტე.

იგინივე და ოქროევი შემოდის.

ოქროევი. ველარ მოვეწიე ვერა. (დაინახამს რემსიმესა და წუნნიევსა). ვა, ვა! ეს, რა ამბავია რემსიმეჯან! კაპიტანს უზიხარ გვერდზედა? (წავა და კუნჭულში დადგება).

რემსიმე. (ჩუმად წუნნიევსა). ეს ჩემი ქმარი არ არის. რა ვქნა?

წუნნიევი. (ჩუმად რემსიმეს). არა უშავსრა. ესე სჯობიან რემსიმეჯან! როგორა ხარ?

რემსიმე. რა გინდა ჩემგანა, რასა მთხოვ?

ნუნნიევი. მე გთხოვ სიყვარულსა. მამეცით ხელი.

ოქროევი. (იციინის თავის წინ). ჰა, ყოჩაღ ქალო! ბარაქა-
ლა მანდილოსანო! ახ, ნეტავი ეხლა შენმა ქმარმა მოგასწროს
და სხვა არა მინდარა! ნავალ მოვნახამ იმ საცოდავ კაცსა.
(გადის).

გამოსვლა მეთოთხმეტე.

იგინივე, ესე იგი: **რემსიმე** და **ნუნნიევი.**

ნუნნიევი. ქალო! ის, ვაჟბატონი წავიდა?

რემსიმე. რა საჭირო იყო, ის ხომ ჩემი ქმარი არიყო,
განა კეკელამაც ესე უნდა უყო? ჩუ მოიცადეთ, ვილაც მოდის.

გამოსვლა მეთხუთმეტე.(იგინივე და ოქროევს შემოყავს მეფუ-
ლოვი და შორიდამ უჩვენებს თავის ცოლსა და კაპიტანსა.)

რემსიმე. (დაინახამს ქმარსა). უიმე, აგერ ჩემი ქმარი!

ნუნნიევი. ნუ შეშინდები, ეს ჩვენი საქციელი შენი
ქრმის წამალია. ამითი მოვაქცევთ იმას, სხვა საშუალობა არა
გვაქვსრა. რემსიმე! ჩემო თვალის სინათლეე! ღმერთს გეფიცე-
ბი, შენი ქმარი გიჟია!

ოქროევი. (მეფულოვს). გესმის, რას ამობს?

მეფულოვი. (ჩუმათ ოქროევს). მესმის, მესმის; გავ-
იგონე.

ნუნნიევი. (ჩუმათ რემსიმეს). რემსიმე! ეს გიჟი, შენი

ქმარი არ გიყვარს, განა?

რემსიმე. სრულებით არა! ეგ ჩემი სიყვარულის ღირსი არ არის.

ოქროვეი. (ჩუმად მეფულოვს). გესმის! ხა, ხა, ხა!

მეფულოვი. მესმის. რა ვქნა? რა უყო?

ოქროვეი. ხა, ხა, ხა! რაღას შესცქერისხარ. წადი ამის ბიძასთან, ეგება გიშველოს რამე. მე კი წავალ, ჩემ კეკეს მოვძებნი. მშვიდობით! (გადის).

წუნნიევი. მაშ, მარტო მე გიყვარვარ, რემსიმე?

რემსიმე. (გააგძელებს სიტყვასა). ჰო! მარტო შეეენა!

მეფულოვი. მე კი არა? მე კი არ გიყვარვარ?

წუნნიევი. (დაუჭერს ხელსა). მაშ, რემსიმე ჩემი ხარ?

რემსიმე. შენი ვარ, გენაცვა შენი!

მეფულოვი. (გააღებს კარებს და გადის ქალის ბიძასთან); ბატონებო (ხალხისკენ). შემომხედეთ რა მოგახსენოთ: თუ ხანში შესული ქალები ასრე იქცევიან, აბა რაღას იქმონენ ახალგაზდები, ჯიელები!

გამოსვლა მეთექვსმეტე.(იგინივე. მერმე შემოდიან: მეფულოვი, კეკე და გულვარდოვი და დაიწყებენ ლაპარაკსა.)

გულვარდოვი. (ხელისკვრით აგდებს ოქროვესა და უჯავრდება). წადი! წადი! შენ ცოლს უშველე რამე. ქალაჩუნა ნუ ხარ შე, წუნკო, შე, საძაგელო!

ოქროევი. წამოდი ერთად წავართვათ კეკე იმ მგელკაცასა.

გულვარდოვი. წადი, წადი, მარტო შენ წაართვი. (მიიხედავს). აგერ, ისინიც აქ არიან.

ოქროევი. რავექნა! მამკლამს!.... რა მეშველება!

გულვარდოვი. მოგკლამს? ჯანი გაგვარდეს, თუ მოგკლამს. შენისთანა კაცი, მაინც ცოცხალიც მკვდარია. (ჰკრამს ხელსა და კარში გამოაგდება).

რემსიმე. (დაინახავს თავის ქმარსა, წამოხტება სკამიდან და დაინივლებს). ეა! აგერ ჩემი ქმარი!

გამოსვლა მეჩვიდმეტე.

იგინივე, ყველანი გარდა ოქროევისა.

მეფულოვი. (დგას და კანკალებს მთლათა). ვაიმე! მახეში გავები!

წუნწიევი. ყმანვილო! შენა ხარ ამ ლამაზის ქმარი? განა?

მეფულოვი. (ბუტბუტებს). რა ვქნა? მოდი და ატკაზხ ვიტყვი, ქმარი არა ვარ-მეთქი.

წუნწიევი. (განყრომით). რატომ პასუხს არ მაძლევ, ყმანვილო!

მეფულოვი. თქვე.... თქვენო კეთილშობილებაჲ! მე მაგისი სუსტი ქმარი ვარ.

ნუნნიევი. მაშ, რალათ შეირთე, შე, კაი კაცო!

მეფულოვი. უკაცრავათ ბატონო. ჯვარის წერა უცებ მამიხდა. ეჰ!... რალა... ვსთქვა! მე ეგ არშიყოხით შევირთე.

ნუნნიევი. ეს, შენი საცოლო არა ყოფილა. შენ ბე-ბერი ხარ, ეს ყმანვილია, ჯიელია, კობტაა. ეხლა გამწყრალია შენზედა და სალამოზედ მოვიყვან შენთანა და შეგარიგებთ. გესმის, თუ არა?

მეფულოვი. ღმერთმა შენი ჭირი მამცეს კაპიტანო, ისე მივიღებ ჩემ ცოლსა, ვითომც ეხლა ვინერდე ჯვარსა.

გამოსვლა მეთვრამეტე. (კაპიტანი ნუნნიევი მარტო, მერმე შემოდიან გულვარდოვი და კეკელა.)

ნუნნიევი. სწორეთ ერთი ვინმეს გეცხარ ეხლა! ერთი ქმარი დავაბრუნე უკულმა გზიდამ, ახლა მეორე უნდა მოვა-ქციო.

გულვარდოვი. (გამოდის). რა ქენ უფალო კაპიტანო? ვერ მოღვედე ის ბერახუა კაცი?

ნუნნიევი. მე იმას შევანანე, ხა, ხა, ხა!

გულვარდოვი. ჰა, ყოჩაღ! ყოჩაღ! (ჰკოცნის კაპიტანსა). მადლობელი ვარ, მადლობელი.

ხოსია. (შემორბის). ჩემი ბატონი ქე მობრძანდება.

გულვარდოვი. მობძანდეს.

კეკელა. ახლა რალა ვქნა?

ნუნნიევი. ნუ გეშინიან; მე კარს დავკეტამ. საჭიროა (დაითხოვს ბიჭსა და დაჰკეტამს კარებსა; გულვარდოვი და ბიჭი გადიან).

კეკელა. უი, ჩემ თვალებსა! კარები რათ დაკეტე ყმანვილო?

ნუნნიევი. უფრო თავისუფლად ვიქნებით.

კეკელა. ეგ, როგორ შეიძლება.... ნეტავი მამკლა.

ნუნნიევი. (მისწვდება და დაუჭერს ხელებსა) კეკელო? ახლა კი მე ვიცი!..... მე?

კეკელა. რა ძალიან მიჭერ ხელებსა? განა ესეც უნდა დაანახო ჩემ ქმარსა? ნეტავი მამკლა და მამარჩინა!

ნუნნიევი. საჭიროა შენმა ქმარმა დაგვინახოს თორემ დაილუპები. ამითი მოვაშლევინებთ შენ ქმარსა თავის ქცევასა. ნება მამეცით ქალო, თქვენ ახლო დავჯდე.

კეკელა. რა გაენყობა. ახლო მოინიეთ, თუმცა გულით არ მინდა, მაგრამ მეტი ილაჯი არ არის! (დასხდებიან ერთმანეთთან ახლო).

ნუნნიევი. ხელი მამეცით?

კეკელა. მიირთვი. (აძლევს ხელსა და ნუნნიევი ჰკოცნის). ხა, ხა, ხა! გეტყობა ყმანვილო, მოქნილი თასმა ხარ და ათას თოკში გამოვლილი?

ნუნნიევი. (იცინის). ჰო, დიდი ეშმაკი ვარ, დიდი. ხა, ხა, ხა! (ამ დროს ისმის კარების რახარუხი). გესმის კეკეჯან! შენი ქმარი თავს ახლის ამ დაკეტილს კარებს. ხა, ხა, ხა!

კეკელა. მესმის, ჰო, მესმის, ვაი შენი ბრალიცა ჩემო ქმარო! ხა, ხა, ხა!

წუნწივი. კეკე! აფსუსია ეს კარები, რომ შენი ქმარი თავის ცარიელს თავს ახლის კარებზედა. ხა, ხა, ხა! (ამ დროს მეფულოვი და ოქროვეი ფანჯრიდამ იცქირებიან, იღრიჯებიან და წუნწუნებენ ტირილის ხმაზედა). ახ! რა ვქნათ. უჰუ, უჰუ, უჰუ!

ოქროვეი. (შეჰყვირის ფანჯრიდამ). ვაიმე! აბა, რას შვრები კაპიტანო. ვაიმე! რა ამბავია, ესა?

მეფულოვი. (ესეც ფანჯრიდამ ყვირის). ვაი ჩემ თავსა! ამასა რასა ვხედამ? მე, დალუპული!

წუნწივი. უჰ! რა კარგი ქმარი გყავს კეკე! (იცინის). ხა, ხა, ხა!

კეკელა. ჯანი გავარდეს, უიმისოდაც კარგად ვქეიფობ, რამიჭირს!

ოქროვეი. (ყვირის ფანჯრიდამ); კეკეჯან! კეკე! აქეთ მოიხედე.

წუნწივი. (მოეხვევა კეკეს). შენი სულისა კეკე! შენ ჩემი ხარ და არა სხვისა, იმიტომაც უნდა გაკოცო ლამაზ თვალებში და ვარდივით ტუჩებშია.

კეკელა. (მე არ გაკოცნიებ, და წამოხტება; გარბის). მანამ ფრანგულ ბასტურს თამაშობას არ მასწავლი.

წუნწივი. (გამოუდგება და დაზღვეს). კეკე! მერე ხომ მაკოცნიებ?

ოქროევი. (კიდევ ფანჯრიდამ ყვირის). კეკე! ჩემო კეკე! მე ვარ შენი ქმარი. კარი გამიღე, გენაცვალე, შენი ჭირიმე!

ნუნნიევი. (ხმა მაღლა ოქროევს). შენისთანა სალახანას ასე უნდა. ჰე! ჰე! შე, მასხარავ!

ნუნნიევი. კეკელო! მოდი გათამაშო ბასტური (დაინყებენ ბასტურსა, ერთი აქედამ და მეორე იქიდან და იმღერის ნუნნიევი).

ნუნნიევი. კეკესა, ყელი უგავს ზურნასა, ჯიბრის გული-სათვინა ათამაშებენ ბუქნასა. (უკვრენ წყნარად დაირასა და ტაშსა).

ოქროევი. (ფანჯრიდამ ჭკუაშეშლილივითა ყვირის). ვაი შენ, ჩემო თავო! ამოდი სულო! ამას რასა ვხედავ! კეკე! კეკელო! კარი გამიღე მე ვარ, მე გესმის, თუ არა? კეკე! კაპიტანო! რა შვრები?... როგორ შეიძლება, რომ ჩემ ცოლს აბიდა მისცე? კაპიტანო!..... კეკე! ღვთის შეირცხვინე. ნამუსს გაუფთხილდი. რა შვრები! შე, შე..... კარი გამიღე, კაპიტანო! კარგი, გეყოფა; დაილალება ჩემი ცოლი. კარებს დავანტვრევ ეხლავე. არიქა! ვინა ხართ ქრისტიანები! მიშველეთ, ცოლი წამართვეს, დაუძახეთ მჭედელსა, კარები დაამტვრიოს, კეკე! კეკეჯან! რასა შვრები, გაგიჟდი თუ ჭკუაზედ შეიშალე? კაპიტანო, შე ურცხვო! შე ჩემო მკვლელი! კეკე! კეკელო!

ნუნნიევი. (ათამაშებს ქალსა და ყვირის), ჰა, ყოჩაღ ბიჭო! ჰა ბარაქალა ქალო! (ამ დროს მეორე კარიდამ გამოიხედამს რემსიმე. ნუნნიევი სტაცებს იმასაც ხელსა და თამაშობენ სამივენი ბასტურსა. ამ დროსვე მეფულოვი და ოქროევი დაინყებენ ყვირილსა და მერმე ძვრებიან ფანჯარაში).

მეფულოვი. ერიჰა! ეს ხუმრობა აღარ არის ვაჟო! ეს აღარ ხუმრობს! ჩემი ცოლიც მიითრია. კაპიტანო! (ყვირის). რას შვრები, შე, უსვინიდისოვ! ჩემ ცოლთან რა ხელი გაქვს, რა გესაქმება? სად მიათრევ ჩემ ცოლსა? შე, ბეესაბო, შე, ლა-პუსტაცო! მიშველეთ! მიშველეთ ცოლი წამართვა!

ოქროვეი. (ესეც ძვრება ფანჯარაში). მე, ველარ მოვითმენ. დავარჩობ ამ კაპიტანსა, ამ ურჯულოსა! ამ ლანირაკსა (ამ დროს კაპიტანი საჩქაროთ შეიყვანს ქალებსა ოთახში და კარებს ჩაჰკეტამს).

გამოსვლა მეცხრამეტე.

მეფულოვი და ოქროვეი მარტო.

მეფულოვი. (ეცემა კარებსა და აწვება). ახლა რაღა ექნათ? (ოქროვეს) კარები დაგვიკეტეს ჩვენმა ცოლებმა.

ოქროვეი. მეტი ღონე არ არის, შევინანოთ. აქედამ შევტიროთ, შევბღავლოთ, ეგების გვაპატიონ დანაშაული. (ორივენი ყვირიან): კეკე! რემსიმე! გაგვიღეთ კარი. გულძვირები ნუ ხართ. დაივინყეთ წასული საქმეები, გვაპატივეთ; მოგვიტევეთ. შევცდით, დავაშავეთ. თქვენთვინაც გვიპატიებია, ოლონდ კარი გაგვიღეთ. (მერმე ორივენი დაიჩოქებენ კარებს ახლო).

მეფულოვი. (შესძახის კარებში): რემსიმე! მე ბრიყვი ვარ! მე სულელი ვარ! გვაპატივეთ.

ოქროვეი. (ესეც ესრე შესძახის კარებში): მეც ბრიყვი ვარ! მეც სულელი ვარ! გვაპატივეთ. (მერმე იმღერიან მონყენილს ხმაზედა);

კმარა სიცოცხლევ! ოლონდ მითხარ ეს სიტყვა; ისევ მიყვარხარ! გული დაგიბრუნე გეთაყვა. ახ, სიცოცხლეს იკმარე

წყრომა, მომანიჭე ისევ წყალობისთვალნი რომ მეც ისევ მარად
ვიყო შენივე ტრფიალი. (ამ დროს უცებ გაიღება კარი. ქალები
გამოვლენ. წამოცვივიან ქმრები, თავთავის ცოლებს მოეხვევი-
ან და ისრე შესცვივიან ოთახში. ფარდა დაეშვება.)

პასპორტები, შენიშვნები,
კომენტარები

ტიქსტისათვის

სამეცნიერო აპარატი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: პირველი ნაწილი შეიცავს ინფორმაციას ავტორის ბიოგრაფიისა და დრამატურგიის შესახებ;

1. მეორე ნაწილში მკითხველი მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას პიესის შესახებ. ეს ცნობები ჩვენ რამდენიმე რუბრიკაში გავანაწილეთ:
 1. **ავტოგრაფი:** ეს რუბრიკა იმ შემთხვევაშია ნაწარმოდგენილი, თუ შემორჩენილია პიესის ხელნაწერი. II ტომში შესული ნაწარმოებებიდან მხოლოდ ერთი ვოდევილის ავტოგრაფი მოგვეპოვება. ეს არის ზურაბ ანტონოვის პიესა „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“. იგი ინახება საქართველოს ეროვნულ ისტორიულ არქივში, რომელიც აღნიშნული გვაქვს A ლიტერით. რუბრიკით ვიგებთ, რა ნომრით ინახება ხელნაწერი;
 2. **ავტოგრაფის აღწერილობა:** ამ რუბრიკით ვეცნობით ხელნაწერის მდგომარეობას: რა სახის, ზომისა და ფერის ქალაღდზეა პიესა დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;
 3. **პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით:** აქ აღნიშნულია, პიესა ორიგინალურია, თუ გადმოკეთებული;
 4. **პირველი პუბლიკაცია:** აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა პიესა;
 5. **დაწერის თარიღი:** რუბრიკაში მოცემულია ნაწარმოების დაწერის სავარაუდო თარიღი; იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ტიპის პიესები,

ძირითადად, დაწერისთანავე ქვეყნდებოდა, ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, პირველი პუბლიკაციის ახლო პერიოდშივეა შექმნილი;

6. **შენიშვნები:** აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღნუსხული, ავტორგრაფის შემთხვევაში კი, წარმოდგენილია ხელნაწერისეული იკითხვისები. განვმარტავთ, რომ ტექსტში მოცემული ნუმერაცია შენიშვნებზეც მიგვითითებს და სქოლიოებზეც; მკითხველი ნუმერაციზე დაკვირვებით მიხვდება, სქოლიოზეა მინიშნება, თუ შენიშვნაზე;
7. **პიესის გამოცემის ისტორიიდან:** რუბრიკაში წარმოდგენილია ინფორმაცია პიესის პირველი პუბლიკაციის შემდგომი გამოცემების შესახებ;
8. **პირველი დადგმა:** აქ ვეცნობით, თუ როდის წარმოდგა პიესა სცენაზე პირველად;
9. **სცენური ისტორიიდან:** XIX და XX საუკუნეების პერიოდულ პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლებლობის ფარგლებში, შევისწავლეთ პიესის სცენური ისტორია. ზოგიერთი პიესის შემთხვევაში, საერთოდ არ მოგვეპოვება ინფორმაცია მისი პირველი დადგმისა თუ შემდგომი სცენური წარმოდგენების შესახებ.

II. მესამე ნაწილში დახასიათებულია ტექსტების ძირითადი ენობრივი თავისებურებები;

III. მეოთხე ნაწილი ეთმობა ლექსიკონს.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები, არმენიზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალი-

ტერატურო ფორმებს.

აკადემიური პრინციპის გათვალისწინებით, გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია, პუნქტუაცია და აბზაცები (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა). ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არ ჩაგვისწორებია.

ზურაბ ანტონოვი

ბიოგრაფიული ცნობები: ზურაბ ანტონოვი (მეჩითიშვილი)¹⁴² დაიბადა 1820 წლის 9 თებერვალს გორში, ვაჭრის ოჯახში. 6 წლისა მშობლებს სასწავლებლად სომეხი მღვდლისთვის მიუბარებიათ. მას საუცხოოდ შეუსწავლია ქართული და სომხური წერა-კითხვა. შემდეგ ჩაურიცხავთ გორის სამაზრო სასწავლებელში, სადაც 1 წელში (დრამატურგის ძმის გადმოცემით) 2 წლის კურსი დაუსრულებია.¹⁴³ მესამე კლასში მამას (ნაზარს) სკოლიდან გამოუყვანია. ამით დასრულებულა მისი სწავლა-განათლება. შემდეგ თვითგანათლებისთვის მიუყვია ხელი.

18 წლისას მუშაობა დაუწყო გორის სამაზრო სასწავლებელში მწერლად, აქ უმუშავია 4 წელი. 1842 წელს სამსახურისთვის თავი დაუნებებია.

1850-იანი წლების დასაწყისში, როდესაც გორში ქართველ მსახიობთა დასი ყალიბდებოდა გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით, ზურაბ ანტონოვს დუქანი ჰქონია გახსნილი ძმასთან ერთად. ისინი გაკოტრებულან და უსახსროდ დარჩე-

142 ზოგიერთი ცნობით, ზურაბ ანტონოვი იყო გორელი მეჩითიშვილი, რომელსაც პიესების დაწერის შემდეგ შეუცვლია გვარი. იხ. ა. თუთაევი, „როგორ მოკვდა ზურაბ ანტონოვი“, გაზეთი „ივერია“, 1904, №255; დ. იოვაშვილი, „ქართული კომედიის წარსული და აწმყო“, ხელოვნება, თბ., 1978, გვ. 106; გ. ბუხნიკაშვილი, გორის თეატრი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1965, გვ. 15.

143 იხ. ზ. ანტონოვი, თხზულებანი, თბ., 1876, გვ. 11.

ნილან.

ელისო აბრამიშვილი ასე აგვიწერს მწერლის საცხოვრისს: „მთანმინდის ერთ-ერთი მიყრუებული ქუჩა, პატარა დაქირავებული ოთახი, ქვის იატაკი, ოთახში – ფიცრის ფეხმოტეხილი სანოლი, დაძონძილი ლოგინი, კუთხეში – უბრალო მაგიდა, ხის სკამი, მაგიდაზე – სანერ-კალამი, ხელნაწერი რვეულები და მის მიერვე დაბეჭდილი წიგნები, ტანზე – „მახობის“ ფერის, ზამთარ-ზაფხულ განუყრელი, შემოძენილი საზაფხულო პალტო, ცალ ფეხზე – პალტოსფერივე ფეხსაცმელი, მეორეზე ჩექმა“.¹⁴⁴

ცხოვრების მძიმე პირობებით განამებული ზურაბ ანტონოვი გიორგი ერისთავის თეატრში მისულა. ჯერ კულისებიდან ადევნებდა თურმე თვალს წარმოდგენებს, მერე როლიც უცდია, მაგრამ არ გამოსვლია, მისი დებიუტი მიკირტუმ გასპარიჩის როლის შესრულებისას (კომედიაში „გაყრა“) კრახით დამთავრებულა.

ელისო აბრამიშვილის ინფორმაციით, გიორგი ერისთავს ის დასიდან უნდა გაეთავისუფლებინა, მაგრამ მას დაგლეჯილი ნაცრისფერი პალტოს ჯიბიდან რვეული ამოუღია და ერისთავისთვის გაუწვდია. ეს ყოფილა კომედია „მე მინდა კნენა გავხდე“, რომელიც რეჟისორს მოსწონებია, ქართული თეატრის სცენაზე დაუდგამს და მაყურებლის მოწონებაც დაუმსახურებია.¹⁴⁵

დავით გამეზარდაშვილის მიხედვით, გიორგი ერისთავის მიერ ზურაბ ანტონოვის დასიდან განთავისუფლების ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. ანტონოვი მიკირტუმ გასპარიჩის როლის შემდეგაც თამაშობდა მინას შაჰყულოვისა („მე მინდა კნენა გავხდე“) და გალუსტ თანდოევის („განა ბიძიამ

144 ე. აბრამიშვილი, „ზურაბ ანტონოვი“, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1958, გვ. 7.

145 ე. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

ცოლი შეერთო“) როლებს.¹⁴⁶

1854 წელს, როდესაც გიორგი ერისთავი მისივე თხოვნით გაანთავისუფლეს, გენერალმა რეადმა, რომელიც დროებით ვორონცოვს ცვლიდა, ანტონოვი ქართველ მსახიობთა დასის დირექტორად დანიშნა, მაგრამ ამ ამბიდან ის ძალიან მალე, 1 კვირაში, გარდაიცვალა. ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო.

ანტონოვის გარდაცვალების შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთი ვერსიის მიხედვით, მას ძალღმა უკბინა და ეს გაუხდა მიზეზი. ამ ვერსიას იზიარებს ივანე კერესელიძე.¹⁴⁷

ანტონოვის ძმა – გრიგოლი თავის მოგონებებში წერს, რომ ზურაბი გარდაიცვალა კბენიდან 44-ე დღეს და ეს ცოფის ბრალი არ ყოფილა. დრამატურგი ალალო თუთაევიც ამ მოსაზრებას უჭერს მხარს. ის აღწერს ანტონოვისა და გორის სამაზრო სასამართლოს პროკურორად ნამყოფი მემამულის – მირონ ამიროვის – ურთიერთდაპირისპირებას. ამიროვს სხვადასხვა ხრიკით გორის მამულები ხელში ჩაუგდია. ანტონოვს ეს ვერ მოუთმენია, შეუყრია გორელები, წინ გასძლოლია ნიჩბით და სადგურიდან კარალეთის საზღვრამდე 10 საფლავი გაუთხრიათ, თითოეულის თავში ჯვარი დაუსვამთ ამიროვისა და მისი ოჯახის წევრების სახელებით.

ამ ფაქტს გაუმწარებია ამიროვი. ბოლოს ანტონოვს დაუწერია პიესა „კიზიროკი“, რომლის მოქმედ პირადაც ამიროვი გამოუყვანია. ამიროვს ის დაუპატიმრებინებია.

დასუსტებული დრამატურგი 5 დღით ჰყოლიათ საპატიმროში. თუთაევის ვერსიით, ის გარდაცვლილა განთავისუფლებიდან მეორე დღეს. „ანტონოვი მოკლა ძალღის ნაკბენმა

146 იხ. ზ. ანტონოვი, თხზულებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2005, გვ. 7.

147 ი. კერესელიძე, „ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“, გაზეთი „ივერია“, 1893, №17, გვ. 1-3.

კი არა, არამედ მირონ ამიროვის ცოფმა“, – დაასკვნის იგი.¹⁴⁸

მწერლის დრამატურგია: ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი ზურაბ ანტონოვი სამწერლო ასპარეზზე მე-19 საუკუნის 50-იან წლებში გამოვიდა, როცა გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით საფუძველი ეყრებოდა ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას – რეალიზმს. ზურაბ ანტონოვი გიორგი ერისთავის სკოლის წარმომადგენლად ითვლება. ილია ჭავჭავაძე ასე აფასებდა მას: გიორგი ერისთავის მიერ „ფრთასახმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვინრო მოედანს ლობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთნოდებულ მდაბიო ხალხის ცხოვრება, ავკარგინობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახა.“¹⁴⁹

4 წელიწადში დრამატურგმა შექმნა თექვსმეტამდე ორიგინალური თუ გადმოკეთებული პიესა, რომელთა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მისი გამოუქვეყნებელი პიესებიდან ცნობილია: „თეთრი დათვი ფაშისა“, „ქმარი ცოლის მაყარი“, „კოტრი ზარაფი“, „ახ, მართლა გამკითხაო, შენ მიპატრონე“, „ცრუპენტელა“, „ორი მდგმური ერთ ეზოში“, „კიზიროკი“. ამ პიესების ნაწილი თავის დროზე ქართული თეატრის სცენაზე წარმოუდგენიათ.

სამწუხაროდ, ეს პიესები პოლიციის მიერ იქნა განადგურებული. მწერლის ძმა გრიგოლ ანტონოვი მოგვითხრობს: „ზურაბი რომ გოშპიტალში წაიყვანეს, მაშინვე პოლიციამ სულ ერთიანათ ასწია, რაც რამ ჰქონდა ზურაბსა სახლში და წაიღეს პოლიციაში (ბოლი უნდა უკმით), აკურკა უნდა უყოთ ამ ნივთებსაო და ეხლაც ისევ აკურკას უშვრებიან. იმ ნივთებთან წაიღეს იმისი ბიბლიოთეკა და იმასთან იმისი ხელთ ნაწერი პიესები, რომლებიც ჯერ არ იყო დაბეჭდილები და სცენაზედ

148 ა. თუთაევი, „დრამატურგი ზურაბ ნაზარისძე ანტონოვი“, „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №12.

149 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, 1927, გვ. 245-246.

კი იყო წარმოდგენილები... ის წიგნებიც, ის პიესებიც სულ ერთიანად დაიკარგა პოლიციაში. ისე გაიტაც-გამოიტაცეს, რომ ერთი ფურცელიც ვეღარა ვიპოვნეთ რა.“¹⁵⁰

ჩვენამდე მოაღწია ზურაბ ანტონოვის შვიდმა პიესამ. ესენია: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქმარი ხუთის ცოლისა“, „ქორნილი ხევსურთა“, „ქოროლლი“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“.

შვიდივე პიესა ავტორის სიცოცხლეში დაიბეჭდა. სამი პიესა – „ქმარი ხუთის ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ და „ქორნილი ხევსურთა“ – ერთ წიგნად გამოიცა 1852 წელს, „მზის დაბნელება საქართველოში“ და „ქოროლლი“ დაიბეჭდა ცალ-ცალკე 1853 წელს. 1876 წელს შვიდივე პიესა გამოიცა კრებულის სახით. ამ გამოცემას წინ უძღვის მოკლე ბიოგრაფიული ცნობარი, რომელიც ეკუთვნის მისსავე ძმას – გრიგოლ ანტონოვს. ავტორის მხოლოდ ორი პიესის („განა ბიძიამ ცოლი შეირთო“, „ქორნილი ხევსურთა“) ავტოგრაფი შემოგვრჩა. ორივე ხელნაწერი დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის 1446-ე ფონდში. ეს ორივე კომედია ერთდროულადაა გადანერილი და წარდგენილი საცენზურო კომიტეტში. 2005 წლის გამოცემაში ამ კომედიების ტექსტს საფუძვლად ხელნაწერები უდევს.¹⁵¹

გიორგი ერისთავის პიესებთან ერთად, ანტონოვის ორიგინალური და გადმოკეთებული პიესები შედიოდა პირველი პროფესიული თეატრის რეპერტუარში. მათი დიდი უმრავლესობა წარმოდგენილი იყო მისსავე სიცოცხლეში.

ზურაბ ანტონოვის 7 პიესიდან ჩვენს გამოცემაში შევიდა სამი: „ქმარი ხუთის ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ და

150 ზ. ანტონოვი, თხზულებანი, თბ., 1876, გვ. VIII-IX.

151 რაც ერთგვარად არღვევს აკადემიური გამოცემის პრინციპს: რამდენადაც პიესები მწერლის სიცოცხლეშია დაბეჭდილი, გამოცემას საფუძვლად სწორედ ეს პუბლიკაციები უნდა დასდებოდეს.

„მზის დაბნელება საქართველოში“, რომლებიც ვოდევილებად მივიჩნით ჩვენ მიერ შემუშავებული კრიტიკიუმების გათვალისწინებით.¹⁵²

დიმიტრი იოვაშვილი ზურაბ ანტონოვის დრამატული ნაწარმოებებიდან ვოდევილად მიიჩნევს პიესას „განა ბიძიამ ცოლი შეერთო.“ იგი წერს: „დასახლებული პიესა დიახაც რომ კომედიის აღნიშნულ სახეობას უნდა მიეკუთვნოს. ქართულ მწერლობაში იგი ვოდევილის პირველი ყველაზე სრულყოფილი და თანაც ორიგინალური ნიმუშია.“¹⁵³

იოვაშვილის აზრით, ანტონოვის „სხვა კომედიებშიც ბევრი რამ არის ვოდევილური.“

დალი მუმლაძე და თამარ ქუთათელაძე ვოდევილად განიხილავენ პიესებს: „ქმარი ხუთის ცოლისა“ და „განა ბიძიამ ცოლი შეერთო?“ ამ უკანასკნელის შესახებ ისინი აღნიშნავენ: „ზურაბ ანტონოვის კიდევ ერთი პიესა – „განა ბიძიამ ცოლი შეერთო?“ – რომელსაც ავტორი კომედიას უწოდებს, არსებითად ვოდევილია და იგი ფარსის ელემენტებსაც უხვად შეიცავს.“¹⁵⁴

კოტე მარჯანიშვილი ვოდევილს უწოდებდა „მზის დაბნელებასაც.“¹⁵⁵ იგივე აზრი გამოთქმულია შ. მაჭავარიანის წიგნში „ქართული საბჭოთა თეატრი“,¹⁵⁶ აგრეთვე პ. კეშელავას შენიშვნებში, რაც დართული აქვს მარჯანიშვილის მემუარებს: „მზის დაბნელება“ – ზურაბ ანტონოვის ვოდევილური ხასიათის პიესა თბილისის ცხოვრებიდან.“¹⁵⁷

152 იხ. შესავალი წერილი, გვ.: 3-6.

153 იხ. დ. იოვაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 106, შნშ. 2. შევნიშნავთ, რომ პიესა არ არის ორიგინალური. ავტოგრაფში მითითებულია, რომ იგი გადმოკეთებულია რუსულიდან.

154 იხ.: დ. მუმლაძე, თ. ქუთათელაძე, ქართული დრამატურგიის ისტორია, გამომცემლობა „კენტავრი“, თბ., 2014, გვ. 130.

155 იხ. კ. მარჯანიშვილი, მემუარები, თბ., 1947, გვ. 71, აგრეთვე კრებული „კოტე მარჯანიშვილი“, თბ., 1961, გვ. 80.

156 თბ., 1962, გვ. 62.

157 კ. მარჯანიშვილი, მემუარები, თბ., 1947, გვ. 119.

მიუხედავად იმისა, რომ პიესაში გვხვდება მასიური სცენები და ყურადღება გამახვილებულია სოციალურ საკითხებზეც, მთავარი მზის დაბნელების ჭორია და ის გაუგებრობა, რომლის გარშემოც ყველა პერსონაჟია გაერთიანებული. ამ გაუგებრობას ახლავს ინტრიგა და სიცილის ეფექტზე აგებული მოქმედებები, რაც აუცილებელია ვოდევილისთვის. ნაწარმოების სათაურიც მიგვანიშნებს პიესის მთავარ სათქმელზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, პიესა არის კომედია-ვოდევილი. ეს სახელწოდება ახალი არ არის. გვაქვს ისეთი სახელწოდებებიც, როგორიცაა: ხუმრობა-ვოდევილი, ვოდევილი-ფარსი, იმის მიხედვით, თუ ვოდევილში კომედიის კიდევ რომელი სახეობაა წინა პლანზე წამოწეული.

მკვლევარი აკაკი განერელია ანტონოვს მოიხსენიებს, როგორც ვოდევილისტს. იგი წერს: „ჯერ კიდევ მეორმოცდაათე წლებში **ვოდევილისტმა** ზ. ანტონოვმა დასწერა კომედია „ტივებით მოგზაურობა ლიტერატორებისა.“¹⁵⁸

ვოდევილი „ქმარი ხუთის ცოლისა“

ავტოგრაფი შემონახული არ არის.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა ნახევრად ორიგინალური ნაწარმოებია, მისი პირველი მოქმედება ავტორს ეკუთვნის, ხოლო მეორე გადმოკეთებულია რუსულიდან. თვით ავტორის მიერ პიესას დართული აქვს შენიშვნა: „მეორე მოქმედება გარდაკეთებული არის რუსულიდან“.

პირველი პუბლიკაცია: ქართული კომედიები. თხზულება ზ.... ნ. ანტონოვისა. სტანბასა შინა უ. გულიანცისასა, 1852.

აქ დაბეჭდილია „ქმარი ხუთის ცოლისა“, კომედია ორს-მოქმედებად, შეთხზული ზ. ანტონოვისაგან, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“, კომედია ერთს-მოქმედებად, გარდაკეთებუ-

158 პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, თბ., 1936, გვ. XVIII.

ლი რუსულიდგან ზ. ანტონოვისაგან და „ქორწილი ხევსურთა“ კომედია ორს-მოქმედებად, შეთხზული ზ. ანტონოვისაგან. ეს არის პატარა წიგნად გამოცემული სამი პიესა.

სატიტულო ფურცლის II გვერდზე დაბეჭდილია ცენზორის ნებართვა რუსულად:

„ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ.

С тем, чтобы по отпечатаніи представлено было в ценсурный комитет узаконенное число экземпляров 6 Марта 1852 года

Исправляющий Должность Грузинскаго Цензора

Князь Эристов“

ჩვენს გამოცემას საფუძვლად უდევს პირველი პუბლიკაცია, რამდენადაც ის ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნდა.

დანერის თარიღი: რამდენადაც ის სცენაზე პირველად წარმოდგა 1851 წლის 18 დეკემბერს, დანერილი უნდა იყოს ამ დრომდე (ძალიან ახლო პერიოდში).

შენიშვნები: 1. ზურაბ ანტონოვის ზემოთ მითითებულ გამოცემაში მოქმედ პირებს გასწვრივ უწერიათ მსახიობების გვარები, რომლებიც აღნიშნულ პერსონაჟებს ასახიერებდნენ:

ტფილისის მოურავი, თ. **იოთამ გუჯარაძე** უ. ტატიევი

ტფილისის მამასახლისი, **გოგია ბინდიაშვილი** უ. ელიოზოვი

გზირი, **კიკოლა ყურშავაძე** უ. მეიფარიანი

მოჩივარი, **ბერუა ბასილაშვილი** უ. ჯაფარიძე

გლახნი **მეპასუხე, იორდანე მამულაშვილი** უ. კორძაია

იმერლის ქალი **მელანია ტყემალაძისა**

ქ. სააკაძისა

მოჩივარნივე ქართლელი ქალი **ქეთევან მეკალოისშვილისა**

ქ. ტატიევისა

სომხის ქალი **ვარდხათუნ მარტირუზიანცისა**

ქ. ანტონოვისა

ოსის ქალი **თამარა ზარდიყოშვილისა**

ქ. ნათიევისა

ქმარი ამათი, აზნაური **სვიმონ გვერდელაძე** უ. დვანაძე

ამისივე მეხუთე ცოლი **სოფიო პაპუნაშვილისა**

ქ. ჯომარდიძისა

თავადი **დავით ვახუშტაძე** უ. ჯაფარიძე

მსაჯულნი თავადი **გრიგოლ ქეხულაშვილი** უ. კორძაია

ნათესავი სვიმონისა აზნაური **ესტატე ბურტულაძე** უ. მიე-

ფარიანი

მეგემე თათარი **ჰაჯი აბდულ უსუფოლი** უ. კორძაია

მსახური გვერდელაძისა **ნინიკა გაუყრელაშვილი** უ. ზენგლოვი

2. ნაბეჭდშია „თქუწნთვის“; 3. ნაბეჭდშია „თქუწნთვინა“; 4.

ნაბეჭდშია „დიკარაციას“.

პიესის გამოცემის ისტორიიდან: დრამატურგის პიესები

ცალკეული გამოცემების სახით იბეჭდებოდა ავტორის სი-

ცოცხლეში – 1850-1854 წლებში. სრული სახით თხზულებები

მხოლოდ 1876 წელს გამოიცა, რომელიც ამჟამად ბიბლი-

ოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მასში შევიდა საანალ-

იზო პიესაც, რომლისთვისაც ეს მეორე გამოცემა იყო პირვე-

ლი პუბლიკაციის შემდეგ: თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა, ექ.

ხელაძის სტამბა, თბ., 1876.

ამის შემდეგ პიესა დაიბეჭდა 2005 წელს ზურაბ ან-

ტონოვის თხზულებების აკადემიურ გამოცემაში ავტორის

დაბადების 185-ე წლისთავზე: ზურაბ ანტონოვი, თხზულებანი,

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2005. კომენ-

ტარები და ენობრივი მიმოხილვა ეკუთვნის ოთარ ურიდიას,

შესავალი წერილი – დავით გამეზარდაშვილს.

პირველი დადგმა: „წარმოდგენილ-არს ტფილისის ტეატრში

პირველად „18“ დეკემბრისასა 1851 წელსა.“

სცენური ისტორიდან: საანალიზო ვოდევილი შეტანილია ქართული პიესების რეპერტუარის ჩამონათვალში, რომელიც გენერალმა ბებუთოვმა პეტერბურგში საცენზუროდ გაუგზავნა მეფის კანცელარიის მესამე განყოფილებას. ამით ირკვევა, რომ პიესა იდგმებოდა პროფესიული ქართული თეატრის სცენაზე.¹⁵⁹ იგი 1851-1852 წლების სეზონზე რამდენჯერმე დაიდგა.¹⁶⁰

აღსანიშნავია, რომ ყოველ ახალ სეზონზე თამაშობდნენ წინა სეზონების სპექტაკლებს და უმატებდნენ ახალ წარმოდგენებს.

1876 წლის 29 აგვისტოს პიესა ხაშურში წარმოდგენილია.¹⁶¹

1877 წლის 3 მარტს გორში, „საზოგადო საკრებულოს“ პატარა დარბაზში, „სცენის მოყვარულთა საზოგადოების“ პირველი წარმოდგენა გამართულა. ქალთა სკოლის სასარგებლოდ უთამაშიათ საანალიზო პიესა.¹⁶²

ვოდევილი გორში დაუდგამთ აგრეთვე 1888 წლის 3 მარტს.¹⁶³

გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის 5 ოქტომბრის ნომერში (№211), პირველ გვერდზე დაბეჭდილია ქართული თეატრის განცხადება, საიდანაც ვიგებთ, რომ პიესა დაუდგამთ 1890 წლის 7 ოქტომბერს: „კვირას, 7 ოქტომბერს, ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება: I / ორ ცეცხლ-შუა / დრამა 3 მოქ. თარგ. ი. მაჩაბლისა. / პირველი დებიუტი ქალბ. კერესელიძისა, რომელიც შეასრულებს მათილდას როლს. / II / ქმარი ხუთის ცოლისა / კომედ. 2

159 A: ფონდი №4, საქმე №437.

160 Театр в Тифлисе с 1845-1856 год, Перепечатано из XI т. `Актон Кавказской Археографической Коммисии~, Тифлис, Типография Канцеларии Главногоначальствующаго гражданскою частью на Кавказе, 1888, ст. 134.

161 გ. ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.: 36-37.

162 იქვე, გვ.: 28-29.

163 იქვე, გვ.: 34.

მოქ. თხზ. ანტონოვისა. / პირველი დებიუტი ქალბ. ლორთქიფანიძისა, რომელიც შეასრულებს მელანიას როლს. / მოთამაშენი: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კერესელიძისა, ლორთქიფანიძისა, ტატიშვილისა; ბ-ნნი: აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, და სხვ. / ადგილების ფასი ჩვეულებრივია / დასაწყისი 8 საათზე.“ დადგმის რეჟისორი ყოფილა ვ. აბაშიძე.¹⁶⁴

ვოდვეილი „განა ბიძიამ ცოლი შეერთო“

ავტოგრაფი: A: ფონდი №1446, საქმე №42.

ავტოგრაფის აღწერილობა: დალაქავებული, თეთრი ფერის ქალაღი, ზომა: 34,7X21,3 სმ; რესტავრირებული; მე-19 ფურცლის მარჯვენა ქვედა მხარე გადახეულია; შესრულებულია შავი ტუშით; ლურჯი კოლენკორის ყდა. ხელნაწერი შეუმომეზბია ცენზორს, თავად ერისთავს, რომლის მინაწერიცაა სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე:

„ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ.

С тем, чтобы по отпечатаніи представлено было в ценсурный комитет узаконенное число экземпляров 6 Марта 1852 года.

Исправляющий Должность Грузинскаго Цензора

Князь Эристов“

იქვეა მეორე მინაწერი: „В этой тетради перенумерованных и скрепленных листов двадцать пять.

Цензор князь Аристов“.

ამდენად, დაბეჭდვის ვიზა ცენზორის მიერ გაცემულია 1852

¹⁶⁴ თ - 3, საქ. - 4, ექსპონატი - 197 (8; ფ. 1).

გამოცემაში ამ სტილით აღნიშნული აფიშის ექსპონატი ეკუთვნის საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს.

ნლის 6 მარტს.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პირველ პუბლიკაციას ახლავს შემდეგი განმარტება: „გარდაკეთებული რუსულიდან ზ. ანტონოვისაგან“.

აღსანიშნავია, რომ ეს შენიშვნა ზურაბ ანტონოვის თხზულებათა 1876 წლის გამოცემაში გამოტოვებულია.

პირველი პუბლიკაცია: ქართული კომედიები. თხზულება ზ.... ნ. ანტონოვისა. სტანბასა შინა უ. გულიანცისასა, 1852. აქ დაბეჭდილია „ქმარი ხუთის ცოლისა“, კომედია ორს-მოქმედებად, შეთხზული ზ. ანტონოვისაგან, „განა ბიძიამ ცოლი შეერთო“, კომედია ერთს-მოქმედებად, გარდაკეთებული რუსულიდან ზ. ანტონოვისაგან და „ქორწილი ხევსურთა“ კომედია ორს-მოქმედებად, შეთხზული ზ. ანტონოვისაგან. ეს არის პატარა ნიგნად გამოცემული სამი პიესა.

ჩვენს გამოცემას საფუძვლად პირველი პუბლიკაცია (1852) უდევს, რამდენადაც ის ავტორის სიცოცხლეში დაიბეჭდა. რიგ შემთხვევებში გავითვალისწინეთ ავტოგრაფის ჩვენებები, სადაც, მაგ., დაბეჭდვისას სიტყვა იყო გამორჩენილი და შინაარსი, შესაბამისად, – დამახინჯებული, ან იყო ბეჭდური შეცდომა. აღსანიშნავია, რომ სიტყვის, ან წინადადების გამოტოვება ნაბეჭდში არ იყო იშვიათი მოვლენა.

დანერის თარიღი: რამდენადაც ეს პიესა პირველად სცენაზე დაიდგა 1852 წლის 3 თებერვალს, ის დანერილი უნდა იყოს ამ დრომდე, ახლო პერიოდში.

შენიშვნები: 1. ზურაბ ანტონოვის ზემოთ მითითებულ გამოცემაში მოქმედ პირებს გასწვრივ უწერიათ მსახიობების გვარები, რომლებიც აღნიშნულ პერსონაჟებს თამაშობდნენ:

ბებერი და მდიდარი ვაჭარი გალუსტ მინაიჩ თანდოვეი..უ. ანტონოვი

შორს ნათესავი ამისი ჩინოვნიკი მანუჩარ სტეფანიჩი...უ. ჯაფარიძე

სოფიო, ცოლი გალუსტასი.....ქ. ანტონოვისა
თინათინა, დედა სოფიოსი.....ქ. სააკაძისა
კეკელა მაზლის ქალი თინათინასი პირველს ქმართან...ქ. ტატი-
ევისა

ნიკალაი ივანიჩ ვარდუოვი, დოხტური.....უ. ელიოზოვი
ბიჭი თანდოევისა, იმერელი ივანიკა.....უ. კორძაია

2. ხელნაწერში „სდგა“ არ წერია; 3. ხელნაწერშია „შვილი“; 4. ნაბეჭდში „ტო“ გამორჩენილია; 5. ნაბეჭდში „სულ“ გამორჩენილია; 6. ხელნაწერშია „ფეხმა“; 7. ხელნაწერშია „კარიდან“; 8. ხელნაწერშია „იქ“; 9. ხელნაწერში სისტემატურად წერია „რასაკრელია“; 10. ხელნაწერშია „გაიხედამს“; 11. ხელნაწერშია „ცოლმა“; 12. ხელნაწერშია „ჩვენ“; 13. ხელნაწერში უფრო ხშირად გამოყენებულია „რო“ „რომ“-ის ნაცვლად; 14. ხელნაწერში ორივეგან გამოყენებულია შუალობითი კონტაქტის ფორმები: „დამინგრევინებია“, „გამიკეთებინებია“. ნაბეჭდში მეორე ფორმა არასწორად არის გადატანილი და ჩვენ მას ხელნაწერის ჩვენების მიხედვით ვასწორებთ; 15. ხელნაწერშია „იმისათვინ“; 16. ხელნაწერშია „ქვეყანა“; 17. ხელნაწერში წერია „გამიგია“; 18. ხელნაწერში წერია „შვილები“; 19. ნაბეჭდშია „სუნელმა“; 20. ხელნაწერში წერია „თქვენი“; 21. ხელნაწერში წერია „გეუმბებოდე“; 22. ხელნაწერში წერია „თქვენს“; 23. ხელნაწერში წერია „ნდომულობს“; 24. ხელნაწერში წერია „მევიყვანო“; 25. ხელნაწერში წერია „თქვენი“; 26. ხელნაწერში წერია „გზიდანა“; 27. ხელნაწერში წერია „დიდ ხანს“; 28. ხელნაწერში ეს ადგილი ჩასწორებულია ფანქრით; 29. ხელნაწერში წერია „ბეტონო“; 30. ხელნაწერში წერია „ერთისათვინა“; 31. ხელნაწერში წერია „ვწუხდი“; 32. ნაბეჭდშია „ეწლავ“; 33. ხელნაწერში წერია „იცნოფთ“; 34. ხელნაწერში წერია „რადგანც“; 35. ხელნაწერში წერია „ვაპიროფო“; 36. ხელნაწერში წერია „იცნოფ“; 37. ხელნაწერში წერია „თქვენთვის“, ხოლო ნაბეჭდშია „თქუჴნთვის“; 38. ხელნაწერში წერია „ერთი და იგივე

არის“; 39. -ავ თემისნიშნისანი ზმნები ხელნაწერში, ძირითადად, -ამ თემის ნიშნითაა წარმოდგენილი და ნაბეჭდში ისინი შეცვლილია -ავ თემის ნიშნით. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ნაბეჭდშიც -ამ თემის ნიშანია გადატანილი. ასე რომ, ნაბეჭდი თანმიმდევრობას არ იცავს; 40. ხელნაწერში წერია „აყენეფს“; 41. ხელნაწერში წერია „განგიმეორეფთ“; 42. ხელნაწერში წერია „დავწერო“; 43. ხშირად „თვის“ თანდებულისანი სიტყვა, ხელნაწერში წარმოდგენილი „ვ“-ს გარეშე, ნაბეჭდში გადასულია „ვ“-თი; 44. ხელნაწერში წერია „ვაქეფ“; 45. ხელნაწერში წერია „თავისი“; 46-47. ხელნაწერში წერია „ხელი“; 48. ხელნაწერში წერია „ფარდი“; 49. ხელნაწერში წერია „გაგამტყუნეფთ“; 50. ხელნაწერში წერია „წორეთ“; 51. ხელნაწერში წერია „შენ“; 52. ხელნაწერშია „დაუამო“; 53. ხელნაწერშია „კვდარ ძალო“; 54. ხელნაწერშია „ძია“; 55. ხელნაწერშია „ამბავი“; 56. ხელნაწერშია „გავიგეფ“; 57. აქ პირიქით გვაქვს: ხელნაწერშია „გნებავს“ და ნაბეჭდშია „გნებამს“; 58. ხელნაწერშია: „შენი ხმა ჩანყდეს თუ ერთი პაჩი დაგეცლია“; 59. ხელნაწერშია „დავსეირობდი“; 60. ხელნაწერშია „ჩავსომ“; 61. ხელნაწერშია „უმალამთ“; 62. ხელნაწერშია „მოშორება“; 63. ხელნაწერშია „მითომ“; 64. ეს სიტყვა ხელნაწერში არ არის; 65. ხელნაწერშია „ვხედავ“; 66. ხელნაწერშია „ვამბობ“; 67. ხელნაწერშია „უეჭველათაც“; 68. ხელნაწერშია „შემამხედამთ“; 69. ხელნაწერშია „ინებეფ“; 70. ხელნაწერშია „ხელმწიფავ“; 71. ხელნაწერშია „მკითხამთ“; 72. ხელნაწერშია „დაინახამს“; 73. ხელნაწერშია „გაქვს“; 74. ხელნაწერშია „გკითხამ“; 75. ხელნაწერშია „გკითხამთ“; 76. ხელნაწერშია „დაგარწმუნეფთ“; 77. ხელნაწერშია „გკითხამ“; 78. ხელნაწერშია „გკითხამთ“; 79. ხელნაწერშია „მოითმინეთ“; 80. ეს სიტყვა ხელნაწერში არ არის; 81. ხელნაწერშია „მიშუამდეგლოთ“; 82. ხელნაწერშია „უთხრათ“; 83-84. ეს სიტყვა ხელნაწერში არ არის; 85. ხელნაწერშია „შეირთამთ“; 86. ხელნაწერშია „დადგებით“; 87. ხელნაწერშია „თქვენ“; 88. ხელნაწერშია

„სწორე“; 89. ხელნაწერშია „შეერთამდით“; 90. ხელნაწერშია „ბძანეთ“; 91. ხელნაწერშია „გთხოვთ“; 92. ხელნაწერშია „სიტყვით“; 93. ხელნაწერშია „მოიკლამს“; 94. ეს სიტყვა ხელნაწერში არ არის; 95. ხელნაწერშია „აქამდისინ“; 96. ხელნაწერშია „ეი“, ხოლო ნაბეჭდში „ჭეი“; 97. ხელნაწერშია „გირჩევდი“; 98. ხელნაწერშია „ამისთვინ“; 99. ხელნაწერშია „ასეთ საქმეს“; 100. ხელნაწერშია „ხელი“; 101. ხელნაწერშია „დაგებული არის“; 102. ხელნაწერშია „შემოსძახეფს“; 103. ხელნაწერშია „ნურაფერს“; 104. ხელნაწერშია „ჰგონებდეთ“; 105. ხელნაწერშია „მნახამდა“; 106. ხელნაწერშია „კეკელუას“; 107. ხელნაწერშია „ლამაზი ქალია“; 108. ხელნაწერშია „ეამიყებოდი“; 109. ხელნაწერში ამის შემდეგ წერია – „იმასთანა“; 110. ხელნაწერშია „რო“; 111. ხელნაწერშია „გამიკეთოს“; 112. ხელნაწერშია „ნახამდი“; 113. ხელნაწერშია „სანყენოა“; 114. ხელნაწერშია „დავსეირობდით“; 115. ხელნაწერშია „გვიყურეფ“; 116. ხელნაწერშია „კვლავ“; 117. ხელნაწერშია „ამბავია“; 118. ხელნაწერშია „გკითხამთ“; 119 ხელნაწერშია „მოგახსენოთ“; 120. ხელნაწერშია „უთქვამს“; 121. ხელნაწერშია „ჩამივარდა“; 122. ხელნაწერშია „მიმალამდა“; 123. ხელნაწერშია „სწორეს“; 124. ხელნაწერშია „შეკრთობით“; 125. ხელნაწერშია „მიბძანებთ“; 126. ხელნაწერშია „რახანც“; 127. ხელნაწერშია „კეკესა“; 128. ხელნაწერშია „ძიაჩემი“; 129. ხელნაწერშია „ნასლედნიკობა“; 130. ავტორს ხელნაწერში ჯერ დაუწერია „ავანტყოფი“ და მერე ჩაუსწორებია; 131. ავტორს ეს ზმნა ჯერ -ამ თემის ნიშნით დაუწერია და შემდეგ „მ“ ასო ფანქრით „ვ“-დ გადაუკეთებია; 132. ასეა; 133. ხელნაწერშია „მოვიხადო“.

შენიშვნებში აშკარა ცდომილებები აღარ აგვიხსნია, ისე ჩავასწორეთ ხელნაწერის ჩვენების მიხედვით. მაგ., გამოცემაში დავტოვეთ ხელნაწერის ჩვენება „ჰჯობიან“, რომელიც ნაბეჭდში გადატანილია, როგორც „ჯობიან“, რადგან პირის ნიშანთა სისტემური გამოყენება დამახასიათებელია ავტოგრაფისთვის.

პიესის გამოცემის ისტორიიდან: დრამატურგის პიესები ცალკეული გამოცემების სახით იბეჭდებოდა ავტორის სიცოცხლეში – 1850-1854 წლებში. სრული სახით თხზულებები მხოლოდ 1876 წელს გამოიცა, რომელიც ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მასში შევიდა საანალიზო პიესაც, რომლისთვისაც ეს მეორე გამოცემა იყო პირველი პუბლიკაციის შემდეგ: თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა, ექ. ხელაძის სტამბა, თბ., 1876.

ამის შემდეგ პიესა დაიბეჭდა 2005 წელს ზურაბ ანტონოვის თხზულებების აკადემიურ გამოცემაში ავტორის დაბადების 185-ე წლისთავზე: ზურაბ ანტონოვი, თხზულებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2005. კომენტარები და ენობრივი მიმოხილვა ეკუთვნის ოთარ ურიდიას, შესავალი წერილი – დავით გამეზარდაშვილს.

2014 წელს შევიდა ქართული დრამატურგიის რვატომეულის I ტომში: ქართული დრამატურგია (8 ტომად) / შემდგ. ნ. გურაბანიძე, ვ. კიკნაძე, თ. ქუთათელაძე, ლ. ღონღაძე; რედ. ვ. კიკნაძე, თბ., კენტავრი, 2014, ტ I.

პირველი დადგმა: „პირუჭლად წარმოდგენილ-არს ტფილისის ტეატრში „3“ ფებერვლისას 1852^ს წელსა.“

სცენური ისტორიიდან: საანალიზო ვოდევილი შეტანილია ქართული პიესების რეპერტუარის ჩამონათვალში, რომელიც გენერალმა ბებუთოვმა პეტერბურგში საცენზუროდ გაუგზავნა მეფის კანცელარიის მესამე განყოფილებას. ამით ირკვევა, რომ პიესა იდგმებოდა პროფესიული ქართული თეატრის სცენაზე.¹⁶⁵

ბათუმში, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, 1879 წლის 8 (20) ივლისს, ადგილობრივმა სცენის-მოყვარეებმა გამართეს პირველი ქართული წარმოდგენა „განა ბიძიამ ცოლი შეერთო“, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ

165 A: ფონდი №4, საქმე №437.

თეატრს აჭარაში. წარმოდგენის ინიციატორი იყო ბათუმის პოლიცემისტერის მეუღლე ქეთევან ჟურული, რომელიც საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა.¹⁶⁶

1894 წელს გამოცემულ ქართული თეატრის პანთეონის I ნიგნს ბოლოში ერთვის სათამაშოდ ნებადართული პიესების კატალოგი, სადაც შეტანილია საანალიზო პიესაც.¹⁶⁷

კომედია-ვოდევილი „მზის დაბნელება საქართველოში“

ავტოგრაფი შემონახული არ არის.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა ორიგინალურია. სათურის ქვეშ მინანერიც ამას ადასტურებს: „შეთხზული ზ. ნ. ანტონოვისაგან.“

პირველი პუბლიკაცია: პიესა დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1853 წელს: „ნამდვლი კომედია სამს-მოქმედებად რუსულის სცენითურთ, შეთხზული ზ. ნ. ანტონოვისაგან.“

ჩვენს გამოცემას საფუძვლად უდევს პირველი პუბლიკაცია, რამდენადაც ის ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნდა.

დანერის თარიღი: პიესა აგებულია მზის დაბნელების ფაქტზე, რომელიც საქართველოში მოხდა 1851 წელს. მასში ვკითხულობთ: „თვთო მხარე მხოლოდ სამასს წელიწადში იხილავს სრულს დაბნელებასა, რომელიც კავკასიის მხარესა წილ ხუდა ამა 1851 წელსა“; ტექსტიდან ჩანს, რომ მასში მოქმედება ხდება 1851 წლის 17 ივლისს: „1851 წელსა კათათვს შვიდმეტი დღესა, ესე წერილი გაძლევ მე გეურქა კარაპეტოვი თქუწნ პორუჩიკი გრიგოლ ჩეშმაკოვი.“ იმის გათვალისწინებით, რომ პიესა სცენაზე პირველად დაიდგა 1853 წლის 12 იანვარს, ის დანერილი უნდა იყოს ამ პერიოდში – 1851 წლის 18 ივლისი-

166 ქართული თეატრის ენციკლოპედია: <http://www.geotheatre.ge/ge/dasi.php?N=38>

იხ. აგრეთვე: დ. მუმლაძე, თ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

167 პანთეონი ქართული თეატრისა, ნიგნი პირველი, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკოლოზის, გამოცემა ვ. ა. აბაშიძისა, 1894, გვ. 102.

დან 1853 წლის 12 იანვრამდე.

პიესის გამოცემის ისტორიიდან: დრამატურგის პიესები ცალკეული გამოცემების სახით იბეჭდებოდა ავტორის სიცოცხლეში – 1850-1854 წლებში. სრული სახით თხზულებები მხოლოდ 1876 წელს გამოიცა, რომელიც ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მასში შევიდა საანალიზო პიესაც, რომლისთვისაც ეს მეორე გამოცემა იყო პირველი პუბლიკაციის შემდეგ: თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა, ექ. ხელაძის სტამბა, თბ., 1876.

ამის შემდეგ პიესა ცალკე ნიგნად გამოიცა 1955 წელს: ზურაბ ანტონოვი, მზის დაბნელება საქართველოში, ნამდვილი კომედია სამ მოქმედებად, სახელგამი, თბ., 1955, რომელსაც ახლავს ნოდარ ალანისა შესავალი წერილი – „ზურაბ ანტონოვი“.

პიესა დაიბეჭდა 2005 წელს ზურაბ ანტონოვის თხზულებების აკადემიურ გამოცემაში ავტორის დაბადების 185-ე წლისთავზე: ზურაბ ანტონოვი, თხზულებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2005. კომენტარები და ენობრივი მიმოხილვა ეკუთვნის ოთარ ურიდიას, შესავალი წერილი – დავით გამეზარდაშვილს.

2014 წელს შევიდა ქართული დრამატურგიის რვატომეულის I ტომში: ქართული დრამატურგია (8 ტომად) / შემდგ. ნ. გურაბანიძე, ვ. კიკნაძე, თ. ქუთათელაძე, ლ. ღონლაძე; რედ. ვ. კიკნაძე, თბ., კენტავრი, 2014, ტ I.

პირველი დადგმა: „1-ად წარმოსდგა ტფილისის ტეატრში 12 იანვრისას 1853 წელსა“ გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით. არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი მსახიობები ასრულებდნენ როლებს, ან რა გამოხმაურება მოჰყვა დადგმას იმდროინდელ ქართულ პრესაში.

სცენური ისტორიიდან: საანალიზო ვოდევილი შეტანილია ქართული პიესების რეპერტუარის ჩამონათვალში, რომელიც

გენერალმა ბებუთოვმა პეტერბურგში საცენზუროდ გაუგზავნა მეფის კანცელარიის მესამე განყოფილებას. ამით ირკვევა, რომ პიესა იდგმებოდა პროფესიული ქართული თეატრის სცენაზე.¹⁶⁸

1862 წლის ზამთარში პიესა ქუთაისში დადგა აკაკი წერეთელმა.¹⁶⁹ ამ დროს პოეტი დროებით იყო ჩამოსული რუსეთიდან.¹⁷⁰ როგორც ელისო აბრამიშვილი გადმოგვცემს, ერთ ახალგაზრდა ქალს, ნინო აბაშიძეს, გამოუთქვამს სურვილი, მონაწილეობა მიეღო დადგმაში. მას აუყოლიებია ვინმე კეკელია აგიაშვილი და სხვები.¹⁷¹

პიესა თბილისში დაიდგა 1865 და 1870 წლებში. ამ უკანასკნელი დადგმის შესახებ რეცენზია გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის“ 1871 წლის იანვრის ნომერში (№1).¹⁷² მსახიობები ყოფილან: გეურქა კარაპეტოვი – უფ. კ. კოლუბანსკი, ცოლი ამისი რეფსიმე – კნენა ნინა ორბელიანისა, ქალი ამათი მარეხ – მეუღლე გენერალის ოკლობჟიოსი, დედა გეურქასი ნენე – მეუღლე ამამუკელისა, ბიჭი გეურქასი სიმონიკა – კნიაზი გ. აბაშიძე, მდგმური გეურქასი პორუჩიკი გრიგოლ ჩეშმაკოვი – უფ. ნიკ. ენაკოლოფოვი, ნათლია გრიგოლისა მიკირტუმ მინასოვი – კნიაზი გრ. ბეგთაბეგოვი, თავადი ინდო შარმანაძე – უფ. გ. ენაკოლოფოვი, აზნაური ზაალ პინტრიშიძე – კნიაზი გ. ორბელიანი, გლეხი ბერუა ლაპინაშვილი – უფ. ტ. კვალიევი, რუსის ჩინოვნიკი – კნიაზი ლ. ბეგთაბეგოვი, რუსის მუჟიკი გრიშა – უფ. კ. გაბაევი, ცოლი ამისი ავდოთია – მეუღლე ტრიშატნისა, გლეხი – კნიაზი გ. ორბელიანი, ცოლი ამისი – კნენა

168 A: ფონდი №4, საქმე №437.

169 იხ. აკ. წერეთელი, «გახსენება თეატრის შესახებ»: „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №35.

170 იხ. თ. კეჟერაძე, ფრიდრიხ შილერის ინტერპრეტაციები ქართულ თეატრში, დისერტაცია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2013, გვ. 22. 171 ე. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

172 ბიძია დონიკე, „ქართულის პიესის „მზის დაბნელების“ წარმოდგენა, ქართულის თეატრის მოსიყვარულეთაგან ტფილისის თეატრში, 28 დეკემბერს 1870 წელსა“; გვ. 52-69. წერილი დაწერილია 1870 წლის 29 დეკემბერს.

ბ. ბარათოვისა, ტფილისის შარლატანები: ივანე – კნიაზი დ. მაყაევი, ვანო – კნიაზი გ. ციციანოვი, დარჩო – უფ. იაკობ იმნაძე და ვანო – კნიაზი ლ. მელიქოვი, ფრანცუზი კნიაზი ვ. თარხანოვი, ნემეცი – კნიაზი ნ. ხერხეულიძე და სხვ.¹⁷³

პიესა დაიდგა აგრეთვე პეტერბურგში, გაგარინის ქუჩაზე მდებარე მხატვართა კლუბში 1879 წლის 9 მარტს ქართველი სტუდენტების მიერ.¹⁷⁴

1923 წლის 2 იანვარს განხორციელდა მარჯანიშვილის მიერ რუსთაველის თეატრში ქართული თეატრის 70 წლის თარიღის აღსანიშნავად.

კოტე მარჯანიშვილის მემუარებისთვის დართულ შენიშვნებში პ. კეშელავა წერს: „...ეს პიესა გამუდმებით იდგმება ჩვენს სცენაზე, მაგრამ იმ პირველ საღამოს წარმოდგენის ბრწყინვალეობა განუმეორებელია. კოტე მარჯანიშვილმა ეს პატარა პიესა გრანდიოზულ სანახაობად გაშალა. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ჩვენი თეატრის ყველა თაობის წარმომადგენლები: ვ. აბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ი. ზურაბიშვილი, ნ. გოცირიძე და მთელი დასი. რუსი მოხელის როლში კოტე მარჯანიშვილმა გამოიყვანა ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი. წარმოდგენის შემდეგ კოტეს უკითხავს მაკო საფაროვ-აბაშიძისათვის: – მაკო, როგორ მოგეწონა „მზის დაბნელება?“ – ჩემო კოტე, გენაცვალე, ეს მზის დაბნელება კი არა, ქართული თეატრის მზის ამოსვლა არის“, – უპასუხნია მაკოს.¹⁷⁵

1883 წლის 30 იანვარს პიესა წარმოუდგენიათ ქართული დრამატული დასის სცენაზე.¹⁷⁶

გაზეთ „ივერიის“ 1891 წლის 20 ივნისის ნომერში (№128) დაბეჭდილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფოთში 16 ივნისს ქართული სცენის მოყვარეებს „საზოგადო კრების“ დარბაზში

173 იქვე, გვ. 55.

174 იხ.: დ. მუმლაძე, თ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

175 კ. მარჯანიშვილი, მემუარები, თბ., 1947, გვ. 119.

176 თ - 2, საქ. - 1, ექსპონატი - 5.

ონა მეუნარგიას თაოსნობით, ფოთის სახალხო წიგნთსაცავის სასარგებლოდ, დაუდგამთ პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“. წარმოდგენას კარგად ჩაუვლია, დამსწრეთაც უსიამოვნიათ. წერილის ავტორი წუხს იმის გამო, რომ სათანადო შემწეობა ვერ მიიღეს მათგან, ვისგანაც ამის იმედი ჰქონდათ. მიზეზად დასახელებულია ორი ფაქტორი: პირველი ის რომ, კვირაში ორჯერ იმართება წარმოდგენა ორად გაყოფილი დასისაგან: ერთი დასი „კლუბში“ მოღვაწეობს, ხოლო მეორე „კრუჟოკში“. აფიშა იტყობინება, რომ წარმოდგენა იმართება ხან სასწავლებლის, ხან ღარიბ მოსწავლეთა, ხან „კლუბის“, ხან „კრუჟოკის“ სასარგებლოდ, ხანაც უსახელოდ; უცნობია, რაში იხარჯება შემოსული ფული, გამოთქვამენ საყვედურს იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენის შესახებ ინფორმაციას არ აწვდიან მკითხველს გაზეთის საშუალებით. საზოგადოების გულგრილობის მეორე მიზეზად დასახელებულია ის, რომ ამ საზოგადოების ნაწილს ჯერ არ ესმის წიგნსაცავის დაარსების საჭიროება. ამის გამო ისინი თითქმის მთელ თავიანთ ქონებას ხორციელი საზრდოს მიღებაზე ხარჯავენ, ხოლო სულიერი საზრდოს მიღებისათვის არ ზრუნავენ.

1912 წლის 20 თებერვალს პიესა დაუდგამს ქართულ დრამატულ დასს (რეჟისორი ალ. წუნუნავა).¹⁷⁷

1912 წლის 6 აგვისტოს წარმოუდგენიათ ნაძალადევის თეატრში ვასო აბაძიშის მონაწილეობით. აფიშაზე მითითებულია, რომ მსახიობი ასევე იმღერებდა კომიკურ კუპლეტებს. რეჟისორი – ს. სვიმონიძე.¹⁷⁸

1934-35 წლების სეზონზე პიესა განუხორციელებია ბაქოს ქართულ თეატრს (დადგმა ს. ვაჩნაძე, მხატვარი – ვ. შაგინოვა, ქორეოგრაფი – ნ. სიხარულიძე).¹⁷⁹

1951-52 წლების სეზონზე ვოდევილი დაუდგამთ გორის

177 თ – 3, საქ. – 2, ექსპონატი – 38.

178 თ – 4, საქ. – 6, ექსპონატი – 164 (1038; ფ. 16).

179 თ – 2, საქ. – 6, ექსპონატი – 333 (765; ფ. 13).

დრამატული თეატრის სცენაზე (დადგმა ს. კალანდარიშვილისა, მხატვარი კ. კვალიაშვილი, მუსიკა ლ. ყარანგოზიშვილისა).¹⁸⁰

პიესა განხორციელდა ჩვენს დროშიც შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში, სადაც პრემიერა შედგა 2010 წლის 27 აპრილს (რეჟისორი გოჩა კაპანაძე, მსახიობები: ზინაიდა კვერენჩილაძე, გურამ საღარაძე, სოსო ლალიძე, ჯემალ ლალანიძე, კახი კავსაძე, ლევან ბერიკაშვილი, მარინა კახიანი).¹⁸¹

გრიგოლ რჩეულიშვილი (გარდანქეშელი)

ბიოგრაფიული ცნობები: მწერალი და მთარგმნელი გრიგოლ ივანეს (ილარიონის) ძე რჩეულიშვილი დაიბადა 1820 წელს. იგი ცნობილია გარდანქეშელის ფსევდონიმით. დაწყებითი განათლება შინ მიიღო მამის ხელმძღვანელობით. 1838 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია. ამ პერიოდიდან თბილისის სახაზინო პალატაში მუშაობდა ნოტარიუსის თანამდებობაზე. მოღვაწეობდა ჟურნალ „ცისკარში“. გარდაიცვალა 1877 წლის 20 სექტემბერს.

მწერლის დრამატურგია: მწერლის დრამატული ნაწარმოებებიდან ცნობილია მხოლოდ ვოდევილი „ხუმრობა-ვოდევილი ორს კარტინაში“.

გრიგოლ რჩეულიშვილი მიიჩნევა ისტორიული მხატვრული პროზის დამწყებად, აფასებენ აგრეთვე, როგორც რომანტიკული პროზის წარმომადგენელს,¹⁸² ხოლო ვახტანგ კოტეტიშვილი მას ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთ დამწყე-

180 გ. ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.: 108.

პიესა დაუდგამთ 1 მარტს, მაგრამ არ არის მითითებული – 1951 წლის 1 მარტს, თუ 1952 წლისა (ქ. გ.).

181 <http://www.geotheatre.ge/ge/spektakl.php?ID=62&N=1>

182 <http://www.bu.org.ge/x1199?page=3&tab=4>

ბად თელის.¹⁸³

ლიტერატურული მოღვაწეობა მწერალმა თარგმანებით დაიწყო. 1853 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა „მასკარადის შეცთომილება“ (N10-11), ხოლო 1857 წელს – „ცოლის სიყვარული“ (N4). მის პროზაულ თარგმანებს ეკუთვნის ასევე: „ავრორა“ („ცისკარი“, 1864, N1, 2), „ნორმა“ („ცისკარი“, 1865, N7), „აღსარება მარიონ დელორმისა“ („ცისკარი“, 1865, N10, 11, 12-1866, N1, 2, 3, 4, 5).

სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა აგრეთვე რამდენიმე ლექსი და ორიგინალური თუ გადმოკეთებული პროზაული ნაწარმოები. მისი სატრფიალო ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მათი დიდი ნაწილი სიმღერად იქცა („მთვარევე, მთვარევე...“, „მესალმე ჩემო თვალის სინათლევე!“, „რაც შენ დაგშორდი...“).

წერდა მოთხრობებს ისტორიულ თემაზე, მისი „თამარ ბატონიშვილი“ ჯერ ორჯერ გაილექსა რაფ. ერისთავისა და ს. გუგუნიანას მიერ, ხოლო შემდეგ კ. მესხმა პიესად გადააკეთა და იგი დიდხანს იდგმებოდა სცენაზე, როგორც პატრიოტული დრამა. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ისტორიული მოთხრობა „ანუკა ბატონიშვილი“.

ვოდვეილი „ხუმრობა-ვოდვეილი ორს კარტინაში“

ავტოგრაფი შემონახული არ არის.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა ორიგინალური უნდა იყოს.

პირველი პუბლიკაცია: ჟურნალი „ცისკარი“, 1859, №9, გვ.: 49-59.

ჩვენს გამოცემას საფუძვლად უდევს პირველი პუბლიკაცია, რამდენადაც ის ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნდა.

183 ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1965, გვ. 254.

დანერის თარიღი: იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი პიესები თითქმის დანერისთანავე ქვეყნდებოდა, სავარაუდოდ, ის დანერილი უნდა იყოს გამოქვეყნებამდე ახლო პერიოდში.

შენიშვნები: 1. გამოცემაში წერია „ემედა“.

პიესის გამოცემის ისტორიიდან: პირველი პუბლიკაციის შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა 1879 წელს: გარდანქეშელი, ხუმრობა-ვოდვეილი ორს კარტინაში. ტფილისი, 1879, тип. С. Г. Меликова.

პირველი დადგმა: ინფორმაციას ამის თაობაზე ვერ მივაკვლიეთ.

ალექსანდრე გარსევანოვი (გარსევანიშვილი)

ბიოგრაფიული ცნობები: ალექსანდრე გარსევანოვის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. უცნობია მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლებიც.

ალექსანდრე გარსევანოვის სახელით წერილები იბეჭდებოდა იმ დროის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, მაგ., „გუთნის დედაში“ გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „დარიგებანი საქონლის მოვლისა და ექიმობისა მათისა უბრალოს (ადვილის წამლებითა)“;¹⁸⁴ ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილია წერილი: „არბოს ანუ გერით ხევის წმინდა გიორგის ეკლესიის აღშენებისათვის“; ამავე ჟურნალში 1871 წელს დაბეჭდილია „უკანასკნელი დაქცევა (აოხრება) წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა“ (თუმცა გვიჩირს იმის თქმა, ეს ჩვენი ავტორია, თუ არა).

ავტორის შესახებ მწირ ინფორმაციას გვანჯდის ზაქარია ჭიჭინაძე, რომ ალექსანდრე სიმონის ძე გარსევანოვი წერდა კომედიებს. „ამის ორმოქმედებიანი კომედია „ცოლები დავეკარგეთ“ 1881 წელს მე დავბეჭდეო“.¹⁸⁵

184 გუთნის-დედა, 1866, №10, გვ.: 37-40.

185 იხ. ზ. ჭიჭინაძე, დრამატიულ მოღვაწე. ასპარეზზე: თეატრი და ცხოვრება, 1910,

ვოდევილი „ცოლები დაკვარგეთ“

ავტოგრაფი შემონახული არ არის.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა გადმოკეთებულია, თუმცა ავტორს ასე უწერია: „თხზულება ალექსანდრე სვიმონისძე გარსევანოვისა.“¹⁸⁶

კრებულში „ჟურნალ „ცისკრის დრამატურგია“ კლარა გენაძე ეხება ივანე კერესელიძის მიერ ამავე სახელწოდების პიესის გადმოკეთების ფაქტს და აღნიშნავს, რომ კერესელიძეს აღნიშნული ნაწარმოები გადმოუკეთებია 1857 წელს. საანალიზო პიესაც, რომელიც ივანე კერესელიძისეული პიესისაგან დიდად არ განსხვავდება, გადმოკეთებული უნდა იყოს.¹⁸⁷

პირველი პუბლიკაცია: ქართული თეატრი / ცოლები დაკვარგეთ / კომედია ორს მოქმედებად. / თხზულება ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანოვისა. / ქართული თეატრი, თბ., 1880 (გარეკანზე 1881) / ექ. ხელაძის სტამბა.

გაზეთ „ივერიის“ 1881 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნებულია პატარა რეცენზია სათაურით „ახალი წიგნები“, რომელიც შეეხება 1880 წელს გამოცემულ ორ წიგნს. ერთია „მოკლე ისტორია წმიდისა დიდებულისა და ძლევად შემოსილისა გიორგისა. თარგმნილი რუსულიდან მელქისედეკ აბესაძისაგან“, თბ., 1880, ხოლო მეორეა კომედია „ცოლები დაკვარგეთ“.

რეცენზიის ავტორი, რომელიც კომედიას უარყოფითად აფასებს, მითითებული არ არის. ის წერს: „დიდს ბავშვს შეუთხზავს. ბ. ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანოვს წარ-“

№18, გვ. 12-13.

186 ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ გამოცემაში (კატალოგი. ტ. 1. №699-701) თავფურცელზე, სადაც ბეჭედიან და წერია: „Суфлиор Иосип Г — Мамуловъ“, მინიშნებულია: „ეს თხზულება რუსულიდან აქვს გადმოკეთებული.“ ამავე სათაურით ივანე კერესელიძესაც აქვს ეს კომედია გადმოკეთებული: იხ. „ცისკარი“, 1860, ოქტომბერი. ი. გრ. 1931, 21/V“.

187 „ჟურნალ „ცისკრის“ დრამატურგია (1852-1875 წწ.)“, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კლარა გენაძემ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1987, რედაქტორი ჯ. ჭუმბურიძე, გვ. 398.

მოუდგენია, ოღონდაც ლაპარაკი იყოს ნიგნში ჩანერილი, წინ სახელები მოუსხდეს, მოქმედებად დაიყოს და კომედია გამოვა.“¹⁸⁸ ავტორი აგრძელებს: „ორივე ეს ნიგნი იმისთანა მკითხველებს იშოვიან, რომლებზედაც ლოგიკას ძალა და გავლენა აღარა აქვს. მამ მეტს აღარას ვიტყვით; ღმერთმა ამ ნიგნების ავტორები და მათი მკითხველები ერთმანერთს შეაბეროს, თუ ჯერ არ შებერებულან.“¹⁸⁹

ჩვენს გამოცემას საფუძვლად უდევს პირველი პუბლიკაცია.

დანერის თარიღი: პიესის გამოცემაში შეტანისას დავეყრდენით ზაქარია ჭიჭინაძის ინფორმაციას, რომელიც პირადად იცნობდა ავტორს. მკვლევარი იგონებს მსახიობის მონათხრობს: „თვითონ მიაბზო, კომედიებს მე 1850 წლამდე ვწერდიო. ამავე პირის სიტყვით, ქართველთ შორის გ. ერისთავსა და ზ. ანტონოვს გარდა მრავლად იყვნენ ისეთი პირნი, რომელნიც 1850 წ. პიესებს წერდნენო.“¹⁹⁰

პიესის გამოცემის ისტორიიდან: ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, პირველი პუბლიკაციის შემდეგ პიესა არ გამოქვეყნებულა.

პირველი დადგმა: კლარა გენაძის ინფორმაციით, ალექსანდრე გარსევანოვის ორმოქმედებიანი კომედია „ცოლები დავკარგეთ“ წარმოუდგენია ქართულ თეატრს 1883 წლის 15 მაისს.¹⁹¹

188 „ივერია“, 1881, №3, გვ. 152.

189 იქვე, გვ. 153.

190 იხ. ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12-13.

191 „უფუნალ „ცისკრის“ დრამატურგია (1852-1875 წწ.)“, იქვე.

ენის საკითხები

წინამდებარე II ტომში სამი ავტორია წარმოდგენილი: ზურაბ ანტონოვი ვოდვეილებით: „ქმარი ხუთის ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ და „მზის დაბნელება საქართველოში“, გრიგოლ რჩეულიშვილი (გარდანქეშელი) ვოდვეილით – „ხუმრობა-ვოდვეილი ორს კარტინაში“ და ალექსანდრე გარსევანიშვილი (გარსევანოვი) ვოდვეილით – „ცოლები დავკარგეთ“.

სამივე ავტორი ჩვენი გამოცემის I ტომში შესული ავტორების – გიორგი ერისთავის, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის, ივანე ერისთავისა და გიორგი ორბელიანის – თანამედროვე იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ საერთოა მათი პიესების ენობრივი თავისებურებები.

წინარმოებები ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას ეყრდნობა და ამიტომ მათში უხვადაა ამ ენობრივი მონაცემისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

ქვემოთ დანვრილებით ვაანალიზებთ ენის ოთხივე დონეზე გამოვლენილ ძირითად ენობრივ მოვლენებს.

საანალიზო ტექსტებში ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი გრაფემები – **ჭ ა ჳ** – თითქმის ყველა პიესაში გვხვდება.

უნდა აღინიშნოს, რომ **ჭ** ასო-ნიშანი ყოველთვის **უჭ** კომპლექსშია გამოყენებული, როგორც სახელებში, ისე ზმნურ ფორმებში. ინება კიკნაძის აზრით, **უჭ** დანერილობის მიზეზი ქართულში არ არსებობს, „ე. ი., მიზეზი ექსტრალინგვისტურია.“¹⁹² **უე** კომპლექსის ნაცვლად იგი ენაში შემოვიდა X-XII საუკუნეებში.¹⁹³

ე გრაფემასთან **ჭ** გრაფემის შენაცვლება ცოცხალ

192 ი. კიკნაძე, „XIX საუკუნის ქართული დარმატურის ენა (1838-1870)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 15.

193 იქვე, გვ. 18.

მეტყველებაში **ქ** დოფთონგის მოშლასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რის გამოც **ჭ** ასო-ნიშანი აღარ ასოცირდებოდა **ქ** დანერილობასთან და გადმოსცემდა **ქ** ბგერას. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა შეფასებულია, როგორც ე. ნ. შებრუნებული დანერილობა.¹⁹⁴

ნიმუშები: „პირუჭლი მოქმედება“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ჩუჭნს ქალაქში“ (იქვე); „თქუჭნი რისხუა“ (იქვე); „ძღუჭნი მოგართვა“ (იქვე); „ძუჭლი ვაჭარი“ (მზის დაბ.); „სიხარულის ფრინუჭლი“ (იქვე); „შემთხუჭვისა გამო სხვსა და სხვსა“ (იქვე); „თქუჭნი პრწყინუალებაც ხომ მშვლობით ბრძანდება“ (იქვე); „უჩუჭნებენ თითით კარს“ (ხუმრ.-ვოდ.).

ღ გრაფემა ყოველთვის სწორადაა ნახმარი – ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: „ვაღ ჩემი ბრალი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ვაღმე მშობელო“ (იქვე); „აღ... ვენაცვალე“ (გან. ბიძ.); „ვაღ ჩემო კახურო, ვაღ არტალავ ჩემო“ (ხუმრ.-ვოდ.).

იშვიათად **ღ** ნიშანი **ი**- ხმოვნის მომდევნოდაც იხმარება: „იღ, იღ, იღ, ძალიან კარგია, ძალიან საუცხოვოა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „იღ იღ იღ ამ მწვადსა“ (იქვე).

კ გრაფემის შემთხვევაში, გვაქვს მისი როგორც სწორი, ისე არასწორი გამოყენების მაგალითები. სწორადაა ის ნახმარი, როდესაც **უი** დიფთონგს გადმოსცემს, მაგ.: „ყველასთვის კარგი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მე თვთ გალუსტ მინაჩსაცა ვსთხოვ“ (გან. ბიძ.); „შემთხუჭვისა გამო სხვსა და სხვსა, ჰაღეილიმ სხვსა და სხვსა“ (იქვე); „ეგ მე ვჰსთქვ“ (ხუმრ.-ვოდ.).

არასწორად გამოყენების მაგალითებში ის ცვლის **ვი** ბგერათმომდევრობას: „მარჯვნივ სუმონის სახლსა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „გამოჰპარჯა ცოლსა“ (იქვე); „თავსი შესაფერი ცოლი შეურთავს“ (გან. ბიძ.); „ბიჭი გეურქასი სუმონიკა“ (მზის დაბ.);

194 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1984, გვ. 96-98.

„გლეხი ცოლ-შულითა“ (იქვე).

I ტომში შესულ ტექსტებთან შედარებით, წინამდებარე ტექსტებში ხშირია **ჯ** გრაფემა: „ათამაშებს ჴელითა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ყურებზედ ჴელს იცემს“ (იქვე); „ისევ „წარი შეუშვიათ“ (იქვე); „წელადა ღვინოს ასმევენ“ (იქვე); „უპატრონო წარი“ (იქვე); „წარები გაჰპაროდათ“ (იქვე); „დამენინძლავე ძაან სა-წრეები აგაყვანო“ (იქვე); „ამ საწლებსაც“ (იქვე); „წელმნიფავ თქვენ ბრძანდებით!“ (გან. ბიდ.); „წელში წიგნი უჭირამს“ (იქვე); „ერთი წელი მიბოძე“ (იქვე); „მეც წელახლათ კედლები დამინ-გრევიწებია“ (იქვე); „ველარა ვძრამ წელფეხსა“ (ხუმრ.-ვოდ.); „წელში უჭირამს ჩანგლები“ (იქვე).

პიესაში „მზის დაბნელება“ გამოყენებულია **ჭ** გრაფე-მაც: „ჭი განგებაო!“ (მზის დაბ.).

ამავე ნაწარმოებში გვხვდება **ჩ**: „აჩიცერსა ჰკითხე“.

პიესები ყურადღებას იქცევს ფონეტიკური პროცესე-ბით. მათგან სიხშირით ხასიათდება:

ბგერის დაკარგვა:

I. იკარგება **ბ** თანხმოვანი **მ** თანხმოვნის მომდევნოდ, რაც დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევაა:

მბ > მ:

„რას **ამობ** რემსიმეჯან“ (ცოლ. დავ.); „უცებ შესდგება და **ამობს**“ (იქვე);

II. იკარგება **გ** აუსლაუტში:

მაგ > მა:

„ხნორა ჩუწნებური მჭადის ტოლა ოქროს აპელატი განყვია **მა** მსრებზედ“ (მზის დაბ.).

გ იკარგება იმავე სიტყვაში, ოღონდ **ქ** თანხმოვნით დანყებული სიტყვის წინ, რაც დისიმილაციური დაკარგვის

შემთხვევად უნდა ჩაითვალოს: „რა უზამდი **მაქალს**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

III. იკარგება **დ** თანხმოვანი, როგორც ვითარებითი ბრუნვის ნიშანი:

ად > ა:

„**სნორა** მითხარ, **სნორა**, ისტე ახლო რავა ეტკუპოდი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**მთლა** გაგტანჯავ“ (იქვე); „რავა ირთავდი ისტე **ბრიყულა** მისთანა უგვანს ცოლებს“ (იქვე); „ვორივ კანჭი ქვე **მთლა** გიმყოფოს“ (გან. ბიდ.); „**მთლა** დეიბდღვნა“ (მზის დაბნ.).

IV. განსაკუთრებით ხშირია **ვ** თანხმოვნის დაკარგვის მაგალითები. აქ უნდა გამოიყოს რამდენიმე შემთხვევა: ის იკარგება:

ა) **უ, ო** ხმოვნების მეზობლად, როგორც მომდევნო, ისე წინა პოზიციაში, ასევე **ვ** თანხმოვნის მეზობლად, რაც უნდა განვიხილოთ, როგორც დისიმილაციური დაკარგვა:

უვ > უ:

„ჩხუბი **მოუიდათ**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ჩხუბი სად **მოუიდათ** იმათა?“ (იქვე); „ღვინისათჳს სული **ნაუიდა**“ (იქვე); „სკმონ **ნაუა** ჳელიდან“ (იქვე);

ოვ > ო:

„ვითომ ამაში ქრისტიანობის ნიშან წყალი კიდევ **იპოვბოდეს**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „სიყუარული **იპოვბა**“ (იქვე); „თითქო რიყეზედ **მოვეგროებინოთ**“ (მზის დაბ.); „მძიმის შრომით და სისხლით ოფლით **მოპოვებული**“ (ხუმრ.-ვოდ.).

ვუ > უ:

უ ხმოვნის წინ, როგორც I სუბიექტური პირის ნიშანი: „მე **უჩვენებ** თამაშასა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მე მაგათ **გაურიგებ** საქმესა“ (იქვე); „რომელს ერთს **გაუგონო**“ (იქვე); „ბიჭს **დაუძახებ**“ (გან. ბიდ.); „უნდა თადარიკს **შეუდგეთ**“ (მზის დაბ.);

„ჩვენ დაუმტკიცოთ ჩვენ ქრებებსა“ (ცოლ. დავ.).

ვო > ო:

„სამოურაო წესი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „შეგინახაო მარა“ (იქვე); „ბატონო მოურაო“ (იქვე); „იმათ თითო თუმანი საბრი-
ყო“ (იქვე); „ხმა ჩაინყვიტე შეურცხო“ (იქვე); „არა შე ურცხო
რატომ არ მოდიოდი“ (იქვე); „ვაი შენ ჩემო თაო“ (მზის დაბ.).

ვვ > ვ:

ვ თანხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფორმებში, როგორც
I სუბიექტური პირის ნიშანი: „ეს რა არეულს ხალხში ჩავარდი“
(ქმ. ხუთ. ცოლ.); „სულ შენგან ჩავარდი ამ ჭირში“ (იქვე); „რი-
საც მეშინოდა იმაში არ ჩავარდი“ (გან. ბიდ.); „ისე შეშფოთებით
წამოვარდი“ (მზის დაბ.); „გამოვარდი გარეთ ლანძღვითა“
(იქვე); „ხათაში ჩავარდით მეცა და ოქროვეიცა“ (ცოლ. დავ.).

ბ) ხმოვანსა და თანხმოვანს შორის:

V₃C > VC:

„მე მაგის დასაძახებლად გავგზანე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.);
„გზირი და ბერუა გამოგვზანე“ (იქვე).

გ) თანხმოვანსა და ხმოვანს შორის:

C₃V > CV:

„ღმერთმა ნურა გაგიჭიროსრა“ (გან. ბიდ.).

დ) თანხმოვნებს შორის:

C₃C > CC:

„თავის შეცოდების სანაცლოდ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.);
„შეუღლოვ შე უსჯულოვ“ (იქვე); „სართლოთ ტკბილს მოგა-
რთმევ კოკას მანათათა“ (რთვლისთვისო) (მზის დაბ.); „შენ კაი
ემისათენ პირი გაქს“ (იქვე); „იმისგან მოსვენება აღარა მაქს“
(იქვე); „ქორნილი გვაქს“ (იქვე).

ე) თანხმოვანსა და ხმოვანს შორის ისევ იძებნება **ვ**

თანხმოვნის უმარცვლო უ-ში გადასვლის შემთხვევები, რაც ძველი ქართულის გამოძახილია: „თქუჴნი რისხუა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „რისხუა არა მაქვს“ (იქვე); „იმერელის ქალის ცოდუა“ (იქვე); „ერთს სიტყუას“ (იქვე); „სიყუარულის სურვილს მოვიკლავ“ (იქვე); „მაგისთანაებმა ჩაგუყარა თუალში ნაცარი“ (მზის დაბ.); „შენი სახის მშუჴნიერების ელუა“ (იქვე); „თქუჴნი პრწყინუალებაც ხომ მშკდობით ბრძანდება?“ (იქვე).

ვ) ვ თანხმოვნის ნაცვლად უ ხმოვნის წარმოდგენა ორ თანხმოვანს შორისაც დასტურდება: „ლუთის შიში“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ლუთის უშიში აზნაური“ (იქვე); „თქუჴნი რისხუა არა მაქუს“ (იქვე); „ნინიკა მოუძღვის ძღუნითა“ (იქვე); „ძილიც კი დამფთხალი მაქუს“ (იქვე); „ყანაში შესულიყუნენ“ (იქვე); „გამოსულა 1“ (მზის დაბ.); „დახე დახე ურცხუსა“ (იქვე); „მარეხი შენს მეტს არავის ეკუთუნის!“ (იქვე); „გსურს დაგარწმუნო ჩემი შენდა კუთუნილება“ (იქვე); „იმ ძურაში სახლები რომ თავს დაგუჴტცეს“ (იქვე); „მიახლოვდა ლუთის მშობელს“ (ხუ-მრ.-ვოდ.).

ზოგჯერ წინადადებაში თითქმის ყველა სიტყვაში გვხვდება უ: „კულავ აღარავიქ თქუჴნი რისხუა არა მაქუს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ეგრედვე წინა-პარნი ჩუჴნნი მარადის იმ ლუნაში იყუნენ“ (იქვე); „ლუთის რისხუა ლუთის რისხუა“ (იქვე).

V. იკარგება ლ:

ლმ > მ:

„შენ მაინც მოხარშე ხომე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მიინ მოინევს ხომე მისი ცოლი“ (გან. ბიძ.); „იმისი ქმარი ეძინება ხომე“ (იქვე); „ერთათ დავსეირნობდით ხომე“ (იქვე); „ესე მღერობენ ხომე“ (მზის დაბ.).

VI. იკარგება მ თანხმოვანი:

ა) ანლაუტში ბ თანხმოვნის წინ, რაც დისიმილაციური

დაკარგვის ნიმუშია:

მბ > ბ:

„წყალობას ნუ მოაკლებ აქა **ბრძანებელსა**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ბ) ასევე ანლაუტში სხვა თანხმოვნების წინ:

მკ > კ:

„წინ მოჰყავს სვიმონი **კლავებ** შეკრული“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „სუ შე **კვდარ** ძაღლო!“ (გან. ბიძ.); „**კუდარ** ფრინველებს შესჭამენო“ (მზის დაბ.); „ეს **კუდრებზედ** გლოვაც რო ამოაგდეს“ (იქვე); „გავლენ მარჯუნივ **კლავი კლავ** გაყრილი“ (იქვე); „ნაავლებს **კლავში** ჴელსა“ (იქვე); შდრ.: „**მკლავს** დაადებს მხარზედ“ (იქვე);

მს > ს:

„გიშრისა თმა **სხვილათ** წნული“ (მზის დაბ.).

მლ > ლ:

„ზოგს საწირავს აზიდვინებს **ლუდლისთუნ**“ (მზის დაბ.).

მც > ც:

„წუხელის **ცხეთას** ქვე ყოფილა“ (გან. ბიძ.); „ერთათ მოვედით **ცხეთასაო**“ (იქვე);

მხ > ხ:

„არ დაგისჯია, **ხოლოდ** გარდაასახლე ისა გურიაში“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**ხოლოდ** თავისის ცოდვის მოსანანიებლად“ (იქვე).

გ) ინლაუტში ორ თანხმოვანს შორის:

მბც > მცც: „მამაჩემი იორამ ნუ **წამიწყდება**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.);

დ) როგორც მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი:

„**ჩემა** მეხრეებმა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**ჩემა** იესო ქრისტემა“ (იქვე); „**ჩემა** ღმერთმა“ (გან. ბიძ.); „**ჩემა** მზემა“ (იქვე); „მე

და ჩემა სულმა ნორეთა ბძანებ“ (მზის დაბ.); „დეე ირბინონ ჩემა სიძეებმა“ (ცოლ. დავ.); შდრ.: „ჩემმა ცოლებმა მომას-ნრეს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

VII. აუსლაუტში:

- ა) რომ კავშირთან: „გუთანი რო გამოეშვათ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ბერუასი რო შეშინებოდათ“ (იქვე); „რო გაუშვი ისიც აასრულე“ (იქვე); ის რო მამაგონდება“ (გან. ბიძ.).
- ბ) ის ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვებისთვის გაკუთვნილ ფუძესთან (იმ):

იმ > ი:

„წელში რო ჩავიგდო ი ბოთლას გამკეთებელი“ (იქვე); „მოიტანონ ი ოხერ ტოლზედა“ (იქვე).

გ) იქმ ზმნურ ფორმაში: „რასა იქ ხომ მშუდობით ბრძანდებით“ (მზის დაბ.).

VIII. იკარგება ნ:

ა) როგორც შუალობითი კონტაქტის მანარმოებლის თანხმონითი ნაწილი:

ევინ > ევი:

„ეგე რამ გათქმევია“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „წელი ქვე აათრევია“ (მზის დაბ.).

ინ > ი:

„ჩემთვინაც ქვე აპატრონებოი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მან დეეტოებია“ (იქვე); „წეტამც გამზერიათ“ (იქვე); „სამს მანათს დაგადებოებ“ (მზის დაბ.); შდრ.: „ვინც აყვანინებს გამოჩნდება“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ერთის გზით ჩემთვს აპატრონებინე“ (იქვე).

ბ) იშვიათად ისეთ ფორმებშიც, სადაც შუალობითი

კონტაქტის ორმაგი მანარმოებელი გვხვდება და **ნ** ორივე ფორმანტშია დაკარგული: „თებზის წვენი მაინ **დეხ-ვრეპიებია** ვისმე“ (იქვე).

გ) როგორც საწყისის მანარმოებლის თანხმოვნითი ნაწილი:

ან > ა:

„დამენინძლავე ძაან საწრეები **აგაყვანო**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ნ > 0:

„**მოთხოვა** სირცხვილი არ არის“ (მზის დაბ.).

გ) როგორც შუალობითი საწყისისა და კონტაქტისა მანარმოებლების თანხმოვნითი ნაწილი (ერთდროულად):

ნ > 0// ინ > ი:

„**აპოვიე** ვუბედური“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ჩემი ქმარი **მაპოვიე**“ (იქვე).

IX. იკარგება **რ** თანხმოვათკომპლექსებში:

ა) **ბრძ > ბძ:**

„თავის სა**ბძ**ანე[ბე]ლში ვერ უპოვინებია“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მეფე გორსა **ბძ**ანდებოდა“ (იქვე); „იიმე! განა რა მი**ბძ**ანებ ბეტონო“ (მზის დაბ.); „რატომ არ და**ბძ**ანდები“ (ხუმრ.-ვოდ.); „მო**ბძ**ანდით ბატონო“ (ცოლ. დავ.); შდრ.: „ბატონი **ბრძ**ანდები“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ბ) **გრძ > გძ:**

„ბატონი მოურავი ადღე**გძ**ელა ღმერთმა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ზდგას ერთი **გძ**ელი ხის სკამი“ (იქვე); „გა**აგძ**ელებს სიტყვასა“ (ცოლ. დავ.).

გ) **ზრდ > ზდ:**

„ბიძაშენს ჩემზედ არა უთხრარა შენს გაზდასა“ (გან. ბიძ.); „მისი ზდილობისა“ (მზის დაბ.); „ახალგაზდებსა ჰკითხე“ (იქვე); „თუ ხანში შესული ქალები ასრე იქცევიან, აბა რაღას იქმონენ ახალგაზდები (ცოლ. დავ.).

დ) ფრთ > ფთ:

„ძილიც კი დამფთხალი მაქუს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ისიც გაუფთხილდეს“ (გან. ბიძ.); „ფთიანი ეშმაკი“ (მზის დაბ.).

ე) ფრჩ > ფჩ:

„ამისი ფჩხილი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ვ) რ იკარგება კომპოზიტი ფუძეთა საზღვართან:

რმ > მ:

„უიმისოთ ყოფნა ჩემთვის წორეთ ძიმნარეა“ (გან. ბიძ.).

ზ) როგორც კავშირის დიალექტურ რავარც ფორმაში:

„რავაც მოვა“ (ცოლ. დავ.).

თ) პიესებისთვის დამახასიათებელია **ჭირიმე** საალერსო სიტყვაში რ თანხმოვნის დაკარგვა: „რომელი იჯარებიდგან შენი **ჭიიმე**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მაგეებიდგან არაფერი შენი **ჭიიმე**“ (იქვე); „როგორ არ იკლებენ შენი **ჭიიმე**“ (იქვე); „რალა რა გავიგონე შენი **ჭიიმე**“ (იქვე); „რათა შენი **ჭიიმე**“ (იქვე); „შენი **ჭიიმე**, ზოგი სამლთოსა ჰკლამს“ (მზის დაბ.); „რა გვიჭირდა თქუჭნი **ჭიიმე**“ (იქვე); „დამსვა შენი **ჭიიმე** სადილათა“ (იქვე); „შინ არ გახლამთ, შენი **ჭიიმე**“ (ცოლ. დავ.); „რას მიბძანებ, შენი **ჭიიმე**?“ (იქვე); შდრ.: „არ ვიცი, შენი **ჭირიმე**“ (იქვე).

X. იკარგება ს თანხმოვანი:

ა) ანლაუტში:

სტ > ტ:

„დასდგმენ ტოლზედა“ (მზის დაბ.); „მამლის ყანნისტოლა ტაქნებსა“ (იქვე).

სწ > წ:

„წორეთ თქვენ მინდოდით ბატონებო“ (გან. ბიძ.); „თქუწნი რისხუა არა მაქუს წორესა ბძანებ“ (მზის დაბ.); შდრ.: „სწორეთ წარყუნის ნიშანია“ (იქვე).

ბ) ინლაუტში:

სტ > ტ:

„გაუნყრა ჩემი იესო ქრიტე“ (იქვე); „თუ ქრიტიანის სული უდგია“ (იქვე); შდრ.: „ურიას თავში დაარტყა გააქრისტიანებს“ (იქვე).

გ) აუსლაუტში:

1. თითქოს > თითქო:

„თითქო რიყეზედ მოეგროებინოთო“ (მზის დაბ.).

2. „მდის“ თანდებულთან:

„რავა მაგის თხრობამდი ენა მუცელშიდ არ ჩეგვივარდა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

3. როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანი, როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებთან:

„რა უზამდი მაქალს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „რა მიმზერ არ იცეკვებ“ (გან. ბიძ.); „აწი რა მამცემ სამახარობლოს რომ გითხრა“ (იქვე); „აპა მარა ვეტყოდი შეკაცო“ (იქვე); „რა მიმზერ შეკაცო“ (იქვე); „კანჭ ქვე მეიტებს“ (იქვე); „იიმე! განა რა მიბძანებ ბეტონო“ (მზის დაბ.).

როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანი, იკარგება ფუძის საზღვართანაც, როდესაც ორთოგრაფიულად მომდევნო სიტყვასთან ერთად არის წარმოდგენილი: „აპა მაგა რაიზამ შოუბედურო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

4. როგორც III სუბიექტური პირის ნიშანი:

„მარცხნივ სდგა კამოდი“ (გან. ბიძ.); შეიძლება

გვეფიქრა, რომ ავტორმა აქ ბოლოკიდური -ა სუფიქსი პირის ნიშნად აღიქვა, მაგრამ ის სხვა შემთხვევაშიც იკარგება: „ვეტყოდი შინ არარითქო“ (იქვე). **ეს** და **ის** ჩვენებით ნაცვალსახელებთან, როგორც ცალკე ხმარების (ანუ აუსლაუტში), ისე მომდევნო სიტყვასთან შერწყმის შემთხვევებში (ინლაუტში):

ეს > ე:

„ეოჯახდაცეული“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ერა მოხდა შეკაცო“ (მზის დაბ.).

ის > ი:

„ი ძირი ნორეთ უყოს“ (მზის დაბ.).

XI. იკარგება **შ** თანხმოვანი:

მაშ > მა.

„მარას ვიქმოდი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „აპა მარა ვეტყოდი შეკაცო“ (გან. ბიძ.);

XII. იკარგება **ც** თანხმოვანი აუსლაუტში:

მაინც > მაინ:

„მაინ დეეტოებია“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „თებზის წვენი მაინ დეებვრეპიებია ვისმე“ (იქვე).

XIII. იკარგება **ხ** ბგერათკომპლექსში:

ხრჩ > რჩ:

„სნორეთ დასარჩობია“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „თავს დამარჩობინებდა“ (იქვე); „წყურვილით დავირჩეთ“ (იქვე); „დავარჩობ ამ კაპიტანსა“ (ცოლ. დავ.).

კომპოზიტი **დ** თანხმოვნის წინ:

ხდ > დ:

„შე **ოჯადაცეულო** ჩემა მეხრებმა არა სთქუცს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „შე **ოჯადაცეულო** უპატრონო ჯარი ყანას ამოაგდებდა“ (იქვე); „დახე ამ **ოჯადაცეულსა**“ (იქვე); შდრ.: „**ეოჯახ-**

დაქცეული“ (იქვე).

XIV. ზოგჯერ რამდენიმე თანხმომავანი იკარგება ერთად:

დღ > დ//გრძ > ძ:

„ბატონი მოურავი **ადექელა** ღმერთმა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.);
„ალა **ადექელა** ღმერთმა“ (მზის დაბ.).

სხვა ნიმუშები:

„მაშინ **კაი** ვიყავ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „თუ შეგასწრო
მაინძელმა“ (იქვე).

XIII. ტექსტებში ვპოულობთ ბოლოკიდური -ე ხმოვნის დაკარგვის ნიმუშებს რაოდენობით რიცხვით სახელებსა და ზმნიზედებში, რაც სასაუბრო მეტყველებას ახასიათებს: „**ოთხივ** იმისი ცოლები“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ერთი **ექვსიოდ** შაურიკი მაქუს“ (იქვე); „თავს შემოგვევლონ ჩემი **ოთხივ** ცოლები“ (იქვე); „**ეხლავ** აქ მომგვარე“ (იქვე); „**ათიოდ** მარჯვე კაცი თან წაიყვანე“ (იქვე); „ერთი თუ **ორივ**“ (გან. ბიძ.); „**ორივ**, ახლა არ იტყვი“ (იქვე); „**ვორივ** კანჭი ქვე მთლა გიმყოფოს“ (იქვე); „**სამნივ** შავებით დართულნი“ (მზის დაბ.).

ბგერის დაკარგვის მსგავსად, ტექსტებში სიხშირით გამოირჩევა **ბგერათა შენაცვლების (სუბსტიტუციის)** ფონეტიკური მოვლენა:

ბ > მ:

„ერთს სადღაც **ჯანამას** შევხუდი“ (მზის დაბ.).

ბ > პ:

„**აპა** ჰო ვეჟო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**აპა** ახლა“ (იქვე); „**აპა** მაგა რაიზამ შოუბედურო“ (იქვე); „**აპა** დოუარე“ (გან. ბიძ.); „**აიპე!**“ (მზის დაბ.).

ბ > კ:

„დრო არის ჩუჭნის შეულულების თადარიკს შეუდგეთ“

(მზის დაბ.); „უნდა თადარიკს შეუდგეთ“ (იქვე); „(ამხანაგებს) დასწყევლა ღმერთმა“ (იქვე).

დ > ტ:

„რამტენსამე ნელს უკან“ (გან. ბიძ.).

დ > ტ//ნ > ლ:

„მიკვირს ამტელის ცოდვსაგან“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „განა რამტელი ჰყავს იმასა“ (გან. ბიძ.); „რამტელის ასის წლის წინათ არის დანერილი“ (მზის დაბ.).

ვ > მ:

„მოჰყოლია, მითომა პირველად საქართველო“ (ხუმრ.-ვოდ.); „მითომ იტალიიდგან“ (იქვე); „მითომ ვერა მხედამენ“ (იქვე).

ვ > ნ:

„გარდაცვინდენ კლდეთა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „კიდენ ჭკუა წამივიდა თავიდან“ (გან. ბიძ.); „კიდენ მამწერდი“ (იქვე); „წელიწადი კიდენ ხმა არ გამეცა“ (მზის დაბ.); „კიდენ გამაართმევს ვინმე“ (იქვე); შდრ.: „ერთი კიდევ რალაც უცნაური თქუცს“ (იქვე).

ვ > ფ:

„ესტე დემეფსოს თავი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ისტე გულ დაფსობილი“ (გან. ბიძ.); „დაეფსოს მას თავი“ (მზის დაბ.).

ზ > ძ:

„იმის განძრახულებას აბა ვინ მიხვდებოდა“ (ხუმრ.-ვოდ.); „მსწრაფლ გულში განიძრახეს“ (იქვე).

თ > ფ:

„3 ფებერვლისას 1852^ხ წელსა“ (გან. ბიძ.).

ლ > ნ:

„წნეულს ჩვენმა ხუცესმა ტყუილის თხრობისათვის

ბარე ვორი ცალი თებზი გარდამახდევი“ (გან. ბი.).

მბ > ნბ:

„დეკენბრისასა 1851 წელსა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ახალი ანბავი“ (იქვე); „იმან მიანბო“ (იქვე); „ერთს შულოს ბანბის ნართსა“ (იქვე); „ეგეც ახალი ანბავი“ (გან. ბი.); „როგორც ანბობენ ლილა გაუცვდათ“ (მზის დაბ.); „რასაც ანბობენ“ (ხუმრ.-ვოდ.).

მფ > ნფ:

„შემოიტანს შანფურით მწვადსა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „გადუგდებს შანფურსა“ (იქვე).

მ > ნ:

„მამა ჩემი ნუ წაწყნდება“ (იქვე); „მამაჩემი ნუ წამიწყნდება“ (იქვე); „კარებს დავანტვრევ“ (ცოლ. დავ.).

მ-სთან **ნ**-ს შენაცვლება, ძირითადად, ბაგისმიერი **ბ** და **ფ** თანხმოვნების წინ ხდება, რაც დისიმილაციის ნიადაგზე უნდა აიხსნას, თუმცა, როგორც ზემოთ დამონშებული მაგალითებიდან ჩანს, **მ**-ს **ნ** ენაცვლება **დ** და **ტ** თანხმოვნების წინაც.

იშვიათად **მეუბნებოდი** ზმნა მოცემულია **მეუმბებოდი** ფორმით: „მაშინ კაი ვიყავ რომ მეუმბებოდი“ (მელანია); (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ხსნორა მოგეცა ხსნორა შენ მაგას ეუმბები“ (გან. ბი.).

ამ შემთხვევაში ზმნის საყრდენ ფუძედ აღებულია **მბობა** და არა **უბნობა**. შდრ.: „მაშინ ხომ კარგი ვიყავ რომ მეუბნებოდი“ (ქეთევანი) (იქვე).

ნ > ვ:

„აილებს მაროჟინასა და მიარბევინებს გარეთა“ (მზის დაბ.).

ნ > ლ:

„განა თქვენ აქამდისინ არ გიცნობებიათ იმისათვის

თქვენი დაქორნილება“ (გან. ბიძ.).

ნ > მ:

„ხშირად ავანთებ სამთლებს“ (ხუმრ.-ვოდ.).

ლ > ყ:

„ნარყუნამ უნდა მოვიდესო“ (მზის დაბ.); „სწორეთ ნარყუნის ნიშანია“ (იქვე).

ყ > კ:

„გაუარშიკდი იმ ქალსა განა“ (გან. ბიძ.).

ძ > ზ:

„მიდი სიზე, მიდი, ნუ გეშინიან“ (გან. ბიძ.). ეს მაგალითი დადასტურებულია სომეხი პერსონაჟის მეტყველებაში.

ზოგიერთი სიტყვა ძველი ფორმითაა მოცემული. ასეთია, მაგ., **რავდენიმე** (სადაც ბგერის ცვლილების შედეგად ისტორიულად მივიღეთ **რამდენიმე**): „რავდენიმე ნაწილი დაჰფარა“ (გან. ბიძ.).

პიესებში ხშირია **ბგერის განვითარების** ნიმუშები:

1. ეს მოვლენა განსაკუთრებით ხშირია **ვ** ბგერის შემთხვევაში. იგი ვითარდება იმავე ფონეტიკურ პირობებში, რომელშიც იკარგება:

ა) ანლაუტში **ო-ს**, ან **უ-ს** წინ:

ო > ვო:

„ეგე ბეტონო ვოქმი ქვე არის მეფის, ვოქმი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „წნეულს ჩვენმა ხუცესმა ტყუილის თხრობისათვის ბარე ვორი ცალი თებზი გარდამახდევია“ (გან. ბიძ.); „ბარე ვოთხი ლუნცი ვოთხიცი“ (იქვე); „ვორივ კანჭი ქვე მთლა გიმყოფოს“ (იქვე); „ვოხრობით ამამდის სული“ (ცოლ. დავ.).

უ > ვუ

„რა სნება შემოედო ვუბედურს რავა ოხრავს“ (გან. ბიძ.);

„ნეტა მისი ზდილობისა პეტერა მიჰკრობოდათ ვუბედურს მის დედ-მამას“ (მზის დაბ.); „ვუბედური რაში გწუნობს“ (იქვე); შდრ.: „უბედური უბედური რავა შიშობს“ (გან. ბიძ.).

ბ) ინლაუტში თანხმოვანსა და ხმოვანს შორის:

CV > C₃V

„იმავე ღამეს ვალჯიარეთ მე და ამათ“ (გან. ბიძ.);

გ) ინლაუტში ორ ხმოვანს შორის:

VV > V₃V

„იჲ, იჲ, იჲ, ძალიან კარგია, ძალიან საუცხოვოა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.);

აღსანიშნავია, რომ **ვ** თანხმოვანი ამ პოზიციაში სისტემატურად იხმარება „პატიება“ ზმნაში: „სკმონს დასჯა ვაპატივეთ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მეფეს უბძანებია შენის დანაშაულის პატივება“ (იქვე); „ეს ერთი მაპატივე“ (იქვე); „აპატივე თქუწნს სადღეგძელოთა“ (იქვე).

II. საანალიზო პერიოდის ტექსტებისთვის დამახასიათებელია ორი **კ** თანხმოვანი სიტყვაში **ეკლესია**: „ეკკლესიაში ორმოცს მუხლს მოიყრიდეს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მოძღუარნი ეკკლესიისანი“ (იქვე); ორი **კ**: „ეკკლესიებშიც ვივლი“ (ხუმრ.-ვოდ.).

III. ვითარდება **მ**, როგორც ინლაუტში, ისე ინლაუტში:

ფ > მფ:

„მე უმფრო მიტომ მიხარიან“ (მზის დაბ.).

ც > მც:

„არ გაგიგონიათ მწვადი მცვრიანიო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ჯ > მჯ:

„არ მომკლავს მჯავრი“ (გან. ბიძ.).

IV. ვითარდება **ნ** ინლაუტში:

იძ > ინიძ:

„დამენინძლავე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

უდ > უნდ

„შენ როგორღაც ბრუნდეთ გადმამხედე და შემეშინდა“
(გან. ბიძ.).

ცე > ცნე:

„(გაოცნებით) ვა! მოია ნიჩავო ნი ვიდალ“ (მზის დაბ.);
„(გაოცნებით) ვა! რა შტუეკი ერთი გამაგებინე და?“ (იქვე).

V. ვითარდება ტ თანხმოვანი ვითარების ზმნიზედაში ესე:
„ესტე დემეფსოს თავი“ (გან. ბიძ.).

ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ ტ-ს ნაც-
ვლად გვაქვს რ თანხმოვანი: „რათ მიყვარს ის
დასაქცევი ასრე“ (ცოლ. დავ.).

VI. ვითარდება ქ ინლაუტში:

თვ > თქვ:

„მას ქვე სთქვლემს“ (გან. ბიძ.).

VII. ამ პერიოდის ტექსტებისთვის დამახასიათებელია ჭ
თანხმოვნის ხმარება ანლაუტში ხმოვნების წინ:

ა > ჰა:

„ჩემი ჰაზრი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ჰაზრიდგან მიმეფარა“
(იქვე); „სუ შე ჰარამზადავ“ (გან. ბიძ.); „ჰავლაბრის კაზარმი-
დან“ (მზის დაბ.); „მე სხუა ჰაზრს გეტყვ“ (იქვე); „ყმანჯლობის
ჰასაკს“ (იქვე).

ო > ჰო:

„ჩუწნი მეფე ჰოქმი მოგვცა თქუწნთუნა“ (ქმ. ხუთ.
ცოლ.).

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია აგრეთვე:

ხმოვანთა ასიმილაცია:

აი > აა (დისტანციური, პროგრესული, სრული):

„ემმაკური პაპარუსები შემოიღეს“ (მზის დაბ.).

აი > აე (დისტანციური, პროგრესული, ნაწილობრივი):

„ანე გობრძანებთ ბრძანება ჩუჭნი ესრედ გაასრულე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

აო > ეო (დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი; ასიმილაცია აწეულობის მიხედვით):

„იიმე! განა რა მიბძანებ ბეტონო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „კი ბეტონო“ (იქვე); „ბეტონო! ანი ქე მობძანდენ ქალბატონები“ (ცოლ. დავ.).

აე > ეე (კონტაქტური, რეგრესული, სრული):

„დეე ირბინონ ჩემა სიძეებმა“ (ცოლ. დავ.).

ია > იე (კონტაქტური, პროგრესული, ნაწილობრივი):

„ამათმა გატიელებამ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ეს ტიელი“ (გან. ბიძ.).

აი > ეი (კონტაქტური, რეგრესული, ნაწილობრივი):

„ხმის წყვეტა, (ცოლს) რეიო რეიო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ემ მინუტში“ (გან. ბიძ.).

ბოლო მაგალითში ერთმარცვლიანი სიტყვის ხმოვანზე გავლენას ახდენს მომდევნო სიტყვის პირველი ხმოვანი.

ასიმილაციის შედეგად ხშირად იცვლება ზმნისწინისეული ხმოვანი, რაც დამახასიათებელია დიალექტებისათვის:

რთული ზმნისწინის პირველი ა ხმოვნის გავლენით, დისტანციური, პროგრესული, სრული ასიმილაციით:

ამო > ამა:

„ისიც ამამიგდებინე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

მომდევნო ე ხმოვნის გავლენით, კონტაქტური, რეგრესული, სრული ასიმილაციით:

გა > გე:

„ეზიარე, გეენდე“ (ხუმრ.-ვოდ.).

მომდევნო ი ხმოვნის გავლენით, კონტაქტური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

გა > გე: „შენ ქვე არ გეიხარებ“ (გან. ბიძ.).

მომდევნო ი ხმოვნის გავლენით, დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

გა > გე:

„სულ გედირევა“ (გან. ბიძ.); „კი ნუ გემინყრები“ (მზის დაბ.).

რთული ზმნისწინის პირველი ა ხმოვნის გავლენით, დისტანციური, პროგრესული, სრული ასიმილაციით:

გამო > გამა:

„ისე გამამისტუმრა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „თავი არ გამამეყო“ (მზის დაბ.).

მომდევნო ი ხმოვნების გავლენით, კონტაქტური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

და > დე:

„მთლა დეიბდღვანა“ (მზის დაბ.); „მაშინვე დეინერო ჩემზედ ჯვარი“ (ცოლ. დავ.); „ბატკანი ქე დეიკვლის“ (იქვე).

მომდევნო უ ხმოვნის გავლენით, კონტაქტური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

და > დო:

„აპა დოუარე“ (გან. ბიძ.); „კარი დოუკლეტია“ (იქვე); „ჯავრობა დოუნყო“ (მზის დაბ.); „დოუნერე შენი მუხლის ჭირიმე“ (იქვე).

მომდევნო ა ხმოვნის გავლენით, დისტანციური, რეგრესული, სრული ასიმილაციით:

მო > მა:

„ადრევე **მამკვდარიყავ**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ის რო **მამაგონდება**“ (გან. ბიძ.); „მარტოკაობა **მამკლავს**“ (ცოლ. დავ.); „ქალბატონმა **მამცა**, აი ეს ნიგნი“ (იქვე).

მომდევნო ე ხმოვნის გავლენით, დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

მო > მა

„კანჭი **მამტყდეს**“ (გან. ბიძ.).

მომდევნო ი ხმოვნის გავლენით, დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

მო > მა

„კარგი **მამივიდა**“ (გან. ბიძ.); „**მამიტევე**, უზდელობა **მამივიდა**“ (მზის დაბ.).

მომდევნო ი ხმოვნის გავლენით, კონტაქტური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

მო > მე

„თავი ქვე **მეიკალ**“ (გან. ბიძ.); „განა კი **მეინყენ?**“ (ცოლ. დავ.).

მომდევნო ი ხმოვნის გავლენით, დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

მო > მე

„დღეს თავად **მევიდოდა**“ (გან. ბიძ.); „მე **მეგიტან**“ (მზის დაბ.).

რთული ზმნისნინის პირველი ე ხმოვნის გავლენით, დისტანციური, პროგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

შემო > შემა

„შემამყვეს თანა“ (გან. ბიძ.); „თქვენი ხმა **შემამესმა**“ (იქვე).

იმავე ზმნისწინის იმავე ე ხმოვნის გავლენით, დისტანციური, პროგრესული, სრული ასიმილაციით:

შემო > შემე

„აპა **შემევიყვანო** აქანა“ (გან. ბიძ.).

მომდევნო ი ხმოვნის გავლენით, დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

ჩა > ჩე

„**ჩემივარდა**“ (უჩინ. ქ.).

რთული ზმნისწინის პირველი ა ხმოვნის გავლენით, დისტანციური, პროგრესული, სრული ასიმილაციით:

ჩამო > ჩამა

„თქვენ აქ **ჩამამხტარხართ**“ (გან. ბიძ.).

მომდევნო ი ხმოვნის გავლენით, კონტაქტური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

ნა > ნე

„დიდი ქალბატონი და პეტერა **წეიკიდენ**“ (მზის დაბ.); „ჩუწნმა ხუცესმა ისტე ვერ **წეიკითხოს**“ (იქვე).

მომდევნო ი ხმოვნის გავლენით, დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

წა > წე

„ქვე რა უთხრა აღას, რომ მკითხოს, სით **წევიდა** ჩემი რემსიმეო?“ (ცოლ. დავ.); „ისა და კეკელა ერთად **წევიდნენ**“ (იქვე).

ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტის შეცვლა დამახასიათებელია დიალექტებისთვის. სახეცვლილი ფორმები პიესებში შემოტანილია სხვადასხვა დიალექტზე მოსაუბრე პერსონაჟე-

ბის მიერ, თუმცა ხშირია მათი გამოყენება (განსაკუთრებით კახური დიალექტისთვის ნიშანდობლივი ფორმებისა) ავტორთა მეტყველებაშიც.

თანხმოვანთა ასიმილაცია:

I. მჟღერობა-სიყრუის მიხედვით:

ა) კონტაქტური, რეგრესული, ნაწილობრივი:

ბთ > ფთ

„სწორეთ მოგახსენეფთ“ (გან. ბიძ.).

თემის ნიშნის დაყრუების სხვა მაგალითებიც მოიპოვება პიესებში, რომლებიც არ განეკუთვნება ასიმილაციის შემთხვევებს და მათ ქვემოთ ცალკე, შესაბამის ადგილას განვიხილავთ.

გც > ქც

„საყვედურს აღარას მოქცემ“ (ცოლ. დავ.).

როგორც ზურაბ სარჯველაძე აღნიშნავს, ფშვინვიერ თანხმოვანთა /გ/ : /ქ/ დაპირისპირება იშლება და არქიფონემად /ქ/ გვევლინება. პირველად ამ ტიპის მაგალითი სინურ მრავალთავში იჩენს თავს.¹⁹⁵

თვ > დვ

„ეგრედვე წინა-პარნი ჩუწნნი მარადის იმ ღუნაში იყუნენ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

სრ > ზრ

„დასწყევლოს ღმერთმა ეზ რა ხათა ავიტეხე“ (გან. ბიძ.); „ეზ რა ბიაბრუობაა“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მომდევნო სიტყვის პირველი თანხმოვანი ახდენს გავლენას წინამავალი სიტყვის ბოლო თანხმოვანზე.

195 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1984, გვ.: 303.

ბ) კონტაქტური, პროგრესული, ნაწილობრივი:

მს > მზ

„ანკი ემზგავსება“ (ხუმრ.-ვოდ.).

სკ > სქ

„წვრილ ბიჭებს კასკასი ნაჰსქდათ საშინელია“ (ხუმრ.-ვოდ.); „გასქდი გულო!“ (ცოლ. დავ.).

ცდ > ცო

„მოცთუნებული ვარ“ (მზის დაბ.); „შეცთომით მოსვლიათ“ (ხუმრ.-ვოდ.).

გ) დისტანციური, პროგრესული, ნაწილობრივი:

ფტ > ფთ

„შევიდე თორე გამფათვრენ“ (ქმ. ხუთ ცოლ.).

დ) დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი:

პნ > პნ

„თქუჴნი პრწყინუალებაც“ (მზის დაბ.);

სჯ > შჯ

„ავილე ჴელში გასაშინჯათა“ (მზის დაბ.); „შინჯავს დურბინდსა“ (იქვე); „შიშით შინჯამს“ (ხუმრ.-ვოდ.).

ასიმილაციის შედეგად მჟღერდება პირის ნიშანი **ს** და გადადის სპირანტ მენყვილე **ზ**-ში, უმთავრესად მომდევნო მჟღერი **დ** თანხმოვნის გავლენით (მნიშვნელობა არა აქვს, რომელ პირს გამოხატავს, ამასთან, სწორადაა ნახმარი, თუ უფუნქციოდ):

სდ > ზდ

„პირში ალიკაპი ამოზდე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ზდგას ერთი გძელი ხის სკამი“ (იქვე); „მიზდიე გეურქ“ (მზის დაბ.); „მოზდოდა მოზდო მის დედამთილს“ (იქვე); „კინალამ თავში ხმალი ვზდე მამაშენსა“ (იქვე); „თან გული მიზდით“ (იქვე);

„შემოიტანს თეფშსა კარებზინ დაზღებს“ (იქვე); „უკან მოზღვენ მაყრები“ (იქვე); „ცუდი სუნი აზღის“ (იქვე); „წითლდება და გულიმოზღის“ (ცოლ. დავ.); „სოსიაც თან გაზღევს“ (იქვე).

ერთ მაგალითში ასიმილატორი არის მჟღერი ძ თანხმოვანი:

სძ > ზძ

„როგორ გაზძელ აქამდინ“ (გან. ბიძ.).

ხმოვანთა დისიმილაცია:

ა) კონტაქტური, რეგრესული:

ეა > ია

„ბატონო გაიხლებიან“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „აქედან რომ გაიხელით“ (იქვე); „და კიდევ გაიხელი“ (ხუმრ.-ვოდ.); „ორიოთ დღია ჩამომივიდა ყელი“ (იქვე).

ეე > აე

„ჯაელობა გინდა“ (გან. ბიძ.); „ჰამ ჯაელი და ლამაზი“ (იქვე); „ასე გავჯაელდი“ (იქვე).

ეე > იე

„ჯიელობის წრეს გასული იყო“ (ცოლ. დავ.); „მოიყვანეს ერთი ჯიელი კაპიტანი“ (იქვე).

ბ) კონტაქტური, პროგრესული:

აე > აი

„ქალბატონმა ჩაიარა ფაიტონითა“ (ცოლ. დავ.).

გ) დისტანციური, რეგრესული: „დიდი ქალბატონი და პეტერა წეიკიდენ“ (მზის დაბ.); „ნეტა მისი ზდილობისა პეტერა მიჰკრობოდათ ვუბედურს მის დედ-მამას“ (იქვე).

სავარაუდოდ, აქ ბოლოკიდური ა ხმოვნის წინამავალ ორ ა ხმოვანზე გავლენის ფაქტი უნდა გვექონდეს.

გვხვდება ისეთი მაგალითები, სადაც ჭირს გაგება, ასიმილაციაა მომხდარი, თუ დისიმილაცია, მაგ.: „ზეციდგან გუჭლაშაპები ჩამოვლენ“ (იქვე); „ეგონება უთუოთ გუჭლაშაპები მოიტაცესო“ (იქვე).

ამ მაგალითში შეიძლება პირველი ე იყოს დისიმილატორი: **ეე > ეა**: გუჭლეშაპები > გუჭლაშაპები; და შესაძლებელია, მომდევნო ა იყოს ასიმილატორი: **ეა > აა**: გუჭლეშაპები > გუჭლაშაპები.

ზოგიერთ სიტყვაში ფონეტიკურად რამდენიმე ხმოვანია სახეცვლილი: „უკიანის ზღუაში ჩაყრიანო“ (მზის დაბ.); „მარეხ უვკიანეს ზღვს კუნძულში წაეყვანათო“ (იქვე).

ზემოთ ვნახეთ, რომ ასიმილაციის ნიადაგზე ხშირად იცვლება ზმნისწინისეული ხმოვანი. იშვიათად ის დისიმილაციის შედეგადაც გადასხვაფერდება:

ოო > აო

„თუ მალე არ მამკდომოდა“ (მზის დაბ.).

თანხმოვანთა დისიმილაცია:

ა) დისტანციური, რეგრესული:

ლლ > რლ

„წრეულ ოთხი დღის ყანა მქონდა დათესილი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „წრეულ მოსავალი ნაკლებად მოგვკვიდა“ (მზის დაბ.).

ბ) დისტანციური, პროგრესული:

რრ > რლ

„პური კაცის თავს ოროლი მოგვკვიდოდა“ (იქვე).

პიესებში მრავლად გამოვლინდება მეტათეზისის ნიმუშებიც:

ქრმისა (ქმ. ხუთ. ცოლ.); **უქრმო** (გან. ბიძ.); **ძრიელ** (იქვე); **დავათვარიელე** (იქვე); **ცოლქრმათა** (იქვე); **ძრიელ** (მზის

დაბ.); **სიყმარწვლე** (იქვე); **სედუა** (სევდა) (იქვე); **ძრიელა** (იქვე); **ყმარწვლს** (იქვე); **გამოვისხნიო** (იქვე); **გამოისხნას** (იქვე); **სამლ-თოსა** (იქვე); „ჩვენ დაუმტკიცოთ ჩვენ **ქრმებსა**“ (ცოლ. დავ.); „**ძრიელ** ამოიხრებს“ (იქვე).

ჩნდება **ჰაპლოლოგიის** მაგალითები: „**ძან** დამთვრალიყ-ვნენ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „დამენინძლავე **ძან** საწრეები აგაყ-ვაინო“ (იქვე); „**ძან** დავთვრეთ“ (მზის დაბ.); „მარა თუ მალე არ დარუმებულ-იყო **კილამ** მასაც ქვე ზდო თავშიდ“ (იქვე); „**ოლონც** ჩემი მარეხი კიდენ ცოცხალი ვნახო და როგორ არ მივცემ ცოლათა“ (მზის დაბ.).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაყრუება, როგორც სა-ხელებთან, ისე ვითარებით ზმნიზედებთან, შეიძლება ითქვას, რომ წესია ყველა პიესისთვის. ამ პერიოდის ტექსტებს ეს ნიშანი გამოარჩევს: ავტორები ხშირად წერენ ისე, როგორც ესმით (აღსანიშნავია, რომ იგივე მოვლენა შეინიშნება XIX საუკუნის რუსულენოვან ტექსტებშიც) და, რადგანაც სასაუბრო მეტყვე-ლებისთვის დამახასიათებელია მჟღერი თანხმოვნის დაყრუე-ბა აუსლაუტში, ეს წერით მეტყველებაშიც იჩენს თავს. ჩვენ შემთხვევაში ყრუვდება ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, თემის ნიშნები და **-ოდე** მორფემის თანხმოვნითი ნაწილი:

ა) ყრუვდება ვითარებითი ბრუნვის ნიშანი: „**აშკარათ** ცეცხლი რომ ჩამოგვივარდეს და ერთიანათ მოგ-ვნვას“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ოთხივ ერთათ შეყრილან“ (იქვე); „ოჰ უკაცრავათ მარეხ“ (მზის დაბ.).

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ყრუვდება **-ა** სავრცობის წინაც: „შეურთავს ცოლათა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მიინევს სა-ცემრათა“ (იქვე); „**კარგათა** ცხოვროფ“ (გან. ბიძ.); „მიდის წასა-ქცევათა“ (მზის დაბ.); „**მზათა** მქონდეს სამარხათა“ (იქვე); „მე და ნუნუა ვდგავართ ნათესავათა“ (ხუმრ.-ვოლ.).

ბ) ყრუვდება **-ოდე** მორფემის თანხმოვნითი ნაწილი: „სა-

მიოთ სტაქანს“ (მზის დაბ.); „ორიოთ დღია ჩამომივიდა ყელი“ (ხუმრ.-ვოდ.); „მაგრამ ორიოთ კვრას უწყლოდ ღვინოს ნუ დაღევ“ (იქვე).

გ) ყრუვდება თემის ნიშანი:

ებ > ევ

„თუ არ გეიხარეფ“ (გან. ბიდ.); „გიჩივლეფ“ (იქვე); „ასეთი საქმე დაგმართეფ“ (იქვე); „მაგ ფიქრით თავს ივნიეფ“ (იქვე); „პურით ავამსეფ და შეგინახამო“ (მზის დაბ.); „ჩემ სამს მანათს ავიღეფ“ (იქვე); შდრ.: „ცოლი გავაფთხილებ“ (გან. ბიდ.).

თემის ნიშნის თანხმომივანი ნაწილი შეიძლება მაშინაც დაყრუვდეს, როცა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში არ არის: „შენი ცოლი შვილი ვაყოლეფო“ (გან. ბიდ.).

ობ > ოფ

„კარგათა ცხოვროფ“ (გან. ბიდ.); „როგორც ვატყოფ იმასაც უყვარვარ“ (იქვე); „აღარა ფიქროფ“ (იქვე).

ამის ფონზე ფსევდოგრამატიზებულ დაწერილობად უნდა განვიხილოთ აუსლაუტში ყრუ თ თანხმომივნის მჟღერი დ თანხმომივით გადმოცემა: „ანე გიბრძანებთ ბრძანება ჩუჴნი ესრედ გაასრულე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ტ მკვეთრი თანხმომივნის გაფშვინვიერების შემთხვევა გვაქვს მაგალითში: „მე მისთან მარგალითებს ქე გითხრობ, რომ მაშინვე დეინერო ჩემზედ ჯვარი“ (ცოლ. დავ.).

უემშვა-კვეცის საკითხებთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

უკუემშველია **ღალ** ფუძე როგორც მიმღეობურ, ისე ზმნურ ფორმებში: „თუ მამასახლისო დაიღალეობდი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „გზაზედ დაიღალეობდი“ (გან. ბიდ.); „ჩემი ნათესავი დაღალულია“ (იქვე); „დაიღალეა ჩემი ცოლი“ (ცოლ. დავ.).

ზოგჯერ უკუემშველია **-ელ** მარცვალზე დაბოლოებული

სიტყვები, როგორც ეს ძველ ქართულში ხდებოდა: „ქონის სანთელის დანუა კი არა“ (მზის დაბ.); „მე აქ გიახელი თქუწნთან მოსახსენებელათა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მგონია უფრო დამაქცევლებო“ (იქვე); „აბა თქუწნში საჭმელის მოხარშვას ვინა ტვირთულობს“ (იქვე); „აბა საჭმელის საქმეს მოვრჩით“ (იქვე); „მოსანანიებელად მონასტერში გავგზავნოთ“ (იქვე); შდრ.: „მოსანანიებლად სიკუდილამდისინ მონასტერში გაიგზავნოს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ამის საპირისპიროდ, **-ელ** მარცვალზე დაბოლოებული უკუმშველი არსებითი სახელი **ფრინველი** პიესაში – „ზმნის დაბნელება საქართველოში“ – იკუმშება: „მზე რო დაბნელდება ფრინველები ძირს ჩამოცვიან“; „კუდარ ფრინველებს შესჭამენო“.

იშვიათად უკუმშველია **-ალ** და **-არ** მარცვლებზე დაბოლოებული სიტყვებიც: „იჯარებმა შემოსავალიდგან იკლონ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ჩანგალით დაუნყე ჭამა“ (მზის დაბ.); „დადგება გაშტერებული ფანჯარის გარედამ“ (ცოლ. დავ.); „ჯვარის წერა უცებ მამიხდა“ (იქვე).

არ იკუმშება **-ან** მარცვალზე დაბოლოებული რუსიციზმი: „აი ი ტაქანის მამგონს“ (მზის დაბ.).

იკუმშება **ყირმიზის** პირველი მარცვალი: „შენი **ყრმიზი** ლოყები“ (გან. ბიძ.); „შენი **ყრმიზი** ლო... ყების ჭი...რიმე“ (მზის დაბ.).

ძველ ქართულში გვქონდა **საკრველი**, სადაც **ვ** გადმოსცემდა **უი** დიფთონგს. ჩვენს ტექსტებში ეს სიტყვა ხშირად იხმარება **საკურველის** სახით, ანუ შეკუმშულია **ი** ხმოვანი: „**საკურველია**, ბორჯომში ალერსიანათ მექცეოდა“ (გან. ბიძ.).

ა ხმოვანზე ფუძეგათავებული სახელი **-ებ**-იან მრავლობითში ზოგჯერ ხმოვანს არ იკვეცს: „ვეყო რა დაემართათ ამ იჯარაებსა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ყარამანის დროს რო ფერიანე-

ბი ყოფილან იმისთანაები ჩამოვიდენ ციღანა“ (მზის დაბ.); „ფერიაები დაემზადნენ“ (იქვე); „მაგისთანაებმა ჩაგუაყარა თუალში ნაცარი“ (იქვე).

თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელი **ბოთლი** ხმოვან-ფუძიანის სახითაა წარმოდგენილი და არ იკვეცება: „ამოდენა შავი **ბოთლათი**“ (მზის დაბ.); „გუჭრდით ერთი იმოდენა **ბოთლათი** ნყალს მოუდგემენ“ (იქვე); „წელში რო ჩავიგდო ი **ბოთლას** გამკეთებელი“ (იქვე).

ა ხმოვანს ინარჩუნებს **რა** ნაცვალსახელი **-ებ-**იან მრავლობითში: „**რაები** გიბოდამს დოხტურთანა“ (გან. ბიძ.); „ერთი **რაები** ამბობ დოხტუროჯან გამაგებინე და“ (იქვე); „**რაები** ლაპარაკობ ერთი სწორეთ გამაგებინე“ (იქვე); „**რაები** მოიგონა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**რაებსა** ლაპარაკობს“ (იქვე); „ერთი გაუგონეთ **რაებსა** ლაპარაკობს“ (იქვე); „ეს **რაები** მესმის“ (მზის დაბ.).

არსებითი სახელი **დრო** ბოლოუკვეცელ სახელთა ბრუნების პარადიგმას მიჰყვება: „ჩემი მშკდობა რალა მშკდობაა ამ **დროს** გადამკიდე“ (მზის დაბ.).

იკვეცება **გადა** ზმნისნინის ბოლო ა ხმოვანი: „სულ **გედირევა**“ (გან. ბიძ.); „**გადირევა** ჩემი სიძე“ (იქვე); „მგონია ჯავრით სულ ემე ჰქნას, **გადიროს**“ (იქვე); „ლამის ჯავრით **გადვირო**“ (მზის დაბ.).

პიესების ტექსტებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესია **-ვა** ბგერათკომპლექსის შეცვლა **-ო** ხმოვნით. ეს მოვლენა განსაკუთრებით გავრცელებულია XII-XVIII საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენასა და ასევე ქართული ენის დიალექტებში. ასეთი ფაქტები უფრო მეტად ზმნურ ფორმებში იჩენს თავს, თუმცა სხვა მეტყველების ნაწილებშიც ვლინდება.

ნიმუშები ჩვენი მასალიდან: „ჩემთვნა თქოთუ გალუსტ“ (იქვე); „ჩემი ნათქომი“ (იქვე); „არა თქო მანოჯან!“ (იქვე); „სა-

სუნებელი რამე გამოვართო“ (მზის დაბ.); „ის დღე დაინოს“ (იქვე); „ვიღამ გამოვართოს“ (იქვე); „ეგ კალო ძალიან გული დამნო“ (იქვე); „მაშ განა შენ არ გითქომს“ (ხუმრ.-ვოდ.).

შეგვხვდა არატიპური მაგალითებიც: „აპა დოუარე ცეკო სიხარულით, ცეკო შეკაცო“ (გან. ბიძ.); „ოჰ. უკაცრაოთ“ (იქვე); „უკაცრაოთ ბატონო“ (იქვე); „უკაცრაოთ კი ნუ ვიქნები“ (იქვე); „ეს რალა ღუთის რისხოა“ (იქვე); „უკაცრაოდ არავარ“ (ხუმრ.-ვოდ.).

ცოდვა წარმოდგენილია **ცოდო**-ს სახით, რომელიც ამ ბოლოკიდურ **-ო** ხმოვანს ინარჩუნებს მრავლობითში: „ნუ თუ ეგ ცოდოები – ყველა ჩემზედ ჰსნერია“ (ხუმრ.-ვოდ.); „ამ ცოდოების მქნელი არ უნდა იყოს ძვირი“ (იქვე).

ტექსტებში ზოგჯერ იგრძნობა რუსული ორთოგრაფიის გავლენა საერთო ლექსიკურ ერთეულებში: „წარმოდგენილ-არს ტფილისის **ტეატრში**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**ტეატრი** წარმოადგენს მოურავის დარბაზს“ (იქვე); „ტფილისის **ტეატრში**“ (გან. ბიძ.); „წარმოსდგა ტფილისის **ტეატრში**“ (მზის დაბ.); პირუჭლი მოქმედება **ტიფლისში**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**აჭიცერსა** ჰკითხე“ (მზის დაბ.); „**აფიცარს** მივცეთ“ (იქვე); „სახილველი წარმოადგენს მეიდანს **ტეატრის** წინ“ (ხუმრ.-ვოდ.).

თბილისი ხშირად წარმოდგენილია **ტფილისი**-ს სახით, ანუ შენარჩუნებულია ქალაქის ძველი დაწერილობა: „**ტფილისის** მოურავი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**ტფილისის** მამასახლისი“ (იქვე); „**ტფილისის** მოურავო“ (იქვე); „წარმოდგენილ-არს **ტფილისის** ტეატრში“ (იქვე); „მოქმედება **ტფილისში**“ (გან. ბიძ.); „**ტფილისის** ტეატრში“ (იქვე); „**ტფილისის** მოქალაქე“ (მზის დაბ.);

ზურაბ ანტონოვის ვოდევილი „ქმარი ხუთის ცოლისა“ საინტერესო წყაროს წარმოადგენს XIX საუკუნის I ნახევრის ქართული ენის დიალექტების ენობრივი თავისებურებების

გასაცნობად. ნაწარმოების მნიშვნელობას ლინგვისტური თვალსაზრისით განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის დიალექტური ტექსტების ჩანაწერები არ მოგვეპოვება. პიესის პერსონაჟები არიან ქართლელი, იმერელი, გურული. გარდა ამისა, ვეცნობით ოსი და სომეხი ბილინგვი პერსონაჟების მეტყველებასაც, რაც საინტერესო მასალას გვაძლევს კოდის გადართვის თავისებურებების შესასწავლად. მართალია, ზემოთ განვიხილეთ ძირითადი ფონეტიკური პროცესები, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ, ცალკე გამოგვეყო ის ფონეტიკური მოვლენები, რომლებიც უშუალოდ დიალექტებზე მოსაუბრეთა მეტყველებაში შეინიშნება.

ქართლურ მეტყველებაში გამოირჩევა:

ბგერის დაკარგვა:

იკარგება **ვ** ბგერა თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: „შენი თავის გახეთქამა“.

ვ თანხმოვანი ვინროვდება ორ თანხმოვანს შორის: „ლუთის მტერზედა“; „ლუთის უშიშარი“.

მეტათეზისი: „ძრიელ მიყუარს“.

გურული პერსონაჟის მეტყველებაში ფონეტიკური პროცესებიდან გამოირჩევა:

ბგერის დაკარგვა:

იკარგება **გ:** „რავარიც დაემართა“; „ისტე მიყვარს რავ-არც თეთრი გომიჯი“.

იკარგება **ხ:** „ისტე დაგარჩობ რავაც ნუნკი კატა“.

ბგერის შენაცვლება:

ვ-ს ენაცვლება **ბ:** „სულ თებზით და ხიზალალით ქუჴშ შეგინახაო“; „არც თებზის და არც ხიზალალის გემო არ გემიგია“; „თებზის ნვენი მაინ დეეხვრეებიბია ვისმე“.

მ-ს ენაცვლება **ფ:** „ჩემი ქმარი მაპოვიე მთქვა და მის

დღეჩიდ ნეფსი არ ვიხმარო მთქუა“.

ბგერის განვითარება:

ვითარდება ვ თანხმომვანი ო და უ ბაგისმიერი ხმოვნების წინ: „ვორი წელი ქუშცე ჩემთან იყო“; „დამტოვა ვოხრათ“; „სულ წანყმედელს ვორი ფოხალი ღომი მაინ დეეტოებია“; „მერე ვუბედური საცლა გადაჰკიდებია“; „აპოვიე ვუბედური“; „ვუბედურო, მაშინ კაი ვიყავ“; „მოურავმა რავა წეგვიკითხა ვოქმი“; „ვუბედურო, ვუბედურო, ვუმალ ქუე მე ვარ ჯვარ დაწერილი“; „ვუმფრო ქვეც ვაკოცებ და ქვე გაგასიებ“.

ვითარდება მ: „მე უმფრო ძრიელ მიყვარს“; „უმფრო ქვეც ვილაპარაკებ“; „ვუმფრო ქვეც ვაკოცებ და ქვე გაგასიებ“.

ვითარდება ტ: „ისტე უნელეებელი დამართოს“; „ისტე შევეჭირდი“; „ისტე მიყვარს რავარც თეთრი გომიჯი“; „სწორა მითხარ, სწორა, ისტე ახლო რავა ეტკუპოდი“.

სხვათა სიტყვის თქო ნაწილაკი თავისი ძველი (თქუა) სახითაა მოცემული: „შენამც გენაცვლება-მთქუა შენი მელა-ნია“;

ხმოვანთა ასიმილაცია: „აზნოური შემომეტყუა“; „შოუბედურო, შოუბედურო“; „რავა დამაჩუმებ შო უბედურო“; „რავა სულელურათ როხამ შოუბედურო“; „მაცა მაცა შო უგვანო“.

ბატონო სიტყვაში ო ხმოვანი ა-ს იმსგავსებს აწეულობის მიხედვით და აქცევს ე-დ: „ბეტონო მოურაო“.

ასიმილაცია განსაკუთრებით თავს იჩენს ზმნისწინებში და ცვლის ხმოვნით ელემენტს. კერძოდ:

გა > გე: „ვერ გეიგე მოურავმა რავა წეგვიკითხა“; „ხი-ზალალის გემო არ გემიგია“; „თავი გეიტანე“; „გედბნა“.

გამო > გამე: „ვინც ქვე უნდა გამეიტანოს“.

და > დე: „თებზის წვენი მაინ დეეხვრეპიებია ვისმე“.

და > დო: დოუნელდეს; დოუსვი.

მო > მე: „ქვეც კი მეიგონე ჩემი სიყვარული“; „ღომი უხარში არ მეგივიდეს“; „რავარც მინდა ისტე მევიხდენ“.

შე > შო: შოურთავს.

ჩა > ჩე: „ენა მუცელშიდ არ ჩეგივარდა“; „ჩეიგდე ენა მუცელშიდ“.

ნა > ნე: „ნედი სამზარეულოშიდ“; „ვერ გეიგე მოურავმა რავა ნეგვიკითხა“; „ნემიყვანა“.

ნა > ნო: „სადანა ნოუხვიდოდი“.

მეტათეზისი: „მე უმფრო ძრიელ მიყვარს“.

ოსი პერსონაჟის მეტყველებაში შიშინა ბგერები იცვლება სისინა ბგერებად:

ჯ > ძ: „სე ოძახქორო“; „ცემი ოძახი“; შდრ.: „მოიტა კლავი სეოჯახქორო“.

ჩ > ც: „იყო ცემთანა ქმარი“; „ერთი ღამეს ცემთან დაგეძინა“; „ალა არის ცემთანა ქმარი“; „გისონე ცემი ქმარი“.

ჭ > წ: „მე სე წირიმე“; „არა გაქ როწამო“; „მე არც ხაწაპური გააკეთე და არც ხაბიზგინა გამოაცხე“; „მე არც ცუყა გააკეთე და არც პაწიწი მოქსოვე“; „მეც გაწამე“.

შ > ს: „მე სე წირიმე“; „სეგირთო მე ცოლათა“; „გისონე ცემი ქმარი“; „მე არ მოხარსე“; „დაგეძინა კაბიცასი“; „მოიტა კლავი სეოჯახქორო“; „სე ოძახქორო“.

აღსანიშნავია აგრეთვე:

ბგერის დაკარგვა:

იკარგება **ვ:** „მე ღინო არ გინა“; „ერთი ღაპუ მოიდა“.

იკარგება სავრცობი **დ:** „მე ღინო არ გინა, ლუდი იყოს გამოიტან“.

იკარგება **მ** ანლაუტში: „მოიტა კლავი სეოჯახქორო“.

ბგერის განვითარება:

ვითარდება **ვ** ბგერა ბაგისმიერი **ო** ხმოვნის წინ: „ვოსი-მონა! ვოსიმონა! ვოსიმონა!“; „ვო ქეთევანა“.

სომეხი პერსონაჟის საუბარშიც შიშინა ბგერებს ანაცვლებს სისინა ბგერები:

შ > ს: „სენ ვინ არის მეცემი ქმარი გინდა“.

ჩ > ც: „სენ ვინ არის მეცემი ქმარი გინდა“.

სხვა ფონეტიკური პროცესებიდან შეინიშნება:

ხმოვანთა ასიმილაცია ზმნისწინებში:

გამო – გამა: „შიში და სიცივე გამამივლია“;

თანხმოვანთა ასიმილაცია:

ნაცვალსახელებთან ბოლო თანხმოვანი **ს** მჟღერდება და გვაძლევს **ზ**-ს მომდევნო სიტყვის თავკიდურა მჟღერი ბგერის გავლენით: „როგორთუ რაზ ვჩივი ბატონო მოურაო“; „ე... ეზ რა ბრიაბრუობა“; „ეზ ბეზირგანი“.

საკუთარი სახელები ხშირად წრფელობითის ფორმით არის მოცემული: „მამაჩემი **იორამ** ნუ წამინყდება“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**მარეხ** დადის დარბაზში ნაზის სიარულითა“ (მზის დაბ.); „ნადი აბა მოახსენე **გრიგოლ** მოვიდა თქო“ (იქვე); „**მარეხ** დაუჭერს კლავსა და აყენებს“ (იქვე).

თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი იშვიათად ხმოვანფუძიანის სახით არის წარმოდგენილი: „გადახედავს **მარეხას**“ (მზის დაბ.).

ხმოვანფუძიანი სახელები წოდებითში ხშირად დაირთავს **ვ** ბრუნვის ნიშანს: „აჰა ძმა**ვ**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ჩემო მთვარე**ვ** ვარდხათუნ“ (იქვე); „დედა**ვ!** ეს რა არის“ (იქვე).

საანალიზო პერიოდის ძეგლებში არსებითი სახელი **ხელმწიფე** ქალთან მიმართებაში ბოლოკიდური **-ე**-ს ნაცვლად

-ა-ს დაირთავს: „ველმნიფავ თქვენ ბრძანდებით“ (გან. ბიძ.); „დიახ ველმნიფავ“ (იქვე); „მამილოცამს, ველმნიფავ თქვენი მშვიდობით დაბრუნება“ (იქვე).

არსებითი სახელი **ამბავი**, რომელიც თავისებურად ბრუნებად სახელთა ჯგუფში შედის, მრავლობითში ფუძეს სრულად ინარჩუნებს: „და იქაურს **ამბავებს** მოუთხრობდა და-ლაქსა“ (ხუმრ.-ვოდ.).

სახელთა წარმოქმნის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შემდეგი:

დადასტურდა ქონების მანარმოებელი -ა სუფიქსი: „ავ მუცელა, ავ ხორცა“ (ხუმრ.-ვოდ.).

კნინობითობის მანარმოებლად გვხვდება **უა** სუფიქსი: „ჩემი სიდედრუა“ (გან. ბიძ.); „წავიდე ძალუა გავაფთხილო“ (ეს ქართლელის მეტყველებაში) (იქვე).

გვხვდება **-უკა**: „შე, იმერლუკავ“ (ცოლ. დავ.).

დასტურდება აბსტრაქტულობის მანარმოებელ სუფიქსთა მონაცვლეობა: **-ობა// -ება**: „გსურს დაგარნმუნო ჩემი შენდა კუთუნილება“ (მზის დაბ.); შდრ.: „დარნმუნებული ხარ გეთაყუანე ჩემის შენს კუთუნილობაზედ?“ (იქვე); „სხვა საშუალობა არა გვაქვსრა“ (ცოლ. დავ.).

ხელობის სახელებთან **მო-ე** იხმარება იქ, სადაც დღეს **მე-ე** კონფიქსი გვაქვს: **მოქრთამე** (ქმ. ხუთ. ცოლ.).

რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა გაუმართავია: „მოქმედება ტფილისში **1-ი** და **3-ე** კარაპეტოვის სახლში და **2-ე** დიდუბეში“ (მზის დაბ.).

წოდებით ბრუნვაში **შენ** და **თქვენ** პირის ნაცვალ-სახელები **შე** და **თქვე** ფორმითაა მოცემული: „აცა შვილო **შერა** მიყავ თუ მე ეგ საქმე არ გამოვიკვლიო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**შე** ბეხო კამერო“ (იქვე); „**თქუჭ** ოჯახდაქცეულო“ (იქვე); „სუ **შე**

ჰარამზადავ“ (გან. ბიძ.); „**თქუტ** ურცხუტბო“ (მზის დაბ.).

ეგე ნაცვალსახელი მხოლოდით რიცხვში სრული სახითაა მოცემული: „**ეგე** რამ გათქმევია“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ანი **ეგე** ვის უთხარ“ (იქვე).

ეს, ეგ, ვინმე და **რა** ნაცვალსახელები ირიბ ბრუნვებში მრავლობითი რიცხვის **-ებ-**იან წარმოებას გვიჩვენებს: „ბურნუთისა, კანაფისა, ლილახანისა **ამეებიდგანა**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**მაგეებიდგან** არაფერი შენი ჭიმიე“ (იქვე); „**რაები** მოიგონა“ (იქვე); „**რაებსა** ლაპარაკობს“ (იქვე); „ერთი გაუგონეთ **რაებსა** ლაპარაკობს“ (იქვე); „ერთი **რაები** ამბობ დოხტუროჯან გამაგებინე და“ (გან. ბიძ.); „**რაები** ლაპარაკობ ერთი სწორეთ გამაგებინე“ (იქვე); „ეს **რაები** მესმის“ (მზის დაბ.); „ჩუჭნი **ვინმეებიც** დავაძახებინოთ“ (იქვე); „შენი **ვინმეები** რომ აღარ ვაბარბარე ჩემს სახლში განა იმიტომა“ „შენი **ვინმეებისათვის** ხომ სუყველა შურები, განყდეს იმათი გასაგისი“ (იქვე);

II პირის ნაცვალსახელი „**შენ**“ -**მც** ნაწილაკს დაირთავს: „**შენამც** გენაცვლება-მთქუა შენი მეღანია“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

რალაც განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს **ზედა** თანდებული **ც** ნაწილაკის წინ დაერთვის: „გზაზედ **რალაზედაც** წაკინკლავდენ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ლაპარაკში **რალაზეც** მერმე გაანჩხლებულა“ (ხუმრ.-ვოდ.).

ამ პერიოდის ტექსტებში განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ყველა** ხშირად გამოიყენება **ყველაფრის** მნიშვნელობით: „ძია მე ვიცი დოხტური სულ **ყველას** გეტყოდა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**ეგ ყველა** კარგია“ (მზის დაბ.).

ტექსტებისთვის დამახასიათებელია სახელების ხშირი გავრცობა: „შემოიტანენ ხალიჩასა სუფრასა პურსა და ჭურჭელსა და გაშლიან წინ სცენაზედ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ზალასა აქვს შუაზედ და აქეთ იქით კარები“ (გან. ბიძ.); ხშირია სიტყვის გავრცობის ნიმუშები ფრაზის ბოლოს: „ვეყო

რა დაემართათ ამ იჯარაებსა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „შინ მივეცი ბიჭებსა მოსახარშავათა“ (იქვე); „ნინიკა წინ მოუძღვის ხონჩითა“ (იქვე); „სცენა წარმოადგენს თანდოევის ზალასა“ (გან. ბიდ.).

გაივრცობა მართული მსაზღვრელი პრეპოზიციული ნყობისას: „ხალხში ჩავარდება სიხარულისა ჩოჩქოლი“ (მზის დაბ.).

სახელების გარდა, ივრცობა სხვა მეტყველების ნაწილებიც: „**არსადა** შენი ჭიიმე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**რატომა** ვეყო“ (იქვე); „ოჯახი რომ დაექცეს მამულაშვილს იორდანეს **იმიტომა**“ (იქვე); „**დიდხანსა** დაარაკრაკებს“ (იქვე); „აბა მაგაზედ იტყვიან შენი ჭიიმე **რომა**“ (იქვე); „**როგორა** ვეყო?“ (იქვე).

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ყურადღებას იქცევს მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში სრული შეთანხმების ხშირი შემთხვევები:

მიცემითი ბრუნვის მაგალითები: „**ორს** კაცს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**მოურთმევი**ა შენი ჭიიმე გარეჯვრელს ბასილაშვილს ბერუასა“ (იქვე); „**გამარჯვება** მოეც ბატონს ჩუჭნს მოურავსა“ (იქვე); „**ერთს** კვერცხს საკმელსა, ერთს სტილს წმიდა სანთელსა, ნახევარ ჩარექს ზეთსა, და ხუთს ფარასა“ (იქვე); „ამ სენმა რამდენს ალაგს მომაცდინა“ (ხუმრ.-ვოდ.); „ამისთანას სიცოცხლეს ბევრით ჰსჯობს სიკუდილი“ (იქვე); „სცენა წარმოადგენს დიდს ოთახსა ორკარიანსა“ (ცოლ. დავ.); „ჩემის თავის გასამართლებელს პასუხს მოვამზადებ“ (იქვე).

მიცემითის ნიშანი მსაზღვრელს მაშინაც ახლავს, როდესაც საზღვრული **თანინ** მრავლობითია: „**მეცნენ დიდს** სენთა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ნათესაობითი ბრუნვის მაგალითები: „**ოთხის ცოლის**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**ბევრის** დაღვეისაგან“ (იქვე); „**ოთხის ცოლის** ქმარი“ (იქვე); „**მეფეს** უბძანებია შენის დანაშაულის პატივება“

(იქვე); „ამდენის ხნის კაცი ვარ“ (ხუმრ.-ვოდ.); „ამ ათის წლის წინათ“ (ცოლ. დავ.); „ჩემის თავის გასამართლებელს პასუხს მოვამზადებ“ (იქვე); „ჩემის ცოლის წიგნი წაიკითხე“ (იქვე).

თანდებულების ხმარებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

დადასტურდა **ებრივ** თანდებული: „იქნებოდა ჩვენებრივ ქრთამისა მოყვარული“ (ხუმრ.-ვოდ.).

მიცემით ბრუნვაში გვხვდება **შიდ** თანდებული: „ჩავსვავე გემშიდ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „გადავარონიებ ქართლშიდ“ (იქვე); „რავა მაგის თხრობამდი ენა მუცელშიდ არ ჩეგივარდა“ (იქვე); „ჩეიგდე ენა მუცელშიდ“ (იქვე).

ეს **-შიდ** წარმოდგენილია **-ჩიდ** ვარიანტითაც: „მის დღე-ჩიდ აღარ მიგიშვებს ახლოს“ (გან. ბიდ.).

ზედა თანდებული ხშირადაა **ზედ** ვარიანტით: „კომბალ-ზედ დაბჯენილი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „წელში მჭერალს ყანწზედ“ (იქვე); „ნენე ზის ტახტზედ“ (მზის დაბ.).

ზედ ზოგჯერ კარგავს ბოლო თანხმოვანს: „იქით დეიკარგე შე მჭადის ნატრულო თვარა ზე შემოგაფხრენ მავ ლეჩაქს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ნათესაობითი დასტურდება **თვინ** თანდებული: „მე იმისთვინ მინდა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „იმისთვინ ჩემსასა და იმის მეხრეებს გუთნის ხარი ერთათ ჰყოლოდათ“ (იქვე); „ტყუილის თხრობისათვინ ბარე ვორი ცალი თებზი გარდამახდევია“ (გან. ბიდ.); „ჩემთვნა თქოთუ გალუსტ“ (იქვე); „შენთვნ, შენთვნ“ (მზის დაბ.); „ორი დლისთვნ რალა გავათხოვო ქალი“ (იქვე); „თქვენთვინაც გვიპატიებია“ (ცოლ. დავ.).

გან თანდებულის **გ** თანხმოვანი შენარჩუნებულია მოქმედებით ბრუნვასთან: ურუსულიდგან (ქმ. ხუთ. ცოლ.); იჯარეზიდგან (იქვე); კარიდგან (გან. ბიდ.); სკამიდგან (მზის დაბ.);

„მითომ იტალიიდგან“ (ხუმრ.-ვოდ.); „მეც დავთრიდგან მომ-
შაღეთ“ (იქვე).

იხმარება **დამ** თანდებულიც: „შემოდინ კაბინეტიდამ“
(ცოლ. დავ.); „შემოცვივიან ერთის კარიდამ“ „(იქვე); გულიდამ
ნალველი უნდა გადავიყაროთ“ (იქვე); „ნიგნს ამოიღებს ჯიბიდ-
ამ“ (იქვე); „წამოხტება სკამიდამ“ (იქვე).

ვითარებით ბრუნვაში გამოიყენება **მდის** და **მდინ**
თანდებულები: „ამ ოქმის მიღებამდის“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მშვი-
დობით ნახვამდინ“ (იქვე); „ერთი კვირემდინ მოვალო“ (აქ არის
კვირემდინ და არა კვირამდინ) (გან. ბიძ.).

მდინ დაერთვის ზმნიზედებსაც: „აქამდინ არ მეცოცხ-
ლა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „აქამდინ გიახლებოდი“ (გან. ბიძ.); „მამ
აქამდინ სად შეექცეოდით“ (ცოლ. დავ.).

მდინ თანდებულის პარალელური ფორმაა **მდისინ**:
„შინამდისინ გავაცილე“ (გან. ბიძ.); „განა თქვენ აქამდისინ არ
გიცნობებიათ“ (იქვე); „ხვალამდისინ სრულებით სიცხესაც გა-
მოგილევ“ (ხუმრ.-ვოდ.).

გამოვლინდა არქაული თანდებული **თჯნიერ**: „მერწმუნე
თჯნიერ სიკუდილისა ვერავინ აღმოფხურის“ (მზის დაბ.).

ზმნის მორფოლოგიის საკითხებიდან ყურადსაღებია
შემდეგი:

პირის ნიშანთა გამოხატვის თვალსაზრისით, საანალ-
იზო ტექსტებში ანალოგიური სურათი გვაქვს, რაც ამ პერიო-
დის სხვა ტექსტებში, კერძოდ:

ხშირია პირის ნიშანთა უფუნქციოდ გამოყენების
შემთხვევები: ერთპირიან ზმნებთან – ორი პირის ნიშნის, ორ-
პირიან ზმნებთან – სამი პირის ნიშნის; პირის ნიშანთა დართ-
ვა პოზიციის განურჩევლად (ყურადღება არ ექცევა, რომელი
თანხმოვნის წინ ჩნდება ის) და ა. შ.

მაგ., ერთპირიან ზმნას უფუნქციოდ დაერთვის III ობიექტური პირის **ს-** პრეფიქსი: „იმის ტახტზედ დასჯდება“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ფეხზედ ასდგებიან“ (იქვე); „ასტყდება ქუხილი, ჭექვა და ელვა“ (იქვე); „სდგას ტახტი“ (იქვე); „წარმოსდგა ტფილისის ტეატრში“ (მზის დაბ.); „მარცხნივ სდგას ტახტი დაფენილი“ (იქვე); „უცებ შესდგება და ამოხს“ (ცოლ. დავ.); „ისინი სტყუიან, თუ თქვენ შვრებით ოინები“ (იქვე); შდრ.: „მარჯვნივ დგას მამასახლისი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ს- პრეფიქსთან ერთად ერთპირიან ზმნაში ჩანს **ჰ-** პრეფიქსიც: „ჰსჩანს, რომ მე და ნუნუა ვდგავართ ნათესავათა“ (ხუმრ.-ვოდ.); „ნუ თუ ეგ ცოდოები – ყველა ჩემზედ ჰსწერია“ (იქვე); „ამაოდ ნუ ჰსწუხდები“ (იქვე); „ბოლო მოუღე იმის საქმესა რომ აღარ ჰსწუხდებოდე“ (გან. ბიძ.).

ჰს- პირის ნიშანთა კომბინაცია ორ და სამპირიან ზმნებშიც შეინიშნება: „არც შენა ჰსთქვა“ (გან. ბიძ.); „თავის აღთქმასა ჰსტეხს“ (იქვე); „ბას არ მიჰსცემ შენი ქალი შენი მდგმური“ (მზის დაბ.); „თუ ნებას არ მიჰსცემს“ (იქვე.); „ამაოდ შეჰსდგომიხარ ოცნებას“ (ხუმრ.-ვოდ.); „კაცს ძლივს ჰსცნობს“ (იქვე.); „წვრილ ბიჭებს კასკასი ნაჰსქდათ საშინელია“ (იქვე.); „ოსეფაო ვილაც ნაცნობს ჰსწვევია“ (იქვე).

ჰ-, ან **ჰს-** პრეფიქსები უფუნქციოდ გამოვლინდება I პირის ფორმებშიც: „ვაჰმე მოვჰკუდი მოვჰკუდი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ცხარის ცრემლითა ვჰსტირი“ (ხუმრ.-ვოდ.).

ხშირად გამოიხატება პირდაპირი ობიექტის ნიშანი III პირში: „ხოწჩას მოურავის წინ დასდგამს“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ხოწჩას მოურავის წინ დასდებს“ (იქვე); „კიდეც დასცლის“ (იქვე); „მთელი პური დასდონ“ (მზის დაბ.); „დასდგმენ ტოლზედა“ (იქვე); „შიშსა ჰგრძნობს“ (ხუმრ.-ვოდ.).

პირის ნიშანი აისახება სხვა მეტყველების ნაწილებშიც: „ჰსწავლა რომ გქონდესთ“ (მზის დაბ.); „მიმზიდე მჰსგავსად

ანდამატისა“ (იქვე).

იშვიათად პირის ნიშანი არ არის წარმოდგენილი იქ, სადაც საჭიროა: „დიდი რამე **გონია**“ (მზის დაბ.); „ოქროვეს **შემოყავს** მეფულოვი“ (ცოლ. დავ.); „ჩემს ბერახუა ქმარსა **გონია**“ (იქვე); „ეს რასა **გავს?**“ (იქვე).

ცნობილია, რომ **თ** სუფიქსი ძველ ქართულში I და II სუბიექტური პირებისა და პირდაპირი ობიექტის II პირის მრავლობით რიცხვს გამოხატავდა. ირიბი ობიექტის II და III პირების მრავლობითი რიცხვი კი არ გამოიხატებოდა, რის გამოც მორფოლოგიური ომონიმია იქმნებოდა ირიბი ობიექტის II და III პირების შემთხვევაში – მათი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები ერთმანეთს ემთხვეოდა (გაქუს შენ// გაქუს თქუენ; აქუს მას// აქუს მათ). **თ** სუფიქსმა ირიბი ობიექტის II და III პირების რიცხვის გამოხატვის ფუნქცია მოგვიანებით შეითავსა და ეს მოვლენა ფართოდ გავრცელდა საშუალი საუკუნეების ძეგლებში. სწორედ ამ პერიოდის ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი **თ** სუფიქსის წინ III სუბიექტური პირის ნიშნის (**ს** სუფიქსის) შენარჩუნება, რაც თავს ჩვენს პიესებშიც იჩენს: „მართალი გახლავს**თ**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ბერუა გახლავს**თ**“ (იქვე); „მეფის ოქმი გახლავს**თ**“ (იქვე); „იმისი სამართალი განსაჯოთ გინდოდეს**თ** სიკუდილითა, და გინდოდეს**თ** ნასალის დადებითა“ (იქვე); „თუ გაქვს**თ** ჩემი მცირედი ხათრი“ (გან. ბიძ.); „არაფრის მიხვედრა არა გაქვს**თ**“ (მზის დაბ.); „ჰსწავლა რომ გქონდეს**თ**“ (იქვე); „კარგი სამღვდელო იმათ გადმოეყვანოს**თ**“ (ხუმრ.-ვოდ.).

ზმნის მრავლობითობის **თ** სუფიქსი ასახულია სახელშიც: „**ბარაქალათ**, მერე რაუყავით“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

საანალიზო პერიოდის ძეგლებისთვის დამახასიათებელია თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევები: **-ავ** თემის

ნიშნის ნაცვლად ნახმარია **-ამ** თემის ნიშანი: „რავა სულელურათ როხამ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „წელსა ჰკრამს“ (იქვე); „ერთმანერთთან ახლო გახლამთ“ (იქვე); „ამოჰკრამს პანჩურსა“ (იქვე); „გადახედამს ცოლებსა“ (იქვე); „გულში ჩაიკრამს“ (გან. ბიძ.); „ცოლს ასტე მალამს“ (იქვე); „თორემ ნახამ თუ რა მოგივა“ (მზის დაბ.); „შეგინახამო რომ ამოხვალ მოგინყამო“ (იქვე); „როტამს და შფოთამს“ (ხუმრ.-ვოდ.); „მითომ ვერა მხედამენ“ (იქვე); „რას გვიშვრებიან ის უნამუსოები, ხედამთ?“ (ცოლ. დავ.); „რა გნებამს, შენი ჭიიმე?“ (იქვე).

გვაქვს პირიქითაც: **ამ**-ს ცვლის **-ავ**: „ახ! ამას უთქვავს“ (გან. ბიძ.).

სხვა თემის ნიშანთა მონაცვლეობის მაგალითები: **-ობ** -> **-ებ**: „აბა ძია კაი გულითა გკითხამ, მითხარი ბედნიერათა სცხოვრებ შემდეგ მისა თუ არა?“ (გან. ბიძ.). **-ებ** -> **-ობ**: „ქუთაისს ვაპირობ ნასვლასაო“ (იქვე); „შემოესნრობა ჩხუბზედ“ (მზის დაბ.); „დაიწყობენ წივილ კივილსა“ (იქვე); „ვისაც გარეთ მოასნრობენ იმას მოიტაცებენ“ (იქვე); „ახარ სტუმრათ რო შევესნრობი“ (იქვე); „ამალამ ქორწილს მიპირობენ“ (იქვე); „დალევას ველარ მოასნრობს“ (იქვე); „ისე უწინდელივით მიპირობ“ (ცოლ. დავ.); „რას აპირობ ახლა?“ (იქვე). **-ავ** თემისნიშნიანი ზმნა უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი: „რაც ლამაზი ქალი და ვაჟია სულ ჩაყლაპენო“ (მზის დაბ.).

უთემისნიშნო ზმნა კი თემის ნიშანს გვიჩვენებს: „წიგნი მამივიდა ჩემი ნათლულისა, მწერამს“ (მზის დაბ.); „მე ჴელი მოვანერამ“ (იქვე); „მარეხ დადის დარბაზში ნაზის სიარულითა და მღერობს“ (იქვე); „ესე მღერობენ ხომე“ (იქვე); „დაასხამენ ღვინოს და მღერობენ“ (იქვე); „მიხედავს ვარდუას და მღერობს“ (ცოლ. დავ.).

მყოფადის კავშირებითში **-ავ** თემისნიშნიანი ზმნა გვიჩვენებს ძველ წარმოებას: „ყოველს საუფლოს დღე-

სა **შესწირვიდეს** ეკკლესიასა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.). -**ავ** და -**ამ** თემისნიშნისანი ზმნები ანმყოსა და მყოფადის მწკრივების III პირის მრავლობით რიცხვში იკუმშება, მსგავსად ძველი ქართულისა: „თავს **დაუკვრენ**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ასე უსამართლოთა **მტანჯვენ**“ (იქვე); „ეს შეჩვენებულები **მამკვლენ**“ (იქვე); „აგი ჩემი სვიმონ მოვარჩინო ცოლებსა თორემ **მომიკვლენ**“ (იქვე); „**დასდგმენ** ტოლზედა“ (მზის დაბ.); „ფულები ისე **ფანტვენ** როგორც ბზე“ (იქვე); „**შემოჰკვრენ** შპაგა“ (იქვე); „**ასხმენ** ღვინოსა ჯამზედ“ (იქვე); „უბრალო საქმიდგან მსწრაფლ ასეთ რამ **დაჰბადვენ**“ (ხუმრ.-ვოდ.); „კარებში **შემოიხედვენ**“ (ცოლ. დავ.); „უჭირამთ სტაქნები და ჩაისა **სმენ**“ (იქვე); „**უკვრენ** წყნარად“ (იქვე); შდრ.: „**დაასხამენ** ღვინოს და მღერობენ“ (მზის დაბ.).

იშვიათად -**ავ** თემის ნიშანს ზმნა ინარჩუნებს | თურმეობითში, როცა პირდაპირი დამატება | პირია: „უწინ მე შეგირთავარ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ექვსი წელიწადია აღარ უნახავარ“ (გან. ბიძ.); „მოუკლავარ ჩემ ცოლსა“ (ცოლ. დავ.).

მოქმედებითი გვარის ზმნის წყვეტილის ფორმაში III სუბიექტური პირის ნიშნად გამოვლინდება **ა** იქ, სადაც დღეს **ო** იხმარება: „შეიპყრა ჩემი გული“ (მზის დაბ.).-**ან** საწყისური მანარმოებლის მქონე ზმნა | სერიის მწკრივებში -**ებ** თემის ნიშანს გვიჩვენებს ძველი ქართულის მსგავსად: „სკამებს **მოიტანებენ** დასხდებიან“ (მზის დაბ.); „მერე **მოგიტანებენ** დაგიდებენ“ (იქვე); „ახლა **მოგიტანებენ** ბატონო დანა ჩანგალსა“ (იქვე).

წყვეტილში ხშირად ზმნები -**ი** მწკრივის ნიშნის გარეშეა: „ნადი **უთხარ**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ნართქმითი ბრძანებითი კილოს ფუნქციით პიესებში ზოგჯერ გამოყენებულია ანმყოსა და მყოფადის კავშირებითები: „იმის ცოლებთაგანი მელანია **ირაცხებოდეს** კანონიერს ცოლად“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „სხუა ცოლებსაც ისეთს პატივს **აძლე-**

ვდეს როგორც პირველსა“ (იქვე); „ეკკლესიაში ორმოცს მუხლს **მოიყრიდეს**“ (იქვე); „ყოველს საუფლოს დღესა **შესწირვიდეს** ეკკლესიასა“ (იქვე); „და რაც გკითხო, პასუხებს **მომიგებდე** გულგრილად“ (ხუმრ.-ვოდ.).

ზოგჯერ – წყვეტილის მწკრივიც (და ამ შემთხვევაში მას, ცხადია, მომავალი დროის მნიშვნელობა აქვს): „თქუწნ კი **დაგლოცათ** ღმერთმა“ (მზის დაბ.); „ოჯახი თქუწნც **დაგექცათ** და თქუწნს მასპინძლობასაცა მეთქი“ (იქვე).

ნუ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი გადმოცემულია წყვეტილის მწკრივით: „გამიშვით **ნუ მამკალით** თქუწნ გასაწყვეტნო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

არ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი კი იშვიათად – აწმყოს მწკრივით: „თქუწნი რისხუა **არა მაქუს** ნორესა ბძანებ“ (მზის დაბ.).

პიესებში შეინიშნება მომავალი დროის გამოხატვის ძველი სისტემის კვალი: მყოფადის კავშირებითსა (რომელიც წარმოქმნილია I კავშირებითის ბაზაზე) და II კავშირებითს უწარი შესწევთ, გამოხატონ მომავალი დროის თხრობითი კილო: „თქუწნი რისხუა არა მაქუს სანამ აქ **მოვიყვანდე** კისერში ცემით სიცოცხლეს დავამწარებ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „სანამ **შემოვიდოდე** აქ მოაცდევინე“ (იქვე); „თქუწნ გარეთ მოგვიცადეთ სანამ ჩუწნ **განვჰსჯიდეთ**, და თქუწნი ქმარი რომ **შემოვიყვანოთ** თქუწნც თან შემოჰყევით“ (იქვე); „თქუწნ გარეთ ეზოში მოიცადეთ და თქუწნი ქმარი რომ **მოიყვანონ** თქუწნც თან შემოჰყევით“ (იქვე); „შენ რაც **დაგარიგო** ისე მოიქეც და ასრულება ადვილია“ (იქვე); „ეხლავ მოაძებნინო ის აზნაური თქუწნს სამოურაოში და თუ **იპოვნოთ** დააჭერინო“ (იქვე); „ქვე არ დაგაცალა ღმერთმა თუ არ **მიყიდო**“ (გან. ბიძ.); „შენ კაცი რომ **მოგივიდეს** მალე მოდი და ერთათ ნავიდეთ“ (მზის დაბ.).

ასპექტის ძველი სისტემის აწარეკლია აწმყოს ზმნის-

ნინიანი ფორმით ახლანდელი დროის გამოსატყვის შემთხვევები: „სად **მიხვალ** შეწყეულო სვმონ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ანი მე **მივალ** მარა“ (გან. ბიძ.); „იმან მითხრა ქუთაისს **მივალო** და ეხლა კი აქა ვხედავ“ (იქვე).

ასევე ახლანდელი დროის გაგება აქვს **გკითხავ//იკითხავს** ზმნებს: „აბა ძია კაი გულითა **გკითხამ**, მითხარი ბედნიერთა სცხოვრებ შემდეგ მისა თუ არა?“ (გან. ბიძ.); „მე რას **ვკითხავ** ეს რას მეუბნება“ (იქვე); „მე თქვენ სხვას **გკითხავთ**“ (იქვე); „რომელსაც რასა **ვკითხავ** სულ გადაკვრით მელაპარაკებიან“ (იქვე); „მაშ სადილათ თქვენთანა ვარ, რალა! (მეფულოვს **ჰკითხამს**)“ (ცოლ. დავ.).

უზამდი ზმნა უწყვეტლის ფორმაა, რაც ასევე ასპექტის ძველი სისტემის გამოძახილია: „რა **უზამდი** მაქალს?“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ხშირია შემთხვევები, როდესაც ზმნები გვარის გავრცელებული ფორმის პარალელურად სხვა გვარის ფორმებსაც აწარმოებს. მაგ., **ვაპირებ** ზმნა ე- პრეფიქსინი ვნებითის ფორმასაც გამოავლენს: „მე მეხუთესაც **ვეპირებოდი** და ეს ოთხსაც მიშლის“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); ე- პრეფიქსინი ვნებითი **შეეფერება** ჩანაცვლებულია საშუალი გვარის ფორმით **ჰფერობს**: „შენს მეტს კაცს არვის **ჰფერობს** მისი ცოლობა“ (მზის დაბ.); საშუალ-ვნებითი გვარის ფორმა **გადგას** სტატიკური ვნებითის დაბოლოებითაა: „მეორე ბიჭიც დიამბეგის იასაულივით თავს **გადგია**“ (იქვე).

საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნას – **უკრავს** – ცვლის ი- პრეფიქსიანი ვნებითი: „მუზიკა **იკვრის**“ (ცოლ. დავ.).

უნდა სტატიკური შინაარსის ზმნის ნაცვლად გვაქვს **ნდომულობს/ნდომობს** დინამიკური შინაარსის ფორმები: „თქუჴნს ნახვას **ნდომულობს**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „თქუჴნს ნახვას ქვე **ნდომობს**“ (გან. ბიძ.); „სქელი თავადი გახლავსთ და

თქუჴნს ნახუას **ნდომულობს**“ (მზის დაბ.).

შედგენილი შემასმენელი **მინდობილია** შეცვლილია სტატიკური ზმნით **ანდვია**: „ჩემი ცხოვრება იმის ჴელთ **ანდვია**“ (გან. ბიდ.).

ზოგჯერ ამა თუ იმ ზმნასთან პრეფიქსული წარმოებაა შენარჩუნებული: „**იმღერის** ნუნნიევი“ (ცოლ. დავ.); „მერმე **იმღერიან**“ (იქვე).

ზოგჯერ წყობაა შეცვლილი: ობიექტური წყობის ზმნა სუბიექტური წყობით გვხვდება: „მე ძალიანაც **ვკვირობდი**, მაგრამ, მერე კი“ (გან. ბიდ.); „იქნება თქვენ **ჴკონებთ**“ (იქვე).

გვხვდება არქაული ზმნური ფორმები: „კალთაში მუთაქა **უძევს**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მე გთხოვთ მონყალო ჴელმნიფევ **დამიტეოთ** თავისუფლათა“ (გან. ბიდ.); „**დავშთენილ ვარ** ან ესრედ უნუგემოდ“ (მზის დაბ.); „**შეიქმონენ** შიშით კანკალსა“ (იქვე); „უცხო ვაჟი რას **გეყვო** სალაპარაკოთა“ (იქვე); „რას **ეყვი** ჩემს ცოლსა“ (იქვე); „**დეული იქმონენ**“ (იქვე); „ამისთვის **ვიშიშვი**“ (მზის დაბ.); „თუ ხანში შესული ქალები ასრე იქცევიან, აბა რაღას **იქმონენ** ახალგაზდები; ჯიელები“ (ცოლ. დავ.).

ტექსტებში გვაქვს სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ზმნის მოკლე ფორმები: „**მაცა მაცა** აგრე იყოს თუ მე შენ ეს შეგარჩინო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**მაცა მაცა** შო უგვანო“ (იქვე); „**აცა** შვილო“ (იქვე); „**დახე** ამ ოჯახდაქცეულსა“ (იქვე); „**შეხე შეხე** ამ ყურუმსაღს“ (იქვე); „ქა! **დახე დახე** ურცხუსა“ (მზის დაბ.); „ახლა **მიე** თავი ძილს“ (ხუმრ.-ვოდ.).

იშვიათია ოთხპირიანი ზმნები: „ოთხი დღის ნაფუზარი მქონდა, ისიც **ამამიგდებინე** შენს საოხრო ჴარებსა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ვის უნდა **მიმითხოვო** ჩემი ქალმა?“ (მზის დაბ.).

უსულო საგნის აღმნიშვნელი ფუძე გამოყენებულია სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელებთან: „აწი მომე ჴელი და

ნემიტანე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ეტყოდი სოფიოსა განა თან არ **ნაგილებდა**“ (გან. ბიძ.); „განა გულით არ მინდოდა, მაგრამ რომ არ **ნამილო**, ვაი თუ წყლებმა განყინოსო“ (იქვე).

მოქმედებითი გვარის ზმნის III პირის მრავლობით რიცხვში უწყვეტლისა და მყოფადის კავშირებითის მწკრივებში, ასევე ვნებითი გვარის ზმნების წყვეტილის, II კავშირებითისა და II თურმეობითის და ზოგიერთი საშუალი გვარის ზმნის უწყვეტლისა და წყვეტილის III პირში ჯერ ისევ გამოიყენება **-ენ** სუფიქსი: „როცა თვალებსა მთხრიდენ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ასე გგონიათ როგორც დაგუჭლაპარაკებიან მაშინვე შეგუჭამდენ“ (იქვე); „გზაზედ რალაზედაც ნაკინკლავდენ“ (იქვე.); „შენი ხარები გახლდენ“ (იქვე); „ჩვენები ქვე ნემოვიდენ ლამეო“ (გან. ბიძ.); „აი მტლეთ დაედვენ მაგას ჩემი ოთხივე ცოლები“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ისე მოიქეც რომ არაფერს მიგვიხვდენ ჩემი ცოლები“ (იქვე).

ე- პრეფიქსიანი ვნებითები კვლავ გამოვლინდება იქ, სადაც დღეს უკვე **-დ** სუფიქსიანებია გავრცელებული: „რავა **გამეხარებოდა**“ (მზის დაბ.); „რავა **გამეხარა**“ (იქვე).

დინამიკური ვნებითი გვარის ზმნის II კავშირებითის მრავლობით რიცხვში მწკრივის ნიშნად **ო** გვაქვს, ნაცვლად **ე-**სი: „ყველანი უნდა **დავიხოცნოთო**“ (მზის დაბ.); „ხალხი უნდა **დაიხოცნონო**“ (იქვე); შდრ.: „ვაი თუ ჩუშნც **დავიხოცნეთ**“ (იქვე).

ერთპირიან ვნებითებთან I თურმეობითში სახელადი ნაწილი და მეშველი ზმნა გათიშულადაა წარმოდგენილი, ამასთან, I სუბიექტური პირის ნიშანი ორივე მათგანშია ასახული: „რალა რისთვნ **გავრჯილ ვარ ვაჟო**“ (მზის დაბ.).

ვ პირის ნიშანი ორმაგადაა გამოხატული II თურმეობითის ფორმაშიც: „ის უნდა შემერთო ცოლათა და **გავპარულვყავით**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

არის შემთხვევა, როდესაც **ვ** პირის ნიშანი მხოლოდ მეშველ ზმნაშია ასახული: „მე მინდა ჩამამხტარვიყავ ბიძაჩემთან“ (გან. ბიძ.).

ორპირიანი დინამიკური ვნებითი გვარის ზმნა ერთ-პირიანის ანალოგიურად არის ნაუღლები | თურმეობითში: „წინათვე **გავტეხილვარ** მე იმას ამ ჩუჭნს საქმესა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

სტატიკური ზმნები ანმეოს მწკრივში გამოავლენენ **-ან** დაბოლოებას: „ეგრე გირჩევიან“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მე პური მშიან“ (გან. ბიძ.).

ზოგჯერ **ნ** თანხმოვანი შენარჩუნებულია მრავლობითობის აღმნიშვნელი **თ** სუფიქსის წინაც: „სახელი ოთხი ჰქვიანთ შენი ჭიიმე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „შეგიძლიანთ თქვენ პირის პირ მოილაპარაკოთ“ (გან. ბიძ.); „ჩემი სახლობაც ასეთი ეშინიანთ“ (მზის დაბ.). „**უჩანს**“ საშუალი გვარის ზმნა უწყვეტელში შეკუმშულია: „ასეთი მოსავლის პირი **უჩნდა**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.). „**ნებავს**“ ზმნა | თურმეობითში „**უნებნია**“ ფორმითაა გამოყენებული: „როგორც მეფეს **უნებნია**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

საინტერესო ზმნურ ფორმათაგან აღნიშვნის ღირსია აგრეთვე შემდეგი: „**მოტყუება**“ ზმნასთან ნახმარია ინტენსივობის **და** ზმნისწინი: „ყველანი როგორ **დაატყუა**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

არის შემთხვევები, როდესაც ზმნასთან სხვა ზმნისწინია გამოყენებული: „სანამ აქ მოვიყვანდე კისერში ცემით სიცოცხლეს **დავამწარებ**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „აგი ჩემი სვიმონ **მოვარჩინო** ცოლებსა თორემ მომიკვლენ“ (იქვე); „ხმას არ **მოსცემს**“ (იქვე); „ოცი კაცი რო იყოს ყველამ უნდა **გაიხვედროს**, ან შეგხუდება ერთი ლუკმა და ან ისიც არა“ (ანუ, შეიხვედროსო) (მზის დაბ.); „ქალაღდს **მოსცემს** მოურავსა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

სამპირიან ზმნაში პირდაპირ ობიექტად | პირია, რაც იშ-

ვიათი შემთხვევაა: „აქ იმისთვის მამიყვანე რომ შენს გასაწყვეტს ცოლებს **მომაკვლევი**ნო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); ასეთ შემთხვევაში დღეს გამოიყენება: „მოაკვლევინო ჩემი თავი“. **„გიზამ“** ფორმას მყოფადში ცვლის **„გიქ“** ფორმა: „ჩეიგდე ენა მუცელშიდ თვარა მე ვიცი რასაც **გიქ**“ (იქვე); **„ვიზამ“** ფორმას – **„ვე-ნამ“**: „ახლა კი ისე **ვენამ** როგორც თქვენ გინდათ“ (გან. ბიძ.); „როგორც იმან მეტყვს ისე **ვენამ**“ (მზის დაბ.); „ამას უეჭველად **ვენამ**“ (ცოლ. დავ.). **„მომზადე“** ზმნას – **„ჰქენი“**: „კარგი ზაკუსკა **ჰქენი** ამისთვინა“ (გან. ბიძ.). **„რას შვრები“** ფორმას – **„რასაიქ“**: „**რასაიქ**, ჩემო ოსეფ, მაჯა რათა გაქუს ცხელი?“ (ხუმრ.-ვოდ.). **„ყავ“** ფუძეს – **„ყვან“**: „ერთი ცოლი **მყუანდა**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „კაპიტანიც თანა **ჰყვანდა**“ (ცოლ. დავ.). **„მსგავს“** ფუძეს კი – **„გვან“**: „ჩემი ქმრის ხმასა **გვანდა**“ (ცოლ. დავ.). **„ქნა“** ფორმა ენაცვლება **„გახდომა“** ფორმას: „შენი იმენიეზედ ნასლედნიციც იმათა **ჰქნამ**“ (მზის დაბ.); „შენ ამისი ცოლი **გქ-ნამ**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მერე **მქნა** იმისი ცოლი“ (იქვე). **„ქნილა“** ფორმაა გამოყენებული იქ, სადაც დღეს ვხმარობთ **იქნა** ფორმას: „მარეხ რა **ქნილა**?“ (მარეხი რა იქნაო) (იქვე). **„ცემის“** სემანტიკით გამოყენებულია **„დაზურგვა“**: „ის გლეხები მამგვარეთ ძალიან **დაზურგო**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.). **„დაასისხლიანეს“** ფორმის ნაცვლად გვაქვს **დაასისხლეს**: „მამასახლისო სად **დაასისხლეს** ერთმანეთი?“ (ქმ. ხუთ. ცოლ.). **„შეგვეხვენა“** ზმნის მნიშვნელობითაა **„დაგვეაჯა“**, როგორც გვექონდა ძველ ქართულში: „იმისი ნათესავი ესტატე ბურტყლაძე **დაგვეაჯა** იმისი დასჯის პატივებასა“ (იქვე). **„მასესხე“** ზმნას ცვლის **„მავალე“**: „თუმან ნახევარი **მავალე** ალა“ (მზის დაბ.). **„დაალევინე“** ზმნის შინაარსს გადმოსცემს **„ანაფე“** ზმნა: „აილე ემაგ საღვინით ღვინო **ანაფე** იორდანესა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ერთი მამასახლისსაც **ანაფე**“ (იქვე); ზოგჯერ ის **იყუდებს** ზმნის მნიშვნელობასაც შეიცავს: „**ინაფებს** საღვინეს“ (იქვე); „ი ტიალში რო ჩაასხამ ღვინოსა და **ინაფებ**“ (მზის დაბ.).

კომპოზიტი „პატივისცემა“ „ცემა“ ზმნას ანაცვლებს „აძლევს“, ან „ქნა“ ზმნები: „სხუა ცოლებსაც ისეთს პატივს აძლევდეს როგორც პირველსა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მე უნდა მელაპარაკო და პატივი მიქნა“ (იქვე). „მასხარად მიგდებს“ ფორმის ნაცვლად გამოყენებულია „მასხარად მშურება“: „ქა! დახე დახე ურცხუსა ამ დროული ადამიანი როგორ მასხარათ მშურება, რას იცინი შე ლირფო“ (მზის დაბ.). „ეძახის“ ზმნის მნიშვნელობითაა „ანვევს“: „სანამ სიყმარწვლე ანუჭვთ“ (იქვე).

ავტორის მეტყველებაში შეგვხვდა ასეთი გამოთქმა: „კბილებს იჭკრთილებს“ (გან. ბიძ.), რაც ნიშნავს კბილების კრაჭუნს. „გაცოფება“ ზმნა ეყრდნობა „ცოფიან“-ს და არა „ცოფ“-ს: „ულაყი ჩოჩრები გაცოფიანდებიან“ „თუ ღმერთი გაუწყრა და გაცოფიანდა“ (მზის დაბ.). „სტუმრად მიღების“ სემანტიკა აქვს „ისტუმრონ“ ზმნას: „ერთი კაცი ისტუმრონ სადილათა“ (იქვე). „არიქნა“ „არიქა“-ს მნიშვნელობითაა: „არიქნა ჩუჭნი ჭკუის საქმე გაჩნდა“ (იქვე).

წყვეტილის მწკრივში დადასტურდა -ვი დაბოლოება, რაც დღესაც არის გავრცელებული ზოგიერთ დიალექტში: „ერთი შვიდეულათ ჯარიმა გადამახდევინევი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.). ასეთი დაბოლოება გვაქვს იმ ზმნებთან, რომელთაც წყვეტილში მწკრივის ნიშნად -ე სუფიქსი მოუდით.

წყვეტილშივე -ველ ფუძე ენაცვლება -ვედ ფუძეს: „ეხლა შენთან იმისთვნ ჩამოველ“ (მზის დაბ.). „დაგვეაჯა“ ფორმა სამპირიანი გარდაუვალი ზმნის ნიმუშია: „მისი ნათესავი ესტატე ბურტყლაძე დაგვეაჯა იმისი დასჯის პატივებასა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.). „გათრევა“ წყვეტილში „თერ“ ძირს გვიჩვენებს: „გაეთერი მეთქი კარში“ (იქვე). „ვიგრძენი“ ფორმის ნაცვლად გვაქვს „ვიგრძნე“: „მაშინვე ვიგრძნე“ (იქვე).

საანალიზო პერიოდის პიესებში ხშირია აღწერითი წარმოება ორგანულის ნაცვლად, მაგ., „მოითმინე“ ფორმას ცვ-

ლის „**მოთმინება გასწიე**“: „შენ ცოტა **მოთმინება გასწიე**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.). „**გაგიჯავრდები**“ ფორმას – „**ჯავრობას დაგინყებ**“: „**განგებ ჯავრობას დაგინყებ** და შენ ნუ გენყინება“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

„**დამავალა**“ ფორმას – „**დავალება მიყო**“: „ჩემის შერთვით, ვითომ ბევრი **დავალება მიყო**“ (ცოლ. დავ.); ასევე – „**ვსადილობ**“ ფორმას – „**ზაკუსკასა ვიქ**“ (იქვე). „**ახსოვს**“ ფორმას – „**ხსოვნა იცის**“: „სოფიომ უფრო **ხსოვნა იცის** აბა იმასა ჰკითხე“ (გან. ბიძ.). „**ვფიქრობ**“ ზმნას – „**ფიქრს ვშვრები**“: „**ფიქრი ვშვრები** შენთვისა“ (სომეხი პერსონაჟი) (იქვე).

„**შეყოვნების**“ სემანტიკითაა „**დაყოყმება**“: „ჰო. დიახ. (**დაყოყმდება**).“ (იქვე); „ბიძაშენს ჩემზედ არა უთხრარა შენს გაზდასა თორემ (**დაყოყმდება**)“ (იქვე);

საწყისში აისახება თემის ნიშნისეული ვ თანხმოვანი, რომელიც დღეს დაკარგულია: „ასტყდება ქუხილი, ჭექვა და ელვა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

საანალიზო ტექსტებში მიმღეობური ფორმები ზოგჯერ სხვა მანარმოებლებით დასტურდება, მაგ., მოქმედებითი გვარის მიმღეობა **მცნობი** გვიჩვენებს ვარიანტულ ფორმას – **მცნაური**: „**მცნაური** ყოფილან ბიძაჩემისა“ (გან. ბიძ.).

ამავე გვარის მიმღეობა, რომელიც **მ-** პრეფიქსით იწარმოება, **მ-არ** (დისიმილაციით **მ-ალ**) კონფიქსით იხმარება: „იქ მჯდომთ **მკერვლებმა** შეატყეს“ (ხუმ.-ვოდ.); „რა **მკერვლის** შეგირდებმა ყოველი ესე ნახეს“ (იქვე).

შეგვხვდა **-ია** სუფიქსით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღეობა: „ვერა ხედამ ბაყაყი **ჭამია** ჭრანცუზსა როგორ გვატყუებდა“ (მზის დაბ.).

წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობასთან **-ილ**, ან **ნა-** აფიქსები გვაქვს იქ, სადაც დღეს **-ულ** სუფიქსი იხმა-

რება: „ჩემო გაფურჩვნილო ვარდო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „თორემ მერე როგორღა ნახავ **ნატირებსა**“ (მზის დაბ.).

საშუალო გვარის მიმღობას **მ-** პრეფიქსის ნაცვლად დაერთვის **მ-არ** (დისიმილაციით **მ-ალ**) კონფიქსი: „წელში **მჭერ-ალს** ყანწზედ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

შაქარყინული-ს მნიშვნელობითაა **ყინვარე**: „**ყინვარე** შაქარი“ (გან. ბიძ.).

მიმღობური ფორმა ზოგჯერ ზმნისწინს გამოივლენს იქ, სადაც დღეს, ჩვეულებრივ, არ დაირთავს: „იმისი გზის **შემაცქერალი**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ვითარების ზმნიზედა **ყოვლად** მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა მოცემული: „**ყოვლით** უმონყალო“ (იქვე).

სინტაქსური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ირიბი დამატება სახელობითში დგას, ნაცვლად მიცემითისა: „არიქა გაჩნდა შულავრულა და **სეირი** უცქირეთ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ყველა** და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **ზოგი** ხშირადაა მრავლობითის ფორმით გამოყენებული და შემასმენელსაც მრავლობითში შეიწყობენ: „მოჰყვებიან **ყველანი**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**ყველანი** ფეხზედ **აუდგებიან**“ (მზის დაბ.); „**დასხდებიან ყუჭლანი**“ (იქვე); „**ზოგნი** ერთმანერთს **ეფარებიან**, **ზოგნი** თუალებზედ ჳელს **იფარებენ**, **ზოგნი** სცენიდგან **გაიქცევიან** და **ზოგნი** შიშით **ბაბანებენ**“ (იქვე); „ქალები **ყველანი ითამაშებენ**“ (იქვე); „**ყველანი** ბალებსა და სადილებს **მიკეთებდნენ**“ (ცოლ. დავ.); „**ყველანი** დაგვცინებენ“ (იქვე).

რაოდენობით რიცხვით სახელთან საზღვრული მრავლობითშია: „**ოთხივ** იმისი **ცოლები**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**ოთხნი**

ვილაც **ქალნი** გახლავან“ (იქვე); „თავს შემოგეველონ ჩემი **ოთხ-ივ ცოლები**“ (იქვე); „შენს **ოთხს** ბაიყუმს **ცოლებს** მამსახურო“ (იქვე); „მხიარულად შემოჰყავს **ორივე ქალები**“ (ცოლ. დავ.).

ცალკე ხმარებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი ქვემდებარის ფუნქციით შეიძლება მრავლობით რიცხვში იდგეს და შემასმენელს მრავლობითში შეიწყობდეს: „**სამნივე დასხ-დებიან** ტახტზედ“ (იქვე); „**ორივენი გავლენ**“ (ცოლ. დავ.).

კრებითი სახელი „**ხალხი**“ მრავლობითშია და მსაზღვრელსაც მრავლობითში შეიწყობს: „**მაყურებელნი ხალხნი** სხუა და სხუა გუარისა“ (მზის დაბ.).

მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაც შემასმენელს ზოგჯერ მრავლობითში შეიწყობს: „**ხალხი** ერთათ **ყვირიან**“ (მზის დაბ.); „**მინდორზედ დადიან ხალხი**“ (იქვე).

ასეა კომპოზიციის შემთხვევაშიც: „**ცოლ-შვილი** ბანს **აძლევენ**“ (იქვე).

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საზღვრული სხვა ბრუნვაშია და მსაზღვრელი – სხვა ბრუნვაში:

საზღვრული სახელობითშია, მსაზღვრელი – წრფელობითში: „თავში **ნახევარ ტვინი** აღარ ექნება“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

საზღვრული ნათესაობითშია, მსაზღვრელი – წრფელობითში: „**ნახევარ ლიტრის** კაცი“ (ქმ. ხუთ. ცოლ.);

საზღვრული მოქმედებითშია, მსაზღვრელი – ნათესაობითში: „**ჩუჭნის ოქმით**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**ორის ჴელით**“ (იქვე); „**ცხარის ცრემლითა**“ (ხუმრ.-ვოდ.); „**მძიმის შრომით** და **სისხლით** ოფლით მოპოებული“ (იქვე); „**არის მორთული კარგის მებელითა** და **სურათებითა**“ (ცოლ. დავ.); „**ჩემის შერთვით,** ვითომ ბევრი დავალეზა მიყო“ (იქვე); „**თქვენ ჩემის ჴელიდგან** ვერ **წახვალთ**“ (გან. ბიძ.); „**დაღვრემილის სახით** გადმოხედავს“ (იქვე); „**როგორის სიყუარულით**“ (მზის დაბ.); „**იციინის მაღალის**

ხმითა“ (იქვე). ასეთი ფაქტები ისტორიულად ახასიათებს ქართულ ენას.

საზღვრული ვითარებითშია, მსაზღვრელი მიცემითში: „ერთს მანყულათ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „კომედია ორს მოქმედებად“ (ცოლ. დავ.).

საზღვრულიც თანთან მრავლობითშია და მსაზღვრელიც: „ემსგავსებიან ევროპიის განათლებულთ ხალხთა“ (მზის დაბ.); „ბახუსის ერთგულთ ყმათა ემატებათ ჩინება“ (ხუმრ.-ვოდ.);

დამოკიდებული წინადადების პირდაპირი დამატება თავის განსაზღვრებასთან ერთად, რომელიც მთავარი წინადადებისთვის ვითარების გარემოებაა, სახელობითში დგას, ნაცვლად მიცემითისა: „ისტე დაგარჩობ რავაც ნუნკი კატა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.);

ადგილის ზმნიზედები „უკან“, „ქვეშ“ და „ახლო“ თანდებულის ფუნქციით დაერთვის მიცემითის ფორმას და არა ნათესაობითისას: „რამტენსამე წელს უკან“ (გან. ბიძ.); „ყველას ასეთს შიშს ქვეშ გვაგდებს“ (იქვე); დაიროქებენ კარებს ახლო“ (ცოლ. დავ.).

სახელი უთვლად რაოდენობით რიცხვით სახელთან „მეტი“ შეწყობილია სახელობითის ფორმით, ნაცვლად თანდებულიანი მიცემითისა: „ნახევარ თუნგი მეტი მედინა“ (მზის დაბ.). „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირი გამოყენებულია „რომ“ კავშირის ფუნქციით: „ისკი არ იციან თუ მე ყველანი ჭირივით მეჯავრებიან“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „იმას კი აღარა ფიქროფ თუ შენ ეხლა ცოლიანი ხარ და შვილებმა გეყოლება“ (გან. ბიძ.); „ხომ არ უთხარი თუ შინა ვარ“ (იქვე); „ის კი არ იცის თუ მე უფრო მეჩქარება ამისი გაცლა“ (იქვე).

შედგენილი შემასმენლის სახელადი და ზმნური ნაწილები ხშირად შეურწყმელია: „მეორე მოქმედება გარდაკეთებული

არის რუსულიდგან“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ავათ მოსაკიდებელი არის“ (იქვე); „ყურებში თითებ დასაცობი საქმე არის“ (იქვე); „ეგ კარგი შემთხვევა არის“ (გან. ბიძ.); „აგერ პირველი საათი სრული არის“ (იქვე); „ქალისგან ვაჟთან ლაპარაკი განათლება არის“ (მზის დაბ.).

მიგებითი ნაწილაკი „თქო“ გამოყენებულია | პირის საუბარში: „ანი მე ხატს დოვპირდი ოღონც ჩემი ქმარი მაპოვიე მთქვა და მის დღეჩიდ ნეფსი არ ვიხმარო მთქუა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „შენამც გენაცვლება-მთქუა შენი მელანია“ (იქვე).

ამ პერიოდის ძეგლებში „და“ ნაწილაკი „რა“ თხოვნითი ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენება: „ნელა ვა! არ გატეხოთ და“ (გან. ბიძ.); „ჩემო სიდედროჯან და“ (იქვე); „რაები ლაპარაკობ ერთი სწორეთ გამაგებინე და“ (იქვე); „ერთი რაები ამბობ დოხტუროჯან გამაგებინე და“ (იქვე); „(გაოცნებით) ვა! რა შტუკი ერთი გამაგებინე და?“ (მზის დაბ.).

პიესებში ხშირია დიალექტური ლექსიკა: „მერე აგრეთი რა გაიგონე ვეჟო?“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „აგრე კიარა თქუწნი რისხუა არა მაქუს“ (იქვე); „ნეტავი არ გვეპრინებოდე“ (იქვე); „ზე შოუყენებ კონტოსტს“ (იქვე); „გადავარონიებ ქართლშიდ“ (იქვე); „დასხედით რავარც გერჩიოთ“ (იქვე); „მე რაერთიც უნდა დაგიძახო“ (იქვე); „ისტე შევჭირდი რომე შიმშილით ბლარი გადამინელდა“ (იქვე); „იქანა იმერეთი იყო და აქანა გურიაა“ (იქვე); „ქუჭც ჭირი მოგჭამა“ (იქვე); „ქვეც კი მეიგონე ჩემი სიყვარული“ (იქვე); „რავა დამაჩუმებ შო უბედურო“ (იქვე); ბლარი (ბავშვი) გედიბნა (დაიკარგა). „სად დაბნეულან უბედურები“ (იქვე); „ვორი ფოხალი“ (იქვე); „ისტე შევჭირდი“ (გამიჭირდა) (იქვე); „შიმშილით ბლარი გადამინელდა“ (ძალიან დასუსტდა, დამინელდა) (იქვე); „რამტელი წელი“ (იქვე); „სადანა იმალებოდი... სადანა წოუხვიდოდი შენი ბედის ამწერს“ (იქვე); „ვეჟო რა დაემართათ ამ იჯარაებსა“ (იქვე); „მას აქეთია ვზივარ“ (იქვე);

„რომელიც **რომა**“ (იქვე); „ერთი **ვინცლა**“ (იქვე); „მერე ვუბედური **საცლა** გადაჰკიდებია“ (იქვე); შდრ.: „გაიპარა **სადლაცა**“ (იქვე); „**ვინცლამ** ყმანვილი ქალი ბებერს კაცს მისცეს“ (გან. ბიძ.); სალიტერატურო ენაში „**ც**“ გამაძლიერებელი ნაწილაკი „**ლა**“ ნაწილაკის შემდეგაა. „აჰა დეიფიცე **რომე** საჩუქარს ქვე არ გამიტებს“ (იქვე); „ქვე **რაცალა** კია“ (იქვე); „მერე **ამტელი** ეთამაშება რომ გამოალვიძებს და ისიც თამაში დაუნყებს“ (იქვე); „**რამტელისამე** კვირით განშორება“ (იქვე); „რა **სნება** შემოედო ვუბედურს **რავა** ოხრავს“ (იქვე); „**ხსნორა** მოგეცა **ხსნორა** შენ მაგას ეუმბები“ (იქვე); „**თვარა** კანჭს ქვე მეიტებს“ (იქვე); „**კარი დოუკლეტია**“ (იქვე); „შიგნით ოთახში შევიდა **რილასთვინცა**“ (იქვე); „ვითომც მამაშენი **ვილასაც** ვაჭარს გაძლევდეს“ (მზის დაბ.); „ჩუწნმა ხუცესმა **ისტე** ვერ წეიკითხოს, **ისტე** ყოვლის ფრით ზდილია“ (იქვე); „დავშთენილ ვარ ან **ესრედ** უნუგეშოდ“ (იქვე); „იმისათვნ კი **მაგტელი** რათ მინდა“ (იქვე); „ჩუწნც ნოესავით **ნუნუას** მიუჯდეთ“ (იქვე) და სხვა მრავალი.

ლექსიკის ხმარებასთან დაკავშირებით შეინიშნება შემდეგი: „**თამაში**“ -ა ხმოვანს გვიჩვენებს: „მე უჩვენებ თამაშასა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მობძანდი და გარჩვენებ თამაშასა“ (იქვე); „ქმართან რო თამაშა მოუნდება“ (გან. ბიძ.); „აბა, ახლათამაშა“ (ცოლ. დავ.) „**თანხმოზა**“ კი ორ ა-ს დაირთავს: „მსურს თქუწნში იპოებოდეს **თანახმოზა**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.) „**სნორი**“ გვაქვს „**სნორე**“-ს ფორმით: „დიახ **სნორე** ხართ“ (გან. ბიძ.); „**მეზღვურის**“ მნიშვნელობითაა „**მეგემე**“: „ეხლა **მეგემე** აქ იყო გავისტუმრე“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მოდიან ლოტკით სვმონ სოფიო და **მეგემე** სიმღერით“ (იქვე) „**მემარნე**“ არის „**ღვინის შემომტანი**“: „მე არავისი **მემარნე** არ ვარ, ვინც ქვე უნდა გამეიტანოს“ (იქვე) „**სუფრის გაშლის**“ მნიშვნელობით იხმარება „**სუფრის დაგება**“: „გალუსტ მინაირ! **სუფრა დაგებულია** თუ არა“ (გან. ბიძ.);

დადასტურდა საინტერესო გამოთქმა, რომელიც დღეს ძალიან გავრცელებულია: „**ღმერთმა რომ არ გიცის, არ გეყურება**“ (იქვე). „**გაკეთებულის**“ მნიშვნელობა აქვს მიმღეობას „**ნაქმარი**“: „აცა შვილო შერა მიყავ თუ მე ეგ საქმე არ გამოვიკვლიო და **ნაქმარი** ვერ გიყო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

გამოვლინდა ხელოვნური მიმღეობური ფორმებიც: „**დაინახავს იმათ ნახვევს**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

პიესებში ხშირად გამოიყენება სიტყვა „**ბიაბრუობა**“, რაც ნიშნავს **უაზროს, უმიზნოს**: „**ეეე... გ რა ბიაბრუობაა**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

გვაქვს „**ლირფი**“, რაც უტიფარს, კადნიერს ნიშნავს: „**ქა!** დახე დახე ურცხუსა ამ დროული ადამიანი როგორ მასხარათ მშურება, რას იცინი შე **ლირფო**“ (მზის დაბ.); „**თუ ახლანდელი გომბიოები ლირფები არა ხართ**“ (იქვე).

ხალხის თავშეყრის ადგილია „**სალაყბო**“: „**ტარულასაც უთხარი რომ ქუჩაში დაიყვიროს ხალხი სალაყბოზედ მოგროვდეს**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.). „**შორეული ნათესავი**“ არის „**შორს ნათესავი**“: „**შორს ნათესავი ამისი ჩინოვნიკი მანუჩარ სტეფანიჩი**“ (გან. ბიძ.); „**ერთი ვილაც შორს ნათესავი ჰყავს**“ (იქვე). „**ყოყმანი**“ ფორმას ენაცვლება „**ყოყმობა**“: „**(ყოყმობით.) მე, ეეე....**“ (გან. ბიძ.). „**ნამდვილად**“ ზმნიზედა მოცემულია ფუძის სახით: „**ნამდვილ თქვენ შეგირთავთ**“ (გან. ბიძ.).

გვხვდება ისეთი გამოთქმებიც, რომლებიც დღესაცაა გავრცელებული: „**ნუ გამხდი მტრის გულისად**“ (ხუმრ.-ვოდ.).

ტექსტებში იხმარება კახურ მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული **ქა** ნაწილაკი: „**ქა!** დახე დახე ურცხუსა ამ დროული ადამიანი როგორ მასხარათ მშურება, რას იცინი შე **ლირფო**“ (იქვე); „**ქა** მეხი თქუჴნც დაგეცათ და თქუჴნი განათლებაცა“ (იქვე); „**ქა** განა მართალია“ (იქვე).

ღვთის სამადლობელი ასე გამოითქმის: „ღმერთო მადლობა შენთვნა“ (მზის დაბ.); „დიდება შენთვნ ღმერთო“ (იქვე).

რამდენადაც ტექსტები ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზეა აგებული, ჩვენთვის საინტერესო იყო, როგორ მიმართავდნენ პერსონაჟები ერთმანეთს ალერსისა და განყრომის დროს:

ალერსის დროს: „ჩემო სააქაოს ცხოვრებავ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ჩემო სულის კრავებო“ (იქვე); „ჩემო სწრაფო მიმინოვ! ჩემო ნოეს მტრედო!“ (იქვე); „ჩემი ოჯახის მასურნელებელი ყვავილო“ (იქვე); „ჩემო გაფურჩენილო ვარდო“ (ამას ქალი ეუბნება კაცს) (იქვე);

განყრომის დროს: „შე ბეხო კამეჩო“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „შელორო ღორო, ნახევარ ლიტრის კაცი ლიტრის კაცს მაგას უნდა მეუბნებოდე, მერე გუშინდელი ღლაპი“ (იქვე); „ჩემო სულის ყვავებო“ (იქვე); „ღუთისა და ბატონის ქარ ცეცხლი თქუჭნა, ხმის წყვეტა. ჩავარდი ცეცხლში“ (იქვე); „მეხიკი დაგეცა მაგ ღომი ჭამია თავზედა“ (იქვე); „იქით დეიკარგე შე მჭადის ნატრულო თვარა ზე შემოგაფხრენ მაგ ლეჩაქს“ (იქვე); „წედი თქუჭნებური ჩალა კრიფე ისტე შიშველი ფეხებით“ (იქვე); „შე ღვლიპო შე ლაფჩინის ნატრულო“ (იქვე); „უმზირე უმზირე ნაჭენავ ხვრებია ქართველს რავა არ ჩუმდება“ (იქვე); „თხლე ჭამია ქართველო“ (იქვე); „(იქით) არა მარა (გეურქას) ბას კარგი, აღარც მე დაგპატიჟებ არტალაზედ“ (მზის დაბ.).

ლექსიკური მხარე ერთ-ერთი საინტერესო უბანია ისეთი ტექსტების შემთხვევაში, რომლებიც აგებულია ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე. ასეთ მასალას განეკუთვნება სწორედ ეპისტოლური და დრამატურგიული ჟანრები. ამიტომ ჩვენს აკადემიურ გამოცემებში („XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობისა“ და „ვოდველის“ შემთხვევებში) ერთ-ერთ მთავარ საგამომცემლო პრინციპად

თავიდანვე განვსაზღვრეთ ლექსიკონის დართვა სამეცნიერო აპარატის ნაწილში, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეეძინოდა ტექსტების შექმნის პერიოდში გავრცელებულ ლექსიკურ მასალაზე, რომელიც თანაბრად მოიცავს როგორც სალიტერატურო ფორმებს, ისე დიალექტიზმებს, ბარბარიზმებს, იდიომატურ გამოთქმებსა და ა. შ., რაც საინტერესო წყაროს წარმოადგენს ენის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარებისთვის.

ცნობილია, რომ ენის ლექსიკური დონე გაცილებით დრეკადი სფეროა უცხო ელემენტების შეღწევადობის თვალსაზრისით, ვიდრე ენის სხვა დონეები: ფონეტიკურ-ფონოლოგიური, მორფოლოგიური, თუ სინტაქსური. ორი სხვადასხვა ენის მატარებელთა კულტურული კავშირებიც კი საკმარისი ხდება ხოლმე ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოშობისთვის. ახალი ლექსემების გაჩენა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ, თუ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში მომხდარ ცვლილებებთან.

ამ კონტექსტში უდავოდ ყურადსაღებია XIX საუკუნის ვითარება, როდესაც ყველა მიმართულებით – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ საგანმანათლებლო – მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა: ქვეყანაში გაუქმდა მონარქია, საქართველომ დაკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა და იქცა მეფის რუსეთის კოლონიად; ქართველები სხვა – მოცემულ შემთხვევაში რუსული – კულტურისა და მენტალური სისტემის მქონე ადამიანებთან ერთად აღმოჩნდნენ საერთო პოლიტიკურ სივრცეში, სადაც ყველაფერი ექვემდებარებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს.

თანდათან იცვლებოდა ქართველი ადამიანის აზროვნების წესი, რაც საკმაოდ მტკივნეული პროცესი იყო. ეს

უფრო ფართო და, ამასთან, სხვა მსჯელობის საგანია და ამიტომ აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ საქართველოში შექმნილმა სიტუაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ენის ლექსიკურ მხარეზე.

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში გაჩნდნენ ბილინგვები. ჩვენი რომანტიკოსი პოეტები – ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აგრეთვე იმ დროს მოღვაწე სხვა მნიშვნელოვანი ფიგურები ბილინგვები იყვნენ. ინფორმაცია მათი ბილინგვური თავისებურებების შესახებ მათმა პირადმა წერილებმა შემოგვინახა, სადაც უხვად არის კოდის გადართვის მაგალითები.¹⁹⁶

რუსიციზმები – ეს ერთი მხარეა XIX საუკუნის ენაში ასახული ლექსიკური ცვლილებისა. მეორე საყურადღებო მხარე არის არმენიზმები. მართალია, თავისი შეზღუდული მასშტაბებით, გავრცელების არეალით, პოლიტიკური კონტექსტითა თუ საფრთხით მას ვერ დავაყენებთ რუსული ენობრივი გავლენის სიბრტყეზე, მაგრამ ის, როგორც ენობრივი ფაქტი, არსებობდა და ისიც ცალკე უნდა იქნეს დახასიათებული.

რუსიციზმები და არმენიზმები ბარბარიზმების სფეროს განეკუთვნება, რომლითაც მახინჯდებოდა და იბლაღებოდა ქართული სასაუბრო მეტყველება.

პიესებში ორივე მოვლენა, ძირითადად, ბილინგვთა მეტყველებაში გვხვდება: რუსიციზმები – ქართველი ბილინგვების, რომელთათვისაც რუსული მეორე ენაა, ხოლო არმენიზმ-

196 ამ თემის ირგვლივ მკითხველს შეუძლია ნახოს ჩვენი სტატიები, სადაც პირველად გაშუქდა და შეფასდა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ბილინგვიზმი (იხ.: ქ. გიგაშვილი, პირად წერილებში გაცხადებული ბილინგვიზმი (ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მაგალითზე), II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“, მოხსენებათა თეზისები, 25-30 ივნისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., გვ.: 121-124; ქ. გიგაშვილი, კოდის გადართვის მახასიათებლები გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების მიხედვით, საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“, ქუთაისი, გვ.: 10-15).

ბი – სომეხი ბილინგვების მეტყველებაში, რომელთათვისაც სომხური მშობლიური ენაა. თუმცა ზოგჯერ ცალკეული რუსული სიტყვები, ან გაბმული ფრაზები მონოლინგვის საუბარშიცაა გარეული. ამ შემთხვევაში ის იმ ეპოქაში შექმნილი სიტუაციის უკეთ წარმოჩენასა და კომიზმის შექმნას ემსახურება.

რუსიციზმების ხმარების მაგალითები ზურაბ ანტონოვის პიესაში „მზის დაბნელება საქართველოში“: „თუ მე ეს პირობა **ატკაზი** ვქნა“; „მაშინ ღმერთი გამინყრეს და ყოველი ჩემი **იმენია** თუ ფულები, სულ **პრიკაზი** მივცე **შტრაფათა**“; „მეფე დედოფალს დასხმენ **კრესლებზედა**“ და სხვა მრავალი.

რუსიციზმებიც და არმენიზმებიც სრულადაა წარმოდგენილი ჩვენი ტომისთვის დართულ ლექსიკონში. რამდენადაც უცხო წარმოშობის სიტყვები პერსონაჟთა მეტყველებაში ხშირად დამახინჯებულია, ტექსტურ მონაცემს ლექსიკონში ახლავს სწორი ფორმა ორიგინალურ ენაზე, რომელიც კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული. რადგანაც მკითხველი ტექსტებში გამოყენებულ უცხო სიტყვებზე ლექსიკონის დახმარებით სრულ ინფორმაციას მიიღებს, მათზე წინამდებარე სტატიაში სპეციალურად აღარ შევჩერდებით. მხოლოდ დავასახელებთ პიესებში დადასტურებულ რუსიციზმებს:

კრესლა, კუხნა, პარტრეტი, სტოლი, მებელი, ზაკუსკა, კამპანიონკა, ზონტიკი, სლაბიტელი, ზალა, პროსტათ, რაზორიადი, მუჟიკი, ნემეცი, ჭრანცუზი, პოდრუჩკი, ვოენური, მინუტი, ვოენი, დავაი, შაფანცკუ, ბუთლიკა, პრინესი, კუსოკ ხლება, ტრუბა, რაზბონიკები, ფართუკი, მაროჟინი, სალფეთი, ურა, სამოვარი, კიპიტი, იმენიე, ნასლედნიკი, შტუკი, კამედიანჩიკი, კრავატი, პრაპორშჩიკი, სეკრეტარი, ზაკონი, ხასედატლათა, შტრაფი, აზბუკა, პოდსუდი, ატკაზი, სუდი, ჩოთქი, ტიტულიარნის სოვეტნიკი, ბუმაჟნიკი, სტაკანი, ბუთლიკი, ოტკა, კაპლი, შკაფი, გრაფინკა, ბრატეც, კანვერტი, შლიაპა, აბიდა,

ზონტიკი, ჩორტიოზნაიტი, პროსტო სკანდალ, პოჟოლუისტა, რადი ხრისტა, ბოჟე მოი, გოსპოდინი, იზვოშჩიკი, ვიტანციეთ, ვიტანციობდით, ვგულაობდით და სხვ.

არმენიზმების მაგალითები ზურაბ ანტონოვის პიესიდან „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“: „მერე ჩემი სიდედრი რო თქო დანერეო მაშ არ დავნერო, (ოხრამს.) ოხ.. ოხ.. ოხ.... ეს... **ინჩ კრაკი მეჯ ნენგავ**, ვაი ჩემი ნათესავი მანუა **ინჩ** ყოჩალ **ტყაე**, ჩემი დოვლათმა რა კარგათ მოიხმარებდა, (დაფიქრდება და მერე გაჯავრებით.) ვა! კიდენ ჭკუა წამივიდა თავიდან, ტო ჩემი ნაქნარი დოვლათი მე ვჭამო, **კანც** სხვას უჭამია.“

სომეხთა ქართული მეტყველება მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სინტაქსური მხარე. შევეცადეთ, აღგვეჩვენოთ ეს მახასიათებლები და გარკვეული კლასიფიკაციით წარმოგვედგინა:

1. ქვემდებარე გარდამავალი ზმნა-შემასმენლის I სერიის მწკრივებთან მოთხრობითი დგას, ნაცვლად სახელობითისა: „როგორც **იმან მეტყვს** ისე ვქნამ“ (მზის დაბ.);
2. II სერიის მწკრივებთან კი – სახელობითში, ნაცვლად მოთხრობითისა: „ვინ იცის თუ ჩემი **სიძე** თქვენთვის რა ფეშქაშები **ჰქნას**“ (გან. ბიძ.); „ჩემი **ნათესავი** არ **შეიტყოს** ჩემი ქორწილი“ (იქვე); „შენი მდგმური **აფიცარი** არა **თქო**“ (მზის დაბ.); შდრ.: „იმისი **გაშორებამ** კი ძალიან **შემანუხა**“ (გან. ბიძ.); „ახ! ნეტავი ჩემი **სიძემ** პირში არ **გამამტყუნოს**“ (იქვე); „მე **იმან** უნდა **დამამწყვდიოს**“ (იქვე); „აი რუსულმა **ძალმა** შეგჭამოს შენა“ (იქვე); „ჩემი **ნათესავმა** ყველა **მიოხრა**“ (იქვე); შდრ.: „აი შავი **ჭირმა** **ჭამოს** შენისთანა რძალი“ (მზის დაბ.);

მოვლენა სომხურის გავლენით აიხსნება: ქვემდებარე სომხურში მხოლოდ სახელობით ბრუნვაში შეიძლება

იდგეს. სახელობითის ძირითადი ფუნქცია სწორედ ქვე-
მდებარის გამოხატვაა.¹⁹⁷

3. III სერიის მწკრივებთან – ან სახელობითში, ან მოთხ-
რობითში, ნაცვლად მიცემითისა: „აზნაური სვიმონ **ბეგი**
ჩემთვის **უქნია**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „**იმან** თქვენთინ არა
დაუშავებიარა სიკეთის მეტი“ (გან. ბიძ.); „ეგ შენი ბოდ-
ვა რო **გეეგო** ვინც მე ვიცი **იმანა**, იცი რა მამივიდოდა“
(იქვე); „**ტერტრამც ნაულია** თავისი კოლოპურტში შენი
შამშიმეზიანი ხავერდის ქათიბმა“ (მზის დაბ.);
4. ქვემდებარე გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან მოთხ-
რობით ბრუნვაში დგას, ნაცვლად სახელობითისა
(განურჩევლად სერიისა და მწკრივისა): „ჩემი სიდედრუ-
ამ წორეთ ჭკვიანი **დედაკაცმა, მოვიდა**“ (გან. ბიძ.); „მა-
გოდენი **ფულებმა გაქუს**“ (იქვე); „ქუთაისში მდიდარი
ურიას ჩემი რვაასი თუმანი რო ემართა **იმან გაკუტრე-
ბულა**“ (იქვე); „**მზემ** უნდა **დაბნელდესო**“ (მზის დაბ.);
„**ნარყუნამ** უნდა **მოვიდესო**“ (იქვე);
5. გარდამავალი ზმნა-შემასმენლის I სერიის მწკრივებთან
პირდაპირი დამატება ხან სახელობითშია, ხან მოთხ-
რობითში, ნაცვლად მიცემითისა: „განა **ბურნუთი სნევ**
შენა“ (გან. ბიძ.); „ჩემი ნათესავი დაღალულია ეხლა
ზაკუსკა სჭამს“ (იქვე); „ვინ **რამე ამბობს**“ (იქვე); „შენი
სიცოცხლე შენი ნათესავისთვის რათ **აჭლექებდი**“ (იქვე);
„აგრე უპატიურათ რათ **იკლამ თავი**“ (იქვე); „ჰამ დოხ-
ტური ნახე ისიც ჯანის **კაპლი** რამე **მოგცემსო**“ (იქვე);
„სულ მჟავე **რამეები თხოულობს** საჭმელათა“ (იქვე);
„**თავი** რათ **მიხეთქამ**“ (მზის დაბ.); „**გაზეთი კითხუ-
ლობდენ** ბაზარში“ (იქვე); „ისინი სტყუიან, თუ თქვენ
შვრებით ოინები“ (ცოლ. დავ.); „მე ის **კაპიტანი ვიცნობ**“

197 ი. შილაკაძე, ახალი სომხური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1971, გვ. 122.

(იქვე); „რა ძრიელ **ფიქრმა ვშვრებოდი**“ (გან. ბიძ.); „ჩემი **დოვლათმა** რა კარგათ **მოიხმარებდა**“ (იქვე); პირდაპირი დამატება, რომელიც სომხურში პიროვნების აღმნიშვნელი სახელითაა გამოხატული და განსაზღვრულია (მსაზღვრელით, ნაწევრით), ნათესაობით-მიცემით დაისმის, თუ განუსაზღვრელად (ე. ი. მსაზღვრელი სიტყვის, ან ნაწევრის გარეშე) არის აღებული – სახელობითში; ასევე სახელობითში დგას საგნის აღმნიშვნელი სიტყვა პირდაპირი დამატების ფუნქციით.¹⁹⁸

6. მოთხრობითშია პირდაპირი დამატება II სერიის მწკრივებთან, ნაცვლად სახელობითისა: „ჩემი ნათესავისთვის არ **გაუშვი** ჩემი **დოვლათმა**“ (გან. ბიძ.); „უნდა **წიგნმა დაწერო** ჩემი ნათესავთანა“ (იქვე); „**აუროო** ეგება **ლაპარაკმა**“ (იქვე); „**ღმერთმა დაგწყევლოთ** შენცა და **იმანაცა**“ (იქვე); „იმისი ჩუმათ **დავინერე ჯვარმა**“ (იქვე); „**სიღედრმა** სულ შენ **გადამირიე**“ (იქვე); „ვის უნდა **მიმოთხოვო** ჩემი **ქალმა?**“ (მზის დაბ.); „**პანციონში** გაზდილი **ქალმა** ვაჭარი გინდა **მისცე?**“ (იქვე); „**ტო** გადით **შავებმა გამოიცვალეთ** და **სახლიც მოამზადეთ**“ (იქვე); (აქ ერთმანეთის გვერდით სწორი და არასწორი ფორმებია გამოყენებული); შდრ: „**იმენიე** თავისი საჯელზედ არ **აქნევიოს**“ (გან. ბიძ.);
7. მოთხრობითში დგას პირდაპირი დამატება III სერიის მწკრივებთანაც: „**ფულებმა მოგიგია** დაჯე ჭამე რიგინათ ეგ ოხერი“ (გან. ბიძ.); „ქმრის **სახემ** არ **მინახამს**“ (მზის დაბ.); „**ტერტერამც ნაუღია** თავისი კოლოპურტში შენი შამშიმებანი ხავერდის **ქათიბმა**“ (იქვე); შდრ.: „**რაები გიბოდამს** დოხტურთანა“ (გან. ბიძ.);
8. გარდამავალ თუ გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან ირი-

198 იქვე, გვ. 130.

ბი დამატება ხან სახელობით ბრუნვაშია შეწყობილი, ხან მოთხრობითში, ნაცვლად მიცემითისა: „შენი **ცოლი** შვილი ვაყოლეფო“ (გან. ბიძ.); „მშვიდობა შენი **მოძახნება** სოფიოჯან“ (იქვე); „ერთი ჩემი **ნათესავი** გავიცლი“ (იქვე); „სხვა **ნიგნი** მივადევნებ“ (იქვე); „იმისი **ქმარი** ეძინება ხომე“ (იქვე); „**საწყალი** ძრიელ უხარიან“ (იქვე); „აი უნინამ დღე **დაგელიოს** შენცა და მაგ შენი **ქალიცა**“ (მზის დაბ.); „სახელმა შენც გაგინყდეს და შენი **ქალმაცა**“ (იქვე); „ბევრი **კაცი უჭირამს** იმაზედ თვალი, სად არის?“ (ცოლ. დაგ.); „იქნება შავთვალა **რემსიმე სძინავს?**“ (იქვე); „განა **კეკელამაც** ესე უნდა **უყო?**“ (ცოლ. დაგ.); შდრ.: „ფესაჯან! რატომ არ **მიესალმები** შენი **სოფიოსა**“ (გან. ბიძ.); „მაშინვე კი უნდა **ყელს** მოვეხვიო“ (იქვე); „თქვენი **თხოვნას** დასდო პატივი“ (იქვე);

ირიბი დამატება სომხურში ყველა სახის დამატებაა: ისიც, რაც ქართულში ირიბი დამატებაა და ისიც, რაც უბრალო დამატებაა, მაგრამ ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებიან როგორც ბრუნვის, ისე მნიშვნელობის მიხედვით:

შილაკაძის განმარტებით, ირიბი დამატება, რომელსაც ეძლევა, ან მიემართება რალაცა, დგას ნათ-მიცემითში; დამატებას, რომელიც გვიჩვენებს საიდან მომდინარეობს, სად იწყება მოქმედება, ეწოდება დაცილების ირიბი დამატება და დაისმის უთანდებულო დანყებითში; დამატება, რომელიც გვიჩვენებს, თუ რით, რა საშუალებით, რა იარაღებით სრულდება მოქმედება, ეწოდება საშუალების ირიბი დამატება და მოქმედებით ბრუნვაში დგას.¹⁹⁹

9. უბრალო დამატება სახელობითშია, როცა კონტექსტი

199 იქვე, გვ. 130.

მისგან მიცემითის ფორმას მოითხოვს: „ორი **არშინი** მეტი გადავხტები“ (გან. ბიძ.);

10. უბრალო დამატება სახელობითშია, ნაცვლად ნათესაობითისა: „ჩემი ქალი **ვაჭარი** მინდა მიმეცა მაგრამ რაღა ფაიდა“ (იქვე);
11. უბრალო დამატება სახელობითშია, როცა კონტექსტი მისგან ვითარებით ბრუნვას მოითხოვს: „ეგ ჩემი **ნასლენიკი** ვქნამ მეტი“ (გან. ბიძ.); „შენი იმენიზედ **ნასლენიკიც** იმათა ჰქნამ“ (მზის დაბ.); „შენ ამისი **ცოლი** გქნამ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.);
12. უბრალო დამატება მოთხრობითშია, როცა კონტექსტი მისგან ვითარებით ბრუნვას მოითხოვს: „თავისი იმენის **ნასლენიკმაც** ჩუღნა **გვენასო**“ (მზის დაბ.);
13. II კავშირებითის ნაცვლად გამოყენებულია მყოფადის მწკრივი: „სწორე **გითხრამ** ეს ჩემი სირცხვილია“ (ცოლ. დავ.);
14. საზღვრული მოთხრობითშია, მსაზღვრელი – სახელობითში: „ჩემი ნათესავისთვის არ გაუშვი ჩემი დოვლათ**მა**“ (გან. ბიძ.); ახ! ნეტავი ჩემი სიძემ პირში არ გამამტყუნოს“ (იქვე); „ჩემი სიდედრუამ წორეთ ჭკვიანი დედაკაც**მა**“ (იქვე); „ჯეელი სიძემ კი ვერ ვიშოვნე“ (იქვე); „იმისი გაშორებამ კი ძალიან შემანუხა“ (იქვე); „ჩემი დოვლათ**მა** რა კარგათ მოიხმარებდა“ (იქვე); „ჯეელი და ლამაზ**მა** ცოლ**მა** იშოვნა“ (აქ საზღვრული და მსაზღვრელი მოთხრობითშია, მაგრამ პირველი მსაზღვრელი სახელობითშია) (იქვე); „ჩემი იმენის ნასლენიკმაც შენ და ჩემი ქალ**მა** გაგხადეთ“ (მზის დაბ.); „ეს რა კუდიანი დრო**მ** გამხდარა“ (იქვე); შდრ.: „გუშინ ერთი ჩემი მეგობრის ნათესავ**მა** ქალებ**მა** ჩამოიარეს“ (გან. ბიძ.); „აი რუსულ**მა** ძაღლ**მა** შეგჭამოს შენა“ (იქვე); „ახლა ჩემი

ქალი ჯეელია“ (იქვე); „იმისმა ქმარმა ლეკებში დაკარგული იყო“ (მზის დაბ.);

15. საზღვრული მიცემითშია, მსაზღვრელი – სახელობითში: „შენი იმენიეზედ ნასლედნიკმა დარჩებაო“ (გან. ბიძ.); „ჩემი სიცოცხლეში ვერ გადავიხდი“ (იქვე); „ჩემი სიძეს მეც ველაპარაკებოდი“ (იქვე); „თქვენი თხოვნას დასდო პატივი“ (იქვე); „ჩემი სოფიკუას ცქერიდან თვალი არ მოაშორებს“ (იქვე); „ქუთაისში მდიდარი ურთიას ჩემი რვაასი თუმანი რო ემართა იმან გაკუტრებულა“ (იქვე); „ჩემი პური შხამი გახდეს შენი და იმისი მუცელში“ (იქვე); „ახლანდელი დროზედ ვლაპარაკობდით“ (მზის დაბ.); „გუჭლი ჩაგიდე მაგ ქოფაკი ყელში“ (იქვე); „ახლა ქალებო, უფალი კაპიტანთან, როგორი დრო გაატარეთ?“ (ცოლ. დავ.);

სახელობითში დაისმის სომხურში არსებითით გამოხატული მსაზღვრელი, მაგ., გმირი კაცი, ქვა გული, და რადგან მსაზღვრელი ჩვეულებრივ არ ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, ასევე რჩება ყველა ბრუნვაში: ნათესაობით-მიცემითში, ან დაწყებითში.²⁰⁰

16. საზღვრული მოქმედებითშია, მსაზღვრელი – ნათესაობითში: „აი შენის დაჩუმებით სადამდინ მიმახწვევინე“ (გან. ბიძ.);
17. საზღვრული ვითარებითშია, მსაზღვრელი – სახელობითში: „ტო ჩემი ჭირათ მოხვედი“ (გან. ბიძ.);
18. საზღვრული ნოდებითშია, მსაზღვრელი სახელობითში: „ერთი გნახო ჩემი თაიგულო“ (გან. ბიძ.); „ნუ ჯავრობ ჩემი სიდედრო!“ (იქვე);
19. საზღვრული სახელობითშია, მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელი ირიბი ბრუნვის

200 ი. შილაკაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

- ფუძეს გვიჩვენებს: „დახე დახე ურცხუსა **ამ დროული ადამიანი**“ (მზის დაბ.);
20. პრედიკატული განსაზღვრება მოთხრობითშია, ნაცვლად სახელობითისა: „გულ **დამწვარმა** რათ ლაპარაკობ“ (გან. ბიდ.);
21. შედგენილი შემასმენლის სახელადი სანილი მოთხრობითშია, ნაცვლად სახელობითისა: „შულავერის ქევხას **ქალმა** ვარ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „მე ქემხას **ქალმა** ვარ“ (იქვე); „შენ **მოსუცებულმა** ხარ“ (გან. ბიდ.); „**ბებერმა** ვარ“ (იქვე); „რალა ფიქრი უნდა უფრო **ლამაზმა** გახდებოდა“ (იქვე); „**ყმანვლმა** ხარ“ (მზის დაბ.); „**დანინშულმა** ვიყავ“ (იქვე); „შენ ჩემი ოჯახში **რძალმა** გახდი“ (იქვე);
- სომხურში შემასმენლისი სახელობით ბრუნვაში დაისმის, როდესაც ასეთად არსებითია გამოყენებული.²⁰¹ „**გეშინია**“ ზმნასთან უბრალო დამატება **გან** თანდებულს დაირთავს: „განა შენ შენი **ნათესავისაგან გეშინიან**“ (გან. ბიდ.);
22. კრებითი სახელი შემასმენელს მრავლობითში შეიწყობს: „**ხალხი** უნდა **დაიხოცნონო**“ (მზის დაბ.);
23. ასევე – რაოდენობითი რიცხვითი სახელი: „**ორივე** ჩემი დისწულები **დაკარგულან**“ (ცოლ. დავ.);
24. უსულო საგნისთვის განკუთვნილი ფუძე გამოყენებულია სულიერი საგნის აღმნიშვნელ საგანთან: „**ღმერთმანი** კარგი ცოლი **გაქვს**“ (ცოლ. დავ.); „შინა **გაქვთ** თქვენი **ცოლები**“ (იქვე); „მიჩვენეთ, რას მალამთ, მზეთუნახავები ხომ არ არიან? **შემოიტანეთ** ჩემთანა“ (იქვე); „რა უყავით თქვენი ცოლები, სად **დადეთ?**“ (იქვე).

²⁰¹ იქვე, გვ. 124.

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება გაბმული მეტყველება, სადაც სინტაქსური „გადაცდომები“ არ იძებნება: „იმან შარშან პური დამიკვეთა კალოზედ უნდა მოეცა, წინდან-ინ შემოეთუალა ტომრები გამამიგზავნე პურით ავამსეფ და შეგინახამო რომ ამოხვალ მოგიწყამო, მეც გავბრიყუდი და გაუგზავნე, თურმე ლალის ასალებათ ტომრები არა ჰქონოდა და იმისთვის არა სდომია, მერე პურისათჳნ რო ნავედი კიდენ ერთი წყვლი სათალი და ერთი კარგი ზურგიელი ნავილე და მივართვი, ბატონო ის თევზებიც შეჭამა, ტომრებიც სულ დაე-გლიჯა და აღარც პური მამცა, მეუბნება თუ წრეულ მოსავალი ნაკლებად მოგვვიდა და კულავ მოგცემო, ჯერ დღესაც ისევ გარბის არ ვიცი ავიღებ თუ არა, მაგრამ რას ავიღებ, მგლის ჳელში ბატკანი ჩავარდეს კიდენ გამაართმევს ვინმე.“

როგორც ჩანს, აქ ავტორს კალამი „გაექცა“ და დაავინყდა, რომ სომეხი პერსონაჟის მეტყველებას გადმოსცემდა.

მათ საუბარში ხშირია „ჯან“ კინობითობის მანარმოებელი მორფემა: „მიბძანე დოხტუროჯან“ (გან. ბიძ.); „ჩემო სიდედროჯან და!“ (იქვე).

ასეთი გამოყენებულია ასე-ს მნიშვნელობით: „ჩემი სიძეც ასეთი უყვარს“ (ნიშნავს: ასე უყვარს) (გან. ბიძ.); „უიმისოთ გული ასეთი მენვის თითქო ერთი ტაშტი ღველფი დაუყრიათ“ (იქვე); „ასეთი მიყვარს როგორც ფუტკარი თაფლი“ (იქვე).

II კავშირებითის ნაცვლად გამოყენებულია მყოფადის მწკრივი: „დერციკმა იშოვე და ყველა შესაკერი იმან ჳქნამს შენთვინა“ (ქმ. ხუთ. ცოლ.).

ვოდვეილების ტექსტებში საკმაოდ ხშირად იხმარება გამოთქმა „ემე ქნა“ დროის სხვადასხვა ფორმით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფრაზა შენიშნული გვაქვს კახურ დიალექტზე მოსაუბრეთა მეტყველებაში, როგორც დისკურსის მარკერი, რო-

მელსაც სემანტიკური მნიშვნელობა არა აქვს. განსაკუთრებით ხშირია მისი ჩართვა წინადადებაში, როდესაც მოსაუბრე აღელვებული, ან გაბრაზებულია.

ჩვენს პიესებშიც ის პერსონაჟის ემოციურ მონოლოგში დასტურდება. არასდროს არ გამოიყენება ავტორის მეტყველებაში. ძირითადად, იხმარება „საქმის“, „ამბის“ მნიშვნელობით, ზოგჯერ კი დისკურსის მარკერია, ისევე როგორც ეს კახურ მეტყველებაში გვაქვს შენიშნული:

ნიმუშები: „რაც რომ ჩემი სიძე თქვენთვის **ემე** არ უქნია, პატივი უცია“ (გან. ბიძ.); „მგონია ჯავრით სულ **ემე** ჰქნას, გადიროს“ (იქვე); „კინალამ **ემე** არა ვჰქენი“ (იქვე); „რა **ემეები** შვრები ბიჭო“ (იქვე); „ჯავრით გული **ემეს** მიშვრებოდა“ (იქვე); „ჩემი გულის **ემევ**, ვარდო“ (იქვე); „ერთი შენი ცქერით გული **ემე** ვქნა, გავახარო“ (იქვე); „ის **ემე** შენ ხომ იცი?“ „ის **ემე** ვა?“ „ასეთი **ემე** მიქნია“ „თქუწნი ის **ემე** არ არის, გურგენ კნიაზი“ „შენ კაი **ემისათუნ** პირი გაქს, ნასესხისათუნ, გენდობი მაგრამ რაზედ გინდა?“ „კნიაზ! მაგას **ემე**, ჭილე ეძახიან“ „იმ **ემეს** მალ მალ მიირთმევ ხომე რომ სახელი გცოდნია“ (მზის დაბ.).

იხმარება აგრეთვე „ტო“ ნაწილაკი, რომელიც დამახასიათებელია თბილისური მეტყველებისათვის: „ტო შავი დღე გამოგივლია“ (იქვე); „ტო ფულები ბევრი გაქუს“ (იქვე); „ტო ჩემი ნაქნარი დოვლათი მე ვჭამო“ (იქვე).

ოსი პერსონაჟის საუბარში გამოირჩევა შემდეგი სინტაქსური თავისებურებები:

1. ირიბი დამატება სახელობითშია, ნაცვლად მიცემითისა: „ცემი ოძახი ოცი **ურატი დაგპირდა**“ (ქმ. ხუთ. ცოლ.);
2. | პირის ნაცვლად ნახმარია || პირის ფორმა: „ქმარი მე **გინდა**, სენ ბოლო ცოლი ხარ“ (ქმ. ხუთ. ცოლ.); „ცოლი არა **გყავს** ზალ“ (იქვე); „მე **დაგპირდა**“ (იქვე); „ერთი ღამეს ცემთან **დაგეძინა** კაბიცასი მერე დილაზედ

გაგელვიძა ნახე ალა არის“ (უნდა იყოს: დამეძინა და გამეღვიძა) (იქვე); „გისონე ცემი ქმარი და მოგეცი, ერთი ქარძინა არა გაქ რონამო“ (უნდა იყოს მიშოვნე და მომეცი) (იქვე); „ვო ქეთევანა! მეც განა არ **გიყვარს**“ (იქვე); „ისე **გიყუარს** სიმონა როგორც თბილი ხაბიზგინა“ (ანუ მიყვარსო) (იქვე); „მე არ **მოხარსე** აზნაურის ცოლია“ (იქვე); „მე არც ხანაპური **გააკეთე** და არც ხაბიზგინა **გამოაცხე**, ჴელები **დაგენვის**“ (იქვე); „მე არც ცუყა **გააკეთე** და არც პანინი **მოქსოვე**, ჴელები **გეტკინება**“ (იქვე);

3. II პირის ნაცვლად – III პირის ფორმა: „**სენ** ვინ არის მეცემი ქმარი გინდა“ (იქვე);
4. ზოგჯერ პირიქითაა: III პირის ფორმის ნაცვლად გამოყენებულია II პირის ფორმა: „ცემი ოძახი ოცი ურატი **დაგპირდა**“ (უნდა იყოს **დაჰპირდა**) (იქვე);
5. ნყვეტილის ფორმები გამოყენებულია მომავალი დროის მნიშვნელობით: „მე არც ხანაპური **გააკეთე** და არც ხაბიზგინა **გამოაცხე**, ჴელები **დაგენვის**“ (იქვე);
6. მსაზღვრელ-საზღვრულის ნყვილში საზღვრული მოთხრობითშია, მსაზღვრელი – სახელობითში: „მიპოვნინე ჩემი ქმარ**მა**“ (იქვე); „ჩემი ქმარ**მა** ვეხვევოდი შენ რა დავა გაქვს“ (იქვე);
7. საზღვრული მიცემითშია, მსაზღვრელი – სახელობითში: „ჩემი გუარ**ში** დერციკმა არავინა ყოფილა და არც მე გავხდები“ (იქვე).

ამრიგად, მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ენობრივი თავისებურებები თითქმის საერთოა ჩვენი გამოცემის პირველ ტომში წარმოდგენილი ნაწარმოებებისთვის. მართალია, ზოგიერთი ენობრივი ფაქტი ამა თუ იმ ავტორთან მეტად გვხვდება, ან საერთოდ არ გვხვდება, მაგრამ ეს საერთო სურათს

არ ცვლის.

ბევრი საერთო აღმოჩნდა განსახილველი პიესებისა და ამ პერიოდში შექმნილ ქართველ მწერალთა პირადი წერილების ენას შორის. ეს სიახლოვე, გარდა მოღვაწეობის საერთო პერიოდისა, აიხსნება ეპისტოლური და დრამატურგიული ჟანრების თავისებურებით ენის გამოყენების კონტექსტში – მათი ენა ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზეა აგებული.

ორივე ჟანრის – ეპისტოლურისა და დრამატურგიულის – ენობრივი თავისებურებების დაწვრილებითი ანალიზი საინტერესო მასალას მოგვცემს XIX საუკუნის ქართული ენის განვითარების საერთო ტენდენციების გამოსაკვეთად, სალიტერატურო და სასაუბრო ენის ერთმანეთთან შედარების გზით.

საერთო ენობრივი მახასიათებლები, რაც შეინიშნება ამ პერიოდის პიესებში, არის:

1. ფონეტიკურ პროცესთა სიმრავლე;
2. ფორმათა სიჭრელე;

2. დიალექტიზმების, რუსიციზმებისა და არმენიზმების სიჭარბე. რუსიციზმებით გაჯერებულია XIX საუკუნეში შექმნილი პირადი წერილების ენაც. ამ პერიოდში მოღვაწე ჩვენი კალმოსნები, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და, აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით, ბილინგვები იყვნენ, რაც მათ ეპისტოლურ მემკვიდრეობაშიც აისახა. რაც შეეხება არმენიზმებს, ისინი პიესებში სომეხი პერსონაჟების მიერ გამოიყენება, რომლებიც ვაჭრებს განასახიერებენ. ცნობილია, რომ ვაჭართა კლასი, რომელიც ამ პერიოდში ყალიბდებოდა საქართველოში, ძირითადად, სწორედ სომხებისგან შედგებოდა;

3. არაერთგვაროვანი სურათი პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის კუთხით, რაც აიხსნება იმით, რომ ამ პერიოდში

შემუშავებული არ იყო პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის წესები და მათი გამოყენება, ერთი შეხედვით, ავტორთა გემოვნებაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ, თუ მკითხველი დაკვირვებით ნაიკითხავს მათ ნაწერებს, აღმოაჩენს, რომ არც ერთი ავტორი ბოლომდე არ მიჰყვება გარკვეულ წესებს. არანაირი ფორმულის გამოწერა არ შეიძლება თუნდაც ერთი ავტორის ერთი რომელიმე კონკრეტული პიესის მიხედვით. ამიტომაცაა, რომ ერთგვარი უწესრიგობა და სიჭრელე შეინიშნება მათ ნაწერებში. ჩვენ ბოლომდე შევინარჩუნეთ ავტორთა პუნქტუაცია და ორთოგრაფია, რათა ტექსტები მაქსიმალურად სანდო ყოფილიყო ენობრივად და დაეკმაყოფილებინა ამ კუთხით დაინტერესებული მკვლევარის ინტერესები;

4. ხშირ შემთხვევაში სინტაქსურად გაუმართავი ფრაზები, რაც დასტურდება არ მხოლოდ პერსონაჟთა, არამედ ავტორთა მეტყველებაშიც. ზოგჯერ ეს შედეგია რუსული სინტაქსის გავლენისა, ზოგჯერ კი, ავტორთა უყურადღებობისა. არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ ვოდევილებს ავტორები ხშირად ერთ დღეში წერდნენ, რომ მეორე დღეს სცენაზე წარმოდგინათ, ზოგჯერ ისინი მსახიობთა ბენეფისისთვისაც იწერებოდა; ვოდევილებს ქმნიდნენ უცნობი ავტორებიც და მსახიობებიც, რომლებსაც მწერლობასთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ.

სხვა ნიშნები, რომლებიც ყველა ნაწარმოებს თითქმის თანაბრად ახასიათებს, არის:

1. ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაყრუება;
2. ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტის შეცვლა; **-ავ** – **-ამ** თემის ნიშანთა მონაცვლეობა;
3. ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების ასახვა.

შევეცადეთ, ენობრივ მიმოხილვაში ყველა არსებითი ფაქტი აღგვენიშნა, რაც შეინიშნება მეორე ტომში წარმოდგე-

ნილ ტექსტებში, ამასთან, ფაქტობრივი მასალა ყველა ნაწარ-
მოებიდან დაგვემონებინა მეტი სიცხადისათვის.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე
ტომში შესული ტექსტები მეცნიერულად სანდოა და ენათ-
მეცნიერებს შეუძლიათ მათი გამოყენება უფრო სკრუპულო-
ზური ლინგვისტური ანალიზისთვის.

ლექსიკონი

აბიდა [რუს. ограда] – წყენა

აბრუ – სახელი, პატივი, ავტორიტეტი

აიპე – უიმე

ალიკაპი – „ხის ალვირი“ (საბა)

ამოხლანძვა – ამოშრობა, ამოხრინწვა (ყელისა)

ამტელი – ამდენი

ანიწან [სომხ. ანիბან] – წყეული

ანტენ – ანტი

ანწუხი – წვეტიანი სარი

აპელატი – ეპოლეთი [ფრანგ. épaulette მხარი] – სამს. რევ-
ოლუციამდ. ბოლომომრგვალებული სამხრე, შემკული
ვერცხლის, ან ოქროს ბუზმენტებით, ფოჩით და მისთ.
ოფიცრები ატარებდნენ ჩვეულებრივ პარადზე; სამხრე

არაჯ [სომხ. არაჯ] – ადრე

არიუ [სომხ. არიუნ, არიუნ] – სისხლი; ნაკადული

არიქნა – არიქა

ასელუ [სომხ. ასელუნ] – სათქმელი

ასტე – ასე

ასტვან [სომხ. ასტვან] – ღმერთი

ასტუნ კრაკ [სომხ. ასტუნ კრაკ] – ღვთის ცეცხლი

ატკაზი [რუს. отказ] – უარი

ახპერ [სომხ. აქაქერ] – ძმა

ახტუნ კრაკ [სომხ. აქტუნ კრაკ] – აქ: ღვთის რისხვა

ახჩიკ-პარუნი [სომხ. აქჩიქსერქი ყარუნ] – გოგოთა ბატონი,
უფროსი

ანე – ან, ახლა

აჯა – თხოვნა, ხვეწნა, მუდარა, ვედრება

ბან [სომხ. բան] – რამ; სიტყვა

ბანბა – ბამბა

ბას [სომხ. բաս] – აბა, მამ

ბებილო – ბებიკო

ბესაბი – უნდა იყოს ბესაბი (ტექსტში სიტყვა დამახინჯებულია) – 1. ღმერთგამწყრალი, უღვთო (ბესაბად ნუ მხდი – შეურაცხყოფას ნუ მაყენებ) 2. უსირცხვილო

ბეზირგანი [სპარ. bazargan „ვაჭარი“] – ძვ. დიდვაჭარი, სო-
ვდაგარი

ბერახუა – სიბერისაგან გამოყეყეჩებული, ბებრუცანა, ხნიერი

ბეტონი – ბატონი

ბეხი – სავარაუდოდ, ბებერი.

ბეჰაია – 1. სანყალი, საცოდავი, ოხერი; 2. უნამუსო

ბრიაბრუობა – იგივეა, რაც ბიაბრუობა – შერცხვენა, სახელის
გატეხა, შეურაცხყოფა

ბუთლიკა [რუს. бутылка] – ბოთლი

ბურნუთი – წვრილად დაფუქული და გაცრილი საყნოსი თამბაქო

ბლარი – კუთხ. (იმერ. ქართლ.) – ბალღი, ბავშვი

გადანელება – აქ: დასუსტება

გალახვა – ცემა

გამოსურმული – სურმით შეღებილი (**სურმა**) [სპარ. სურმე]
მოვერცხლისფრო თეთრი მყიფე ლითონი, რომელ-
საც იყენებენ ტექნიკაში (სასტამბო შრიფტების
ჩამოსასხმელად) და მედიცინაში; ძველად ხმარობდნენ
კოსმეტიკაში (წარბების, წამწამების შესაღებავად)

განწილვა – განაწილება

გაპლუტება – გაიძვერობა, მატყუარობა

გასაგისი – გვარეულობა, ჯიში, ჯილაგი, მოდგმა

გინი [სომხ. գինի] – ღვინო

გლუხსმი [სომხ. գլուխ] – ჩემი თავი

გოგო – აქ: მსახური

გომიჯი – უსაფუვრო და უმარილო მრგვალი პური, ნაღვერ-
დალში გამომცხვარი

გულაობა [რუს. гулять] – სეირნობა

დააჯება – ხვეწნა

დაბნევა – აქ: დაკარგვა (გედიბნა საცლა)

დადღლეძა – იგივეა, რაც დადღლეზა: დახევა, დაგლეჯა, დაფ-
ლეთა, დაფხრენა

დაზურგვა – ცემა

დალოშენა – კოცნა

დანივრული – ნივრიანი

დარკუეული (დარკვევისა) – დარჩეული, განმენდილი, გა-
სუფთავებული (ხორბლეული მანქანის საშუალებით
ბჟირისა, კილისა და მისთანათაგან)

დატყუება – მოტყუება

დაყოყმება – დაყოვნება

დერციკი – თერძი, უფრო ყარაჩოღული ჩოხა-ახალუხის მკერ-
ავი

დიფ [სომხ. դիփ] – სულ

დოვრანი – საუბ. იგივეა, რაც დორანი: ბედი, იღბალი

დოხტური [ლათ. doctor-დან რუს. саშ.] – მოძვ. საუბ. იგივეა,
რაც ექიმი

დროშკა [რუს. дрoжки] – ძვ. ღია, მსუბუქი ოთხთვალა ეტლი
დუთმა [სპარს. duTma] – ნესვი (დუთმა ნესვისა) ერთგვარი ჯი-
შის ნესვი, ყვითელი ფერისა, ხეშეში კანი იცის, ნაზი,
ტკბილი გემო აქვს.

დუს [სომხ. դու] – შენ

დუტკო – იგივეა, რაც **დუდკო** – ფრჩხილის ქვეშ ინფექციის
შეჭრით გამოწვეული თითის ანთება და დაჩირქება

ეგრეთი – ასეთი

ელი [სომხ. էլի] – რალა

ემე – განუსაზღვრელი ფუნქციის ზმნისართი

ენკი ჩეუ [სომხ. այն չէ ու] – ეს კი არა და

ენპეს [სომხ. այնպէս] – ამგვარად, ასე

ენ ქან [სომხ. այնքան] – იმდენი

ერკუ [სომხ. երկու] – ორი

ეს [სომხ. այս] – ეს

ესპესი [სომხ. այսպէս] – ამგვარი

ესტე – ასე

ესტი [სომხ. այստեղ] – აქ

ვალეზა – ვალად მიცემა, სესხება (მავალე)

ვონი [რუს. военный] – სამხედრო

ვონურად [რუს. военный] – მხედრულად

ვორი – ორი

ვოქმი – ოქმი

ვუი თე [სომხ. վույ թէ] – ვაი, რომ

ვუმფრო – უფრო

ვუნცის [სომხ. ունց ხս] – როგორა ხარ

ზაკუსკა [რუს. закуска] – საუზმე

ზალა [რუს. зал] – დარბაზი; აქ: დიდი ოთახი

ზარაფი – ძვ. საფასურით ფულის დამხურდავებელი

ზონტიკი [რუს. зонтик] – ქოლგა

თადარიკი – თადარიგი

თებზი – თევზი

თვინიერ – გარდა

თიფლიზეცი [სომხ. თիქიქიქეცი] – თბილისელი

თუმანი [სპარ. თუმან] – ათი მანეთი

იმ [სომხ. იმ] – ჩემი

იმენიე [რუს. имение] – მამული

იმტელი – იმდენი

ინჩ [სომხ. ინჯ] – რა

ინჩგუზის [სომხ. ინჯ კიუცუ] – რა [ჯანდაბა] გინდა

ინჩე [სომხ. ინჯ ე] – რა არის; რა ამბავია

ინჩის [სომხ. ინჯ ის] – რა არის; რა ამბავია

ინჩხაბარე [სომხ. այս ინჯ ხაբარე ე] – რა ამბავია

ინძელ [სომხ. იმ ბეჟ „ინ ძერ“] – ჩემი ხელი

ირეჟ [სომხ. ირ] – თავისი

ის [სომხ. ის] – მე

ისელ [სომხ. ის ე] – მე კი; მეც

ისტე – ისე

კაკარდიანი – იგივე კოკარდიანი (**კოკარდა** – [ფრანგ. cocarde რუს. ენის მეშვ.] – ლითონის ნიშანი ფორმის ქუდზე, ჩვეულებრივ მომრგვალო (ან მოგრძო))

კამედიანჩიკი [ბერძ. kōmōdia-დან რუს. ენის მეშვ. комедиант] – კომედიანტი

კამოდი (**კომოდი**) [ფრანგ. commode] – გამოსანეც-უჯრებიანი

დგამი (თეთრეულისა და საოჯახო ნივთების შესანახად)
კამპანია (კომპანია) [ფრან. compagnie რუს. ენის მეშვე.] – რამ-
დენიმე ადამიანი, რომლებიც ერთად ატარებენ დროს,
თანამესუფრენი

კამპანიონკა – აქ: თანმხლები

კანც [სომხ. կան] – ან, ანდა; აქ: რაღა

კაპლი [რუს. капли] – წვეთები

კარალული – კარალეთის

კასკასი – სიცილი, ხმამაღალი და თან წვრილხმიანი

კახეთუ [სომხ. Կախեթու] – კახეთის, კახური

კვანწვა – ქალების ცეკვაში მოხდენილი (ხელების, ტანის)
მოძრაობა (საბა). || კუთხ. (ქართლ. იმერ.) ხელების
ლამაზი შეთამაშება ცეკვის დროს; კეკლუცობა, კობ-
ტაობა

კვირიაკე – იგივეა, რაც კვირა

კვლავებრივ – კვლავ

კოლოპურტი [სომხ. կոլոպուրտ] – აქ: დასაკარგავი

კოჭატი – ნიჩბის ტარი

კრავატი [რუს. кровать] – სანოლი

კრაკ [სომხ. կրակ] – ცეცხლი

კრესლა [რუს. кресло] – სავარძელი

კუსოკ [რუს. кусок] – ნაჭერი, ნატეხი

კუხნა [რუს. кухня] – სამზარეულო

ლავ [სომხ. լավ] – კარგი

ლავიმ [სომხ. լավ եմ] – კარგად

ლაპუსტაცი – თავზეხელაღებული

ლაფრინო [თურქ. ლაფრინ] კუთხ. (იმერ.) – ერთგვარი წალა

ლექრი [რუს. лекарь] – ძვ. მკურნალი, ექიმი

ლილახანი – ლილა [სპარ. ნილ-იდან „ლურჯი საღებავი“] მინერალური ლურჯი საღებავი, იყენებენ თეთრეულის რეცხვისას (აგრეთვე რისამე შესაღებავად).

ლილის გაცვეთა – საუბ. განზრახვის შეუსრულებლობა, მიზნის მიუღწევლობა, განზილება

ლირფი – საუბ. თავხედი, ურცხვი, უტიფარი

ლოტკა [რუს. лодка] – ნავი

მაგტელი – მაგდენი

მაზა ძვ. [სპარ. მაზე „გემო“; „საჭმელი“] – სანუკვარი საჭმელი

მანტელია – **მანტილია** [ესპ. mantilla] – 1. მაქმანის მოსახვევი, რომლითაც ქალები იფარავენ თავსა და ზედატანს. 2. ქალის უსახელოებო მოკლე მოსასხამი

მანუკი [სომხ. մանուկ] – ბავშვი

მანყული – ძვ. 1. ფულის ერთეული, – კაპიკის ერთი მერვედი

მარტოკაობა – მარტოობა

მაშია – 1. ახ. ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი, უცხვირო (იხმარება ე. წ. „ბოსონოჟკის“ მნიშვნელობით). 2. ძვ. ქოშის მსგავსი ფეხსაცმელი

მე [სომხ. մի] – ერთი

მებელი [რუს. медель] – ავეჯი

მემარნე – ძვ. მარნის მცველი; მარნის გამგებელი

მეხარშე – აქ: მზარეული

მინალთუნი [თურქ. მინ „ათასი“, ალთუნ „ოქრო“] – ძვ. ერთი მანეთი

მინუტი [რუს. минута] – წუთი

მის [სომხ. միս] – ხორცი

მიქსტურა [ლათ. Mixtura ნარევი] – მედიც. თხევადი დასალევი წამალი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ნივთიერებათა ნარევს.

მოდნა – მოდა

მოთავითიშე – სავარაუდოდ, მოდავე

მტლედ დადება – წამლად, მალამოდ დადება

მუჟიკი [რუს. мужик] – 1. ძვ. გლეხი; 2. საუბ. და კუთხ. კაცი; 3. ლანძღ. ტეტია, გაგრია, გლეხუჭა, ხეპრე

მძოვრი – მძორი

მწვარი – შემწვარი

მხარშაობა – ხარშვა

ნაზლიანი – ნაზლის მქონე (**ნაზლი** – ენის ნაოფლი)

ნასლედნიკი [რუს. наследник] – მემკვიდრე

ნაფუზარი – იგივეა, რაც ნაფუძარი

ნემეცი [რუს. Немец] – გერმანელი

ნეფსი – ნემსი

ნუნუა – ღვინო

ორყაბაზი – ძვ. ეშმაკი, თვალთმაქცი

ოხერხიდა – ოხერი

პარტრეტი – **პორტრეტი** [ფრანგ. portrait] – სურათი

პატასსანი [სომხ. պատասխան] – პასუხი

პანიწი – იგივეა, რაც პაჭიჭი – უთათო წინდის ყელი

პეტერა – პატარა

პლანი [план რუს. მეშვ.] – გეგმა

პლუტი [რუს. плут] – ძვ. საუბ. გაქნილი, გაიძვერა, მატყუარა, უპატიოსნო (უმთავრესად წვრილმან საქმეებში)

პოდრუჩკი [რუს. под руку] – ხელკავი

პოვარი [რუს. повар] – მზარეული

პორუჩიკი [რუს. поручик] – პორუჩიკი

პროსტათ [რუს. просто] – უბრალოდ, მარტივად

რაერთიც – რამდენიც

რავარც – როგორც

რაზბონიკი [რუს. разбойник] – ყაჩაღი

რაზრიადი [რუს. разряд] – მწკრივი

რამტელი – რამდენი

რამტელისამე – რამდენიმე

რამტენსამე – რამდენიმე

რომე – რომ

სადანა – სად

საზანდარი [სპარ. საზანდე-დან] 1. საზის დამკვრელი. 2. ჩვევლებრივ, მრავლობითში დასი, რომელიც შედგება საზის, თარის, ჭიანურის დამკვრელისა და დაირის დამკვრელ-მომღერლისაგან.

სალაყბო – ძვ. სავაჭრო მოედანი, სადაც ხალხი თავს იყრიდა.

სამ [რუს. сам] – თვითონ

სამძიმო – მძიმე

საცლა – სადღაც

სილის ფსკვნა – სილის გარტყმა

სიმგრგულე – სიმრგვალე

სლაბიტელი [რუს. слабительный] – სასაქმებელი

სმოვარი – **სამოვარი** [რუს. самовар] – ჩაისათვის წყლის ასადულებელი ლითონის ჭურჭელი. რომელიც შიგნიდან ნახშირით ხურდება.

სნეზა – სენი, ავადმყოფობა, სნეულება

სპალნა [რუს. спальня] – საძინებელი ოთახი

სრიმლი – იგივეა, რაც მუსრი

სტილი – აქ: ძვ. წონის ერთეული, 28 ან 36 მისხალი.

სტოლი [რუს. стол] – მაგიდა

სუზანი [სპარ. სუზანი] ძვირფასი საფენი; ფერადი ნაქარგი ქსოვილი მაგიდაზე გადასაფარებლად, კედელზე გასაკრავად, აბანოში ფეხქვეშ დასაგებად და სხვ.

სუფს-კარაპეტი [სომხ. սուբբ Կարապետ] – წმინდა კარაპეტი

ტანტიკინი [სომხ. տանտիկին] – დიასახლისი)

ტანციობა [რუს. танцевать] – ცეკვა

ტაქანი [რუს. стакан] – ჭიქა

ტერ [სომხ. տեր] – უფალი

ტერტერა [სომხ. տերտեր]– სომეხთა მღვდელი

ტი [რუს. ты] – შენ

ტო [სომხ. դու] – შენ

ტოლომა – ძვ. „ფართო სამოსელი ბენვიანი“ (საბა) – ქურქი, ტყავკაბა

ტროიკა [რუს. тройка] – სამეული

ტრუბა [რუს. труба] – მილი

ტყაე [სომხ. տղա] – ბიჭია

უმფრო – უფრო

უმცხვარი – გამოუმცხვარი

ურა [რუს. ура] – ვაშა

ურატი (კურატი) – ა) 1. გაუხედნელი, დაუკოდავი ხარი, 2. ძვ. ეთნ. ხატისთვის შეწირული მოზვერი, რომელიც არც დაიკოდებოდა და არც გაიხედნებოდა.

ურიშ [სომხ. ուրիշ] – სხვა

უნვა – შეუნველი

ფაიდა [არაბ. ფა'იდათ] – კუთხ. (ქართლ. ქიზ. გურ.) სარგებლიანობა, სარფა, ხეირი

ფარა [თურქ. ფა რაჰ „ნაწილი“] – 1. ძვ. უმცირესი ფულის ერთეული, – კაპიკი; 2. კუთხ. (იმერ. გურ.) საერთოდ, ფული

ფარქ ასტუნო [სომხ. փարքի ასտიւնո] – ღვთის წყალობით

ფაფანიკი – ფაფანაკი ძვ. მომრგვალო, ბრტყელი თავსახურავი (მამაკაცისა); ჩვეულებრივ ნიკაპ-ქვეშ ზონრით ამაგრებდნენ

ფესაჯან [სომხ. փեսաჯան] – სიძეჯან

ფეშქაში – [სპარ. ფი შკაშ] საჩუქარი, ძღვენი

ფეშხო – ხერხემალზე სიგრძივ გაკვეთილი საკლავის ნახევარი

ფოხალი – ხის ჭურჭელი 20 (ძველად) და 10 (ახლა ზ. იმერეთს) კილოგრამის ტევადობისა; ნახევარკოდინი. || ასეთი ზომის საწყაო

ფრანტული – [ფრანტი პოლ. frant, გერმ. Freund-იდან მეგობარი] – ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი კაცის, მოდის მიმდევარის შესაფერი

ფრთონა – ღელვა, რხევა

ფრანას [სომხ. փրացած] – გაფუჭებულო

ჭრანცუზი [რუს. француз] – ფრანგი

ქათიბი – ქალის ზედა ტანსაცმელი, ბენწმომოვლებული

ქართველი – აქ: ქართლელი

ქევხა – ძვ. 1. იგივეა, რაც მამასახლისი; 2. კუთხ. (კახ.) ბატონის მოურავი („დიალ.“). 3. კუთხ. (ფშ.) მდიდარი, მამულის მქონე (კაცი)

ქიზგა [ოსურ.] – გოგო

ქოქი – ძირი, ფესვი, გვარი, ჯილაგი

ქუ [სომხ. ქი] – შენი

ქუე – ძვ. და კუთხ. (ფშ. ხევს. რაჭ.) მტკიცებითი ნაწილაკი, ნიშნავს: კი, ჰო, დიალ; კიდევაც

ლალა [არაბ. ლალათ] – ისტ. „ყანის ბეგარა“ (საბა); გადასახადი მიწის სარგებლობისათვის (უპირატესად იხდიდნენ ჭირნახულის ან ფულის სახით)

ლვიტიკა – სალანძღავი სიტყვა

ღვლიპი – შიშველ-ტიტველი

ყაბულის ქონა [არაბ. კაბულ] – „ყაბული აქვს“ იგივეა, რაც „ყაბულს არის“: თანახმაა, თანხმობას აცხადებს.

ყალმათ – მთლად, სულ (ერთ ყალმათ – სულ მთლად)

ყინვარე შაქარი – შაქარყინული

ყოყმობით – ყოყმანით

ყრმიზი – **ყირმიზი** [თურქ. კირმიზ] – წითელი, წითელი ფერისა **შამშიმეტიანი ქათიბი** – ფულეხასხმული (თუნუქისა და თითბრის) ქათიბი, რომელსაც ხმაური გააქვს და ჟღარუნობს.

შარლატანი [ფრანგ. charlatan] – მცოდნედ, სპეციალისტად თავის გამსაღებელი უვიცი, – მატყუარა; გაიძვერა.

შაური – ხუთი კაპიკი; ამ ღირებულების სპილენძის ფული

შაფანცკუ [რუს. шампанское] – შამპანური

შაფანწკი [რუს. шампанское] – შამპანური

შაყა – დაკლული და გატყავებული ცხვრის ერთი ნახევარი

შორს ნათესავი – შორეული ნათესავი

შორუა – შორვა [სპარ. არაბ. შურბა] – თხელი შილაფლავი, ლაბა

შპაგა [რუს. шпана] – დაშნა

შტრაფი [რუს. штраф] – ჯარიმა

შტუკა [რუს. штука] – ოინი, ამბავი, საქმე, ხათაბალა

შულო – ორ ხელზე, ან წყრთაზე ამოკეცილი ძაფის კონა, – ხიფი (სინონ. ძვ. ბოკელი)

ჩათუქესანი – ძვ. მოდარდიმანდო უსაქმური

ჩანახი [თურქ. ჩანაქ „თიხის ჯამი“] – გულამოღებული ხის (ან თუნუქისაგან გაკეთებული) ცილინდრული ჭურჭელი მარცვლეულისათვის (ან ფქვილისათვის) გარკვეული ზომისა; იყენებენ სანყაოდაც.

ჩარექი [სპარ. ჩარაქ „მეოთხედი“, ნონის ერთეული] 1. სანყაოს ან საზომი ერთეულის მეოთხედი, – ნაოთხალი. 2. სითხის (უპირატესად ღვინის ან არყის) საზომი ერთეული, თუნგის მეოთხედი (დაახლოებით ერთ ლიტრს უდრის).

ჩალღევა – საუბ. ღვინის დაღევა, გადაკვრა

ჩე [სომხ. չէ] – არა

ჩიმ [չես] – არ (უარყოფითი ნაწილაკი)

ჩორუცავ [სომხ. չորսսայ] – აქ: ხრჩობა

ცავეცრუდა [სომხ. ცավեցնել] – ტკივილის მიყენება

ცოცხლივ – ცოცხლად

ძაინდ [სომხ. ձայնդ] – ხმა

ძალ და ძალ – ძალით

ძალისად – ძალით

ძერ [სომხ. ձերք] – ხელი

ძუნგელა – იგივეა, რაც ნუნკალი

ნაფება – მოყუდება

წნეულს – წელს

ჭკრთიალი – ჭრიალი

ხაბიზგინა [ოს. ხაბიზგინ „ხაჭაპური“] – ერთგვარი ნამცხვარი, რომელსაც გულად აქვს ნიგოზი, ყველიანი ხაჭო, ან კარტოფილი.

ხათრიჯამი [არაბ.-სპარ. ხათირჯამ] – ძვ. დარწმუნებული, იმედიანი, არხეინი

ხაშაპანი [სომხ. խաշապան] – მზარეული

ხაჩნერ [სომხ. խաչեր] – ჯვრები

ხახალი – გობის მსგავსი მონწული ჭურჭელი (წნელისა ან ტკეჩისა) ხორაგისა და ხილეულისათვის

ხლებ [რუს. хлѣб] – პური

ხოჩე [სომხ. խո չի] – ხომ არ არის, ხომ არა

ხნორა – სწორედ

ჯანამა – ჯანდაბა

ჯანჯაფილი [სპარ. ზანჯეფილ] – იგივეა, რაც კოჭა: ტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე

ჯურათი – აქ: ჯურის საქმე

ჰაზარუ [სომხ. հազար ու] – ათასი და

ჰაზრი – აზრი

ჰალა [არაბ.] – ჯერ, ჯერ კიდევ

ჰიმა [სომხ. հիմա] – ახლა

ჰორნ [სომხ. հոր] – მამა

ჰოქმი – ოქმი

ლექსიკონის დანართი²⁰²

ანიმ [სომხ. ანსამ] – გავაკეთო

ანიწი [სომხ. ანჩბჩ] – დაგწყევლის

არი [სომხ. არჩ] – მოდი

ასა [სომხ. ასას] – თქვი

ასუმ [სომხ. ასუმ] – ამბობ

ასუმიმ [სომხ. ასუმ ხმ] – მე ვამბობ

ასუმინ [სომხ. ასუმ ხნ] – ამბობენ

ბლაუმ[სომხ. ბლუმ] – ბლავილი

გაჟვეცავ[სომხ. გაჟვეცავ] – გაგიჟდა

გლუხს [სომხ. გლუხს] – ჩემ თავს

გლხინ [სომხ. გლხინ] – თავს

გნა[სომხ. გნა] – წავიდა

გნაც[სომხ. გნაც] – წადი

გციმ [სომხ. გციმ] – აქ: დავისხამ

დნიმ წირანი [სომხ. დნიმ ბირანი] – დაგიდებ ჭერამს

დრუსტის [სომხ. დრუსტის ხმ] – სიმართლეს [ვამბობ], სიმართლეს

დუნ აპრის [სომხ. დუნ, შენაყრეს – იხარე, გაიხარე] –
შენგაიხარე

ვიკალ [სომხ. ვიკალ] – მიიღე, აქ: შეისმინე, გაიგე

ვოლორმი [სომხ. ვოლორმი] – აქ: გიცხონდა

ვუი ქუ [სომხ. ვუი ქუ] – ვაიშენს

იმაცილის გალისიმ [სომხ. იმაცის ხმ, ვაქს ხმ] – გაგიგია მო-
ვდივარ

ინჩგუზის [ინჩ კოცხა,] - რა გინდა, რას მოისურვებ

ინჩიქანუმ [სომხ. ინჩიქანუმ] – რას შვრებით

202 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ მოცემულია სიტყვები და ფრაზები კონტექსტიდან.

ისიმ [სომხ. ის ხმ] – მე ვარ

კაბენ კარიმ ჟანგარი [სომხ. კაჩან სარქი ძანგარი] – მწვანე
კაბას შეგიკერავ

კონიმ [სომხ. კანხმ] – გავაკეთებ

კოსე[სომხ. კასე] – იტყვის

კოსიმ [სომხ. კასხმ] – გითხრა/გეტყვი

კრაკი მეჯ [სომხ. კრასკი მჯ] – ცეცხლში

კტრე [სომხ. კტრე] – აქ: ჩაიკმინდე, ჩაიწყვიტე

კტრიც [სომხ. კტრეც] – მომაჭრის

კუ ქნიმ [სომხ. კუნხმ] – დავიძინებ

კუჰარფიმუ [სომხ. კხარფემ იმ] – დავლევ და

ლალვეცავ ურ [სომხ. ლავეც, ირ] – იტირა, რომ

ნენგავ [სომხ. ნენგომ ხმ] – ცბიერობ, მზაკვრობ

ნსტირ [სომხ. ნსტირ] – დაბრძანდი, დაჯექი

ოვის [სომხ. ივ ხმ] – რომელი ხარ

პიტისკოსი [სომხ. პიტის კასი] – უნდა მითხრა

პრწავუ [სომხ. პრძავ იმ] – გაათავე და

სირიმ [სომხ. სირომ ხმ] – მიყვარხარ

სირუნერ [სომხ. სირომ ლერ ხმ] – გიყვარდი

სმოვარის ჩალის არი [სომხ. ხმ, ჯალ ხმ, არი] – სამოვარ ხარ,
მსუქანი ხარ, მოდი

სრანელ [სომხ. სრან ლ] – მაგის / მაგისიც

სუტინ [სომხ. სუთინ] – ტყუილს

ტა [სომხ. თამ] – მივცემ

ტალინ [სომხ. თანხმ] – წაიღებენ

ტანნე[სომხ. თანხმ] – წავა

ტერვოლორმია//ტერალორმია [სომხ. Տեր ուղորմա] – უფალო,
შეგვიწყალებ

ტიფლიზ კუტანიმო [სომხ.] – თბილისში წაგიყვანო

ტურ [სომხ. տուր] – მომეცი

უი იმ აჩკინ ვარდხათუნ კოსე, ფესენ გაპარვა არავ კოსე [სომხ.
վայ, իմ աչքին Վարդիխաթուն կասե, փեսան արավ] –
ვაი ჩემს თვალებს, იტყვის ვარდხათუნ, სიძის გაპარვა,
მოვიდა იტყვის

უნე [სომხ. ունե] – აქვს

უნიმ [სომხ. ունեմ] – მყავს, მაქვს

ურ ფახავ ურის ფახჩერ [სომხ. ու՞ր փախավ] – სად გაიქეცი?
სადწახვედი?

ფახავ [სომხ. փախավ] – გაიქცა

ფისიმ [სომხ. փիս եմ] – ცუდი ვარ

ქარინ [სომხ. քարով] – ქვით

ქიხელუ [სომხ. ուզելու] – ნდომისთვის

ქუ მატალ [სომხ. դու, შე մատաղեջո] – აქ: შენ გენაცვალე

ქუ ნანიდ ჩარ ტანი [სომხ. քու նանիդ չար տանի] – დედა
გენაცვალოს

ქუ ტუნ ქანდვი [სომხ. քոშენի, տուն სახლი, քանդվի დაინგრეს]
– შენი სახლი დაინგრეს, დაიქცეს

ჰალა [სომხ. հալա] – 1. ალალი, 2. ჯერ, სრულიად.

ჰამ [სომხ.] – აქ: აი

ჰამეცუქ (ჰამეცექ) [სომხ. համեցեք] – მობრძანდი

ჰარს [სომხ. հարս] – რძალმა

ჰერნანი წან [სომხ. հերն անիծած მამანანყევარო] – აქ:
შობელდადლო

ინჩე ასუმი ტუტუც სოჩე [ჩინჯ ლა ასონი თონთონც ჰან ჯე] – რას
ამბობ, ტუტუცი ხომ არ ხარ?

სარჩევი

შესავალი	3
ზურაბ ანტონოვი	
ქმარი ხუთის ცოლისა	11
განა ბიძიამ ცოლი შეერთო	97
მზის დაბნელება საქართველოში	179
გრიგოლ რჩეულიშვილი (გარდანქეშელი)	
ხუმრობა-ვოდვეილი ორს კარტინაში	269
ალექსანდრე გარსევანოვი (გარსევანიშვილი)	
ცოლები დავკარგეთ	281
ტექსტისათვის	320
ზურან ანტონოვი	322
ვოდვეილი „ქმარი ხუთის ცოლისა“	328
ვოდვეილი „განა ბიძიამ ცოლი შეერთო“	332
კომედია-ვოდვეილი „მზის დაბნელება საქართველოში“	338
გრიგოლ რჩეულიშვილი (გარდანქეშელი)	343
ვოდვეილი „ხუმრობა-ვოდვეილი ორს კარტინაში“	344
ალექსანდრე გარსევანოვი (გარსევანიშვილი)	345
ვოდვეილი „ცოლები დავკარგეთ“	346
ენის საკითხები	348
ლექსიკონი	423
ლექსიკონის დანართი	437
სარჩევი	441

